

თა მაზ ფუტკარაძე

ზაურ ფუტკარაძე

ც ა ლ ა თ ი



გამომცემლობა „ანივერსალი“
თბილისი 2021

წინამდებარე ნაშრომი მაღალმთიანი აჭარის ერთ-ერთი პატარა სოფლის – წელათისა და იქ მცხოვრები ვაშაყმაძებისა და ფუტკარა-ძეების საგვარეულო ისტორიის მეცნიერული შესწავლის მცდელობაა. იგი შეიცავს მეტად საინტერესო ცნობებს როგორც წმინდა მეცნიე-რული, ისე თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით.

ნაშრომი შედგება ოთხი ნაწილისაგან. **პირველ ნაწილში** წარმოდ-გენილია შუბნის თემის შემადგენლობაში შემავალი სოფლების ისტო-რიის ცალკეული საკითხები, წერილობითი მონაცემები, საარქივო დო-კუმენტები – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის, მოსახ-ლეობის რაოდენობის, სოფლების ისტორიის უმნიშვნელოვანეს სა-კითხებზე. **მეორე ნაწილში** მკითხველი გაეცნობა საკუთრივ წელათის ისტორიას, მეურნეობის განვითარების თავისებურებებს, ტოპონიმი-ის, გვარობრივი სტრუქტურისა და განათლება-კულტურის საკით-ხებს. **მესამე ნაწილში** გვარსახელების, გენიალოგიისა და მათი გან-შტორებების საკითხებია წარმოდგენილი, ხოლო **მეოთხე ნაწილი** იმ ადამიანთა გახსნებაა, რომლებიც ცოცხლები აღარ არიან, თუმცა თავიანთი საქმიანობით ნათელი კვალი დატოვეს სოფლის ცხოვრება-ში. გამონაკლის წარმოადგენს ნოდარ (ყურბან) ვაშაყმაძის, როგორც სოფლის უხუცესის შესახებ ნაშრომში წარმოდგენილი პატარა ნარ-კვევი.

რედაქტორები: ლიანა ფუტკარაძე
რუსულან ვაშაყმაძე

რეცენზიტები: დარინა ფუტკარაძე
თამუნა ვაშაყმაძე

© თ. ფუტკარაძე, ზ. ფუტკარაძე, 2021

გამომცემლობა „ენივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკისასა და №4, ჟ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-908-0

შინაარსი

ნაწილი პირველი

1. შესავალი	7
2. ისტორიოგრაფია	9
3. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მონიტორინგი	14
4. შებნის თემში შემავალი სოფლები (მოკლე ისტორია)....	17
ნაწილი მეორე	48
1. წელათი, ისტორიის ძირითადი საკითხები	48
2. მეურნეობა	68
3. ტოპონიმია	69
4. გვარობრივი შემადგენლობა და გავრცელების გეოგრაფიული არეალი.....	74
5. განათლება, მეცნიერება, კულტურა	87
ა. მეცნიერება.....	90
ბ. პედაგოგიური განათლება.....	94
გ. მედიცინა	98
დ. სასოფლო-სამეურნეო მიმართულება	99
ე. იურიდიული განათლება	100
ვ. საერთაშორისო ურთიერთობები.....	101
ზ. სამსედრო საქმე.....	101
თ. ბუღალტერია, ინჟინერია, საზღვაო საქმე და სხვა ეკონომიკური სფეროები.....	102
ი. კულტურა, ხელოვნება	106
ნაწილი მესამე.....	108
გვარსახელები წელათში. გენიალოგია და ნათესაური განშტოებები.....	108
I. ვაშაყმაძეთა გენიალოგია და ნათესაური განშტოებები....	111

თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე

ა.	იბრაიმი, სელიმი (1800 – ?), მურადი (1830 – ?)	111
ბ.	უსეინი და მისი შთამომავლობა.....	115
გ.	შერიფი და მისი შთამომავლობა.....	119
დ.	ოსმანი და მისი შთამომავლობა.....	123
ე.	ახმედი და მისი შთამომავლობა.....	128
II. ფუტკარაძეთა გენიალოგია და ნათესაური		
განშტოებები.....		134
ა.	სულეიმანი და მისი შთამომავლობა.....	134
ბ.	არიფა და მისი შთამომავლობა.....	135
გ.	ნუმანი და მისი შთამომავლობა	145
დ.	შერიფი, ხაჯი და მათი შთამომავლობა	145
ე.	ისუფი და მისი შთამომავლობა	156
ვ.	ომერი და მისი შთამომავლობა	164
ზ.	ნური და მისი შთამომავლობა.....	169
თ.	ზექერია და მისი შთამომავლობა.....	171
III. ფუტკარაძეთა ნათესაური განშტოება		
მახალაკიძეებში.....		179
ნაწილი მეოთხე.....		181
პერსონალიები		181
1.	სულეიმანი (დაბ. 1770/80 – 1835 ?) ფუტკარაძეების წინაპარი.....	181
2.	ისმაილი – 1800 – ? ფუტკარაძეების წინაპარი.....	182
3.	სელიმი (1800 – ?) ვაშაყმაძეების წინაპარი.....	182
4.	არიფა 1820-? (ფუტკარაძეების წინაპარი)	183
5.	შერიფი 1824-? (ფუტკარაძეების წინაპარი)	184
6.	ალი და მურადი (ვაშაყმაძეების წინაპრები)	185
7.	ხაჯი ფუტკარაძე.....	185
8.	ფადო ხაჯის ასული ფუტკარაძე	188
9.	ზექერია ხაჯის ძე ფუტკარაძე	191
10.	ისუფ ხაჯის ძე ფუტკარაძე	194

11. შერიფ იუსუფის ძე ფუტკარაძე	195
12. ომერ ხაჯის ძე ფუტკარაძე.....	197
13. ნური ხაჯის ძე ფუტკარაძე	198
14. ახმედ ფუტკარაძე.....	199
15. დურსუნ ფუტკარაძე.....	200
16. დემურალ, ნური და ვაჟა ვაშაყმაძეები	202
17. ბექირ ფუტკარაძე	204
18. შერიფ ვაშაყმაძე.....	205
19. რეჯებ ფუტკარაძე	206
20. ფერათ ფუტკარაძე	207
21. პოსო ვაშაყმაძე.....	208
22. ტაშტან ვაშაყმაძე	210
23. რიზალი ფუტკარაძე	211
24. მუხამედ ფუტკარაძე	214
25. მეჯიდ, მოხერემ და მემედ ვაშაყმაძეები	215
26. ვეზირ ვაშაყმაძე	218
27. სადო ფუტკარაძე	219
28. ახმედ ფუტკარაძე	220
29. შერიფ ვაშაყმაძე.....	221
30. ბინალი ფუტკარაძე	224
31. ვეზირ ფუტკარაძე	226
32. შემსო ვაშაყმაძე	227
33. ალიოსმან ვაშაყმაძე	228
34. ისრაფილ ვაშაყმაძე	230
35. მეიდან, ნევზეთ და ნუგზარ ვაშაყმაძეები	231
36. ალი ფუტკარაძე	233
37. აბას ფუტკარაძე	234
38. ქაზიმ ფუტკარაძე.....	236
39. სერდალ ვაშაყმაძე.....	238
40. ნოდარი (ხალიდი) ფუტკარაძე	239
41. შოთა (მოედინ) ვაშაყმაძე.....	241
42. ვლადიმერ (ბინალ) ვაშაყმაძე.....	242
43. ალი, ომარ და ნუგზარ ვაშაყმაძეები	243

თამაზ ფუტკარაძე, ზაურ ფუტკარაძე

44. იოსებ ფერათისძე ფუტკარაძე.....	246
45. იოსებ ახმედის ძე ფუტკარაძე.....	248
46. შუქრი ფუტკარაძე	250
47. ლევან ფუტკარაძე.....	252
48. მეჯიდ// იოსებ ვაშაყმაძე.....	253
49. მერაბ ვაშაყმაძე.....	255
50. ავთანდილ ვაშაყმაძე	257
51. უორა ვაშაყმაძე.....	259
52. ნოდარ (ყურბან) ვაშაყმაძე	261
 ფოტომატიანე	263
გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები	275

შესავალი

წელათი – ჩვენი სოფელია. სხვა მრავალი დასახლებული პუნქტისაგან იგი გამორჩეულია უხვად დაჯილდოებული ბუნების სილამაზით, შრომისმოყვარე, ამაყი ადამიანებით. წელათი – მაღალმთანი აჭარის ერთ-ერთი ყველაზე პატარა სოფელი – კადრების სამჭედლოა, ხელოვანთა და „ცხოვრების ხელოვანთა“ სოფელია – ტრადიციული ყოფის ზოგადქართული ბუნებითა და ლოკალური თავისებურებებით. ამ და სხვა ფაქტორებმა გადაგვაწყვეტინა მშობლიური სოფლის შესახებ ნარკვევის დაწერა. შესაძლოა ეს ჩანაფიქრი ვინმეს პროვინციული აზროვნების გამოხატულებად მოეჩვენოს, მაგრამ ქვეყნის სრულყოფილი ისტორიის შესწავლა ხომ წარმოუდგენელია ცალკეული სოფლის ისტორიის შეუსწავლელად. დიდი ივანე ჯავახიშვილი-დან მოყოლებული სოფლებისა თუ ხეობების ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. პოსტსაბჭოთა პერიოდში ამ მიმართულებით კვლევები მეცნიერთა ყურადღების მიღმა დარჩა, თუმცა ერთი წლის წინ, საქართველოს საპატრიარქომ შექმნა სოფლების ისტორიის შესწავლის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. ჩვენ წილად გვხვდა პატივი, ვიყოთ ამ ცენტრის თანამშრომელი. წელათის ისტორიის კვლევა ამ თვალსაზრისითაც არის გამართლებული.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა საქართველოში ბუნებრივ-გეოგრაფიულ მდგომარეობასთან, ხეობების მიხედვით ცხოვრების მოწყობასთანაა უშუალო კავშირში. საქართველო ცოცხალი ხეობების კრებულია (ბერძენიშვილი, 1964:361). ხეობების, ცალკეული დასახლებული პუნქტის შესწავლის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის ისტორიის სრულყოფილი წარმოჩნდა. თითოეული ხეობა ხასიათდება ტრადიციულ-ყოფითი კულტურის სპეციფიკით, სამეურნეო-კულტურული თავისებურებებით. ამ მხრივ მარეთის ხეობა მრავალმხრივ საინტერესო მთიანი რეგიონია საქართველოსი. ხეობის მთავარი მდინარეა ჩირუხისწყლი, აჭარისწყლის აუზის ერთ-ერთი მთავარი შენაკადი, რომელიც მთლიანად შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეა.

თამაზ ფუტკარაძე, ზაურ ფუტკარაძე

ხეობის ყველაზე მაღალი თემია შუბანი (შუბნის თემი, შემდეგში სასოფლო საბჭო) მასში შემავალი სოფლებით: დარჩიძეები, შუბანი, ტომაშეთი, იაკობაური, კობალთა, ქუთაური, ერდვათი, წელათი. ისტორიულ-ეთნოგრაფიული და სამეურნეო-კულტურული თვალსაზრისით შუბნის თემი ერთი ცოცხალი ორგანიზმია. იგი ხეობის ზემოწელში – ჩირუხის მთისწინა ზოლში მდებარეობს. თემში შემავალი სოფლების სიმაღლე ზღვის დონიდან მერყეობს 1400-1600 მეტრს შორის.

შუბნის თემის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთით მთის ფერდობზე შეფენილია მზის სხივებით გაცისკროვნებული პატარა ორ უბნიანი სოფელი – წელათი. შუბანი-ჩირუხის გზატკეცილიდან იგი მოჩანს, როგორც მხატვრის მიერ ერთი ამოსუნთქვით დახატული პეიზაჟი. განვებას მოუსწრია სოფლისთვის ბუნებრივი სილამაზის კალთის დაბერტყვა ნოყიერი მიწებით, ანკარა წყაროებით, შრომისმოყვარე, გამრჯვე ადამიანებით და იგი ბუნების ცოცხალ ნაკრძალად, ხელოვნების ნიმუშად გამოუქანდაკებია.



ისტორიულავია

წელათი საკმაოდ ძველი სოფელი უნდა იყოს შუბნის თემ-ში შემავალ სოფლებთან ერთად. სამწუხაროდ, ისტორიულ დო-კუმენტებსა თუ სამეცნიერო ლიტერატურაში მის შესახებ მასა-ლები საკმაოდ მწირია.

წელათის შესახებ მცირე ინფორმაცია მოცემულია პროფ. იური სიხარულიძის წიგნში „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა“ (ი. სიხარულიძე, 1958), რომელშიც სხვა საკითხებ-თან ერთად დასახელებულია სოფლის ტოპონიმები და მოცემუ-ლია ზოგიერთი ტოპონიმის ავტორის სეული ახსნა.

წელათის შესახებ საყურადღებო მონაცემებია წარმოდგე-ნილი პროფ. ჯერაბ მიქელაძის წიგნში „საცხოვრებელი და სა-მეურნეო ნაგებობანი აჭარაში“ (ჯ. მიქელაძე, 1982). ავტორი აღ-ნიშნული საკითხის კვლევისას გარკვეულ ინფორმაციებს გვაწ-ვდის წელათის დასახლების სტრუქტურის, გვარობრივი შემად-გენლობისა და მატერიალური კულტურის საკითხებზე. ამ კონ-ტექსტში იგი განხილავს იმუამად წელათში მცხოვრებ დურსუნ ფუტკარაძის უძველეს საცხოვრებელ სახლს როგორც წელათ-ში, ისე მთა ჩირუხში. იგი აღნიშვნას საცხოვრებელ და სამეურნეო კომლექსს, წარმოადგენს ნახატისა და სქემატური სახით რო-გორც სოფელს, ისე ზემოთდასახელებულ საცხოვრებელს.

წელათის ისტორიის და გვარობრივი შემადგენლობის ცალკეული საკითხებია განხილული თამაზ ფუტკარაძისა და ნადიმ ვარშანიძის წიგნში „შუბანი“, რომელიც 2001 წელს გამო-იკა (თ. ფუტკარაძე, ნ. ვარშანიძე, 2001). ავტორები ნაშრომში თემში შემავალ სხვა სოფლებთან ერთად ყურადღებას ამახვი-ლებენ ზოგადად ხეობის ისტორიის, ეტიმოლოგიის, ტოპონიმი-კის, ტრადიციულ-ყოფითი კულტურის, მოსახლეობის ბუნებ-რივი და მექანიკური მოძრაობის საკითხებზე და წარმოადგენენ თემში შემავალი თითოეული საგვარეულოს ნარმომავლობის გავრცელების გეოგრაფიულ არეალს, ხალხურ გადმოცემებს, ადგილზე დარჩენილი და განსახლებული მოსახლეობის შესახებ სტატიისტიკურ ცნობებს.

თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე

შუბნის თემის ისტორიის კონტექსტში წელათის შესახებ საინტერესო ინფორმაცია და დაკვირვებები წარმოდგენილია პროფ. ტარიელ ფუტკარაძის სტატიაში „აჭარის შუბანი“ (ტ. ფუტკარაძე, 2020, ხელნაბეჭდი). ავტორი მიმოიხილავს მარე-თის ეტიმოლოგიას, შუბნის თემის თითოეული სოფლის ისტო-რიისა და ტოპონიმის საკითხებს. განსაკუთრებული ყურადღე-ბა გამახვილებულია კუნტიჯვარისა და ნაეკლესიარის შესახებ, რომელსაც იგი ბებერაულის ნაეკლესიარის სახელით მოიხსენი-ებს.

შუბნისა და თემში შემავალი სოფლების, მათ შორის წე-ლათის ისტორიის საკითხები განხილულია **შოთა ცეცხლაძის** მონოგრაფიაში „**შუბანი და შუბნელები**“ (შ. ცეცხლაძე, 2007). ნაშრომში წარმოდგენილია მოსახლეობის აღწერის მასალები, სტატისტიკური მონაცემები, კოლმეურნეობათა ჩამოყალიბე-ბის ისტორია და ა. შ.

წელათი და ზოგიერთი იქ მაცხოვრებელი მოხსენებულია აგრეთვე მონოგრაფიებში: „**შუახევი**“ (ბათ. 2008) და „**მარეთის ხეობა**“ (ბათ. 2011). ისტორიის, გეოგრაფიის საკითხებთან ერ-თად ავტორთა კრებულის ამ მონოგრაფიებში დასახელებულნი არიან სამეცნიერო ცენტრის მქონე ის ადამიანები, რომლებიც წელათიდან არიან წამოსულნი. სხვა ცნობები საისტორიო მწერლობაში თითქმის არ გვხვდება. ბათუმის შოთა რუსთავე-ლის სახელობის სახელმწიფო-პედაგოგიური ინსტიტუტის (ამ-ჟამად უნივერსიტეტი), მხარეთმცოდნეობითი მუზეუმის და ნი-კო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტი-ტუტის დაარსების შემდეგ გამოქვეყნდა არაერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომლებშიც სხვადასხვა ასპექტით მარეთის ხეობა, მათში შემავალი სოფლები, მათ შორის წელათიცაა მოხსენიე-ბული (იხ. შ. რუსიძე, დარჩიძეებისა და შუახევის ციხესიმაგრე-ბი, აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმის შრომები (ტ. 2, ბათ. 1957), ა. რობაქიძე, დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აჭარაში, ბსკი შრომები (ტ. 1, ბათ. 1960), ვლ. მგელაძე, სოფელ დარჩიძეების დასახლების სტრუქტურისათვის, ბსკი შრომები,

ტ. 2, ბათ. 1962, მისივე, ზემოაჭარული სოფელი ძველად, ბათ. 1973, ვ. შამილაძე, ალპური მესაქონლეობა საქართველოში, თბ. 1969, თ. ფუტკარაძე, მიგრაციული როცესები აჭარის მთიანეთში, ბათ. 1995, ზ. გოგიტიძე, სოფელი გოგინაური. კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი საქართველოში, 1., ბათ. 1996).

წელათის მკვიდრის, რეპრესირებული ომერ ხაჯის ძე ფუტკარაძის რეაბილიტაციის შესახებ ინფორმაცია დაიბეჭდა გაზეთ „სრულიად საიდუმლო“-ს 1999 წ. მე-12 ნომერში. ცნობაში ომერის დაბადების წლად დასახელებულია 1855 წელი. 1937 წ. თავისუფლების აღკვეთისას იყო 82 წლის. ვფიქრობთ, რეპრესირებულის დაბადების თარიღი დაზუსტებას საჭიროებს. გაზეთის ეს ცნობა აისახა პროფ. ოთარ თურმანიძის უალრესად საინტერესო მონოგრაფიაში „საბჭოთა რეჟიმი და მასობრივი რეპრესიები აჭარაში (1921-1952 წლები)“ (ბათ. 2019, გვ. 412) და წიგნში „სისხლიანი გრიგალის ექო“ (თბ. 2001, გვ. 34)

წელათის შესახებ გარკვეული ინფორმაციებია დაცული აჭარის საარქივო სამმართველოს N 178 ფონდში. მასში ვევდებით სტატისტიკურ მონაცემებს მოსახლეობის რაოდენობის შესახებ -1920-ნი წლებიდან. N 29 საქმეთა ერთეულში კი 1923 წ. სოფლის მცხოვრებთა სახელობითი სიებია წარმოდგენილი. მათ შორისაა წელათის მცხოვრებიც. საარქივო დოკუმენტებში საყურადღებო ცნობებია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხებზეც.

ჩვენთვის ცნობილია, რომ მოსახლეობის პირველი აღწერა სამხედრო და ფისკალური მიზანდასახულობიდან გამომდინარე ჩაატარეს მონღლოლებმა – მე-13 ს. შუახანებში (1254-1256 წლები). მონღლოლებს აინტერესებდათ – რამდენი ჯარისკაცის გამოყვანა შეეძლო დაპყრობილ ქვეყანას ომის შემთხვევაში. ყოველი სრულფუძიანი ცხრა ოჯახიდან ჯარში უნდა გაეწვიათ ერთი მამაკაცი. აღმოჩნდა, რომ საქართველოს შეეძლო 90 ათასი კაცის გაყვანა. ეს მონაცემი საშუალებას იძლევა დადგინდეს ოჯახების რაოდენობა: 90-სა და 9 ნამრავლი-810 ათასი ოჯახია.

თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე

ოჯახების საშუალო სიდიდის (6-7 კაცი) მიხედვით შესაძლებელია სულადობის მიახლოებითი განსაზღვრა. ცხადია, ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია აღნიშნულ აღწერაში შუბნის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ, მაგრამ ზოგადად ქვეყნის თვალსაზრისით ამ ინფორმაციას აქვს უაღრესად დიდი მნიშვნელობა.

პირველი ცნობები შუბნის მოსახლეობის შესახებ დაცულია ოსმალურ არქივებში.

სულთან სელიმ II-ეს (1566-1574 წწ.) დაპყრობითი ომების პერიოდში ჩაუტარებია აღწერა. აღწერის მიზანი ფისკალური იყო – მოსახლეობისათვის შეენერათ გადასახადები. ზემო აჭარის მონაცემები შესულია „აჭარის ლივის დიდ დავთარში“, რომელიც თარგმნეს და გამოსცეს ზაზა შაშიკაძემ და მირიან მახარაძემ (იხ. „აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთარები“, თბილისი, 2011). აღწერა იწყება შუბანით. დოკუმენტში ვკითხულობთ: „იორამის ციხის რაბათი, მეორე სახელი – შუბანი. ახლოსაა ვარდუბთან, ექვემდებარება ხსენებულს“ (ე.ი. ზემო აჭარის ნაპირს). შუბანი და ვარდუბანი გვხვდება „ვრცელ დავთარში“ (გვ. 54). ხოლო „მოკლე დავთარში“ ერთმანეთის გვერდითაა „შუბანი“ და „ზედუბანი“. დოკუმენტში ვკითხულობთ: „თიმარი კარა ხანისა. სოფელი იორამის ციხის რაბათი, მეორე სახელი შუბანი, ახლოსაა ზედუბნის მაჰალესთან“ (გვ. 165). ვფიქრობთ, რომ აქ უნდა იყოს ზედუბნისა და ვარდუბნის უბრალო აღრევა. ლოგიკურია ტარიელ ფუტკარაძის ვარაუდი, რომლის მიხედვით დასაშვებია ორგვარი ახსნა: ოსმალო მოხელის მიერ ტოპონიმის არასწორი ჩანწერა ან ხელნაწერის გაშიფრვის სირთულე. ოსმალოს მოხელემ არასწორად ჩაინწერა რომელიმე ფორმა, ანდა, ხელნაწერის ამოკითხვა გართულდა (ტ. ფუტკარაძე, 2020. ხელნაბეჭდი). ზედუბანი იგივე ზედა უბანია, შუბანი კი შუა უბანი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივში დაცული დოკუმენტები. მხედველობაში გვაქვს 1835 წელს ოსმალების მიერ სამხედრო მიზანდასახულობით ჩატარებული აღწერა (სტამბოლი, შინაგან საქმეთა სამინისტროს

არქივი, N FSd.022759), რომელშიც ყველა სოფლის მამრობითი სქესის ადამიანია აღრიცხული. მათ შორის დასახელებულია არიან ჩვენი წინაპრები- ისმაილი და სულეიმანი. ამ დოკუმენტით ჩვენი წინაპრების შესახებ ისტორიული მეხსიერება ორი თაობით უკან, მე-18 საუკუნის 70-80-იან წლებამდე გადაიწია.

სოფლის ისტორიის შესახებ მრავალმხრივი ცნობებია შე-მონახული ხალხის კულტურულ მეხსიერებაში. წინამდებარე ნაშრომიც ამ მონაცემების საფუძველზეა დაწერილი.

1992 წლის 5-7 ივნისს წელათში ჩატარდა ფუტკარაძეთა საგვარეულოს „ხაჯიშვილების“ შეკრება, რომელზეც დადგა გვარის (ხაჯიშვილის) აღდგენის მართლზომიერების, ხაჯი ფუტკარაძის საფლავის მოწყობის საკითხებთან ერთად გვარის ისტორიისა და გენიალოგიის საკითხების შესწავლის აუცილებლობის საკითხი. დასახული ამოცანა სრულყოფილად დღემდე ვერ განხორციელდა.

წელათისა და საგვარეულო ისტორიის შესახენ ნაშრომის შექმნის წინაპირობა სტამბოლის არქივში დაცული ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაცია იყო. ამჟამინდელი იდეის ავტორი **ზაურ ფუტკარაძეა**, რომელმაც ითავა უხუცესი ადამიანებისაგან, ნათესავ-ახლობლებისაგან ინფორმაციის მოძიება. სხვადასხვა სახის ინფორმაცია თავმოყრილი იყო **თამაზ ფუტკარაძესთანაც**, რომელსაც თავის დროზე ჩაუწერია საინტერესო მასალები ფერათ, რიზალი, ახმედ ფუტკარაძეებისა და ალიოს-მან ვაშაყმაძისაგან. მანვე შეადგინა გვარის გენიალოგია 2001 წლის მდგომარეობით, თუმცა აღნიშნული გენიალოგია მხოლოდ მამაკაცების ხაზის მიხედვით იყო შედგენილი, **ზაური ფუტკარაძემ** კი მოიძია სრულყოფილი ინფორმაცია როგორც მამაკაცების, ისე ქალების ხაზის მიხედვით და შეადგინა ნაშრომში წარმოდგენილი შესაბამისი გენიალოგიური სქემები.

მასალების შეგროვების პროცესში ჩართული იყვნენ: **ზაური**, იაგო, ირაკლი, გურამ, გოჩა, შალვა, შოთა, იაშა, ირაკლი, როლანდ, იოსებ ფუტკარაძეები, ნოდარ (ყურბან), მიხეილ, რაულ, თამაზ, ვაჟა (ქერემ), დავით, შაქრო ვაშაყმაძეები. მადლობას მოვახსენებთ რესპონდენტებს: შოთა ცეცხლაძეს, თამაზ

თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე

დიასამიძეს, მერაბ თავდგირიძეს, ბერიძესარიონ გოგიტიძეს, ბერინაზ სურმანიძეს, გიგლა აპაშიძეს, ალიოშა მახარაძეს, ემზარჯუმუშაძეს, ოთარ ფუტკარაძეს, სიმონ ბოლქვაძეს, ჯონდო ცეცხლაძეს, რომელთა ფასდაუდებელმა ინფორმაციებმა ხელი შეუწყო ჩვენი ჩანაფიქრის განხორციელებას.

ვაცნობიერებთ, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ვერ იქნებოდა სრულყოფილი. მკითხველს აუცილებლად გაუჩინდება შენიშვნები და სურვილები. დარწმუნებული ვართ, მომავალი თაობები გაითვალისწინებენ საპატიო ნაკლს წინამდებარე ნაშრომისა და შეავსებენ მათი თანადროული ისტორიის საკითხებით. ჩვენი ამოცანა მხოლოდ ერთ კეთილშობილურ მიზანს ემსახურება – დავინუებას არ მიეცეს და შთამომავლობას დარჩეს ჩვენი სოფლისა და საგვარეულოს შესახებ ის ინფორმაცია, რომლებიც დღემდე შემორჩია ჩვენი უხუცესების კულტურულ მეხსიერებაში.

ადგინისტრაციულ-ტერიტორიული მოცემება

დღევანდელი წელათის ტერიტორია შუბნის თემის სხვა სოფლებთან ერთად ოსმალთა დაპყრობამდე ერთიანი საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. ოსმალთა სულთან სელიმ მეორის მმართველობის წლებში (1566-1574) ჩატარებულ აღნერის მასალებში წელათი არ ფიგურირებს (იხ. აჭარის ლივის მცირე და დიდი დავთრები, თბ. 2011). შესაძლოა იმ დროს იქ არავინ ცხოვრობდა ან ოსმალობას გაექცა და სხვაგან გადასახლდნენ. დავთრებში დასახელებულია მხოლოდ იორამის ციხის რაბათი 15 ოჯახის შემადგელლობით. პირველი ცნობა წელათის შესახებ დაცულია 1835 წ. ოსმალების მიერ სამხედრო მიზნით ჩატარებულ აღნერაში. ამ დოკუმენტის მიხედვით წელათი შედის ჩილდირის ვილაიეთის აჭარის ლივის ზემო აჭარის

**ნაპირს მერაობანეს (სავარაუდოდ მარეთის ხეობის) სოფელ
დარჩიძეების თემში (სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივი,
ზემო აჭარის ლიკის მუსლიმ მამაკაცთა აღწერის დავთარი.
გვ.260-264, შიფრი – NFS.d.02759. ჩამოიტანა და თარგმნა ზა-
ზა შაშიკაძემ). დღევანდელი შუბნის თემის სხვა სოფლებთან
ერთად ამავე, დარჩიძეების თემში შემავალ სოფლად რჩება იგი
ოსმალთა ბატონობისაგან აჭარის გათავისუფლების შემდეგაც.
დარჩიძეების თემი კი ზემო აჭარის უბანში გაერთიანდა. თემში
შემავალი სოფლების მოსახლეობა სალოცავად დარჩიძეების
მეჩეთში დადიოდა, მაგრამ მოგვიანებით შუბნელებსა და დარ-
ჩიძეებლებს შორის მომხდარა გაუგებრობა, რის გამოც ისინი
„გარიგებულან“ და შუბანში აუშენებიათ ახალი მეჩეთი.**

1886 წლის რუსული კამერალური აღწერის მასალებში დარჩიდების თემში შემავალ ტომაშეთთან, ქუთაურთან, შუბანთან, კობალთასთან, ქუთაურთან და იაკობაურთან ერთად დასახელებულია წელათიც (ასს ცსა, ფ. 130, ანაწ. 1, საქ. 288. ფ. 1). ბოლშევკური რეჟიმის დამყარების შემდეგ, 1921 წლიდან დღევანდელი შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების დღევანდელი ტერიტორიების ბაზაზე შეიქმნა ხულოს მაზრა (სულ იყო 5 მაზრა), რომელშიც სამი თემი (დიდაჭარა, ხიჭაურა, სხალთა) იყო გაერთიანებული. **წელათი**, შუბნის თემის სხვა სოფლებთან ერთად შევიდა ხულოს მაზრის სხალთის თემში (ასს ცსა, ფ. პ-1, ანაწ. 1, საქ. 142, ფ. 7). მოგვიანებით, 1926 წ. ყარადერეს სათემო საბჭოში – ცენტრით ოლადაური. სათემო საბჭოს შემადგენლობაში შეიყვანეს დღევანდელი შუბნის თემის სოფლები, მათ შორის წელათი „**შუბნის საარჩევნო უბნის**“ სახლით. 1935 წლიდან საქართველოს კპ (ბ) ხულოს რაიონული კომიტეტის ბიუროს 1935 წლის 23 თებერვლის სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი N 27) იქმნება **შუბნის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელი შუბანი** (183 კომლი). ცხადია წელათიც დასახელებული სასოფლო საბჭოს შემადგენლობაში შევიდა (ასს ცსა, ფ. რ-4, ანაწ. 1, საქ. 825, ფ. 57).

თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე

კოლექტივიზაციის პოლიტიკის შესაბამისად თემის ტერიტორიაზე 1929 წელს ყალიბდება **ყარადერეს სასოფლო საბჭოს შუბნის კოლმეურნეობა** (ასს ცსა, ფ. რ-1079, ან.1, ს. 5, ფურც. 1, 2), თუმცა საარქივო დოკუმენტებში შუბნის კოლმეურნეობის დაარსების სხვა თარიღებიცაა დასახელებული, კერძოდ 1931 და 1939 (იხ. ასს ცსა, ფ. რ 1079, ან.1, ს.2, ფურც. 5). ჩვენის აზრით კოლმეურნეობის დაარსების თარიღი არის 1929 წელი, რადგან სწორედ მაშინ ეყრება საფუძველი კოლმეურნეობების ფორმირებას). 1933 წელს კოლმეურნეობას მიენიჭა ვოროშილოვის სახელი. შუბნის ვოროშილოვისა და კობალთის კოლექტიური შრომის კოლმეურნეთა 1950 წლის 19 ივნისის საერთო კრების გადაწყვეტილებით ეს ორი კოლმეურნეობა გაერთიანდა და ეწოდა შუბნის კოლშრომის სასოფლო – სამეურნეო არტელი (ასს ცსა, ფ. 1079, ან. 1, ს. 5). შუახევის რაიონის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად ჩამოყალიბების (1952 წ. 17 დეკემბერი) შემდეგ, 1956 წ. შუახანს გამოეყო კობალთა და ჩამოყალიბდა შუბნის ფრუნზეს სახელობის, ხოლო კობალთის გამარჯვების კოლმეურნეობები (ასს ცსა, ფ. 1079, ან. 1, ს.36, ფურც.4).

1931 წელს დარჩიძეების ტერიტორიული ერთეულის ბაზე ყალიბდება მიწის დამუშავების ამხანაგობა „ტოზი“ – „სანაპირო რაზმის“ სახელწოდებით. 1938 წლიდან კოლმეურნეობა გადავიდა სასოფლო სამეურნეო არტელის მართვის საწესდებო ფორმაზე. 1939 წ. იგი დაუქვემდებარეს შუბნის სასოფლო საბჭოს. 1948 წლისათვის შუბნის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე არსებობდა ოთხი კოლმეურნეობა: კობალთის კოლშრომის (ჰყავდათ 250 ცხვარი), დარჩიძეების სანაპირო რაზმის (ჰყავდათ 50 ცხვარი), ტომაშეთის ბერიას სახელობის (15 ცხვარი) და შუბნის ვოროშილოვის სახელობის (160 ცხვარი) კოლმეურნეობები (ასს ცსა, ფ. P-178, ან.1, ს. 883, ფურც. 295, 343)


ტომაშეთის კოლმეურნეობის შემადგენლობაში იყო წელათი. გამსხვილების სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად

1950 წლის 20 ივნისის ტომაშეთისა და დარჩიძეების კოლმეურნეთა საერთო კრების გადაწყვეტილებით ეს ორი კოლმეურნეობა გაერთიანდა (ასა ცსა, ფ. 1077, ან. 1, ს. 24, ფურც. 12) და 1957 წლიდან ეწოდა დარჩიძეების კოლმეურნეობა (სასოფლო სამეურნეო არტელი). ბერიასთან დაკავშირებული მოვლენების გამო მისი სახელის მინიჭება აიკრძალა. გაერთიერებულ კოლმეურნეობას ახლა ეწოდა მიქოანის სახელი. წელათი ამ გაერთიანებული კოლმეურნეობის შემადგენლობაში შევიდა. მოგვიანებით, შუბნის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე არსებული ყველა სოფელი გაერთიანდა შუბნის კოლმეურნეობაში, რომელმაც იარსება საბჭოთა სისტემის დანგრევამდე. პოსტკომუნისტურ პერიოდში წელათი და საკრებულოს სხვა სოფლები შუბნის თემშია გაერთიანებული.

შუბნის თემში შემავალი სოფლები (მოკლე ისტორია)

წელათი ადმინისტრაციულად შედის შუბნის თემში. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია არა მარტო წელათის, არამედ შუბნისა და თემში შემავალი სხვა სოფლების ისტორიისა და ეტიმოლოგიის ზოგიერთი საკითხის წარმოჩენა.

ზეპირი ისტორიების, ხალხის კულტურული მეხსიერების მიხედვით შუბანი მარეთის ხეობის ერთ-ერთი უძველესი სოფელია.



მარეთის ხეობა (რუკა შეადგინა მერაბ ფუტკარაძე)

დასახლებული პუნქტის სიძველეზე მეტყველებს ფუტკარაძების და ბერიძეების სამოსახლოსთან შემთხვევით აღმოჩენილი ნივთიერი მასალა. ამასვე ადასტურებს წერილობითი დოკუმენტებიც. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივის ფონდებში დაცულია მე-13 (1281-1282 წწ). საუკუნის ერთი საინტერესო დოკუმენტი. (სცსა, 1448, 5037). იგი შესულია აგრეთვე „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი“-ს 1984 წლის გამოცემაში. ამ დოკუმენტში დასახელებულია ტოპონიმი შეუბანი.

როგორც ცნობილია, საქართველოში რამდენიმე სოფელი ატარებს შეუბანის//შუბნის სახელს. შუბანი//შეუბანი გვხდება ონის, ჩოხატაურისა და ბალდათის მუნიციპალიტეტებში. არის თუ არა დასახელებული ტოპონიმი – მარეთის ხეობის სოფელი შუბნის აღმნიშვნელი? სანამ ამ კითხვაზე პასუხს გავცემდეთ, ვნახოთ თავად ეს დოკუმენტი:

„Ես է ճաներունո ჩիշեն, ցլախայման յարտլուսա կատալուզո՞ն-ման նոյնութեան ճագոնիշը դա մողեցուտ տէշեն, սածաւսեսա ար-ցանձեց և մշուլուտ դա մոմավալուտ պուզելուտ սածլուսա տէշենո-սատա.


Մատ շամտա մշոնա, ուժու լմրուսա սենորո ճացուտ մեռյ ամա շամտա մեղեցքունուսա և մոփուրզեպուլունուսագան սիմացրետա կլարջետուսատա մումարտա և տէշեն մատուս սամսախրուսատոյս տացու ճասգեցուտ և մուշետուսա մշուուրու մշունանո տէշենուս սա-մամպուլու և սոցլուտա մոյենուս.

Ճա շուանուս ჩիշեն մողեցուտ և պուզելունու սայոնեպելոնո մուշետուսանո մոզուրլենուտ և մշունանու ճացուփուրետ. Ճա տէշեն մոնշուցուտ և լմրուս-սենորուտ սոցլունու մոնիշենուտ սամամպու-լու ծոմեցպուլունուսանո. Ճա մշունանոսա ածուսերետ սայրուստուս և ծեցարու նշեա սգեծուդա և օցու մատցան ցըպուդա, և ցելատուսա րազգենու պուզունու և ծեցարու նշեա սգեծուդա, օցու մատցան ցըպու-դա. Ես պուզելուս նոնաս ճացուցեցուտ և ալար ցըպուդա ամուսու մշու-ցալյենո, ամադ, րոմե գունու նանցենու հանճա տէշենցան և մոնաս-պուցունու ուզենուտ ցըլատուս և ածուսերետացան.

Ան յերբ ցանցահինետ, րոմե մշուլու ծեցարու նշեա սգե-ծուդա մշունանոսա տէրտմելու լուգրաս պուզունո, մաս նշեա պերաս լուգրաս պուզունո, սենաս մողեմալուտ և մշուզմենուտ ու լուգրաս, մուտ լուգրուտա, րոմելու մշուլաս պուզունո. Ճա մողեցուտ մշունանո և ճացուում պուզմուրետ ամուսաս ցասրչլունենաս մուգա, րոմե պուզելուս նշունադտա գունու եւտմածատս յես ու լուգրաս պուզունո հիշենս գրանցուրետ սածլունանոսա մուցու-մուցուս և մուտուալցունուս. Ճա պուցու սամմե շամտա սոսացու-սացան սածլունանո հիշեն ար ցյուշոնցուս, ու յամո ցյոնցուս, տէշեն մուլյեծուտ. Ճա ու տէշեն ցըրաֆմե ցըր մուլուտ, հիշեն մոզուրլեծուտ. Ճա րամունու նշունադու ճացուուզոնեծու-նուս անցարումուտա նլուսա և նլուսաս արաս ճաակլեծունուս և պուլյենա եւլուտ մուցուրմունուս յես ու լուգրաս պուզունո. Ճա ամուսաս ցասրչլունենաս մշոնա ցյոնցուս մշունանո տէշեն, սածա-սեսա արցանծեց և մշուլուտ և մոմավալուտ սածլուսա տէշ-ենուսաս մշուուրու, սամամպուլու և ցըրգուլյեծուտա մսախրենա-

თამაზ ფუტკარაძე, ზაურ ფუტკარაძე

სა შინა კათოლიკე ეკლესიისასა და საყდრის მპყრობელთა-სა. არ შეგეცვალოს არ ჩუენგან და არ შემდგომთა ჩუენთა ქართლის კათალიკოზთაგან“ (სცსა, 1448, 5037; „ქართული ის-ტორიული საბუთების კორპუსი”, თბ. 1984 წ. გვ. 382, „ქართული სამართლის ძეგლები“, ტომი III; 19)



დოკუმენტის ქსეროასლი (სცსა, 1448, 5037)
ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, თბ. 1984, გვ. 382

დოკუმენტი თარიღდება 1281-1282 წლით. დათარიღების საფუძველს წარმოადგენს ისტორიული ცნობა, რომლის მიხედვით ტექსტში მოხსენიებული ნიკოლაოზი ქართლის კათალიკოსია 1282 წლამდე. ჩვენი ღრმა რწმენით ტექსტში დასახელებული შეუბანი შუახევის შუბანია, რადგან იგი მოხსენიებულია სახელოვანი მწერლისა და მეცნიერის ტბელ აბუსერისძის სამმართველო ქვეყანასთან – „აბუსერეთ საერისთავო“-სთან კონტექსტში. წერილი ეკუთვნის ნიკოლაოზ ქართლის კათალიკოსს, რომელსაც იგი გაუგზავნია არვანბეგ საბაისძისადმი. დოკუმენტში

ლაკონურადაა გადმოცემული სოფლის წარსულის საინტერესო მომენტი ფეოდალურ ეპოქაში. სოფელი ადრე ქართლის საკათა-ლიკოსოს საკუთრება ყოფილა. მოგვიანებით მცხეთას შეუბანი აბუსერიძეებისათვის გადაუცია, მათ კი შეუბნის ერთი ნაწილი გელათისათვის შეუწირავთ. მოგვიანებით საზიარო შეუბანი აბუსერისძეების და გელათის მონასტრის წინამძღვრისაგან უყი-დია მონღოლთა მძლავრობის დროს გაძლიერებულ არვანბეგ სა-ბაისძეს აღმოსავლეთ საქართველოში მონღოლთა თარეშის დროს კლარჯეთში გადასულ მეფე დავითს არვანბეგისაგან გა-ნეული სამსახურის სანაცვლოდ ნასყიდი მამული შეუბანი მის-თვის სიგელით დაუმტკიცებია. უცხოელთა ბატონობის შესუს-ტებისთანავე მცხეთის საკათალიკოსოს მამულების შემოწმება გადაუწყვეტია. ამ მიზნით, სამხრეთ საქართველოში მე-13 ს. ბო-ლოს მოსულა თავად მცხეთის კათალიკოსი ნიკოლაოზი და სვე-ტიცხოვლის სასარგებლოდ ოცი ლიტრი ცვილის გადახდა დაუ-კისრებია. ამის შემდეგ ნიკოლაოზსმიუცია ნასყიდობის სიგელი. ნაბოძები არვანბეგს წერილობითი მოწმობითაც განუმტკიცებია (თ.ფუტკარაძე, ნ. ვარშანიძე, 2001:13). საბუთზე ხელს აწერენ: სარგის ათაბაგი, ნიკოლაოზი, დეკანოზი დემნა და ვინმე მახასძე. პროფ. ფრ. სიხარულიძის აზრით ამ საგვარეულოს ცენტრი დღევანდელი მახო (სოფელი ხელვაჩაურის რაიონში) უნდა ყო-ფილიყო (ფრ.სიხარულიძე, რას მოგვითხრობს დაწერილი, გაზ. „აჭარა“, 1992 წ. 3 ოქტომბერი).

უეჭველია, რომ დოკუმენტის შეუბანში შუახევის შუბანია ნაგულისხმევი. ამ მოსაზრებას იზიარებენ პროფესორები: ტა-რიელ ეპრალიძე (ეპრალიძე ტ. 1996: 40-41) და ტარიელ ფუტკა-რაძე (ტარიელ ფუტკარაძე, 2020). ეს ფასდაუდებელი დოკუ-მენტია არა მარტო შუბნის, არამედ სრულიად საქართველოს ისტორიისათვისაც. აბუსერისძეთა საკუთრებაში დასახელებუ-ლი შეუბანი//შუბანი კიდევ უფრო ავრცობს მე-13 ს. სააბუსე-რისძეოს გეოგრაფიულ არეალს.

შუბანი შეუბანის ტრანსფირმირებული ფორმაა. ჩვენის აზრით ეს ტოპონიმი შუაუბნის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო.

თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე

საფუძველს მოკლებული არ ჩანს ტოპონიმის მომდინერეობა საკუთარი სახელი **შუბანაძანი**. „ტბეთის სულთა მატიანეში“ მოხსენიებულია გვარ-სახელი **შუბანას ძე**. თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია. საკუთარი სახელიდან ამ ტოპონიმის წარმომავლობის დამტკიცებას დამატებითი არგუმენტაცია სჭირდება. პროფ. ტარიელ ფუტკარაძის აზრით შეუბანისაგან შუბანის ტრანსფორმაციაც მეტ მტკიცებულებებს მოითხოვს. იგი გასარკვევად მიიჩნევს „შეუბანი“ ფორმის შე-სეგმენტის წარმომავლობას შდრ., ნათელია „შუა“ სიტყვის სემანტიკა: **შუა უბანი > შუოუბანი > შუუბანი > შუბანი; შეუბანი > შოუბანი > შუბანი. ასევე ნაკლებსაგარაუდოდ მიიჩნევს „შუა“ ფორმისაგან შე – სეგმენტის წარმოქმნასაც (ტარიელ ფუტკარაძე, 2020, ხელნაბეჭდი).**

ზეპირი ისტორიების მიხედვით სოფელი დაცლილა უამიანობის გამო. თუ როდის იყო ეს, ამის თქმა ძნელია, თუმცა სოფელი კვლავ აღორძინებულა. მოგვიანებით, მეწყერსა და მინისძვრას იძულებული გაუხდია მოსახლეობა აყრილიყო. სოფელი კვლავ გაუკაცრიელებულა. წიფლნარიდან წამოსულ ზვავს გადაუკეტია მდ. ჩირუბისწყალი. მეწყერის ნაშთები დღესაცაა შემორჩენილი მარეთის ხეობის შუბნის მონაკვეთში. სოფელი კვლავ გაცოცხლებულა.

სოფლის ოსმალური პერიოდის ისტორიის საკითხების შესწავლისათვის ფასდაუდებელ წყაროს წარმოადგენს „აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები“, რომელიც დაცულია ანკარის თაფუსა და კადასტროს (შიფრი 272), ასევე სტამბოლის მინისტრთა საბჭოს (შიფრი 558) არქივებში. დოკუმენტები მოიძია, თარგმნა და შეისწავლა ოსმალისტმა ზაზა შაშიკაძემ და 2011 წელს გამოსცა წიგნის სახით (იხ. „აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები“, თბ. 2011. ოსმალური ტექსტი, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და ფოტომასალები გამოსაცემად მოამზადეს ზაზა შაშიკაძემ და მირიან მახარაძემ). დავთარი შედგენილია სულთან სელიმ მეორის მმართველობის წლებში (1566-1574). ცნობილია, რომ 1555 წლის ამასიის ზავით ირანმა და ოსმალეთმა საქართველო გაინაწილეს. დასავლეთ საქართველო ოსმალეთის

კუთვნილებად გამოცხადდა. მათ 1560-იანი წლებიდან დაიწყეს დაპყრობითი პოლიტიკის გატარება, დაიპყრეს აჭარაც, აღნერეს მოსახლეობა და ოკუპირებული რეგიონი გააერთიანეს აჭარის ლიგაში. **ადმინისტრაციულად შუბანი ჩილდირის ვილაიეთის აჭარის ლიგის ზემო აჭარის ნაჰიეში მოექცა.**

დოკუმენტი მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს დაპყრობილი ტერიტორიების, მათ შორის შუბნის სოციალ-ეკონომიკური საკითხების შესასწავლად. მასში მოცემულია იმდროინდელი ფასებით დაანგარიშებული შემოსავლის რაოდენობა, გადასახადები, მცხოვრებთა კომლთა უფროსების სახელობითი სიები სახელით, მამის სახელითა და ზოგჯერ პროფესიის აღნიშვნით. ეს დოკუმენტი საშუალებას იძლევა განისაზღვროს აგრეთვე მცხოვრებთა ეთნიკური და რელიგიური შემადგენლობა. მაგ. „**ვარძელი ძე გუგულისა**“. იგი შუბნის მაცხოვრებელია. აშკარაა, რომ მოსახლეობას ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს ორწევრიანი ქართული ანთროპონიმული მოდელი – ქართული სახელი და მამის სახელი (თუმცა სამწევრიანი მოდელი ადრიდანვე ფიქსირდება).

აჭარის ლიგის ზემო აჭარის ნაჰიეში დასახელებულია სოფელი იორამის ციხის რაბათი, რომელიც 15 კომლითაა დასახლებული. დოკუმენტში ციხის მეორე სახელწოდებად შუბანია დასახელებული და იგი ახლოსა ზედუბანთან. ზ. შაშიკაძის ვარაუდით საუბარია დღევანდელი შუბნის ტერიტორიაზე არსებულ ნაციხართან. მისივე ვარაუდით პირვანდელი სახელწოდება ციხის იმუშავინდელი მფლობელის ან ამშენებლის სახელს უნდა უკავშირდებოდეს („აჭარის ლიგის... 2011:14“) ოსმალური ტექსტი, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და ფოტომასალები გამოსაცემად მოამზადეს ზაზა შაშიკაძემ და მირიან მახარაძემ).

პროფ. ტ. ფუტკარაძე დასაშვებად მიიჩნევს ზ. შაშიკაძის მოსაზრებას ოსმალეთის იმპერიის მოხელის მიერ ციხე-ქალაქის მფლობელის (იორამი) სახელის მიხედვით დაფიქსირების შესახებ (ტ.ფუტკარაძე, 2020). ოსმალურმა აგრესიამ ბევრის სიცოცხლე შეიწირა, ბევრი კი გაექცა მომხდეურს და სხვაგან გადავიდა საცხოვრებლად. შესაძლოა მაშინ ძალზე შემცირდა ან გაუ-

თამაზ ფუტკარაძე, ზაურ ფუტკარაძე

კაცრიელდა შუბნის სოფლებიც. შესაბამისად, ალბათ დაიკარგა ციხის სახელწოდება. იორამი ციხის მფლობელია, რომელიც მდებარეობს დღევანდელი დარჩიძეების ერთ-ერთ უბანში და მოსახლეობა მას ყალაი-ბონის (ქვის სასაკლაო//ყელიანი ციხე) სახელით მოიხსენიებს. ამ სახელით იმ პერიოდის არაერთი თავ-დაცვით-საფორტიფიკაციო ნაგებობაა მოხსენიებული. ხალხი მათ თამარის ციხის სახელითაც მოიხსენიებს. სამეცნიერო ლი-ტერატურაში იგი დაფიქსირებულია გოგოლაურის ციხის სახე-ლით და თამარის ეპოქის მატერიალურ შემოქმედებას მიეწერება. იგი საკმაოდ კარგადაა შესწავლილი ქართველი მეცნიერების მიერ, ამიტომ მის შესახებ აქ აღარ ვისაუბრებთ. ვიტყვით მხო-ლოდ იმას, რომ ამ ციხის რაბათის მოსახლეობა უნდა იყოს აღ-ნიშნული ზემოთდასახელებულ ოსმალურ დოკუმენტში.

დოკუმენტის მიხედვით შუბანში (იორამის ციხის რაბათ-ში) (დოკუმენტში დასახელებულია ხუთი „ციხის რაბათი“ – იორამის, ხიხანის, ტბეთის, კავიანის, ოთოლთას ციხის რაბა-თები) ცხოვრობს **15 კომლი. ესენი არიან:**

1. მახარობელები გაბრიელისა
2. ანოსიმი ძმა მისი
3. გოგიჩა ძე აბარუნუდისა
4. ელისე ძმა მისი
5. ფირანი ძე ლევანისა
6. გაბრიელ ძე მისი
7. ოსეფა ძე შაქარასი
8. იოანე ძე მისი
9. ნონია ძე ამროსისა
10. მახარობელ ძე მისი
11. სურა(სახელია)
12. დანიელ ძმა მისი
13. მახარობელ ძე სევერასი
14. ზალირა ძე ალისუნისა
15. გარძელი ძე გუგულისა.

(„აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები“, 2011:54) ოსმალური ტექსტი, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და ფოტომასალები გამოსაცემად მოამზადეს ზაზა შაშიკაძემ და მირიან მახარაძემ).

როგორც ვხედავთ შუბანში 15 ოჯახია. თემის დანარჩენი სოფლები დოკუმენტში არაა დასახელებული. შესაძლოა ეს იყო საერთო რაოდენობა თანამედროვე შუბნის თემის იმუამინდელი კომლებისა. ეჭვგარეშეა, რომ შუბნის თემი ოსმალთა დაპყრობამდე მჭიდროდ იყო დასახლებული. თემის ტერიტორიაზე არ-სებული მატერიალური კულტურის ძეგლები, ციხეები და ნაეკლესიარები ამის უტყუარი დასტურია. ოსმალურმა ოკუპაციამ ვითარება შეცვალა. რეგიონის დაპყრობას თან ახლდა წინააღმდეგობები, ანტისაოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლები, რასაც ცხადია არაერთი ადამიანის სიცოცხლე შეეწირებოდა. ოკუპაციის შემდეგ დამყარდა ოსმალური მმართველობა, მოსახლეობას შეაწერეს აუტანელი გადასახადები. შესაბამისად, ნაწილი მოსახლეობისა გაწყდა, ნაწილი კი გაიქცა და სხვა რეგიონებში გადავიდა საცხოვრებლად. დაპყრობებისა და აუტანელი გადასახადების გამო ზემო აჭარის 59 სოფლიდან 24 სოფლი მთლიანად დაიცალა მოსახლეობისაგან, ბევრგან კი მნიშვნელოვნად შემცირდა (აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები“, 2011:15-20, 50-51.). ამ პროცესების შედეგი უნდა იყოს ადრე მჭიდროდ დასახლებული სოფლების, მათ შორის შუბნისა და იქ შემავალი სოფლების მოსახლეობის 15 კომლამდე შემცირება. აშკარაა, რომ ყველა ისინი ქრისტიანული აღმსარებლობისანი არიან. ანთროპონიმიაც (სახელები) ქართულია. ეს ბუნებრივიცაა. აღნიშნული აღნერა ხომ ჩატარდა ოსმალური მმართველობის დამყარების პირველ წლებში. მოგვიანებით იცვლება როგორც რელიგიური შემადგენლობა, ისე ანთროპონიმიაც.

დოკუმენტი ხაზს უსვამს აგრეთვე შუბნის დიდ სტრატეგიულ და ეკონომიკურ მნიშვნელობასაც. ამაზე მეტყველებს შენერილი გადასახადების რაოდენობა, კერძოდ:

თამაზ ფუტკარაძე, ზაურ ფუტკარაძე

1. ისფენჯი (არამუსლიმანის გადასახადი) – 15 კაცი – 375 ახჩა;
 2. ხორბალი – 420 ქილა – 4200 ახჩა;
 3. ქერი – 5000 ქილა – 4000 ახჩა;
 4. გამოსაღები ბოსტნზე – 50 ახჩა;
 5. გამოსაღები იონჯასა და თივაზე – 194 ახჩა;
 6. გამოსაღები ფუტკარზე – 550 ახჩა;
 7. გამოსაღები თაფუსა და დეშტიბანზე – 200 ახჩა;
 8. გამოსაღები ღორზე – 50 ახჩა;
 9. გამოსაღები ცხვარზე – 50 ახჩა;
 10. გამოსაღები იალაღზე – 200 ახჩა;
 11. გამოსაღები კანაფზე – 150 ახჩა;
 12. გამოსაღები ხილზე – 56 ახჩა;
 13. წისქვილი სამი თვალი ექვსი თვით – 90 ახჩა;
 14. ნახევარი ბად ჰავა და საქორწინო გამოსაღები – 335 ახჩა.
- (ზ. შაშიკაძე, მ. მახარაძე, აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები“ თბ. 2011გვ. 15-20, 54-55).

ეს უკანასკნელი გადასახადი ითვალისწინებდა პირველი ლამის უფლების გამოსყიდვას. მთლიანად, შუბნისათვის ოსმალებს დაუკისრებიათ 10500 ახჩა (თურქული ვერცხლის ფულის ძირითადი ერთეული XIV საუკუნიდან).

გადასახადები მოსახლეობის დამორჩილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტი იყო. მოგვიანებით, თანზიმათის პერიოდში ისლამიზაციის დასაჩქარებლად საქონლისა და ხილის ზოგადი გადასახადების გვერდით დააწესეს გადასახადები ლორსა და ვენახზე (რომ ამოეძირკვათ დარგები, რომლებიც ქრისტიანობასთან ასოცირდებოდა).

გადასახადებისაგან თავის დაღწევის ერთ-ერთი გზა იყო იანიჩართა კორპუსში ოჯახიდან ახალგაზრდების გაწვევა. ამავე გზით ეძლეოდათ საარსებო მიწის ნაკვეთი. მიწა რომ მიეღო გლეხს, შვილი იანიჩართა ჯარში უნდა გაეშვა, მაგრამ ჯარში

არ გაიწვევდნენ, თუ არ გამუსულმანებდებოდა. ე.ი. ოსმალებმა მოსახლეობის ისლამიზაციისათვის ოსტატურად გამოიყენეს ეკონომიკური იძულების ბერკეტები. ეს ფაქტორიც განაპირობებდა დაპყრობილი ტერიტორიებიდან, მათ შორის შუბნის თემიდანაც მოსახლეობის გადინებას საქართველოს სხვა ქრისტიანულ რეგიონებში. ამას ემატებოდა ის მძიმე გადასახადები, რომლის შესახებაც იყო საუბარი. გადასახადებისაგან ათავისუფლებდნენ დაქორნინებულებსაც. ესეც ოსმალური ცბიერება და ეშმაკობა იყო. ოსმალეთის ჯარი საჭიროებდა მუდმივ შევსებას, ქორნინება კი ჯარისკაცებით თურქული ჯარის შევსების უმთავრესი წყარო იყო. ჯერ კიდევ პატარა ბიჭებს 10-15 წლის ასაკში აქორნინებდნენ ჯარში განვევისაგან თავის დახსნის მიზნით. შუბანში თითო არამუსულმან კომლზე ისფენჯი (ჯარში გასაწვევთა გადასახადი) შეადგენდა ერთ, ჯამში 15 ბიჭს ან უნდა გადაეხადა 275 ახჩა („აჭარის ლივის ვრცელი დამოკლე დავთორები“, თბ. 2011. გვ.35, 54) ოსმალური ტექსტი, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და ფოტომასალები გამოსაცემად მოამზადეს ზაზა შაშიკაძემ და მირიან მახარაძემ). აქედანაც ჩანს, რომ იმ დროისათვის შუბნის მოსახლეობა ქრისტიანული აღმსარებლობისაა.

ისლამიზაციის დაჩარებას ემსახურებოდა ოსმალური კოლონიზაციის პოლიტიკა – მათდამი ლოიალურად განწყობილი ინოეთნიური მასების ჩამოსახლება. ასეთები იყვნენ მომთაბარე-მეჯოგე ქურთები, რომლებიც კახაბრის ველზე დასახლეს. ზაფხულობით ისინი საქონელს ჩირუხში მიერეკებოდნენ, სადაც აუშენეს ხის საუცხოოდ ლამაზი მეჩეთი (დაანგრიეს 1990-იან წლებში). როგორც ჩანს ქურთებს ადგილობრივ მოსახლეობასთან ჰქონდათ კონფლიქტები. მათდამი მკვიდრი მოსახლეობის დამოკიდებულება აისახა კობალთლების თეატრალიზებულ წარმოდგენა „ზირიკობია“-ში, რომელიც იყო ქურთების დასაცინი წარმოდგენა და სრულდებოდა შუამთობის რეპერტუარში (თ. ფუტკარაძე, ნ. ვარშანიძე, 2001). მოგვიანებით ქურთები ცალკეულ ოჯახებთან ამყარებენ ახლომეგობრულ ურთიერთობებს. მათ შორის იყო ამჟამად ხელვაჩაურის

თამაზ ფუტკარაძე, ზაურ ფუტკარაძე

მუნიციპალიტეტში მცხოვრები შამოლლების წინაპარი. ეს დამოკიდებულება 1970-იან წლებში წელათელ ფუტკარაძეებთან და-მოყვრებით დაგვირგვინდა. ცნობილია, რომ სტალინის პერი-ოდში ქურთები მთლიანად გაასახლეს აჭარიდან, თუმცა რაო-დენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, მათი ერთ-ერთი წარმო-მადგენელი, ფუტკარაძეებს დამოყვრებული ხუსეინ შამოლლი თავისი ჭკუისა და მოხერხებულობის წყალობით ქურთების დე-პორტაციის პერიოდში ახალსოფლის კოლმეურნეობას ედგა სა-თავეში. ქურთების ცხოვრების ანარეკლია მთა ჩირუხში, ყოფი-ლი კოლმეურნეობის ფერმის მიმდებარე ტერიტორიაზე ქურ-თების სასაფლაოების არსებობა, რომელსაც მოსახლეობა დღე-საც „ქურთი მეზრებს“ ეძახის.

შებნის თემის ისტორიის, მოსახლეობის რაოდენობისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესასწავლად განსაკუთრე-ბული მნიშვნელობა ენიჭება მე-19 ს. 30-იანი წლების ოსმალურ აღნერას, რომელშიც ხსენებული თემი მასში შემავალი სოფლე-ბის (მეჰელების) მიხედვითაა წარმოდგენილი. აღნერა ჩატარ-და სულთან მაჰმუდ მეორის ინიციატივით და ემსახურებოდა სამხედრო-მიზანს. ამითაა განპირობებული ის, რომ აღნერეს მხოლოდ მამაკაცები – ასაკის მიუხედავად. პროფ. ზ. შაშიკა-ძემ გადაიღო ოსმალეთის ქართული ტერიტორიების აღნერის სრულყოფილი მასალები. 1828-1829 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ ქართული ტერიტორიები ჩილდირის ვიალეთში გაერთიანდა. ცალკე აღინერენ მუსლიმები და ქრისტიანები. მასალებიდან ნათელია, რომ ოსმალებს ისლამიზაციის პროცე-სი დაუსრულებიათ. აღნერაში არ ფიგურირებს არცერთი ქრის-ტიანი. შესაბამისად, ანთროპონიმიაც თურქულია. ქართულ სა-ხელებს უკვე ოსმალური სახელები ჩაენაცვლა. აქაც მამაკაცე-ბი წარმოდგენილი არიან სახელისა და მამის სახელის მიხედ-ვით. ნათელია, რომ გვარები ჯერ კიდევ არაა გაფორმებული. როგორც ჩანს, იგი მხოლოდ წარჩინებული სოციალური ფენის წარმომადგენლებს ჰქონდათ.

აღნერა ჩატარებულია თანზიმათის (გარდაქმნების) პე-რიოდში ჰიჯრით 1252 წელს (1835 წელი). (სტამბოლის მინის-

ტრთა საბჭოს არქივი, ზემო აჭარის ლივის მუსლიმ მამაკაცთა აღწერის დავთარი. გვ.260-264, შიფრი – NFS.d.02759. ჩამოიტანა და თარგმნა ზაზა შაშიკაძემ). ამ დოკუმენტის მიხედვით შუბანში ცხოვრობს 7 ოჯახი, 13 მამაკაცი:

„კომლი 1

- 1.. მაღალი, შავი ულვაშით, იდრის ალის ძე, 32 წლის.
[მინანერი ქვემოთ] არიფი, დაიბადა 1254 (1838/39) წელს.
2. შვილი მისი ჰასანი, 1 წლის.

კომლი 2

3. დაბალი, ყმანვილკაცი, მეჰმედ იბრაჟიმის ძე, 19 წლის.

კომლი 4.

4. საშუალო სიმაღლის, შავი ულვაშით, ოსმან მეჰმედის ძე, 35 წლის.
5. შვილი მისი, ესადი, 2 წლის.
6. ქმა, შეღინდლული ულვაშით, 22 წლის.
[მინანერი ქვემოთ] მეჰმედი, დაიბადა [12]55 (1839/40) წელს.
7. შემდეგი შვილი, მოზარდი, სეიდი, 15 წლის.

კომლი 5

8. საშუალო სიმაღლის, ქერა ულვაშით, ალი მეჰმედის ძე, 25 წლის.
9. შვილი მისი, სელიმი, 1 წლის.

კომლი 6.

9. მაღალი, ჭალარანარეგი წვერ-ულვაშით, მეჰმედ ჰამზას ძე, 90 წლის.
10. შვილი მისი, მაღალი, შავი წვერით, სულეიმან მეჰმედის ძე, 50 წლის.
11. შვილიშვილი, ყმანვილკაცი, ოსმანი, 19 წლის.
12. შემდეგი შვილიშვილი, მოზარდი, გულაჰმედი, 12 წლის.

კომლი 7.

13. საშუალო სიმაღლის, ჭაღარანარევი წვერ-ულვაშით, ოსმან მეშედის ქ. 70 ნორთის „სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივი, ზემო აჭარის ლივის მუსლიმ მამაკაცთა აღნერის დავთარი. გვ.260-264, შიფრი – NFS.d.02759. ჩა-მოიტანა და თარგმნა ზაზა შაშიკაძემ).

1999 წლის მონაცემებით შუბანში ცხოვრობდა 38, განსახ-ლებული იყო 77 ოჯახი. 2020 წლისათვის კომლების რაოდენობა თითქმის არ შეცვლილა და იგი 7 საგვარეულოს (ებრალიძეები, ჯუმუშაძეები, კვირიკაძეები, ბერიძეები, ბაკურიძეები, ფუტკა-რაძეები, ხიმშიაშვილები) 37 ერთეულს შეადგენს (161 სული) (ტარიელ ფუტკარაძე, აჭარის შუბანი. ეფუძნება ემზარ ჯუმუ-შაძის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას). ცნობისათვის, 1923 წ. საარქივო დოკუმენტებში შუბანში მცხოვრებთა შორის დაფიქ-სირებული არიან ცეცხლაძეები, შაინიძეები, გორგაძეები და ქურიკიძეები. იხ. ასს ცსა, ფ. რ-178, ან. 1, ს. 29, ფურც.239).

როგორც ითქვა, ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით შუბანი და თემში შემავალი სოფლები გაერთიანებულია ჩილდი-რის ვილაიეთის აქარის ლივის ზემო აქარის ნაპირში. სათემო ცენტრად აქ „მერათხანეს“ (ზ. შაშიკაძის აზრით მარეთის ხეობის) სოფელი დარჩიდებულია დასახელებული. ნიშანდობლივია, რომ ჩი-რუხისწყლის ხეობა დამპყრობთათვის სასაკლაო აღვილს წარმო-ადგენდა. ამიტომ შეარქვეს ოსმალებმა ყარადერე (შავი ლელე). დღემდე მიჩნეული იყო, რომ არ ხერხდებოდა ამ ხეობის თავდა-პირველი სახელის დადგენა. ვფიქრობთ, რომ მას ადრეც მარეთის ხეობა ერქვა. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ზ. შაშიკაძის მი-ერ თარგმნილი ოსმალური დოკუმენტი, რომლის მიხედვით დარ-ჩიდები მერათხანეს სოფლადაა მოხსენიებული. მოგვიანო პერი-ოდის ლიტერატურაში (მე-19 ს. ბოლოს, მე-20 ს. დასაწყისი) ხეო-ბა სხვადასხვა სახელითაა მოხსენიებული: მირეტის ხევი (გ. ყაზ-ბეგი), მირატი (ზ. ჭიჭინაძე), მარიტი (თ. სახოკია) და ა. შ.

ი. სიხარულიძე ამ ჰიდრონიმის ეტიმოლოგიას უკავში-რებს სიტყვა „მერეს“, რომელიც მდინარისპირა ვაკე ადგილის

აღმნიშვნელი იყო (იხ. გაზეთი „აჭარა“, 1995 წ. 15 თებერვალი). ჩვენის აზრით მარეთი ამერეთის//ამიერეთის ტრანსფორმირებული ფორმაა. ამიერეთის//ამიერხევის ანუ ქედსგადმოლმა ხეობა, იმიერეთის ანუ იმერხევის (ქედსგადალმა) ხეობა (შედარებისათვის: ამიერკავკასია, იმიერკავკასია). დარჩიძები ოსმალურ დოკუმენტში სწორედ ამ ხეობის სოფლად მოიხსენიება მასში შემავალ მაჰალებთან-უბნებთან ერთად. დოკუმენტის მიხედვით 1835 წლისათვის დარჩიძებში ფიქსირებულია 20 კომლი, 62 მამაკაცი:

„დარჩიძები“

კომლი 1.

1. საშუალო სიმაღლის, შავი ულვაშით, დურაყ ეფენდი სალიპ ეფენდის ძე, 40 წლის. [მინაწერი ზემოთ] ახალციხე-ლია და ხსენებული სოფლის იმამია.
2. შვილი მისი, აჟმედი, 3 წლის.
3. შემდეგი შვილი, იუსუფი, 2 წლის.

კომლი 2.

4. მაღალი, შავი წვერ-ულვაშით, სულეიმან აბდულის ძე, 70 წლის.
5. შვილი მისი, მაღალი, შავი ულვაშით, აჟმედ სულეიმანის ძე, 40 წლის. [მინაწერი ზემოთ] ხსენებული სოფლის მუხტარი.
6. შვილიშვილი, ჰუსეინ აჟმედის ძე, 4 წლის.
7. შემდეგი შვილიშვილი, ემინ აჟმედის ძე, 6 წლის.

კომლი 3.

8. საშუალო სიმაღლის, ჭაღარანარევი წვერ-ულვაშით, აჟმედ ჰალილის ძე, 50 წლის.
9. შვილი მისი, ყმაწვილკაცი, ალი აჟმედის ძე, 13 წლის.
10. შემდეგი შვილი, ჯომლუნი, 3 წლის.

კომლი 4.

11. საშუალო სიმაღლის, შავი ულვაშით, აჟმედ მუსტაფას ძე, 40 წლის.

12. შვილი მისი, ყმაწვილკაცი, აზიზ აპმედის ძე, 19 წლის.
13. შემდეგი შვილი, ემინ აპმედის ძე, 7 წლის.

კომლი 5.

14. საშუალო სიმაღლის, შავი ულვაშით, ჰუსეინ მუსტაფა-ფას ძე, 40 წლის.
15. შვილი მისი, შერიფ ჰუსეინის ძე, 3 წლის.

კომლი 6.

16. საშუალო სიმაღლის, შავი ულვაშით, იდრის აბდულის ძე, 30 წლის.
17. ძმა მისი, საშუალო სიმაღლის, შავი ულვაშით, ისმაილ მუსტაფას ძე, 35 წლის.
[მინაწერი ქვემოთ] შვილი ალიშანი, დაიბადა [12]55 წლის ჯერაზი ულ-ეველს (ივლისი/აგვისტო 1839).
18. შვილი მისი, მურად (?) ისმაილის ძე, 1 წლის.
19. შემდეგი ძმა, დაბალი, შავი წვერით, სულეიმან მუსტაფა-ფას ძე, 50 წლის.
20. შვილი მისი, შეღინდლული ულვაშით, აპმედ სულეიმანის ძე, 21 წლის.

კომლი 7.

21. საშუალო სიმაღლის, შავი ულვაშით, გულაპმედ ალის ძე, 35 წლის.
22. შვილი მისი, ალი აპმედის ძე, 3 წლის.

კომლი 8.

23. საშუალო სიმაღლის, შავი წვერ-ულვაშით, აპმედ მეპმედის ძე, 70 წლის.
24. შვილი მისი, საშუალო სიმაღლის, მეჩხერი ულვაშით, ჰუსეინ აპმედის ძე, 25 წლის.

კომლი 9.

25. საშუალო სიმაღლის, ჭალარანარევი წვერით, მუსტაფა მუსას ძე, 70 წლის.

26. შვილი მისი, მაღალი, მეჩხერი ულვაშით, ოსმანი, 25 წლის.

[ქვემოთ ორი მინაწერი] შვილი ალი, დაიბადა 1254 (1839/40) წელს.

შვილი შერიფი, დაიბადა [12]55 (1840/41) წელს.

კომლი 10.

27. საშუალო სიმაღლის, შავი წვერით, თორუნ იბრაჰიმის ძე, 70 წლის.

28. ძმა მისი, საშუალო სიმაღლის, ქერა ულვაშით, მურად მეჰმედის ძე, 30 წლის.

[მინაწერი ქვემოთ] შვილი თალაში (?), დაიბადა [1]253 (1838/39) წელს.

29. შვილი მისი, მეჰმედი, 12 წლის.

30. შემდეგი შვილი ოსმანი, 5 წლის.

31. შემდეგი შვილი სულეიმანი, 3 წლის.

კომლი 11.

32. საშუალო სიმაღლის, ქერა ულვაშით, ჰასან აბდუ-რაჰმანის ძე, 10 წლის.

33. შვილი მისი, ჰასანი, 2 წლის.

34. ძმა, მაღალი, ქერა ულვაშით, მეჰმედ აბდურაჰმანის ძე, 35 წლის.

კომლი 12.

35. საშუალო სიმაღლის, სავი წვერ-ულვაშით, აჰმედ მე-მის ძე, 40 წლის.

36. შვილი მისი, მოზარდი, სულეიმანი, 12 წლის.

37. შემდეგი შვილი, ოსმანი, 6 თვის.

კომლი 13.

38. საშუალო სიმაღლის, შავი წვერ-ულვაშით, აჰმედ სუ-ლეიმანის ძე, 65 წლის.

39. შვილი მისი, საშუალო სიმაღლის, შავი ულვაშით, იბ-რაჰმანი, 35 წლის.

კომლი 14.

40. საშუალო სიმაღლის, შავი ულვაშით, ისმაილ სულეიმანის ძე, 35 წლის.
41. შვილი მისი, ყმაწვილკაცი, არიფი, 15 წლის.
42. შემდეგი შვილი, მოზარდი, შერიფი, 11 წლის.
43. შემდეგი [შვილი] ნუმანი, 8 წლის.
44. შემდეგი [შვილი], ემრულა, 5 წლის.

კომლი 15.

45. საშუალო სიმაღლის, შავი ულვაშით, აჰმედ მეჰმედის ძე, 30 წლის.
46. ძმა მისი, მეჩერი ულვაშით, ოსმან მეჰმედის ძე, 25 წლის.
47. შემდეგი შვილი, ყმაწვილკაცი, ალი მეჰმედის ძე, 18 წლის.

კომლი 16.

48. საშუალო სიმაღლის, ჭალარანარევი წვერ-ულვაშით, სულეიმან მუთის ძე, 80 წლის.
49. ძმა მისი, შავი წვერით, მუსტაფა მუთის ძე, 34 წლის.

კომლი 17.

50. საშუალო სიმაღლის, შავი ულვაშით, სულეიმან ჰუსეინის ძე, 35 წლის.
51. შვილი მისი, ოსმანი, 3 წლის.

კომლი 18.

52. მაღალი, შავი წვერ-ულვაშით, იბრაჰიმ მუთის ძე, 35 წლის.

[მინაწერი ქვემოთ] შვილი თურანი, დაიბადა 1254 (1838/39) წელს.

53. შვილი მისი, ოსმანი, 3 წლის.

კომლი 19.

54. დაბალი, ჭალარაშერეული წვერ-ულვაშით, ალი ისმაილის ძე, 70 წლის.

55. შვილი მისი, შეღინდლული ულვაშით, იბრაჟიმი, 25 წლის.

[მინაწერი ქვემოთ] შვილი ალიშანი, დაიბადა 1254 (1838/39) წელს.

56. ძმა, საშუალო სიმაღლის, ჭალარანარევი წვერით, მუთი ისმაილის ძე, 50 წლის.

57. ძმა, მაღალი, შეღინდლული ულვაშით, ყარა ისმაილი, 25 წლის.

58. შვილი მისი, ისმაილი, 3 წლის.

59. შემდეგი შვილი, აპმედი ისმაილის ძე, 3 თვის.

კომლი 20.

60. საშუალო სიმაღლის, ქერა ულვაშით, გულაპმედ მუსტაფას ძე, 32 წლის.

[მინაწერი ქვემოთ] შვილი ჰუსეინი, დაიბადა [1]254 (1838/39) წელს.

61. ძმა მისი, მაღალი, მეჩხერი ულვაშით, შერიფ მუსტაფას ძე, 25 წლის.

[მინაწერი ქვემოთ] შვილი ალი, დაიბადა [1]252 (1837/38) წელს.

62. შემდეგი ძმა, მოზარდი, აპმედ მუსტაფას ძე, 12 წლის (სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივი, ზემო აჭარის ლიგის მუსლიმ მამაკაცთა აღწერის დავთარი. გვ.260-264, შიფრი – NFS.d.02759. ჩამოიტანა და თარგმნა ზაზა შაშიკაძემ).

დარჩიძეებში მცხოვრებთა შორის დასახელებული არიან სოფელ წელათში დღეს მცხოვრები ფუტკარაძეების წინაპრები, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

როგორც ითქვა, დოკუმენტში **სათემო ცენტრად დარჩიძეებია** დასახელებული. დანარჩენი სოფლები მისი მეპელეები//უბნებია. ხალხის კულტურულ მეხსიერებაში დღემდეა შემორჩენილი სოფლის ისტორიის ცალკეული საკითხები. გადმოცემით, ადრე აქ რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა. უამიანობის

თამაზ ფუტკარაძე, ზაურ ფუტკარაძე

(ეპიდემია) გამო ისინი გახიზნულან და სხვაგან გადასახლებულან. ეს გადმოცემა რეალობას უნდა ასახავდეს. ტოპონიმი „ნახიზნევი“ ამ მოვლენის ამსახველი ეთნონიმი უნდა იყოს. გადმოცემით, სოფელში სამი ძმა დარჩენილა. ამას უკავშირებენ სოფლის სახელწოდებასაც – **დარჩენი ძეები//დარჩიძეები.**

არსებობს მეორე ვერსიაც, რომლის მიხედვით დღევანდელი დარჩიძეების ტერიტორიაზე დამკავიდრებულა **ვინმე კვესია და დარჩია.** კვესიას წილად ხვდა სახნავ-სათესი და სახნავი მიწების დიდი ნაწილი, რომელსაც მისი სახელის მიხედვით კვესაური ეწოდა. ის ადგილები დღესაც კვესაურის სახელს ატარებს. მოგვიანებით კვესიას ეს მიწები მიუყიდია დანდალოელებისათვის (დანდალოელები დღესაც ფლობენ ამ ტერიტორიას) თვითონ კი სხვაგან წაცხოვრებლად. მარტოდ დარჩენილა დარჩია და სოფლის სახელწოდებას – დაჩიეთს (დარჩირთი) რესპონდენტები ამ ფაქტს უკავშირებენ.

მოსახლეობის რაოდენობითა და გვარობრივი შემადგენლობით დარჩიძეები ყველაზე გამორჩეული სოფელია შუბნის თემში. **1999 წლის მონაცემებით დარჩიძეებში ცხოვრობდა 67, ხოლო განსახლებული იყო 141 ოჯახი.** 2020 წლისათვის დარჩიძეებში ცხოვრობს 9 საგვარეულოს (ჯაფარიძეები, სურმანიძეები, ფუტკარაძეები, აბაშიძეები, სირაძეები, ხალაძეები, მიქელაძეები, ბოლქვაძეები და ბერიძეები) 61 ოჯახი (265 სული) (ცნობისათვის: 1923 წლის საარქივო მასალებში ფიქსირდება **ხმალაძისა და დარჩიძის** გვარის არსებობა, რომელიც დღეს იქ აღარ ცხოვრობენ). შესაბამისად მოიმატა **განსახლებულთა რაოდენობამაც.** ვფიქრობთ, რომ 2020 წლისათვის რეგისტრირებული ოჯახებისა და რეალურად მცხოვრები ადამიანების რაოდენობა განსხვავებულია. აქაც და თემის სხვა სოფლებშიც რეალურად უფრო ნაკლები მოსახლეობაა დარჩენილი. სოფლად ძირითადად შუახნისა და უფროსი ასაკის ადამიანები ცხოვრობენ, ახალგაზრდების უმრავლესობას ზღვისპირა ბარის დასახლებებში შეძენილი აქვთ სამოსახლო ადგილები.

1835 წ. აღნერის მასალებში დარჩიძეების უბნად დასახელებულია ასევე **ტომაშეთი**. გადმოცემით ეს ტოპონიმი ტომარას უკავშირდება. მკვლევარი მ. ქამადაძე მას თამაშას//თომაშას უკავშირებდა (თ. ფუტკარაძე, ნ. ვარშანიძე, 2001:32). ივანე ჯავახიშვილის რედაქტორობით 1923 წ. გამოცემულ რუკაზე აღნიშნულია სოფელი **თამაშეთი**. ტომაშეთლები თავიანთ წარმომავლობას ძირითადად ქედის რაიონის სოფელ ახოს უკავშირებენ. ტომაშეთი ორი უბნისაგან შედგება. რესპონდენტთა ინფორმაციით, დღევანდელი გაღმა ტომაშეთის ტერიტორია ადრე ებრალიძეების საკუთრება ყოფილა. იქ მათ ჰქონიათ დამხმარესამეურნეო ბაზა – ყიშლა//ფერდა. ებრალიძეებს ტერიტორიის დიდი ნაწილი მათთან მომუშავე ვინმე თურანასათვის მიუციათ ჯამაგირში. თურანა მომძლავრებულა და სოფლის მთელი მიწები შეუსყიდია. ტომაშეთელთა უმრავლესობის წინაპარი სწორედ ეს თურანაა. სოფლელთა ერთი ნაწილი კი თავის წარმომავლობას ჩაქვს, მეორე ნაწილი ტაო-კლარჯეთს მიაწერს. **ზ. ჭიჭინაძის ცნობით ადრე ტომაშეთს ეკლესია ჰქონია, რომელიც ოსმალობის დროს დაქცეულა** (ზ. ჭიჭინაძე, 1913:180-181).

1999 წლის მონაცემებით ტომაშეთში ცხოვრობდა 31 ოჯახი, განსახლებული იყო 50 ოჯახი (თ. ფუტკარაძე, ნ. ვარშანიძე, შუბანი, ბათ, 2001, გვ. 38). სოფელში ამჟამად ცხოვრობს ერთი საგვარეულოს (ფუტკარაძეები) 28 ოჯახი 129 სული (რეალურად მოსახლეობა აქაც უფრო ნაკლებია)

1835 წლის აღნერის მასალების მიხედვით „უბანი **ტომაშეთი**, ექვემდებარება ხსენებულ სოფელს (დარჩიძეებს თ. ფ). 6 კომლი, 9 მამაკაცი:

კომლი 1.

1. მაღალი, შავი წვერ-ულვაშით, ალი აპმედის ძე, 48 წლის.

2. შვილი მისი, ყმაწვილკაცი, აპმედი, 15 წლის.

კომლი 2.

3. მაღალი, შავი წვერ-ულვაშით, იდრის აპმედის ძე, 45 წლის.

კომლი 3.

4. საშუალო სიმაღლის, შავი წვერ-ულვაშით, ჰასან ოსმანის ძე, 32 წლის.
5. შვილი მისი, სეიდი, 7 წლის.
6. ძმა, ყმაწვილკაცი, 18 წლის.

კომლი 4.

7. თურან მუსტაფას ძე, 8 წლის.

კომლი 5.

8. მაღალი, ჭალარაშერეული წვერით, სულეიმან ოსმანის ძე, 60 წლის.

[მინაწერი ქვემოთ] მუეძინი (?), დაიბადა 1254 (1838/39) წელს.

კომლი 6

9. ყმაწვილკაცი, ალი ოსმანის ძე, 15 წლის.

[მინაწერი ქვემოთ] აპმედი, დაიბადა 1254 (1838/39) წელს (სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივი, ზემო აჭარის ლიგის მუსლიმ მამაკაცთა აღწერის დავთარი. გვ.260-264, შიფრი – NFS.d.02759. ჩამოიტანა და თარგმნა ზაზა შაშიკაძემ).

დარჩიდების შემდეგი უბანი დოკუმენტის მიხედვით არის კობაური. უეჭველია, რომ აქ იაკობაურია ნაგულსხმევი. გადმოცემით, სოფლის დღევანდელ ტერიტორიაზე – წითელ კილ-დიძირებში დასახლებულა ერთი ოჯახი. მათ შეძენიათ შვილი – იაკობა. ბავშვი წყალში დამხრჩალა. სასონარკვეთილ მამას დასახრჩობად განწირული ბავშვისათვის დაუძახია: „იაკობ, შვილოო“. გადმოცემა ამ ფაქტს უკავშირებს სოფლის სახელ-წოდებას. ბავშვის გარდაცვალების შემდეგ მამა სხვაგან გადასულა საცხოვრებლად, თუმცა სოფელს ეპონიმ იაკობასთან დაკავშირებული სახელწოდება დღემდე შემორჩა. 1999 წ. მონაცემებით იაკობაურში ცხოვრობდა 22, განსახლებული იყო 39 ოჯახი (თ. ფუტკარაძე...ნ. ვარშანიძე, 2001: 38). ამჟამად სო-

ფელში ცხოვრობენ სამი საგვარეულოს (ეპრალიძეები, ფუტკა-რაძეები, შაინიძეები) 23 ოჯახი – 89 სული.

ოსმალური აღნერის 1835 წლ აღნერის მასალების მიხედვით „უბანი კობაური“ (იგულისხმება იაკობაური, თ. ფ.) ექვემდებარება ხსენებულ სოფელს (ანუ დარჩიძეებს, თ. ფ.) (3 კომლი, 7 მამაკაცი):

კომლი 1.

1. დაბალი, ქერა ულვაშით, ოსმან მუსტაფას ძე, 45 წლის. [მინაწერი ქვემოთ] აჰმედ ალი, დაიბადა 1255 (1839/40) წელს.

2. შვილი მისი, ყმაწვილკაცი, აჰმედი, 17 წლის.

კომლი 2

3. დაბალი, შავი ულვაშით, იბრაჰიმ ისმანის ძე, 32 წლის.

კომლი 3.

4. საშუალო სიმაღლის, ქერა წვერ-ულვაშით, აჰმედ ალის ძე, 50 წლის.

5. შვილი მისი, ყმაწვილკაცი, ჰასანი, 19 წლის.

- [მინაწერი ქვემოთ] მუსტაფა, დაიბადა 1254 (1838/39) წელს.

6. შემდეგი შვილი ალი, 6 წლის.

7. შემდეგი შვილი, სელიმი, 4 წლის (სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივი, ზემო აჭარის ლივის მუსლიმ მამაკაცთა აღნერის დავთარი. გვ.260-264, შიფრი – NFS.d.02759. ჩამოიტანა და თარგმნა ზაზა შაშიკაძემ).

აღნერის დავთარში მოხსენიებულ მეპელებს//უბნებს შორის დასახელებულია ქუთაური. იქაურებიც თავიანთ წარმომავლობას ქედის რაიონიდან (ორი ვერსიაა: კოკოტაურიდან და დანდალოდან) მკვლელობის გამო გამოქცეულ სამ ძმას უკავშირებენ. გაქცევის შემდეგ მათ გვარი შეუცვლიათ. ერთი ძმა დამკვიდრებულა ჩოხატაურში გორგაძის გვარით, მეორე ძმა-დაგვაში (ქობულეთი) ბროლაძის, ხოლო მესამე ქუთაურში ბოლქვაძის გვარით. მანამდე აქ უცხოვრია ვინმე დავითაძეს,

თამაზ ფუტკარაძე, ზაურ ფუტკარაძე

რომელიც მუპაჯირობის დროს თურქეთში გადასულა და სოფე-ლი გაუკაცრიელებულა.

ხალხური ახსნით სოფლის სახელწოდება **ძალლის სახელს – ქუთას უკავშირდება** (ქუთა ვერ-ქუთავურ-ქუთაური). დამრე-ცი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ქედიდან ასულებს გაკ-ვირვებით უთქვამთ: „აქ, ამ გვარდში ჩვენი ძალლი ქუთაც ვერ გაჩერდებაო“. 1999 წლის მონაცემებით ქუთაურში ცხოვრობდა 11, განსახლებული იყო 28 ოჯახი (თ. ფუტკარაძე, ნ. ვარშანიძე, 2001:38). ამჟამად ქუთაურში ცხოვრობს ერთი საგვარეულოს (ბოლქვაძეების) ხუთი ოჯახი, 23 სული.

ოსმალური აღწერის მიხედვით „უბანი ქუთა(ვ)ური, ექვემ-დებარება ხსენებულს (კომლი 5, მამაკაცი 9).

კომლი 1.

1. საშუალო სიმაღლის, ქერა ულვაშით, ოსმან ისმაილის ძე, 35 წლის.

[მინაწერი ქვემოთ] ალიშანი, დაიბადა [12]54 (1838/39) წელს.

[იქვე] სიძე, აპმედ მუსტაფას ძე, 25 წლის.

კომლი 2.

2. მაღალი, შავი წვერით, აპმედ ალის ძე, 45 წლის.

[მინაწერი ქვემოთ] სელიმი, დაიბადა [1]254 (1838/39) წელს.

3. შვილი მისი რეჯები, 5 წლის.

4. შემდეგი შვილი, ჰუსეინი, 2 წლის.

კომლი 3.

5. მაღალი, მეჩერი ულვაშით, იდრის ალის ძე, 25 წლის.

6. ძმა მისი, ყმანვილკაცი, შირინ ალი, 18 წლის.

კომლი 4.

7. საშუალო სიმაღლის, მეჩერი ულვაშით, ემრულა სულეიმანის ძე, 24 წლის.

8. შვილი მისი, ჰასანი, 1 წლის.

კომლი 5.

9. საშუალო სიმაღლის, ქერა ულვაშით, ისმაილ ჰასანის ძე, 25 წლის (სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივი, ზე-მო აჭარის ლივის მუსლიმ მამაკაცთა აღწერის დავთარი. გვ.260-264, შიფრი – NFS.d.02759. ჩამოიტანა და თარ-გმნა ზაზა შაშიკაძემ).

შემდეგი უბანი, რომელიც დასახელებულია 1835 წ. ოსმა-ლური აღწერის მასალებში, არის **კობალთა, რომელშიც 4 კომლი და 11 მამაკაცია აღრიცხული.** ამ ტოპონიმის ეტიმოლოგიაც გე-ოგრაფიულ მდებარეობასა და რელიეფს უკავშირდება. სოფლის ტყეებში მრავლად იყო მუხა, რომელსაც „კო“-ს ეძახდნენ. ბევრი იყო ტყის ბალიც. გეოგრაფიულად ეს სოფელი მთაშია. აქედანაა სოფლის სახელიც: კო(რკო)-ბალ-მთა//კობალთა.

1999 წ. მონაცემებით კობალთაში ცხოვრობდა 26, განსახ-ლებული იყო 57 ოჯახი (თ. ფუტკარაძე. გვ. 38). ამჟამად სო-ფელში ცხოვრობს ექვსი საგვარეულოს (შაინიძეები, ქიძინიძეე-ბი, მახარაძეები, სურმანიძეები, თავდგირიძეები, გორგაძეები) 30 კომლი, 149 სული. 1923 წლის ერთ-ერთ საარქივო დოკუმენ-ტში კობალთაში მცხოვრებთა შორის დასახელებული არიან და-ვითაძეები, ფუტკარაძეები, გიორგაძეები-სავარაუდოდ გორგა-ძეები (ასს ცსა, ფ. 178, ან 1, ს. 29, ფურც.230-240)

8. ჭიჭინაძის ინფორმაციით აქ ადრე უცხოვრიათ აზნა-ურ კობალაძეებს, ჰერინიათ საგვარეულო ციხე და ეკლესია, მაგრამ ოსმალობის დროს ისინი გადასულან გურიაში, იმერეთ-სა და ქართლში (ზ. ჭიჭინაძე, 1913:180-181).

1835 წ. ოსმალური აღწერით „უბანი **კობალთა**, ექვემდე-ბარება ხსენებულ სოფელს (დარჩიძეებს, თ. ფ.) (კომლი- 4, მა-მაკაცი-10):

კომლი 1.

1. საშუალო სიმაღლის, შავი წვერ-ულვაშით, აბდურაჰმან ოსმანის ძე, 50 წლის.

2. შვილი მისი, ყმაწვილკაცი აჰმედი, 16 წლის.

3. შემდეგი შვილი, მურადი, 10 წლის. [მინაწერი ზემოთ] ღონიერია, [12]55 (1839/40) წელი.
4. ქმა, საშუალო სიმაღლის, შავი წვერ-ულვაშით, მეჭმე-დი, 40 წლის.
5. შვილი მისი, რეჯები, 8 წლის.

კომლი 2.

6. საშუალო სიმაღლის, შავი ულვაშით, აბდურაპიან ალის ძე, 21 წლის.

კომლი 3.

7. საშუალო სიმაღლის, ქერა ულვაშით, იდრის სელიმის ძე, 40 წლის.

[მინაწერი ქვემოთ] შვილი იუსუფი, დაიბადა 1254 (1838/39) წელს.

8. შვილი მისი, ჯოშეუნი, 7 წლის.

კომლი 4.

9. მაღალი, შავი ულვაშით, ოსმან მეჯმედის ძე, 35 წლის.
10. ქმა მისი, ყმანვილკაცი, სულეიმან მეჭმედის ძე, 18 წლის.

[მინაწერი ქვემოთ] შვილი (მელანი გადასულია), [12]54 (1838/39) წელი.

[იქვე] შვილი, შერიფი, დაიბადა [1]254 წელს (სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივი, ზემო აჭარის ლივის მუსლიმ მამაკაცთა აღწერის დავთარი. გვ.260-264, შიფრი – NFS.d.02759. ჩამოიტანა და თარგმნა ზაზა შაშიკაძემ).

სულ თემში აღრიცხულია 50 კომლი – 126 მამაკაცი.

ვფიქრობთ, მკითხველისათვის საინტერესო იქნება შუბ-ნის თემში შემავალი სოფლების მოსახლეობის რაოდენობრივი ცვლილებების დინამიკის ერთიანი ცხრილის სახით წარმოდგენა აღწერის შესახებ პირველი ცნობებიდან დღემდე:

ცხრილი 1
მოსახლეობის რაოდენობრივი ცვლილებების დინამიკა შუპნის თემში
1560-იანი წლებიდან 2020 წლის ჩათვლით

დასახლე- ბული პუნ- ქტი	მოსახლეობის რაოდენობა ათასი	მოსახლეობის რაოდენობა ათასი	მოსახლეობის რაოდენობა კაცი ქალი	წყაროები:
იორამის ცი- ხის რაბათი (დარჩიძეები)	1566-1574	15		
დარჩიძეები	1835	20		
	1886	39	152	145
	1887	36	200	
	1889	40		
	1897	36	97	103
	1923	62	182	167
	1926	61	384	
	1935	81	464	
	1989		312	338
	1999	67		
	2002	96	228	221
	2014	62	147	129
	2020	61	265	
	1566-1574			
იაკობაური	1835	3		
	1886	8	25	31
	1887	14	98	
	1889	არაა მო	ნაცე	მები
	1897	14	48	50
	1923	13		
	1926	13	70	
	1989		124	120
	1999	22		

თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე

	2002	28	56	60		
	2014	24	54	52		
	2020	23	89			
კობალთა ერდვათი	1566-1574					
	1835	4				
	1886	12	50	44		
	1887	7	63			
	1889	10				
	1897	7	27	36		
	1923	9				
	1923	17	63	40		
	1926	18	116			
	1935	22	149			
	1989		124	120		
	1999	26+10				
	2002	49	120	104		
	2014	30	81	78		
	2020	30+10	149			
ტომაშეთი	1566-1574					
	1835	6				
	1886	12	50	43		
	1887	7	57			
	1889	15				
	1897	7	28	29		
	1923	11				
	1923	24	102	90		
	1926	20	149			
	1935	26	166			
	1989		123	139		
	1999	31				
	2002	44	95	114		
	2014	31	59	65		
	2020	28	129			
ქუთაური	1566-1574					
	1835	5				
	1886	6	23	18		
	1889	7				
	1923	8				
8. 1926 წ. აჭარის ასს ცსა, ფ. რ-2. ანაწ. I, საქმე 209. ფ. 110; იგი- 30 მონაცემებია 1931 წლის დოკუმენტში: აჭარის ასს ცსა, ფ. რ- 4. ანაწ. I, საქმე 285. ფ. 79 (აჭარის ასსრ დარა- იონება 1931 წლისათ- ვის) 1926 წ. აღწერის მასალებში ცალკე ეთ- ნიკურ ჯგუფადაა აღ- წერილი „აჭარლები“;						
9. 1935 წ. 1935 წ. იანვრის პირუტყვის აღწერაში შესული მოსახლეობის ზოგადი მაჩვენებლები. ყარადერეს სასოფლო საბჭო. ასს ცსა, ფ. P- 178, ან.1, ს. 283, ფურც. 23.;						
10. 1989 წ. მოსახლეობის რიცხოვნობა ადმინის- ტრაციულ-ტერიტორი- ული ერთეულების და სქესის მიხედვით (მო- სახლეობის 1989 წლის საკავშირო აღწერის შედეგები).						
11. 1999 წ. ო. ფუტკარაძე, ნ. ვარშანიძე, შუბანი (ისტორიულ-ეთნოგრა- ფიული ნარკვევი), 2001, გვ. 38;						
12. 2002 წელი – მოსახლე- ობის 2002 წლის საყო- ველთაო აღწერის შე- დეგები;						
13. 2014 წელი – კერძო						

	1923	8	23	23
	1926	6	37	
	1935	6	39	
	1989		34	35
	1999	11		
	2002	13	28	27
	2014		11	12
	2020	5	23	
შუბანი-ვაკე	1566-1574			
	1835	6		
	1886	16	69	56
	1887	11	110	
	1889	20		
	1897	11	56	54
	1923	15		
	1926	35	226	
	1935	38	259	
	1989		157	171
	1999	38		
	2002	65	154	140
	2014	37	74	78
	2020	37	161	
	1566-1574			
წელათი	1835	6		
	1886	4	16	12
	1887	3	17	
	1889	5		
	1897	4	28	
	1923	6		
	1926	10	84	
	1935	11	101	
	1989		74	78
	1999	16		
	2002	23	51	60
	2014	13	23	20
	2020	9	32	

შინამეურნეობების რაოდენობა და მოსახლეობის რიცხოვნობა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების, სქესის და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (2014 წლის 5 ნოემბრის მდგომარეობით);

14. 2020 წელი – ტ. ფუტკარაძე, აჭარის შუბანი.

განმარტებები:

1. ასსცსა – აჭარის საარქივო სამმართველო, ცენტრალური სახელმწიფო არქივი;
2. ფ. – ფონდი
3. ა. – ანაზერი;
4. ფურც. – ფურცელი.

ოსმალური აღწერის ამ მასალებში არ ფიგურირებს სო-

თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე

ფელი ერდვათი. იგი არ ჩანს 1886 წლის კამერალური აღწერის, ასევე ზაქარია ჭიჭინაძის 1889 წლის და 1923 წლის საარქივო დოკუმენტში, სადაც შუბნის თემის ყველა სოფელია წარმოდგენილი ოჯახის უფროსების სახელობითი სიებით. ეს გასაგებიცაა, რადგან სოფელი ადმინისტრაციულად კობალთის უბნად განიხილებოდა და შესაბამისად ერდვათის მონაცემები ერთიანდებოდა კობალთის აღწერის მასალებში.

განსაკუთრებული ყურადღება გვინდა გავამახვილოთ 1923 წლის საარქივო დოკუმენტზე, რომელშიც წარმოდგენილია როგორც მოსახლეობის რაოდენობა ოჯახის უფროსების სახელობითი სიითა და ოჯახის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის მიხედვით, ისე უძრავი ქონება და საქონლის (მსხვილ-ფეხა-წვრილფეხა) რაოდენობა. მკითხველს ვთავაზობთ ამ დოკუმენტს სახელობითი სიის გარეშე:

ცხრილი 2.


შუბნის თემის მოსახლეობის რაოდენობა სქესობრივი სტრუქტურა
1923 წელს (ასს ცსა, ფ. რ-178, ან. 1, ს. 29, ფურც. 238-240)

სოფელი	ოჯახი	ქალი	გვა	სულ	ნათესი	ბალი, ვენახი	ცხვირი	მსხვილფეხა	ტხარი, თხა
დარჩიძები	62	182	167	349	1715 1/2	-	12	392	29
ტომაშეთი	24	102	90	192	7 1/6	-	7	235	36
შუბანი	38	127	123	250	10 1/8	-	12	267	53
კობალთა	17	63	40	103	40 1/4		5	68	17
ქუთაური	8	23	23	46	194 1/2	-	2	40	11
სულ	149	497	443	940			38	1002	146

ამ დოკუმენტში ცალკე არაა წარმოდგენილი წელათი და იაკობაური, მაგრამ სიების წაკითხვის შემდეგ ნათელია, რომ წელათში მცხოვრებნი (პირველი 6 ოჯახი) შესულნი არიან ტო-

მაშეთის გრაფაში. აღნიშნულის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

შუბნის თემის სოფლებიდან მიგრაციული პროცესები განსაკუთრებით გააქტიურდა პოსტსაბჭოთა ეპოქაში. 1999 წლის ჩათვლით შუბნის თემის სოფლებიდან ჯამში განსახლდა 472, ადგილზე დარჩენილი იყო 224 ოჯახი (732 სული).



ნაცილი გეორგი

ცელათი

არაერთ შემოქმედსა თუ მეცნიერს დაუწერია ისტორია თავისი თუ სხვა სოფლის შესახებ, ხატოვნად გამოუხატავთ საკუთარი შეხედულებები. ჩვენც გვინდა ჩვენებურად მოვეფეროთ მშობლიურ სოფელს, იქ მცხოვრებ და იქედან განსახლებულ ამაყ და გამრჯე ადამიანებს, ქვეყნის ისტორიის კონტექსტში წარმოვაჩინოთ წელათის წარსული და თანამედროვეობა, მოსახლეობის გვარობრივი შემადგენლობა და გენიალოგიის საკითხები, ცალკეული ადამიანების ოჯახეური და შრომითი ბიოგრაფიები.

ჩვენს წინაპრებს უმძიმეს პირობებში უწევდათ ცხოვრება. დღესაც უამრავი გამოწვევის წინაშეა იქაური მოსახლეობა. გვნამს, რომ დაიძლევა სირთულეები, წელში გაიმართება ქვეყნა და წელათელ გლეხეკაცსაც მიეცემა საერთოსახელმწიფოებრივი სიკეთით სარგებლობის შესაძლებლობა.

წელათი მდ. ჩირუხისწყლის მარცხენა მხარეზე მთის უბეში არნივის ბუდესავით გამოკიდებული სოფელი – შუბნის თემის, ზოგადად მშობლიური საქართველოს თვალწარმტაცი და ლაუგარდოვანი მხარის – აჭარის მთიანეთის გულია. სოფელი ძალიან პატარაა, მაგრამ მდიდარია კულტურულ-ისტორიული წარსულით, ულამაზესი ბუნებით, ამაყი, თვითმყოფადი, ტრადიციების მატარებელი ერთგული გამრჯე და შრომისმოყვარე ადამიანებით. ამიტომაც დაიმკვიდრა ამ სოფელმა კუთვნილი ადგილი მარეთის ხეობაში, შუბნის თემში და სულიერ ღირებულებათა იმ სიბრტყეზე მოხდა მისი გააზრება, რომლის არეალიცაა ზოგადქართული იდეები, საერთო ეროვნული სიხარული და სატკივარი, თანამედროვე ცივილიზაცია.



ցարչամ դա Ռումիամ ցագաարհինա յե Տօպելո յմմիմեսո ցա-
ֆորցեթիսա դա կրութիսուս չերուութի. այսաւրցեթի ածլաւ արուան ցա-
մորհեյլնո Ռումիումովարեռծուտ, Տնավլա-ցանատլեթիտ, յր-
տուրտուսովարուլնուսա դա յրտուրտումութեցեթիս յնարուտ. Տօպելո
ցագրեթիս Տամշեգլու, մեցնուրտա, ხելուցնեթիս մովցարուլուտ, չեցացոցտա Տամշութլու.



որո յզեյնուս Շեսապարծե ցանցենուլո Ելատու Տեզա Տօպլե-
նուս մսցացսագ կարտուլո կուլուրուս դա ցուցուլութացուուս տանամո-

თამაზ ფუტკარაძე, ზაურ ფუტკარაძე

ნაწილეა – ადგილობრივი სპეციფიკის შესაბამისი მატერიალური კულტურის (საცხოვრებელი და სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულების შენობა-ნაგებობები, ხალხური სატრანსპორტო საშუალებანი, კულინარია და ა. შ.), ციხეების, ეკლესიების, სულიერი კულტურის შემოქმედი. არაერთხელ გადაქცეულა სახლი ნასახლარ-ნაფუძარად, ეკლესია-ნასაყდრალად (მემორჩენილია შესაბამისი ტოპონიმები), პურის ყანები ნაპურვალად, ნაქერვალად, ნაასლარად, მაგრამ მაინც წამომდგარა და აღორძინებულა უღალატო, დინჯი და შრომისმოყვარე ადამიანების შემოქმედებით.

ზღვის დონიდან 1464 მ. სიმაღლეზე ორ უბნად განვითნილი წელათი მარეთის ხეობის უკიდურესი მთისწინა სოფელია. იგი მდებარეობს შუბნის სათემო ცენტრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ჩრდილოეთიდან ესაზღვრება მდინარე ჩირუხისწყალი, აღმოსავლეთიდან გუზლიეთი და მთა ჩირუხი, დასავლეთიდან ტომაშეთი, ხოლო სამხრეთით შავშეთის მხარე.



წელათი. ფუტკარაძეების უბანი. ნახატი ჯემალ მიქელაძისა

ნელათი მდებარეობს მნიშვნელოვან სტრატეგიულ ადგილას. მასზე გადიოდა როგორც არტაანისაკენ, ისე შავშეთისა-კენ მიმავალი გზები. ჩირუხისწყლის ხეობით-გოგოლაურ-ნელათის, გუზლიეთის, ლელვანის, ჯინალი იეილებისა და დემურ-ყაფის გავლით გზა გადადიოდა ყვირალას ხეობაში (სოფელი ჯინალი), იქედან იმერხევის ხეობის გავლით შავშეთ-კლარჯეთ-არტაან-ფოცხოვში.

ნელათის პირველი მცხოვრებნი ყინჩაურიდან იქ გავრცელებულმა ციებამ დღევანდელი სოფლის ერთ-ერთ უბანში – ძველნელათში აიყვანა. მათ მონონებიათ ხე-ტყითა და სათიბ-საძოვრებით მდიდარი ადგილები. „ისეთი კარგი ადგილებია, რომ თივა ნელამდე გვწვდება“ , კმაყოფილებით განუცხადებიათ ახალი სამოსახლოს მაძიებლებს. აქედანაა სოფლის სახელიცო, ასკვინიან რესპონდენტები.

სოფლის სახელწოდებისა და ეტიმოლოგიის შესახებ ზეპირ ისტორიებში მეორე ვერსიაცაა შემონახული. ამ ვერსიის მიხედვით კითხვაზე – რამდენი ნელია ცხოვრობთ ამ დასახლებაშიო, ერთ-ერთ პირველმაცხოვრებელს უთქვამს: „იქნება ნელი ათიო“ (ნელი ათი – ნელათი). ცხადია ორივე ეს ვერსია ხალხურია, მაგრამ არაერთი ხალხური გადმოცემა თუ ლეგენდა გამხდარა მეცნიერთათვის წყარო და არგუმენტირებული დასკვნების საფუძველი. ცხადია, ორივე ამ ვერსიას აქვს არსებობის უფლება.

სოფელში, რომელიც დღეს ნელათის ერთ-ერთი უბნის-ძველნელათის სახელითაა ცნობილი, პირველად ორი ოჯახი დამკვიდრებულა: **სელიმი (ვაშაყმაძეების წინაპარი)** და **კასიმი** (რესპონდენტ ალიოსმან ვაშაყმაძის ინფორმაციით კასიმი იყო გვარად შაინიძე, თუმცა აქ უნდა იგულისხმებოდეს მომდევნო პერიოდში კასიმის შთამომავლების მიერ მიღებული გვარი). რესპონდენტის ეს ვერსია რეალობას უნდა შეესაბამებოდეს, რადგან 1835 წლის ოსმალური აღწერის დავთარში აქ მცხოვრებთა შორის ფიგურირებენ: **სელიმი** (აღწერის დროისათვის 35 წლის, ანუ დაიბადა 1800 წელს) და **კასიმი ბერების ძე**, რომელიც აღწერის დროისათვის 32 წლისაა. ე.ი. იგი დაბადებულია

თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე

1803 წელს. მალე ამ ორ ოჯახს დაემატა პაპოშვილებიდან ასული არიფა, თუმცა სამი წლის შემდეგ არიფა თურქეთში წასულა. მისი შთამომავლები ამჟამად ინეგოლში ცხოვრობენ. 1835 წლისათვის წელათში 6 კომლია აღრიცხული. დოკუმენტის მიხედვით წელათი განეკუთვნება ჩილდირის ვილაიეთის აჭარის ლივის ზემო აჭარის ნაპიეს, მერათხანეს (მარეთის ხეობას) და ექვემდებარება დარჩიძეების თემს. მოვიხმობთ დოკუმენტს:

„უბანი წელათი, ექვემდებარება ხსენებულ სოფელს.

კომლი 1.

1. საშუალო სიმაღლის, შავი ულვაშით, კაპრამან (ყარა-მან -ზ.შ.) იბრაჟიმის ძე, 40 წლის.

კომლი 2.

2. დაბალი, შავი წვერით, მეჰმედ ჰასანის ძე, 60 წლის.
3. შვილიშვილი მისი, შერიფი, 10 წლის.

კომლი 3.

4. საშუალო სიმაღლის, ქერა ულვაშით, სელიმ იბრაჟიმის ძე, 35 წლის.
5. შვილი მისი, მოზარდი, შერიფი, 12 წლის.
6. შემდეგი შვილი, ალი, 8 წლის.
7. შემდეგი შვილი, მურადი, 5 წლის.

კომლი 4.

8. დაბალი, შავი ულვაშით, კასიმ იბრაჟიმის ძე, 32 წლის. [მინანერი ქვემოთ] შვილი შაპინ ალი, დაიბადა [12]55 წლის სეფერის თვეში (აპრილი/მაისი 1839).

კომლი 5.

9. საშუალო სიმაღლის, შავი წვერით, ისმაილ მეჰმედის ძე, 32 წლის. გარდაიცვალა [12]54 წლის შევალის თვეში (1838-1839 წლების გასაყარი).
10. შვილი მისი ოსმანი, 5 წლის. გარდაიცვალა [12]54 წლის შევალის თვეში (1838-1839 წლების გასაყარი).

კომლი 6.

11. საშუალო სიმაღლის, შავი წვერით, მეჭმედ ისმაილის ძე, 45 წლის.

12. შილი მისი, საშუალო სიმაღლის, ისმაილი, 25 წლის.

13. შვილიშვილი, ემრულა, 3 წლის.

14. შემდეგი შვილიშვილი, ჰასანი, 1 წლის.

15. შვილი, შელინდლული ულვაშით, გულაპმედ აპმედის ძე, 25 წლის.

16. შვილიშვილი, ჰუსეინი, 8 წლის.

(სტამბოლი, მინისტრთა საბჭოს არქივი, შიფრი – NFS.d.02759. გვ.260-264. დოკუმენტები მოიძია და თარგმნა პროფ. ზაზა შაშიკაძემ).

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტიდან ჩანს, წელათში მაცხოვრებელ ექვს ოჯახს შორის აღრიცხულია თანამედროვე ვაშაყმაძეების წინაპართა ოჯახი. ხალხის მეხსიერებასა და ოსმალურ დავთარში მოცემული ინფორმაცია სელიმისა და მისი შთამომავლების – შერიფის და მურადის შესახებ ერთმანეთს ემთხვევა. ე.ი. თანამედროვე ვაშაყმაძეების წინაპარი იყო სელიმი იბრაჰიმის ძის ოთხი მამაკაცისაგან შემდგარი ოჯახი. დოკუმენტის მიხედვით, შერიფს და მურადს მესამე ძმაც ჰყოლიათ – ალი. დოკუმენტი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ ვაშაყმაძეების წინაპრების შესახებ ცოდნა უკან გადაწია. სელიმის მამის იბრაჰიმის სახელი იქაურთა მეხსიერებას ალარ ახსოვდა. ოსმალურმა დავთარმა შემოგვინახა მისი სახელი. აღნერის დროისათვის იბრაჰიმი ან პირველსაცხოვრისში დარჩა, ან ცოცხალი აღარაა, რადგან იგი ოჯახის შემადგენლობაში არაა დასახელებული. იგი მოხსენიებულია მის შვილთან – სელიმთან კონტექსტში, რომელიც აღნერის დროისათვის ყოფილა 35 წლის. ე.ი. სელიმი დაბადებულია 1800 წელს, მისი მამა იბრაჰიმი კი სავარაუდოდ 1780-იან წლებში იქნებოდა დაბადებული. დოკუმენტის მიხედვით ისმაილი საშუალო სიმაღლის მამაკაცი ყოფილა ქერა ულვაშით. მისი შვილი შერიფი აღნერის დროისათ-

თამაზ ფუტკარაძე, ზაურ ფუტკარაძე

ვის 12 წლისაა. ე.ი. იგი დაბადებულა 1823, ხოლო მურადი 1830 წელს (რადგან აღნერის დროისათვის 5 წლისაა). მესამე შვილის აღის შესახებ ხალხის მეხსიერებაში არაფერია შემონახული. იგი 1818 წელს დაბადებულა.

ზემოთდასახელებული ოჯახის გარდა დავთარში კიდევ ხუთი ოჯახია აღრიცხული, რომელთა შთამომავლები დღეს აღარ ცხოვრობენ წელათში. შესაძლოა ამ ოჯახებიდან ერთ-ერთი იყოს ხალხური გადმოცემების მიხედვით ცნობილი და დავთარში დაფიქსირებული კასიმის (რომელიც აღნერის დროისათვის 32 წლის ყოფილა), მეორე კი ხალხის მეხსიერებაში შემონახული პაპოშვილებიდან ამოსული არიფის ოჯახი. ხსოვნას დღემდე შემორჩა მისი იქ ცხოვრების დამადასტურებელი ტოპონიმი „არიფას ყანები“. გადმოცემით ცნობილია, რომ კასიმი წელათიდან უკან დაბრუნებულა პირველსაცხოვრისში. წელათიდან გაურკვეველი მიზეზების გამო წასულა არიფის ოჯახიც (თურქეთში გადასახლებულა). არაა გამორიცხული, რომ დანარჩენი სამი ოჯახის შთამომავლებიც სხვაგან გადავიდნენ საცხოვრებლად (ოსმალობისაგან თავის დაღწევის, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ან სხვა მიზეზით), რადგან მათი კვალი იყარგება. ერთი რამ უტყუარია: დღევანდელი ვაშაყმაძეები იბრაიმისა და სელიმის შთამომავლები არიან.

1835 წლის ოსმალური დოკუმენტი მრავალმხრივაა საყურადღებო:

1. სოფლის დაარსების თარიღი უცნობი იყო თანამედროვეთათვის და იგი უფრო გვიან დაარსებულად მიიჩნეოდა. ამ დოკუმენტიდან ნათელია, რომ მე-19 ს. დასაწყისისათვის სოფელი არსებობს.
2. 1835 წლის მონაცემებით სოფელში (ეხლ. ძველნელათი) 6 კომლია, რომლებშიც 15 მამაკაცი ცხოვრობს.
3. აღნერა ოსმალეთის იმპერიის სამხედრო ამოცანებს ემსახურებოდა, ამიტომ აღინერა მხოლოდ მამაკაცები. დოკუმენტით დგინდება ოჯახების საშუალო სიდიდე

- (ოჯახის წევრთა რაოდენობა). თითოეულ ოჯახში ერთი ან ორი ქალი მაინც იქნებოდა;
4. მოსახლეობის კონფესიური სტრუქტურა – ყველა მუსულმანია;
 5. შეცვლილია ანთროპონიმული მოდელი – ყველა ანთროპონიმი მუსულმანური ქვეყნებისათვის დამახასიათებელი სახელია;
 6. ანთროპონიმული მოდელი ჯერ კიდევ ორწევრიანია და იგი წარმოდგენილია სახელითა და მამის სახელით, გვარი ჯერ კიდევ არ ჩანს ჩამოყალიბებული;
 7. და რაც მთავარია, დასახელებულ დოკუმენტში შესაძლებელია ჩვენი წინაპრების დადგენა მე-17-18 საუკუნეების მიჯნისათვის, რითაც ჩვენი კულტურული მეცნიერება მინიმუმ ორი თაობით უკან გადაიწია.

თუმცა მივყვეთ ისტორიას: გადმოცემით, ძველწელათ შავი ჭირი გაჩენილა, რის გამოც იქ მცხოვრებთა ნაწილი განყვეტილა, გადარჩენილები კი დღევანდელი წელათის ტერიტორიაზე – ზედა წელათში ციცაბო ფერდობის ზედა ბუნებრივ ტერასაზე გადმოსულან საცხოვრებლად. კასიმს წელათიდან პირველსაცხოვრისში დაბრუნება გადაუწყვეტია, რის გამოც გაუყიდია მის კუთვნილებაში არსებული სახნავსათვესი მიწები. ჩვენთვის უცნობია, თუ ვინ შეისყიდა ეს მიწები. სავარაუდოდ იგი შეისყიდა დარჩიძებელმა არიფა ალამ თავისი ძმისშვილის – ხაჯისათვის (რადგან დარჩიძეებში არ ჰქონდათ საკმარისი მიწები). ხაჯი იმუამად ობოლი იყო. მისი მამა შერიფი ოსმალეთის მიერ წარმოებულ ომში დაღუპულა (სავარაუდოდ ეს იყო რუსეთ-თურქეთის 1853-1856 წლები, ე.წ. ყირიმის ომი).

ნიშანდობლივია ისიც, რომ დღევანდელი წელათის მიწების ნაწილი ვაშაყმაძეების წინაპრების იქ დამკვიდრებამდე შუბნელების საკუთრება ყოფილა. მათგან შეუსყიდიათ მიწები წელათელ სელიმ ვაშაყმაძეს და მუჰამედ ჯირობიდან უკან დაბრუნებულ დარჩიძეებელ ფერათს (მოგვიანებით ცეცხლაძე). მეორე

თამაზ ფუტკარაძე, ზაურ ფუტკარაძე

ვერსია მიწების გაცვლაზე ამახვილებს ყურადღებას. აღნიშნულ მიწების კუთვნილებასთან დაკავშირებით წამოჭრილა სა-დაო საკითხები, რაც აისახა კიდევ ტოპონიმიკაში. ყანას, რომელიც იმჟამად დავის საგანი გახდა, „ყავლა ყანების“ სახელი დაუმკვიდრდა.

მიწების გაცვლასთანაა დაკავშირებული დარჩიძეებიდან წელათში ხაჯის საცხოვრებლად გადმოსვლა. წელათში იმჟამად მცხოვრებ ფერათ ცეცხლაძეს თავისი მიწები გადაუცვლია ხა-ჯისათვის, რომელიც ისედაც ფლობდა მისი ბიძის – არიფას მიერ შესყიდულ მიწებს. ეს უნდა მომხდარიყო მე-19 ს. 80-იან წლებში. რიზალი ფუტკარაძის ინფორმაციით წელათში გად-მოსვლისას ხაჯის რძალი შერიფზე ყოფილა ორსულად. შერიფ-მა იცოცხლა 88 წელი, გარდაიცვალა 1974 წელს. თუ ეს ასეა, მა-შინ ხაჯი წელათში 1886 წელს გადმოსულა.

დარჩიძეებიდან წელათში გადმოსახლების თარიღს რამ-დენიმე წლით უკან სწევს მეორე ვერსია, რომლის მიხედვით ხა-ჯის შვილი ზექერია წელათში გადმოსახლების დროისათვის იყო რვა წლის. ზექერია გარდაიცვალა 1969 წელს – 90 წლის ასაკში. ამ შემთხვევაში დარჩიძეებიდან წელათში გადმოსვლა უნდა დათარიღდეს 1879 წლით.

ოსმალური 1835 წლის აღწერის დროისათვის წელათელ ფუტკარაძეთა წინაპრები დარჩიძეებში ცხოვრობდნენ. ჩვენ-თვის ცნობილი იყო ხაჯის მამის შერიფისა და მისი ძმის- არი-ფის ვინაობა. ამის იქეთ ჩვენი მეხსიერება არ მიღიოდა. ამ დო-კუმენტში დარჩიძეებში მცხოვრებთა შორის წელათელ ფუტკა-რაძეთა წინაპრების ოჯახია მოხსენიებული. მასში დასახელე-ბულია სულეიმანი, მისი შვილი ისმაილი და ოთხი შვილიშვილი: არიფა შერიფი, ნუმანი და ემრულა. თუმცა ვნახოთ თავად ეს დოკუმენტი:

„კომლი 14.

1. საშუალო სიმაღლის, შავი ულვაშით, ისმაილ სულეი-მანის ძე, 35 წლის.

2. შვილი მისი, ყმაწვილკაცი, **არიფი, 15 წლის.**
3. შემდეგი შვილი, მოზარდი, **შერიფი, 11 წლის.**
4. შემდეგი [შვილი] **ნუმანი, 8 წლის.**
5. შემდეგი [შვილი], **ემრულა, 5 წლის“**
(სტამბოლი, მინისტრთა საბჭოს არქივი, შიფრი – NFS.d.02759. გვ.260-264. დოკუმენტები მიოძია და თარ-გმნა პროფ. ზაზა შაშიკაძემ)

როგორც დოკუმენტიდან ჩანს, დარჩიძეებში მცხოვრები ისმაილ სულეიმანის ძის ოჯახი ხუთი მამაკაცისაგან შედგება. სულეიმანი ეტყობა აღარაა ცოცხალი, წინააღმდეგ შემთხვევა-ში ოჯახის თავში მისი სახელი იქნებოდა დაფიქსირებული. მისი შვილია **ისმაილი**, რომელიც აღნერის დროისათვის 35 წლისაა (ე.ი. დაბადებულა 1800 წელს). მისი მამა სულეიმანი კი 1770-1780-იან წლებში იქნებოდა დაბადებული. სწორედ ისმაილის შვილები არიან **შერიფი, არიფი და ნუმანი**, რომელთა შესახებ ინფორმაცია ცნობილი იყო ზეპირი ისტორიებიდან. ე.ი. წელა-თელ ფუტკარაძეთა წინაპრების შესახებ ისტორიულმა მეხსიე-რებამ გადაიწია მე-18 საუკუნის 70-იან წლებამდე.

წელათის მოსახლეობის შესახებ 1835 წლისა და შემდგო-მი პერიოდის ცნობები გვხვდება მეფის რუსეთის დროინდელ და საბჭოთა პერიოდის აღნერის მასალებში. ზემოთ წარმოდგე-ნილ ცხრილში N 1 სხვა სოფლებთან ერთად წელათის მოსახ-ლეობაცაა წარმოდგენილი, მაგრამ მკითხველმა რომ უკეთ აღიქვას მოსახლეობის რაოდენობრივი ცვლილებების დინამიკა ამ სოფელში, ამიტომ ცალკე წარმოვადგენთ წელათის მოსახ-ლეობის რაოდენობრივ მონაცემებს წლების მიხედვით:

ცხრილი N 3
წელათის მოსახლეობა XVI-XXI საუკუნეებში

ალწე- რის ნლები	კომ- ლითა რ-ბა	მ.შ. კაცი	მ.შ. ქალი	ნყარო
1566- 74	-			წელათი არაა დაფიქსირებული. და- ფიქსირებულია შუბანი აჭარის ლივის ვრცელი და მოკ- ლე დავთორები, თბ. 2011. გვ. 54
1835	6	16	?	სტამბოლი, მინისტრთა საბჭოს არქივი, შიფრი: NFS.d.02759, გვ.260-264
1886	4	16	12	თ. ფუტკარაძე, ნ. ვარსანიძე, „შუ- ბანი“, 2001, გვ.38
1887	3		17	ლისოვსკის ცნიბები, იხ. მერაბ ფუტკარაძე, მოსახლეობა, შუახე- ვი. ბათ. 2008, გვ. 58-59
1889	5			ზ. ჭიჭინაძის მონაცემები დამოწ- მებულია ტ. ფუტკარაძეს სტატი- ოდან „აჭარის შუბანი“
1897	4		28	ლისოვსკის მონაცემების მიხედ- ვით, მ. ფუტკარაძე, მოსახლეო- ბა, შუახევი, 2008, გვ. 58-59
1923	6			ასს ცსა, ფ. რ-178, ან.1, ს. 29, ფურც.238-240
1926	10		84	აჭარის არ ცსა, ფ. რ-2. ანან. I, საქმე 209. ფ. 110; იგივე მონაცე- მებია 1931 წლის დოკუმენტში: აჭარის არ ცსა, ფ. რ-4. ანან. I, საქმე 285. ფ. 79 (აჭარის ასარ დარაიონება 1931 წლისათვის).
1935	11		101	1935 წ. იანვრის პირუტყვის აღ- ნერაში შესული მოსახლეობის ზოგადი მაჩვენებლები. ყარადერეს სასოფლო საბჭო. ას-

				სცსა, ფ. -178, ან.1, ს. 283, ფურც. 23.
1989		74	78	მოსახლეობის რიცხოვნობა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების და სქესის მიხედვით (მოსახლეობის 1989 წლის საკავშირო აღწერის შედეგები).
1999	16			თ. ფუტყარაძე, ნ. ვარშანიძე, შუბანი (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), 2001, გვ. 38.
2002	23	51	60	მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები
2014	13	23	20	კერძო შინამეურნეობების რაოდენობა და მოსახლეობის რიცხოვნობა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების, სქესის და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (2014 წლის 5 ნოემბრის მდგომარეობით).
2020	9	32		ტ. ფუტყარაძე, აჭარის შუბანი

როგორც ცხრილიდან ჩანს, 1660-1670-იანი წლების ოსმალურ დავთარში წელათი არაა დაფიქსირებული. ისმის კითხვა – იყო თუ არა იმ დროს აქ დასახლება? ვფიქრობთ, რომ იმ დროისათვის იყო სასოფლო დასახლება თანამედროვე ძველწელათის ადგილას. ამის თქმის საფუძველს იძლევა ტოპონიმიკა. ტოპონიმის აქვს მეტად მნიშვნელოვანი თავისებურება და უპირატესობა ბევრ წყაროსთან შედარებით. იგი, ისევე როგორც ნუმიზმატიკური მასალა იძლევა მწირ, მაგრამ დაუმახინჯებელ ინფორმაციას. მხედველობაში გვაქვს ძველ წელათთან ახლოს, სათიბებში არსებული ტოპონიმი ნასაყდარი//ნასაყდრი სერი (თ. ფუტყარაძე, 2001:37). იმ ადგილას დღემდე შემორჩია საყდრის ქვები ზოომორფული გამოსახულებებით. ერთ ქვაზე უხუცესი ადამიანების გადმოცემით (რომელიც თავად უნახავთ)

თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე

იყო ლომის გამოსახულება. ე.ი. იქ იყო სამლოცველო. რახანც იყო სამლოცველო, ე.ი. იყო მრევლიც.

იქ ცხოვერების კვალს ადასტურებს აგრეთვე ტოპონიმი „გავრუბულიები“. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ მუსულმანები გავრებს//გიაურებს უწოდებდნენ არამუსულმანებს, ქრისტიანებს. როგორც ჩანს, ანტიოქისმალურმა ძალებმა თავი მოიყარეს სწორედ იმ ადგილას, რომელსაც დღეს „გავრიბულიებს“ ვეძასით. გადმოცემით თურქებს მკვიდრი ქრისტიანები ალყაში მოუქცევიათ. ე.ი. ეს ადგილი გახდა ქრისტიანთა ბოლო თავშესაფარი, საიდანაც მტერს უწევდნენ მედგარ წინააღმდეგობას. თურქებს მათ წინააღმდეგ შეტევა „გავრების“//გიაურების შეძახილით განუხორციელებიათ. სწორედ ამიტომ შეერქვა ამ ადგილს ეს სახელი. ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლის გამომხატველი უნდა იყოს ნაომარის მნიშვნელობის გამომხატველი სხვა ტოპონიმებიც. მხედველობაში გვაქვს მთა ჩირუხის მისადგომებთან არსებული ტოპონიმი **ყავალლული//ყავლალული//ნაომარი**.

მანამდე რომ აქ სასოფლო დასახლება იყო, დასტურდება დღევანდელი ძველწელათის ტერიტორიაზე არსებული **უსახელო საფლავებითაც**. მათ შესახებ არავითარი ინფორმაცია არ არსებობს. ისინი არ არიან აქ მცხოვრები ვაშაყმაძეების წინაპრები. მაშასადამე იქ სოფელი არსებობდა ვაშაყმაძეების წინაპრების იქ მისვლამდეც.

სოფლის დაარსების ზუსტი თარიღის განსაზღვრა ძნელია. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი იქნება ნასაყდრისა და ძველწელათის ტერიტორიებზე არქეოლოგიური გათხრების ჩატარება, რომელიც მოფენს ნათელს სოფლის ისტორიისათვის მნიშვნელოვან არაერთ საკითხს.

თუ იქ ადრიდანვე არსებობდა დასახლება, რატომ არ აისახა იგი ოსმალების მიერ ჩატარებული პირველი აღწერის მასალებში? ამ კითხვაზე პასუხი ნაწილობრივ გავეცით აღნიშნული საკითხის შესახებ მსჯელობისას. კერძოდ, ოსმალთა ოკუპაციამ განაპირობა ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტი. სავარაუდოდ, მტერმა სოფელი გაანადგურა. მოსახლეობის ნაწილი

გაიქცა, ნაწილი კი აგრესიის მსხვერპლი შეიქმნა. სხვანაირი ახ-
სნა ამ მოვლენას არ მოეძებნება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ოსმალების მიერ 1835 წელს
ჩატარებულ აღნერაში წარმოდგენილი მამაკაცების სახელობი-
თი სიის მიხედვით წელათში ცხოვრობს ექვსი კომლი, 16 მამა-
კაცი. მათგან სელიმ იბრაიმისძე დღევანდელი ვაშაყმაძეების
წინაპარი უნდა იყოს. დანარჩენი ხუთი ოჯახის შთამომავლები
წელათში აღარ ცხოვრობენ. აღნერის დროისათვის წელათელი
ფუტკარაძეების წინაპრები ჯერ კიდევ დარჩიძეებში ცხოვრობ-
დნენ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ სა-
არქივო დოკუმენტს, რომელიც 1923 წლის მონაცემებს ასახავს
კომლობრივი შემადგენლობის, სულადობის, მსხვილფეხა და
წვრილფეხა პირუტყვის რაოდენობისა და სახნავ-სათესი ფარ-
თობების ფლობის მიხედვით. დოკუმენტში წელათი ცალკე გრა-
ფის მიხედვითა არაა წარმოდგენილი, რადგან იგი ტომაშეთის
უბნადაა განხილული. ამიტომ წელათის მცხოვრებ ოჯახთა უფ-
როსების სახელობითი სია ტომაშეთის გრაფაშია წარმოდგენი-
ლი. დოკუმენტი ზუსტ ინფორმაციას იძლევა კომლთა რაოდე-
ნობის, სქესობრივი სტრუქტურის და სხვა დემოგრაფიული მო-
ნაცემების შესახებ. მოსახლეობა აღუნერია ვინმე შ. ლორთქი-
ფანიძეს. ცხრილში დაფიქსირებული პირველი ექვსი ოჯახი წე-
ლათიდანაა, დანარჩენები ტომაშეთიდან. მოვიხმოთ ეს დოკუ-
მენტი (იხ. ასს ცსა ფ. რ-178, ან. 1, საქმ. 29, ფურც. 238-240):

თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე

ცხრილი N 4
წელათის მოსახლეობის რაოდენობრივი და
სქესობრივი სტრუქტურა 1923 წელს
(ასს ცა ფ. რ-178, ან. 1, საქმ. 29, ფურც. 238-240)

სოფელი	კუ	ქალი	სულ	ნაოგა	ბალიდა ვენახი	ცხენი	შახვი ლაგება	ცხვარი თხა
ტომაშეთი								
1. ვაშაყმაძე ისუფ	8	6	14	53	-	1	13	6
2. ვაშაყმაძე ხუსეინ	4	3	7	29		-	17	-
3. ვაშაყმაძე ხუსეინ	4	4	8	70		2	15	2
4. ვაშაყმაძე ამაზა (სავარაუდოდ ხამზა)	5	6	11	32		-	7	2
5. ვაშაყმაძე მევლუდ	3	3	6	32		-	5	-
6. ფუტკარაძე ავენი (უნდა იყოს ხაჯი)	11	8	19	60		1	20	7
7. ფუტკარაძე შერიფ	4	3	7	22		-	7	4
8. ფუტკარაძე ყაია	2	1	3	25		-	14	-
9. ფუტკარაძე როსტომი	4	1	5	25		-	15	-
10. ფუტკარაძე ხასან	3	4	7	19		-	10	2
11. ფუტკარაძე დურ-სუნი	4	3	7	55			3	
12. ფუტკარაძე შაქირ	6	3	9	60			11	6
13. ფუტკარაძე სულ-თან	1	4	5	40			12	3
14. ფუტკარაძე იაკუბ	1	4	5	25		1	8	
15. არ იკითხება (თ.ფ)	1	4	5	20			6	
16. ფუტკარაძე ხუსეინ, ზემოდან მინაწერი დურსუნი	7	4	11	26			12	

17. კიდევა დურსუნი – მინაწერით, ალბათ მა- მის სახელი, რომელიც არ იკითხება	4	4	8	24			6	
18. ფუტკარაძე დურ- სუნ ახმედის ძე	7	3	10	51		1	19	4
19. ფუტკარაძე შაისმა- ილ	9	7	16	49			10	
20. ფუტკარაძე ოუსუფ	2	4	6	29			9	
21. ფუტკარაძე მერ- ჯან	1	3	4	18			7	
22. ფუტკარაძე ხუსე- ინ (როგ-ც ჩანს ხასა- ნისძე მამის სახელი არ იკითხება)	6	4	10	20		1	6	
23. ფუტკარაძე მევ- ლუდ	3	1	4	17			4	
24. ფუტკარაძე თევ- ფოყ	2	3	5	15			5	
სულ	102	90	192	716		7	235	36

ცხრილიდან ჩანს, რომ წელათში 1923 წლისათვის ცხოვ-
რობს ვაშაყმაძეთა ხუთი და ფუტკარაძეთა ერთი ოჯახი, 65
ადამიანი (35 კაცი, 30 ქალი). სოფლის მცხოვრებთ ჯამში ჰყავთ
ოთხი ცხენი, 77 მსხვილფეხა და 17 წვრილფეხა რქოსანი პი-
რუტყვი. წარმოდგენილი მონაცემები გვაწვდის ეკონომიკური
და სოციალური ხასიათის სხვა ინფორმაციებსაც. მონაცემები-
დან ნათელია, რომ

1. 1923 წლისათვის თურქულ ფორმანტიანი გვარების
ნაცვლად დამკვიდრებულია ქართული გვარები;
2. ჯერ კიდევ არსებობს დიდი (გაუყოფელი) საძმო და სამამო
ოჯახები (ხაჯი ფუტკარაძის ოჯახი აერთიანებს 19 წევრს,
რაც ყველაზე მაღალი რიცხოვნობაა შუბნის თემში);
3. საკმაოდ მაღალ დონეზეა განვითარებული მესაქონლე-


თამაზ ფუტკარაძე, ზაურ ფუტკარაძე

ობა (მსხვლფეხა, წვრილფეხა) და მიწათმოქმედება (ხაჯი ფუტკარაძეს შუბნის თემის მასშტაბით ჰყავს ყველაზე მრავალრიცხოვანი საქონელი -20 მსხვილფეხა და 7 წვრილფეხა საქონელი, ასევე ცხენი – 1922 წლიდან დაწესებული საკმაოდ მაღალი საგადასახადო სისტემის პირობებში);

თუ დავაკვირდებით სხვა წლების აღწერის მონაცემებს, ვნახავთ, რომ მოსახლეობის რაოდენობამ პიკს მიაღწია 1980-იან წლებში. 1989 წელს წელათში მცხოვრებთა რაოდენობამ 152 ადამიანი (74 კაცი, 78 ქალი) შეადგინა (აღწერაში ოჯახების რაოდენობა არაა დაფიქსირებული). ხალხმრავლობის პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა კომლთა რაოდენობა. 2002 წლისათვის სოფელში 23 ოჯახია რეგისტრირებული, შემდგომ კი მოსახლეობის რაოდენობა საგრძნობლად იკლებს. პერსპექტივაში წელათის მოსახლეობა კიდევ უფრო შემცირდება, რადგან ახალგაზრდებს ზღვისპირა ზოლში შეძენილი აქვთ საცხოვრისები. ზოგიერთი მათგანი უკვე გადმოსულია ახალ სამოსახლოში. 1999 წლამდე სოფლიდან განსახლებული იყო 50 ოჯახი. დღეისათვის ეს რიცხვი კიდევ უფრო გაზრდილია. 2020 წ. მონაცემებით სოფელში რეგისტრირებულია 9 ოჯახი, 32 სული რეალურად კი ცხოვრობს ექვსი ოჯახი.

როგორც ცხრილის კომენტირებისას ითქვა, 1923 წლისათვის ჯერ კიდევ შენარჩუნებულია დიდი ოჯახები, რომლებიც ერთიანობის სახლში ერთად აგრძელებდნ ცხოვრებას. ისტორიამ შემოგვინახა ხაჯი ფუტკარაძის ერთიანობის სახლის აღწერა, რომელიც ადრე დარჩიძებული ფერათის საკუთრება იყო. მოგვიანებით, იგი ხაჯის საკუთრებაში გადავიდა (ხაჯის წელათში გადმოსვლის ისტორიაზე უკვე გვქონდა საუბარი). 1970-იან წლებში ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო -კვლევითი ინსტიტუტის ექსპედიციამ, რომელიც ყოფისა და კულტურის საკითხებს სწავლობდა, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების შესწავლაც დაისახა მიზნად. შუბნის თემში აჭარელთა ყოფისათვის დამახასიეთებელი ნიშნებით გამორჩეულ ყველაზე ტრადიციულ საცხოვ-

რებლად იქნა მიჩნეული ხაჯი ფუტკარაძის სახლი. ოჯახის სეგ-მენტაციის შემდეგ ეს სახლი ხაჯის შვილიშვილის – დურსუნის კუთვნილება გახდა. ერთიანობის სახლიდან გამოყოფილი ფუტკარაძეები დასახლდნენ ერთ ვერტიკალურ ზოლში – ფუტკარაძეების უბნის საფარი ტყის ქვემოთ. მკვლევარმა დეტალურად აღნირა ეს სახლი. ავტორი საცხოვრებელი კომპლექსის აღწერისას იყენებს ოსმალური გავლენის შედეგად ქართულ ლექსიკაში შემოჭრილ და დამკვიდრებულ ტერმინებს (ჰავლი, ტანთრაფა და ა. შ.), რომლებიც უხვად გვხვდება სხვა სამეცნიერო გამოცემებშიც. ჯ. მიქელაძის აღწერით, სახლი იყო ორსართულიანი, „ქვის ბინებზე“ შემდგარი. აშენებული იყო ნაძვის ხის მასალისაგან. პირველ სართულზე იყო სარკმლიანი ახორი, რომელიც შედგებოდა შესასვლელის, „ჰავლისა“ (დერეფანი) და ორი თანაბარი ზომის ახორისაგან. ჰავლი ერთ მხარეს გატიხრული იყო წვრილფეხა საქონლისათვის. ახორის მარცხენა მხარეს შემოჭედილი იყო სახბორე, ორივე ნაწილში დაგებული იყო ზღვე, რომლის შუა ნაწილი წარმოადგენდა ე. წ. სანარწყულს.



მასალის დახერხვა „ისკელეზე“ (ნახატი ჯ. მიქელაძისა)

თამაზ ფუტკარაძე, ზაურ ფუტკარაძე


საცხოვრებლის მეორე სართული შედგებოდა ხუთი ოთა-ხისაგან, რომელიც იყოფოდა შუა დერეფნით//ჰავლით. ჰავლის ბოლოში იყო პატარა ტანთრაფა (აივანი), რომლის მარცხენა მხარეს მიშენებული ჰქონდა საპირფარეშო. სახლს მეორე მხრიდანაც-კედლის მთელ სიგრძეზე ჰქონდა მეორე აივანი, რომლის ორივე ბოლო პირველ სართულს კიბით უკავშირდებოდა. დერეფნის მარცხენა მხარეს იყო სამი ოთახი. ყველაზე დიდი იყო ე. წ. „სახლი“ – საოჯახო ყოფის ცენტრი დიდი ბუხრით, ჰავლთან//შუა დერეფნათან დამაკავშირებელი შესასვლელი კარითა და ორივე მხარეს დატანებული სათავსოებით. ერთ მხარეს გამართული იყო აბანო, მეორე მხარეს კი მუსანდარა (ლოგინის შესანახი სათავსო). კედლებს ორივე მხარეს მთელ სიგრძეზე გასდევდა ხის გრძელი და ფართე ქილომიანი ტახტი (სექვი). სექვი განკუთვნილი იყო ოჯახის უფროსებისათვის. იქვე იძინებდნენ ბავშვებიც. ამ ოთახში იყრიდა თავს ოჯახის ყველა წევრი. აქვე მზადდებოდა საჭმელიც.

„სახლის“ გვერდით იყო ოდა ახალდაქორწინებულთათვის – ორი პატარა ფანჯრით. ცალკე იყო პროდუქტების შესანახი „ქილერი“//„სავხტურე“ – პატარა სარქმლით და კედლის გასწვრივ მოწყობილი თაროებით.

აივნის მარჯვენა მხარეს განლაგებული იყო სამი ოთახი: შუა ოთახი სტუმრებისათვის, ასევე საზამთრო-ბუხრიანი და საზაფხულო-უბუხრო ოდა.

საჯის სახლთან და მის საკუთებაში არსებული სასტუმრო ცალკე, დამოუკიდებელი ნაგებობა იყო ბუხრითა და ორი სექვით, რომელსაც აივანი და შესასვლელი კიბე ჰქონდა გზის მხრიდან. მისი კარი ყოველთვის ღია იყო. სტუმარს შეეძლო დაუკითხავად შესულიყო და გაეთია ღამე.


დურსუნ ფუტკარაძის სახლს გზის მხრიდან ჰქონდა ეზო/კარაპანი, სადაც ეწყობოდა შეშა და ხდებოდა მისი დამუშავება (დახერხვა, დაპობა) (იხ. ჯ. მიქელაძე, 1982:31-32)



**დურსუნ ფუტკარაძის სახლის გეგმა, ჭრილი და გენგეგმა
(ჯ. მიქელაძე)**

ჩვენი თაობის ადამიანებს კარგად ახსოვთ ეს სახლი, რომელიც დაიშალა 1970-იან წლებში.

ტიპიურია აგრეთვე დურსუნ ფუტკარაძის ყავრით დახურული საზაფხულო საცხოვრებელი (იაილა) მთა ჩირუხეში, რომელიც აღნერა ასევე ჯემალ მიქელაძემ. იგი ნარმოადგენდა ჯარგვალურ ორსართულიან ნაგებობას. მოგრძო, ოთხუთხა ფორმის პირველი სართული შედგებოდა შესასვლელი ჰავლისა და ორი ახორისაგან. „ახორქვემა“ სათავსო განკუთვნილი იყო ნვრილფეხა რქოსანი პირუტყვისათვის. მეორე სართული შედგებოდა ჰავლის//დერეფნის, საძინებელი ოთახის, სარძიეს//ქილერის და ერთ კუთხეში განლაგებული ხელსაბანისაგან. აქაც „სახლი“ (საოჯახო ყოფის ცენტრი) ყველაზე დიდი ოთახია 70-80 სმ. სისქის მიწაყრილიან იატაკზე მოწყობილი შუაცეცხლით (ჯ. მიქელაძე, 1982:32-34). აღნიშნული საცხოვრებელი ქართული ხალხური სამშენებლო ტრადიციის უტყუარი მატერიალური ფაქტია. სამწუხაროდ, ბოლო წლებში ეს სახლიც დაინგრა.



დურსუნ ფუტკარაძის იაილა მთა ჩირუხში (ჯ. მიქელაძე)

მეურნეობა

მეურნეობრივი თვალსაზრისით წელათი შუბნის სხვა სოფლებთან ერთად მაღალკულტურული სამეურნეო დასახლებაა. ამაზე მეტყველებს ხალხური გადმოცემები, ტოპონიმიკური მონაცემები (ნაპურვალი, ნაქერვალი, ნაასლები და ა. შ.) და საარქივო დოკუმენტები. ოსმალური საარქივო დოკუმენტების მიხედვით შუბნელებს (იგულისხმება ყველა თემი) შეწერილი ჰქონდათ გადასახადები ხორბლეულზე (ქერი, ხორბალი), ბოსტნეულზე, სათიბებზე, ფუტკარზე, ლორზე, კანაფზე, ცხვარზე, ხილზე, ნისქვილზე და ა. შ. იხდიდნენ აგრეთვე საქორწინო (პირველი დამის უფლების გამოსყიდვის) გადასახადსაც. დღეის მდგომარეობით სოფელში აღარაა მელორეობა, ხორბლის კულტურები და კანაფი (ზ. შაშიკაძე, მ. მახარაძე, აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთორები“ თბ. 2011, გვ. 34-55), მაგრამ

ტრადიციული დარგები: მესიმინდეობა, მეკარტოფილეობა, მე-ბალეობა, მესაქონლეობა კვლავაც ვითარდება.

სამეურნეო-ყოფითი თავისებურებებით წელათი არ გან-სხვავდება მთიანი რეგიონის სხვა სოფლებისაგან. ამიტომ მის შესახებ საუბარს აღარ გავაგრძელებთ.

მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი ხელშემწყობი პი-რობაა საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა. 1927 წელს მდ. ჩირუხისნებულზე აშენდა წელათან დამაკავშირებელი ხიდი (მარეთის ხეობა, გვ. 137). შუახევი – შუბნის გზის მშენებლობა დაიწყო ომამდე, მაგრამ ომმა შეაფერხა მისი მშენებლობა. 1946 წ. განახლდა შუახევი-შუბნის საავტომობილო გზის მშენებლო-ბა. პირველი ავტომობილი ყურთისონამდე მივიდა 1946 წ. 27 სექტემბერს. შუბნამდე გზა დასრულდა 1948 წელს. მალე გზა გაიყვანეს წელათ-გუზლიეთამდე. მთა ჩირუხამდე კი დასრულ-და 1963 წ. (ვ. მაკარაძე, მარეთის ხეობაში საავტომობილო გზე-ბის მშენებლობის ისტორიიდან, მარეთის ხეობა, 2011: 161, 162). 1960-ნი წლების დასაწყისში მოგვარდა რადიოს პრობლემა, 1974 წ. ზემო აჭარაში აციმციმდა ცისფერი ეკრანი.

ტოპონიმია

ენის ლექსიკურ სისტემაში არსებით სახელთა შორის გა-მოირჩევა ადამიანთა გვარსახელები და ტოპონიმები, როგორც ლექსიკური ფონდის გამდიდრების მნიშვნელოვანი წყარო. ტო-პონიმი ხასიათდება მდგრადობით, გამდლეობით. ამიტომ გა-მოდგება იგი საისტორიო წყაროდ. მისი წაკითხვა შეიძლება სა-უკუნეების შემდეგაც. მისი სახელმდები კოლექტივის ისტორი-ის გააზრებისათვის. ყავალული//ყავლალული და გავრიბუდიები, ყავლაყანები და ახოჭალა, ნაქერვალი და ნაფეტვარი – ეს და სხვა უამრავი ტოპონიმი უტყუარი საბუთია წელათელთა სამე-ურნეო ცხოვრების, მატერიალური კულტურის, რელიგიის და ყოფითი კულტურის სხვა სფეროების შესახებ. ერთი სიტყვით,

თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე

ტოპონიმი გადაშლილი წიგნია, რომლებშიც ნათლადაა ჩანერილი საკუთარი თავგადასავალი.

იგივე შეიძლება ითქვას გვარსახელების შესახებაც. აღნიშნული სოციალური ერთეული საუკუნეების წინ შეიქმნა. სამწუხაროდ, ქართული მეცნიერება (ამ თვალსაზრისით გამოქვეყნებული არაერთი საუკუნეადლებო ნაშრომის მიუხედავად) კვლევა-ძიების დეფიციტს განიცდის. ამიტომაც დიდია ცდუნება „აკრძალული ხილის“ გასინჯვისა. სწორედ ამან განაპირობა წინამდებარე ნაშრომში სოფლის ტოპონიმებისა და გვარსახელების წარმოდგენა. ცხადია, ჩვენ არ ვაცხადებთ საკითხის სრულყოფილად შესწავლის პრეტენზიას. იგი კომპლექსური შესწავლის საგანი უნდა გახდეს ისტორიკოსების, ენათმეცნიერების, ეთნოლოგების, ლინგვისტების მონაწილეობითა და შესაბამისად, აღნიშნულ მეცნიერებათა ასპექტების გათვალისწინებით.

ნიშანდობლივია, რომ ტოპონიმს ახასიათებს მდგრადობა. ოსმალთა სამსაუკუნოვანმა ბატონობამ ვერ შეძლო ქართული ტოპონიმიკის წამლა. როგორც მიკრო, ასე მაკროტოპონიმებმა ძირითადად შეინარჩუნა თავისი პირვანდელი სახე. უფრო მეტიც, ისტორიულ საქართველოში – ტაოსა და კლარჯეთში, სადაც იქაურმა ხელისუფლებამ ქართული კვალის წასაშლელად ყველა სოფელს სახელი შეუცვალა (სურევანი-დუთლუ, ბაზგირეთი-მეიდანლიქი, ტბეთი-ჯევიზლი და ა. შ.), მოსახლეობა მაინც ძველი ქართული სახელებით მოიხსენიებს. მიკროტოპონიმებმა მთლიანად შეინარჩუნეს თავდაპირველი სახე. რაც შეეხება წელათს, **ცალკეული გამონაკლისების** (დემურყაფი, ყავლაყანები, ყავალლული) გარდა ვერც ერთი არაქართული ტოპონიმი ვერ დამკვიდრდა აქაურთა ლექსიკაში. ადგილის აღმნიშვნელი ყველა სახელი კვლავაც ქართული დარჩა. დღეისათვის წელათის სახნავ-სათეს ფართობებსა თუ სათიბებს, ღელებს, წყაროებსა თუ ტყეებს შემდეგი სახელებით მოიხსენიებენ:

Սաենաց-Սատեսօ մոწեծո:

1. **տարոպաճա –** զայր, տարոսմեցացսո աֆցոլո;
2. **տեղնարյեծո –** աֆրյ ոյո սաենացո, ամշամագ սատօծո. աֆ-
ցոլս յը սաելու տեղուս եցեծուս ցամո Շեյրյվա;
3. **տռեաշրո –** շաբաշնորդյեծա տռենաս;
4. **լեռյ յաճա –** լեռուս մոմդյեծարյ յաճա;
5. **յազլայանյեծո** սաժառ մինչ, սաժառ աֆցոլո Ֆյոնճա դաპո-
րուսպորյեթյուլո մեարյեծուս կոնֆոլոյթս;
6. **արոյայանյեծո –** յրտ-յրտո პորյելմացեռվրյեթլուս-
արոյաս (րոմլուս Շտամոմացլյեծո ցեռվրոնյեն տյորյետ-
մո) պոյոլո յաճա;
7. **յարնիյ յաճա –** սաելուան աելուս մդյեծարյ սաենացո դար-
տօծո;
8. **նազյիարո//նաբյարո** – սակարմութամո մոწեծո

Սատօծյեծո

1. **ցայրդախո –** սաենացագ տյ սատօծագ ցահենոլ-ցանմենդո-
լո ցայրդո//գուգո դաերուլոնծուս դարտօնծո („աեռս ալյ-
ծա“ դարտօգ ցազրցելյեթյուլո Ցյորմինու ქարտցելուա
սամյուրնյո պոյոլոյիո);
2. **ծոկվերախո –** սատօծագ ցահենոլ-ցանմենդոլո դարտօնծո,
սաժառ մոյուլացու դատցուս ծոկվերո;
3. **ցոծակալա –** ցոծուս ցորմուս կալա;
4. **ցիօքորյեծո –** ցիօքուս პորաս մդյեծարյ սատօծո;
5. **յերնօանվակոյեծո –** յերնօանո դարտօնծո;
6. **տեղոյեծո –** տեղուս եցեծուս սոմրացլուս ցամո;
7. **տեղոյեծոնցերո –** տեղոյեծուս տաշնիյ մդյեծարյ սատօծո, ամ-
շամագ ტիյյ;
8. **աեմեդացայրդյեծո –** աեմեդուս մոյր նյելատմո ամոսացալնիյ
ցահենոլո աֆցոլո;
9. **լեռյոյեծո //լեռյոյեծո –** սատօծո լեռուսպորա աֆցոլաս;

თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე

10. **ნაქუხვარი** – ადგილი, რომელიც ადრე ხშირი ქუხილით ხასიათდებოდა;
11. **ნაელუები** -ნაქუხვარის გამოღმით მდებარე სათიბი, სა-დაც ქუხილის დროს ხშირი იყო ელვა;
12. **პანტნარი** – პანტა მსხლების სიმრავლის გამო;
13. **პანა ჭალა** – მცირე ფართობის სათიბი;
14. **სერი** – სათიბი სოფლის თავზე;
15. **უკანჭალა** – ძირითადი სათიბების უკანა მხარეს მდება-რე ჭალა;
16. **ლრმა ლელე** – ჩაღრმავებული ჭაობიანი სათიბი
17. **წყაროები** – სათიბი, სადაც არის წყარო
18. **ქუპჩის** ნათიბი;

რელიგიური შინაარსის შემცველი ტოპონიმები:

1. **ნასაყდრისერი** – სათიბი, სადაც ყოფილა საყდარი. შე-მორჩენილია საყდრის ქვები ზოომორფული გამოსახუ-ლებებით;
2. **გავრიბუდიები** – ადგილი, სადაც თავი შეაფარეს ქრის-ტიანებმა, რომლებსაც ოსმალები გიაურებს ეძახდნენ;
3. **ყრულელე** – ადგილი, სადაც ადამიანს ეუფლება შიში, რადგან ბუდობდნენ დემონური ძალები.

ტყე:

1. **გალმატყე** -სოფლის გალმით მდებარეობის გამო;
2. **გუზლიეთი ტყე**
3. **დემურყაფი** – რკინის კარი, საიდანაც იყო გადასას-ვლელი იმერხევისაკენ;
4. **გადასავალი** – წელათიდან ტომაშეთისაკენ გადასას-ვლელი ადგილი;
5. **ლელვანი** – სათემო ტყე. იქ არის სათიბებიც, სადაც იზ-რდებოდა „ლელი“ ბალახი;

6. **ნამწვავი** – ტყე, რომელიც ხანძრის გამო დამწვარა. ეხლა ბუნებრივად გაშენებული ტყეა;
7. **კილდიქვაბი** – ტყე, რომელსაც კლდის გამოქვაბულის ფორმა აქვს;

სამეურნეო ტოპონიმები:

1. **ნაფეტვარი** – ადგილი, სადაც ადრე ითესებოდა ფეტვი;
2. **ნაქერვალი** – ტყედ ქცეული ადგილი, სადაც ადრე ითესებოდა ქერი;
3. **ნაასლები** – ადრე მოყავდათ ასლი.

სხვა შინაარსის შემცველი ტოპონიმები

1. **ძველწელათი** – ადრინდელი, ეხლა გაუკაცრიელებული სოფელი, სადაც ამჟამად არის წისქვილები და შემორჩენილია ძველი, ქრისტიანული უსახელო საფლავები;
2. **მალარა** – სოფლის გაღმით, კლდეში არსებული გამოქვაბული;
3. **ბეთმეზა მოსახვევი** – ახალი ტოპონიმი, სკოლის მოსწავლეების მიერ შერქმეული სახელი. იმ ადგილას ინახავდნენ ბეთმეზს – სკოლიდან დაბრუნებულებს რომ მიერთმიათ.

გვარობრივი შემადგენლობა და გავრცელების გეოგრაფიული არეალი

თანამედროვე წელათი არ ხასიათდება პოლიგენური და-სახლებით. სოფელი ორი გვარით – ვაშაყმაძეებითა და ფუტკა-რაძეებითაა წარმოდგენილი. მათგან, ვაშაყმაძეები იმერული, ხოლო ფუტკარაძეები – იმერხეული გენიალოგიური ჯგუფის წარმომადგენლებად მიიჩნევენ თავს.

სანამ წელათში მცხოვრები ამ ორი საგვარეულოს ისტორიის საკითხებს შევეხებით, მანამდე გვინდა წარმოვადგინოთ გარკვეული ინფორმაცია ზოგადად გვარების წარმოშობის შესახებ.

ზოგადად, როდის წარმომშვა ქართული გვარები? გვქონდა თუ არა ქართველებს გვარები ისტორიულ წარსულში?

არსებობს მოსაზრება, რომ საქართველოში გვარი გაჩნდა VI საუკუნიდან (ა.სილაგაძე, ა. თოთაძე, 1997:11). ვახუშტი ბაგრატიონი ძველი ქართველი თავადების გვარებს VI-XV საუკუნეების ფარგლებში ათავსებდა. უკვე IX საუკუნეში ცნობილია დონაურების ფეოდალური საგვარეულო კახეთში, ბაღვაშთა საგვარეულო არგვეთში (მოგვიანებით კლდეკარის საერისთავოში), X-XI საუკუნეში დასავლეთ საქართველოს ფეოდალური საგვარეულოა მარუშიანები. ასევე ძველია გვარები: გრძელიძე (მოხსენიებულია 1028 წელს), ყანჩაველი (1030 წ.), დადიანი (1030 წ.), დვალი (1038 წ.) (ა. სილაგაძე, ა. თოთაძე, 1997:12). და სხვა.

ქართული გვარსახელების სიძველეზე მეტყველებს XII-XVII საუკუნეების პერიოდში დაწერილი მოსახსენებლების თავმოყრილი წუსხა – „ტბეთის სულთა მატიანე”. ტბეთის საყდარის შემწირველი კლარჯეთსა და აჭარაშიც იყვნენ. მასში დასახელებულია 348 ეთ, ძე, შვილ და ფხე სუფიქსიანი გვარი: ბერიეთი, გიორგაეთი, ცხადაეთი, სირაეთი, ვაცაეთი, მეფუტკრიეთი, ახალასძე, გათენასძე, გიორგასძე, დოლიძე, კაკალოსძე, ძნელასძე, წიქარისძე, დვალიშვილი, მიქაშვილი, გურაფსაფხე, ბუთმანიმხე და ა.შ. (ტბეთის სულთა მატიანე, 1977:33-35; რ.თოფჩიშვილი, 1977:52-53).

ოფიციალური ქართული ანთროპონიმული მოდელი სამწევრიანია (სახელი, გვარი, მამის სახელი). იგი არც რუსებისა-გან შეგვითვისებია და არც ევროპელთაგან. არსებობს უამრავი დოკუმენტი და საბუთი, რომლებშიც პიროვნებები სახელით, მამის სახელითა და გვარითაა წარმოდგენილი (იხ. ქართლი ისტორიული საბუთების კორპუსი 1984: 17-18).

ქართული საისტორიო საბუთების მიხედვით **საქართველოს** მკვიდრნი იყოფოდნენ ორ მთავარ ჯგუფად: „გუარიანებად“ და „უგუარიანად“ (ა.სილაგაძე, ა.თოთაძე, 1997:10). „გვარიანთა“ წარმოდგენა უმრავლეს შემთხვევაში ხდებოდა სახელითა და გვარით, ხოლო „უგვაროთა“ ვინაობის აღსანიშნავად გამოიყენებოდა სახელი და მამის სახელი, ან სახელი და სადაურობის აღმნიშვნელი ეთნონიმი. (მაგ. მარკოზ აჭარელი, იოანე ზარზმელი, თევდორე ჯავახი და ა.შ. გამოიყენებოდა აგრეთვე სახელისა და ხელობის აღმნიშვნელი ტერმინებიც: მაგ. პაპუნა ხაბაზი, ეპიფანე მჭედელი...) (ა.სილაგაძე, ა.თოთაძე, 1997:10).

წელათში, ისევე როგორც შუბნის თემის სხვა სოფლებში მაცხოვრებლები როგორც ჩანს ერთიანდებოდნენ „უგუაროების“ კატეგორიაში. მე-16 ს. მეორე ნახევრის ოსმალური აღნერის მასალებში იორამის ციხის რაბათის/„შუბნის“ მცხოვრებნი სახელითა და მამის სახელებით არიან წარმოდგენილნი. სწორედ ამ ფაქტითაა განპირობებული ნებისმიერად, შემთხვევით, კეთილხმოვნების თუ სხვა მოსაზრებებით განპირობებული გვარების არჩევა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში. მათ შორის თანამედროვე წელათში მცხოვრებნიც.

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით წელათის პირველი მაცხოვრებლები იყვნენ დღევანდელი **ვაშაყმაძეების** წინაპრები (თუმცა, როგორც ჩანს, მანამდე სხვებსაც უცხოვრიათ, რაზეც ძველწელათში არსებული უსახელო საფლავებიც მეტყველებს).

ვაშაყმაძეები ერთ-ერთი მცირერიცხოვანი გვარია საქართველოში. 1999 წლის მონაცემებით მათი რაიდენობა საქართველოში იყო 2898 ადამიანი (224-ე ადგილზე), ხოლო 2017 წლის

თამაზ ფუტკარაძე, ზაურ ფუტკარაძე

მონაცემებით 3198 (თბილისი-319, ქუთაისი-428, ბათუმი-271, გორი-19, რუსთავი-24, მარნეული-1, ზუგდიდი-1, გარდაბანი-3, ქობულეთი-159, გალი-9, ოზურგეთი-287, ბოლნისი-2, თელავი-5, სოხუმი-9, ზესტაფონი-3, გურჯაანი-4, ხაშური-1, ხელვაჩაური-104, ნყალტუბო-19, სამტრედია-122, საჩხერე-2, ჭიათურა-1, ლაგოდეხი-2, ქარელი-3, კასპი-3, მცხეთა-3, ახალციხე-2, ფოთი-7, თერჯოლა-13, ახმეტა-3, ლანჩხუთი-54, ოჩამჩირე-5, ყვარელი-1, გულრიოფში-2, ხულო-253, დუშეთი-1, ხობი-1, ვანი-475, წალენი-114, დედოფლისწყარო-9, ხონი-1, ბალდათი-121, ტყიბული-6, თეთრიწყარო-3, აბაშა-4, ჩოხატაური-113, ქედა-28, გაგრა-3, ადიგენი-91, შუახევი-69, ასპინძა-2, ყაზბეგი-1, გუდაუთა-1, საზღვარგარეთ-11) (კვაჭანტირაძე კ., 2017).

მათი წინაპრები იმპერეტოს ერთ-ერთი რაიონიდან – ვანი-დან სხალთის ხეობის სოფელ ყინჩხურში გადასულან საცხოვრებლად. სხალთაში მოვინანებით გაჩენილა ეპიდემია – ციება. მათ კვლავ დაუწყიათ ახალი სამოსახლოს ძიება, რამაც ისინი წელათში აიყვანა. გვარის ამოსავლად მიჩნეულია რთულფუძიანი საკუთარი სახელი **ვაშაყმა** (ვაშა+ყმა). იგი გვხვდება მე-11 ს. ერთ-ერთ წარწერაში „განუსვენე სულსა მამისა ვაშაყმაისა“ (ი. მაისურაძე, 1990:64-65). საკუთარ სახელად დასტურდება აგრეთვე **ვარშაყი**. წყაროებში მოიხსენიება გვარები: **ვაშაყაშვილი**, **ვაშაყაშვილი**, **ვაშაყმაშვილი**, **ვაშაყმაძე** (მიხ. ქამადაძე, 2011:114). ეს გვარი აჭარაში მოგზაურობის დროს, 1895 წელს მოიხსენია თ. სახოკიამ (თ. ფუტკარაძე, 2001:36).



ვაშაყმაძეების უბანი

զամապմածեցն մոռհեցը, րոմ մատ ուսմալեցիս პերոռգլֆի ողլու դածոլոյեցիտ ցարո ար մոյլուատ, տոմբա սելոմոլլեցիս սաხելուտ ուշնոծեց մատ նշոնցիս տեմին. ողլու դածոլոյեցիտ ցարոցիս ցարութելեց ուսմալուրո პոլուգուցիս նանոլու ոյս ճա օցի ար ննդա օյնաս մոլեցնուլու նշուրացեմպոյլագ արցերտո սացարույլուս մոյր. ողլու-ուրորմագուան ցարոցիս ծեցրո սեցա սացարույլուս նարմոմագցենուց նարպոյլեց, րապ մուսասալմեցելու մի տացալսաթրուսու, րոմ սածու սմեցա երովնուլու ունոնցիտ մալալ քոնես. մատուցու, րոցորու յարտաւուսատուցու մոյւցեցելու ուսմալուրոյնուցիս ցարո, տոմբա ուստորուուան ցեր ամովմլուտ ուսմալու սամսայունոցանու ծագոնուցիս պերոռուս, րոմելմաց սածոցագուեցրուու ցերովրեցիս պայլա սոյերոնից մոածեցունա տացուսու նարպոյլուտու ցալուցնա. ամու մոյեցացագ մատ ցեր նշեցլու հայկալատ երովնուլու նշուլուսկայետեցի, յարտուլու պոյլուսա ճա կուլութուրուս տացուսեցուրեցանու, րամապ սածոլուու ութրունցելու ետնուցուրո տացուստացագուցիս նշենարինեցի.

1999 նլուս մոնացեմեցիտ նշուատնու ցերովրոնդա զամապմածետա 12 ոչակո, 2020 նլուսատուցու կո մատու րաուցենուց նշեմուր- ճա ենտամճյ:

1. զամապմածյ նուգարո մեցունուուսէյ, ոչակու նշուրեցի: տամածու, ցոյլու, րոմանու;
2. զամապմածյ նուգարո պուսու ցյ, ոչակու նշուրո յետե- զան ութիկարացի;
3. զամապմածյ զայսա զենորուուսէյ, ոչակու նշուրեցի: րամա- ծու, քոնարո, ցոյրցու, սալումիյ;
4. զամապմածյ լուցան ծանրամալուուսէյ, ոչակու նշուրեցի: նշունան, մոնդու, ցուլուարու;
5. զամապմածյ յանձեց նշուրուուսէյ, ոչակու նշուրո մապո- լու ութիկարացի.

1999 նլուսատուցու նշուատուուան ցանսախլեցնու ոյս զամա- մածետա 35 ոչակո (ծառումու 7, պորոլուստացու -1, սալունայրու - 2, փառնալու-2, ելցահայրու-3, տելնարու-2, մաենջայրու 1,

თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე

შრომა-7, სუფსა-5, ნასაკირალი-1, ფიროსმანი 1). დღეისათვის კიდევ უფრო გაფართოვდა როგორც განსახლებულთა რაოდენობა, ისე განსახლების გეოგრაფიული არეალი. 2021 წლის მონაცემებით წელათიდან განსახლებულ ვაშაყმაძეთა და მათ შთამომავალთა რაოდენობა გაიზარდა 69 ოჯახამდე.

ცხრილი N 5

წელათელ ვაშაყმაძეთა და მათ შთამომავალთა განსახლების სახელობითი მონაცემები და გეოგრაფიული არეალი 2020 წლის მონაცემებით

N	გვარი, სახელი	განსახლების ადგილი	რეგიონი
1	თემურ შაქროს ძე ვაშაყმაძე	სუფსა	გ უ რ ი ა
2	ავთანდილ რასიმის ძე ვაშაყმაძე	სუფსა	
3	თენგიზ შაქროს ძე ვაშაყმაძე	სუფსა	
4	ნუგზარ გივის ძე ვაშაყმაძე	სუფსა	
5	ნუგზარ ვაჟას ძე ვაშაყმაძე	სუფსა	
6	ალიოშა ვეზირის ძე ვაშაყმაძე	სუფსა	
7	რევაზ გურამის ძე ვაშაყმაძე	ურეკი	
8	სერგო პოსოს ძე ვაშაყმაძე	შრომა	
9	გურამ მეიდანის ძე ვაშაყმაძე	შრომა	
10	ამირან//ჯემალ მოხერემის ძე ვაშაყმაძე	შრომა	
11	ზია მეიდანის ძე ვაშაყმაძე	შრომა	
12	გოჩა ალის ძე ვაშაყმაძე	შრომა	
13	რუსლან ალის ძე ვაშაყმაძე	შრომა	
14	გიორგი//ახმედ ვაშაყმაძე	შრომა	
15	რაულ ნურის ძე ვაშაყმაძე	ბობოყვათი	ქობულეთი
16	რევაზ რასიმის ძე ვაშაყმაძე	ბობოყვათი	
17	ნუგზარ შემსოს ძე ვაშაყმაძე	ჩაქვი	

18	ბესიკ შაქროს ძე ვაშაყმაძე	ჩაქვი	
19	თამაზ შემსოს ძე ვაშაყმაძე	ოჩხამური	
20	გენო თამაზის ძე ვაშაყმაძე	ოჩხამური	
21	მიხეილ შერიფის ძე ვაშაყმა-ძე	ბათუმი, გორო-დოკი	
22	შაქრო შერიფის ძე ვაშაყმაძე	ბათუმი, გორო-დოკი	
23	ზაური ალის ძე ვაშაყმაძე	ბათუმი, გორო-დოკი	
24	რაულ მიხეილის ძე ვაშაყმა-ძე	ბათუმი, გორო-დოკი	
25	გიორგი მიხეილის ძე ვაშაყ-მაძე	ბათუმი, გორო-დოკი	
26	ალექო ომარის ძე ვაშაყმაძე	ბათუმი	
27	იური ზიას ძე ვაშაყმაძე	ბათუმი	
28	დავით სერდალის ძე ვაშაყ-მაძე	ბათუმი	
29	შალვა სერდალის ძე ვაშაყ-მაძე	ბათუმი	
30	ასლან ნუგზარის ძე ვაშაყმა-ძე	ბათუმი	
31	მამუკა ნუგზარის ძე ვაშაყ-მაძე	ბათუმი	
32	ბადრი ალიოშას ძე ვაშაყმაძე	ბათუმი	
33	თენგიზ როსტომის ძე ვაშაყ-მაძე	ბათუმი	
34	დათორ მერაბის ძე ვაშაყმაძე	ბათუმი	
35	მერაბ ავთანდილის ძე ვაშაყ-მაძე	ბათუმი	
36	გია მერაბის ძე ვაშაყმაძე	ბათუმი	
37	ვარდან ვლადიმერის ძე ვა-შაყმაძე	ბათუმი	
38	ირაკლი ნუგზარის ძე ვაშაყ-მაძე	ბათუმი	
39	გოჩა უორას ძე ვაშაყმაძე	ბათუმი	
40	მამუკა უორას ძე ვაშაყმაძე	ბათუმი	

ბათუმი

თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე

41	გურამ ნოდარის//ხასიას ძე ვაშაყმაძე	ბათუმი	
42	ამირან ნოდარის//ხასიას ძე ვაშაყმაძე	ბათუმი	
43	ბადრი სერგოს ძე ვაშაყმაძე	ბათუმი	
44	ზურაბ გიორგის ძე ვაშაყმაძე	ბათუმი	
45	ანზორ გიორგის ძე ვაშაყმაძე	ბათუმი	
46	მერაბ მიხეილის ძე ვაშაყმაძე	ბათუმი	
47	მალხაზ რასიმის ძე ვაშაყმაძე	ბათუმი	
48	მურად ნუგზარის ძე ვაშაყმაძე	მახინჯაური	
49	გივი//თორუნ ვეზირის ძე ვაშაყმაძე	ჭარნალი	
50	როსტომ ალიოსმანის ძე ვაშაყმაძე	ჭარნალი	
51	ალექსი მერაბის ძე ვაშაყმაძე	ჭარნალი	
52	იუზა ავთანდილის ძე ვაშაყმაძე	ჭარნალი	
53	მურმან ყაზბეგის ძე ვაშაყმაძე	ხელვაჩაური	
54	მახარე ავთანდილის ძე ვაშაყმაძე	ხელვაჩაური	
55	მურად ვლადიმერის ძე ვაშაყმაძე	ხელვაჩაური	
56	ფირიდონ ისრაფილის ძე ვაშაყმაძე	ხელვაჩაური	
57	თემურ მემედის ძე ვაშაყმაძე	ხელვაჩაური	
58	ჯემალ თამაზის ძე ვაშაყმაძე	მეჯინისწყალი	
59	რომან თამაზის ძე ვაშაყმაძე	მეჯინისწყალი	
60	რომან ნიაზის ძე ვაშაყმაძე	ყოროლისთავი	
	ბადრი მოედინის ძე ვაშაყმა-	თხილნარის მე-	ხელვაჩაური

	ძე	ურნეობა	
61	ავთანდილ ისრაფილის ძე ვაშაყმაძე	თხილნარის მე-ურნეობა	
62	ედუარდ ამირანის ძე ვაშაყ-მაძე	თბილისი	ქართლი
63	მიხეილ ნოდარის ძე ვაშაყმა-ძე	სამთაწყარო (კახეთი)	კახეთი
64	აჩიკო მურმანის ძე ვაშაყმაძე	რუსეთი	
65	ჯემალ ნურის ძე ვაშაყმაძე	მოსკოვი (რუ-სეთი)	რუსეთი
66	მამუკა ავთანდილის ძე ვა-შაყმაძე	კრასნოდარი (რუსეთი)	
67	დათო ვლადიმერის ძე ვაშაყ-მაძე	აშშ	აშშ

როგორც ცხრილიდან ჩანს, წელათიდან განსახლებული ვაშაყმაძეები ცხოვრობენ საქართველოს ოთხ რეგიონში (გურიაში – 14 (სუფსა – 6, ურეკი-1, შრომა-7); კახეთში – 1 (სამთაწყარო); ქართლში – 1 (თბილისი); აჭარაში – 47 (ქობულეთში – ბობოყვათში, ჩაქვსა და ოჩხამურში – 6, ბათუმში – 27, ხელვა-ჩაურში – ჭარნალში, თხილნარის მეურნეობაში, მახინჯაურში, დაბა ხელვაჩაურში, მეჯინისწყალზე, ყოროლოსთავში – 15) ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთა – რუსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში (რუსეთში – 3 (მოსკოვი, კრასნოდარი); ამერიკაში – 1).

წელათის მეორე საგვარეულოს ფუტკარაძეების გვარით იცნობენ. ზოგადად, ფუტკარაძეები ფართოდ გავრცელებულია როგორც შუბნის თემში, ისე სრულიად საქართველოში (სულ: 8149, მათ შორის: თბილისი-384, ქუთაისი-184, ბათუმი-1784, გორი-11, რუსთავი-52, მარნეული-55, ზუგდიდი-136, გარდაბანი-41, ქობულეთი-452, გალი-28, ოზურგეთი-543, ბოლნისი-7, თელავი-2, სოხუმი-8, ზესტაფონი-303, გურჯაანი-5, ხაშური-7, საგარეჯო-5, ხელვაჩაური-1274, წყალტუბო-86, სამტრედია-21, საჩხერე-1, ჭიათურა-6, ახალქალაქი-2, ლაგო-

თამაზ ფუტკარაძე, ზაურ ფუტკარაძე

დეხი-29, ქარელი-5, კასპი-2, მცხეთა-3, ახალციხე-3, სენაკი-19, ფოთი-17, თერჯოლა-50, ახმეტა-14, ბორჯომი-3, ხობი-15, ვანი-99, წალკა-58, წალენჯიხა-1, დედოფლისწყარო-88, ხონი-76, ბაღდათი-3, ტყიბული-8, ჩხოროწყუ-1, თეთრიწყარო-9, ხარაგაული-2, აბაშა-61, ჩოხატაური-4, ქედა-29, გაგრა-58, ადიგენი-26, შუახევი-1701, ცაგერი-78, ასპინძა-7, ცხინვალი-5, მესტია-1, ახალგორი-1, ტყვარჩელი-6, საზღვარგარეთ-11) (კვაჭანტირაძე კ., 2017:482)

ფუტკარაძები ცხოვრობენ თემის თითქმის ყველა სოფელში. საზოგადოდ, ფუტკარაძეების წარმომავლობა უკავშირდება მაჭახლის ხეობას. „ტბეთის სუთა მატიანეში“ გვხდება ტოპონიმი მეფუტკრიეთი და გვარი მეფუტკრისძე (თ. ფუტკარაძე, 2001:36). მთხოვნელთა გადმოცემით აქედან გამრავლებულან ფუტკარაძეები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

წელათელ ფუტკარაძებს არ აკავშირებთ გენეტიკური ნათესაობა მაჭახლის ფუტკარაძეებთან. სავარაუდოდ, არც წელათელ ფუტკარაძეებს ჰქონდათ გვარი ოსმალობამდე. ოსმალობის პერიოდში მათ ჩაუშოლების სახელით მოიხსენიებდნენ, რადგან მათი ერთ-ერთი წინაპარი ჩაუში იყო (დაბალი სამხედრო ჩინის ჯარისკაცი ისმალთა არმიაში. ძველ საქართველოში კი „ჩაუში//ჯაუში“ მცველს აღნიშნავდა).

საქმიანობის აღნიშნული სფეროს საფუძველზე გაფორმებულმა გვარმა ვერ ჰპოვა გავრცელება. იგი არ დაიმკვიდრეს წინაპრებმა. ამ საგვარეულოს ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის ხაჯის სამალოცველო მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ მათ არაოფიციალურად დაუმკვიდრდათ **ხაჯიშვილების** გვარი. თუმცა საბჭოთა წყობილების დამყარებისთანავე ხელი-სუფლებამ დაინტყო ქართული გვარების აღდგენის პროცესი. ვი-საც ჰქონდა და ახსოვდა თავისი წინაპრების გვარი, აღიდგინეს (უპირატესად წარჩინებულთა შთამომავლები. მაგ. ბეჟანიძეებს ოსმალობამდე ჰქონდათ ეს გვარი. ოსმალობის დროს ისინი ბეჟანოლლებად იწოდებოდნენ, ასევე ხილშიშვილები და ზოგიერთი სხვა საგვარეულო. მათ შეუნარჩუნეს გვარს ქართული ფუ-

ძე, რომელზეც დაურთეს ოღლი დაბოლოება). ვინც არ იცოდა (და აბსოლუტურმა უმარავლესობამ არ იცოდა, უბრალოდ, მანამდე არ ჰქონდათ გვარი), გვარი მიიღო ნეპისმიერად – მოსახლეობისათვის წარდგენილი გვარების კატალოგიდან.

დღევანდელი ფუტკარაძეების წინაპრები დარჩიძეებში მისულნი არიან. რესპონდენტები სხვადასხვა ვერსიას ასახელებენ. რიზალი ფუტკარაძე – გადმოცემის საფუძველზე წინაპრებს იმერხევის სოფელ სურევანიდან მოსულებად მიიჩნევდა. შემდეგი თაობის რესპონდენტები ასახელებდნენ სურებს და სურამს. ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს ისტორიის შელამაზების მცდელობასთან. იმერხევი დღეს ოსმალეთის პოლიტიკურ საზღვრებშია მოქცეული და ანტითურქული საბჭოთა პროპაგანდის პირობებში იქედან წარმომავლობა ცუდ ტონად აღიქმებოდა ობივატელის ცნობიერებაში (ასევე მალავდნენ თავიანთ წარმომავლობას დღევანდელი თურქეთის საქართველოს ტერიტორიიდან შუნბნის თემში მცხოვრები არაერთი გვარის წარმომადგენლები). რაც შექება სურებიდან ან სურამიდან წარმომავლობის ვერსიას, ჩვენის ლრმა რწმენით ეს ხელოვნურადაა შექმნილი და უკავშირდება დარჩიძეები მცხოვრები სურმანიძეების (მელეგოლლების განშტოება) და წელათელი ფუტკარაძეების საერთო წარმომავლობას. ისინი იყვნენ ერთმანეთის გამრიგოები. ამიტომ გავრცელდა მცდარი ვერსია, თითქოს წელათელ ფუტკარაძეთა წინაპრები სურმანიძეები იყვნენ, წარმომავლობა კი გვარის შესაბამისად სურებთან ან სურამთანაა დაკავშირებული. რეალურად, წელათელი ფუტკარაძეების წინაპრები არიან „გამრიგოები“ დღეს მცხოვრები სურმანიძეების ერთი განშტოებისა, რომლებსაც მელეგოლლების გვარით იცნობდნენ. მათაც ეს გვარი მიიღეს საბჭოთა რეჟიმის დაარსების დროიდან, შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე, როცა მოხდა ქართულ გვარებზე გადასვლა.

არ გვაქვს არავითარი საფუძველი არ ვერწმუნოთ საგვარეულო ისტორიის შესანიშნავი მცოდნის რიზალი ფუტკარაძის ინფორმაციას. იმერხევის სოფელ სურევანიდან წარმომავლობა სულაც არაა შეურაცხმყოფელი. პირიქით, კლარჯეთ/შავშეთი,

თამაზ ფუტკარაძე, ზაურ ფუტკარაძე

რომელშიც შედის იმერხევის ხეობა, ქართული კულტურის აკ-ვანი, განათლების უძველესი კერა იყო, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა სრულიად საქართველოს ეკონომიკურ და პო-ლიტიკურ ცხოვრებაში. ქვეყნის გაერთიანების მოთავენიც სამ-ხრეთ-საქართველოს მკვიდრნი იყვნენ. ამდენად, ნამდვილად აქვთ საამაყო ამ საგვარეულოს წარმომადგენლებს თავიანთი კლარჯული წარმომავლობით. ამ სტრიქონების ავტორს არაერ-თხელ ჰქონია შესაძლებლობა მოენახულებინა ეს შესანიშნავი სოფელი, რომელსაც თურქებმა გადაარქვეს სახელი და დუთ-ლუ უნიდეს (ქართული კვალის წასაშლელად). იქ ცხოვრობენ გულანთებული ქართველები, თუმცა წელათელ ფუტკარაძეებ-თან ნათესაობის შესახებ ნაკლებად იციან. გამონაკლისია ე. წ. ფუტების საგვარეულო, რომლებიც დარწმუნებით ვერ ამბობენ, თუმცა გარკვეული კავშირების არსებობის შესახებ აკეთებენ მინიშნებებს.

1999 წლისათვის წელათში ცხოვრობდა ფუტკარაძეთა საგვარეულოდან ოთხი ოჯახი. ოთხი ოჯახია დარჩენილი 2020 წლის მდგომარეობითაც, ოლონდ იმ განსხვავებით, რომ ოჯა-ხის წევრთა რაოდენობა ორ სულს არ აღემატება და მხოლოდ მეუღლებით შემოიფარგლება:

1. ფუტკარაძე ზურაბ //ნიაზი – ოჯახის წევრი ნაზიკო;
2. ფუტკარაძე გურამ – ოჯახის წევრი დარევანი;
3. ფუტკარაძე შალვა – ოჯახის წევრი თინა;
4. ფუტკარაძე ალექსანდრე //იაშა – ოჯახის წევრი ეთერი

1999 წლის მონაცემებით წელათიდან განსახლებული იყო 15 ოჯახი (თხილნარი 1, ახალშენი 5, სუფსა 2, ნარუჯა-2, ნატა-ნები 1, ფერია 1, შრომა-3). დღეის მდგომარეობით მათი რაო-დენობა გაიზარდა 33-მდე.

ცხრილი N 5

წელათიდან განსახლებულ ფუტკარაძეთა და მათ შთამომავალ-
თა რაოდენობის ამსახველი ცხრილი:

	სახელი, გვარი	განსახლების ადგილი	რეგიონი
1.	ფუტკარაძე რომან შუქრის ძე	შრომა	
2.	ფუტკარაძე ნოდარ ალის ძე	შრომა	
3.	ფუტკარაძე ირაკლი ნოდარის ძე	შრომა	
4.	ფუტკარაძე შალვა დურსუნის ძე	შრომა	
5.	ფუტკარაძე შოთა დურსუნის ძე	შრომა	
6.	ფუტკარაძე რევაზ შუქრის ძე	ურეკი	
7.	ფუტკარაძე რამაზ იაშას ძე	ნატანები	
8.	ფუტკარაძე რაული იაშას	ნატანები	გურია
9.	ფუტკარაძე ხასია სადოს	ნარუჯა	
10.	ფუტკარაძე მერაბ ხასიას ძე	ნარუჯა	
11.	ფუტკარაძე ზია//ნიქო სადოს ძე	ნარუჯა	
12.	ფუტკარაძე იუსუფ სადოს ძე	სუფსა	
13.	ფუტკარაძე ვაჟა აბასის ძე	სუფსა	
14.	ფუტკარაძე ბაგრატ ვაჟას ძე	სუფსა	
15.	ფუტკარაძე ტარიელ ნიაზის ძე	ხელვაჩაური	აჭარა
16.	ფუტკარაძე ფრიდონ ვაჟას ძე	ხელვაჩაური	
17.	ფუტკარაძე თამაზ ქაზიმის ძე	თხილნარის მე- ურნეობა	
18.	ფუტკარაძე ზულალ ფერათის ძე	ახალშენი	
19.	ფუტკარაძე ზაური ნოდარის ძე	ახალშენი	
20.	ფუტკარაძე როლანდ იოსების ძე	ახალშენი	
21.	ფუტკარაძე ომარ იოსების ძე	ახალშენი	
22.	ფუტკარაძე ზია ლევანის ძე	ბათუმი, გორო- დოკი	
23.	ფუტკარაძე ოთარ ლევანის ძე	ბათუმი, გორო- დოკი	
24.	ფუტკარაძე შოთა გოჩას ძე	ბათუმი	
25.	ფუტკარაძე ჯაბა ზაურის ძე	ბათუმი	

თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე

26.	ფუტკარაძე გოჩა შოთას ძე	ბათუმი	
27.	ფუტკარაძე ავთანდილ ვაჟას ძე	ბათუმი	
28.	ფუტკარაძე გოჩა ნიქოს ძე	ბათუმი	
29.	ფუტკარაძე როინ იაშას ძე	ბათუმი	
30.	ფუტკარაძე რონ შალვას ძე	ბათუმი	
31.	ფუტკარაძე ემზარ გურამის ძე	ბათუმი	
32.	ფუტკარაძე ჯუმბერ გურამის ძე	ოჩხამური	
33.	ფუტკარაძე რამინ გურამის ძე	შუახევი	

როგორც ცხრილიდან ჩანს, ფუტკარაძეთა განსახლების გეოგრაფიული არეალი ორი რეგიონით – აჭარითა და გურიით შემოიფარგლება. მათი ძირითადი ნაწილი – 19 ოჯახი აჭარაში დასახლდა (ბათუმი, ხელვაჩაური, ქობულეთი, შუახევი), მეორე ნაწილი კი – 14 ოჯახი გურიაში (შრომა, ურეკი, ნატანები, ნარუჯა, სუფსა).

ცხრილი N 7

**ნელათში მცხოვრებთა და ნელათიდან განსახლებულთა
რაოდენობა და განსახლების გეოგრაფიული არეალი**

2020 წლის მდგომარეობით

წელი	საგვარეულო	ადგილზე მცხოვრები	განსახლებული	განსახლების ადგილი
2020	ვაშაყმაძე-ები	5	67	აჭარა – 47; გურია – 14; კახეთი – 1; ქართლი -1 რუსეთი – 3; ამერიკა – 1.
	ფუტკარაძეები	4	33	აჭარა-19; გურია – 14.
სულ		9	100	აჭარა – 66; გურია – 30; კახეთ – 1; ქართლი -1 რუსეთი – 3; ამერიკა – 1.

როგორც ცხრილიდან ჩანს, სოფელი გაუკაცრიელების საფრთხის წინაშეა. წელიათში ამჟამად რეგისტრირებულია მხოლოდ ცხრა კომლი, განსახლებულია 102 ოჯახი. სოფლის დაცარიელება მტკიცნეულად აღიქმება იქაურებმი. სწორედ ამ ტკიცილმა ათემევინა ვლადიმერ ვაშაყმაძეს გუშიჩამნვდომი ტკიცილიანი სტრიქონები:

აღარ ამოდის ბუხრიდან კვამლი,
სოფელში დავრჩით სულ ხუთი კომლი,
გამოელიათ ქალაქებ მარაგი (ლობიო, კარაქი)
სოფელს მოადგა მთელი ქალაქი!

განათლება, მეცნიერება, კულტურა

ჩვენი რეგიონის ინტელექტუალური წრეებისათვის ცნობილია წელათელთა წვლილი შეუახევის მუნიციპალიტეტის, ზოგადად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საზოგადოებრივ და სულიერ ცხოვრებაში, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. სხვადასხვა დარგის სპეციალისტები ამ სოფლიდან – დღენიადაგ ცდილობენ აღადგინონ კავშირი მეცნიერულ ცოდნასა და სულიერ ფასეულობებს, ჩვეულებით და კანონიკურ სამართალს, ხალხურ მედიცინასა და მეცნიერულ მედიცინას, ხალხის გამოცდილებაზე დაფუძნებულ ემპირიულ ცოდნასა და აკადემიურ განათლებას შორის. ქვეყნის სვე-ბედმა, ისტორიულმა ბედუკულმართობამ და სახელმწიფოებრივმა აზროვნებამ დიდწილად განსაზღვრა წელათელთა საგანმანათლებლო თუ კულტურული განვითარების ორიენტირები, რაც წარმოჩნდა ამ სოფლის წარმომადგენელთა საქმიანობაში.

სოფელში იყვნენ და არიან პედაგოგიური განათლების მქონე ადამიანები, რომლებიც მოტივირებულნი არიან მიიღონ მეტი განათლება, იზრუნონ თვითგანათლებაზე, გადასცენ მიღებული ცოდნა-გამოცდილება სხვებს და ხელი შეუწყონ ქვეყანაში განათლების დონის ამაღლებას. სწორედ ამითაა განპირო-

თამაზ ფუტკარაძე, ზაურ ფუტკარაძე

ბებული არაერთი წარმატებული პედაგოგი ამ სოფელში, რომელთა სახელი გაცდა სოფლისა და რეგიონის ფარგლებს.

წელათში არაერთი **მედიკოსი** აღიზარდა, რომლებიც რისკის ფასად უამრავი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენისათვის იბრძვიან. მაღალი ფსიქომოციური დატვირთვა, სადღედამისო შრომა, საშიშ ნივთიერებებთან (წამლებთან, ნარკოტიკებთან, ლაბორატორიის რეაქტივებთან, რადიაციული გამოსხივების მქონე პრეპარატებთან, სისხლთან) მუდმივი კონტაქტები მათ კიდევ უფრო უძლიერებს პროფესიისადმი ერთგულებასა და პაციენტისადმი სიყვარულის გრძნობას.

წელათი **ხელოვანთა** სოფელია. ხელოვნება და კულტურა არის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. იგი ამაღლებს ადამიანის ინტელექტს, აძლიერებს და სულიერ საზრდოს აწვდის მას. სოფელმა ამ სფეროშიც გამოიჩინა თავი და ცოდნისა და ოსტატობის მაღალი დონე აჩვენეს საზოგადოებას ხელოვნების სხვადასხვა სფეროში.

წელათლებმა და მათმა შთამომავლებმა თავი გამოიჩინეს **სამეურნეო საქმიანობაში**, მოგვიანებით კი **ბიზნესში**. ბიზნესი შედარებით ახალი სფეროა ქართული სინამდვილისათვის. მას გზა საბჭოთა სისტემის დემონტაჟის შემდეგ გაეხსნა. მიუხედავად ამისა, საქართველოში ბიზნესსაქმიანობამ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია, რაშიც არაა უმნიშვნელო წელათელთა წვლილი.

მნიშვნელოვანია აგრეთვე აქაურთა წვლილი ძალაუფლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებულ ადამიანთა ცხოვრებისეული მოღვაწეობის განსაკუთრებულ სფეროში – **სახელმწიფო-პოლიტიკურ და აღმშენებლობით საქმიანობაში**. ამ სოფლიდან სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობებზე დაწინაურდა არაერთი ადამიანი.

ოსმალთა ბატონობისა და აჭარის საქართველოსთან დაბრუნების პირველ პერიოდში სოფელში წერა-კითხვის მცოდნეობის შესახებ არავითარი ინფორმაცია არ მოგვეპოვება. ზ. ჭიჭინაძე ტომაშეთის შესახებ საუბრისას აღნიშნავს, რომ „ზოგმა ქართული წერა-კითხვა იცისო“ (ზ. ჭიჭინაძე, 1913:180-18).

ტორიის გარევეულ ეტაპზე წელათი ტომაშეთის უბნად მოიაზრებოდა. შესაძლოა ზაქარიას ამ მონათხრობში წელათის მცხოვრებნიც იგულისხმებოდეს, თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია. რეალურად იმ დროისათვის ქართული წერა-კითხვა იშვიათად თუ იცოდა ვინმერ. შედარებით უფრო მეტი იყვნენ არაბულის მცოდნენი.



წელათის დაწყებითი სკოლა

პირველი სკოლა სოფელ წელათში დაარსდა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, 1934 წელს, იბრაიმ ვაშაყმაძის სახლში. სკოლის პირველი გამგე-მასწავლებელი იყო ბიჭორ ყორშია, მასწავლებლები: ფირცხალავა, ელიკო ინაიშვილი, ვერა გოგუაძე, დავით სიხარულიძე, თინა აბაშიძე, ჯიბლაძე სიმონ, მოისწრაფიშვილი ვლადიმერ, ფუტკარაძე ალექსან-დრე, ფუტკარაძე ხასია, ფუტკარაძე კუკური, ფუტკარაძე

თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე

შუქრი, ფუტკარაძე იოსებ, ფუტკარაძე მზია, ვაშაყმაძე ვარდენ, ვაშაყმაძე ფრიდონ (ვ. მაკარაძე, გამონათლევის გამონათება, ბათ. 2006, გვ. 188, ასევე, განათლება. მარეთის ხეობა, 2011, გვ. 233, ასევე, შუახევი, ბათ. 2008, გვ. 339). ამჟამად სოფელში სკოლა აღარ ფუნქციონირებს მოსწავლეების არარსებობის გამო.

ამ პატარა სოფელმა ქვეყანას მისცა არაერთი უმაღლეს-განათლებული, რომელთა უმეტესობამ პირველდაწყებით განათლება მშობლიური სოფლის სკოლაში მიიღო. უმაღლესგანათლებულთა პირველი თაობის წარმომადგენლები იყვნენ: იოსებ ახმედის ძე, იოსებ ფერათისძე, ასევე შოთა და შუქრი ფუტკარაძეები. მოგვიანებით მათი რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. მიზანშეწონილად მიგვაჩინა მათ შესახებ ინფორმაციები შედარებით უფრო დაწვრილებით წარმოვადგინოთ ცალკეული მიმართულებების მიხედვით.

მეცნიერება

ზეურ ნოდარისძე ფუტკარაძე – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსია. შუბნის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში (ქ. სოხუმი) – ინჯინერ-მექანიკოსის კვალიფიკაციით, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1987 წელს. 1988 წელს ჩაირიცხა ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის საწარმოო გაერთიანების ასპირანტურაში, 1998 წელს კი მინსკში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

1995 წლიდან დაიწყო ბიზნესსაქმიანობა უკრაინასა და ბელორუსიაში, რომელსაც ამჟამად წარმატებით აგრძელებს საქართველოში.

ზ. ფუტკარაძე სხვადასხვა დროს მუშაობდა: ლაიტურის ტექნიკუმში – მასწავლებლად (1987-1988 წწ.), აჭარის არ მი-

ნისტრთა საბჭოს სავაჭრო ეკონომიურ წარმომადგენელად უკ-რაინაში (1991-1995 წწ.), აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის პოზიციაზე (2012-2016 წწ.), ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესორად (2003 წლიდან). 2017 წლიდან იგი არჩეულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, ხელმძღვანელობს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის სამეცნიერო-საკონრდინაციო ცენტრს.

თამაზ ფუტყარაძე – ბათუმის უნივერსიტეტის პროფესორი. შემნის საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, შემდეგ კი მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში. დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები.

ჯაბა ზაურის ძე ფუტყარაძე, დაიბადა 1985 წ. 31 ივლისს, ოზურგეთში. 2004-2008 წწ. სწავლობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მიენიჭა ბუღალტერიისა და საგადასახადო საქმის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

2006 წელს სწავლა გააგრძელა ერევნის ამერიკულ უნივერსიტეტში მარკეტინგის, მენეჯმენტის და ფინანსების სპეციალობაზე, ხოლო 2008 წელს ჩაირიცხა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მაგისტრატურაში – ბიზნესის ადმინისტრერების მიმართულებით.

2011 წელს ჯაბა ფუტყარაძემ სწავლა გააგრძელა უცხოეთში, ლესტონის უნივერსიტეტის მაგისტრატურაში (დიდი ბრიტანეთი) ფინანსური ეკონომიქსის სპეციალობაზე. 2014-2018 წლებში ვარშავის ეკონომიკის სკოლის (SGH) სტუდენტია. იქვე ჩაირიცხა დოქტურანტურაში ფინანსებისა და ეკონომიკის მიმართულებით.

სხვადასხვა დროს მუშაობდა: GOLDEN NETWORKING-ის ასოცირებული ანალიტიკოსის (2012-2013 წწ.) (ლონდონი, დიდი ბრიტანეთი); CITIBANK INTERNATIONAL-ის ფინანსე-

თამაზ ფუტკარაძე, ზაურ ფუტკარაძე

ბის მართვის სპეციალისტის (2013-2014 წწ.), (ვარშავა, პოლონეთი); TAX MANAGEMENT & CONSULTING -ის თბილისი, ფინანსური აუდიტორის (2014-2015 წწ.) (თბილისი); TBSC CONSULTING – ის თბილისი, უფროსი ბიზნეს კონსულტანტის (2015-2016 წწ.); GRANT THORNTON – ბიზნეს კონსალტინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, მენეჯერის (2016-2018 წლები) პოზიციებზე. პარალელურად, მიწვეული ლექტორის სტატუსით კითხულობდა ლექციებს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში (2016-2018 წწ.).

2018 წლიდან არის აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი.

ბექა ზაურის ძე ფუტკარაძე – საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ მოიპოვა ასპროცენტიანი საგრანტო დაფინანსება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თუმცა შემდეგ სასწავლებლად გადავიდა **პოლონეთში (2009-2012 წწ.)**, კოზმინსკის უნივერსიტეტში და მიენიჭა ფინანსების და აღრიცხვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. იქ სწავლის პერიოდში გაცვლითი პროგრამის ფარგლებში გაიარა ასტონის ჰიზნესის სკოლის (ბირმინგემი, დიდი ბრიტანეთი) სრული კურსი. ვარშავაშივე (კოზმინსკის უნივერსიტეტი) დაამთავრა მაგისტრატურა (სპეციალობა – კორპორაციული ფინანსები), ხოლო შემდეგ ლონდონის ბიზნეს სკოლა.

2014 წელს ბექა ფუტკარაძე ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტურანტურაში, სადაც დაიცვა კიდეც დისერტაცია და მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხი.

სხვადასხვა დროს მუშაობდა: ფონდების აღრიცხვის სპეციალისტად (Citi Bank International, ვარშავა, პოლონეთი, 2012 – 2013), ფინანსური ანალიტიკოსად Deloitte Georgia, საქართველო, აზერბაიჯანი, რუსეთი, ყაზახეთი, 2015 – 2017 წწ.), ფინანსურ მენეჯერად (საქართველოს რკინიგზა, 2018-

2019 წწ.). ამჟამად არის უმცროსი ვიცე პრეზიდენტი – საინ-კესტიციო კონსულტანტი (**Credit Suisse**, ციურიხი, შვეიცარია)

კახა თამაზის ქ ფუტკარაძე – დაიბადა 1992 წლის 5 იანვარს. 2010-2014 წლებში სწავლობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომლის დასრულების შემდეგ მიენიჭა სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. ამავე უნივერსიტეტში გაიარა მაგისტრატურა და ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში – კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სპეციალობაზე. 2017-2019 წლებში სწავლობდა კარლოსის უნივერსიტეტში (პრაღა, ჩეხეთი). გლობალური უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში 2011 წლიდან კახა ფუტკარაძემ გაიარა სხვადასხვა კურსები, კერძოდ: გლობალური უსაფრთხოება (2011 წ. თბილისი); დაზვრულისა და კიბერუსაფრთხოება (2012 წელი, თბილისი), ეროვნული უსაფრთხოება 2011-2012 წწ. თბილისი); მომავალ ლიდერთა მომზადების პროგრამა (2013 – 2014 წწ. თბილისი); რუსულოვანი ქვეყნების კვების პროდუქტების უსაფრთხოების მართვა (2013 წელი, პეკინი, ჩინეთი); ევროკავშირის სამართალი და უსაფრთხოება სამხრეთ კავკასიაში (2014 წელი, გრაცის უნივერსიტეტი, ავსტრია); საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანიზება მუნიციპალურ დონეზე (2015 წელი, ბათუმი); ნარკოტიკებთან ბრძოლის თანამედროვე სტრატეგია, ისრაელის მოდელი (2016 წელი, იერუსალიმი, ისრაელი) იერუსალიმი (ისრაელი); ახალი ბირთვული წესრიგი, გამოწვევები და პასუხები (ოდესა, მეჩინკოვის უნივერსიტეტი); ლიდერები მშვიდობისთვის (ჟენევის უსაფრთხოების პოლიტიკის ცენტრი, ფონდი ევროპული მომავლისათვის, 2020). ამჟამად გადის „ეროვნული უსაფრთხოებისა და საჯარო პოლიტიკის“ კურსს, რომელსაც აფინანსებს რონდელის ფონდი. 2015 წლიდან მუშაობა დაიწყო ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების მთავარი სპეციალისტის პო-

თამაზ ფუტკარაძე, ზაურ ფუტკარაძე

ზიციაზე (2015-2018 წლები), 2019 წლიდან კი – თბილისის მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოში პიზნეს-ანალიტიკოსის პოზიციაზე.

პედაგოგიური განათლება

იოსებ ფერათის ძე ფუტკარაძე (1946-1991) – პირველია, ვინც წელათის მკვიდრთაგან მიიღო უმაღლესი პედაგოგიური განათლება. შუბნის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში დაწყებითი განათლების, პედაგოგიკისა და მეთოდიკის სპეციალობაზე. ინსტიტუტის სრული კურსის დასრულების შემდეგ მუშაობა დაიწყო მშობლიური სოფლის დაწყებით სკოლაში, სადაც მუშაობდა საცხოვრებელი ადგილის შეცვლამდე (ახალშენში საცხოვრებლად გადასვლამდე). სამწუხაროდ, იოსებმა პედაგოგიური საქმიანობა ველარ გააგრძელა ტრაგიული შემთხვევის გამო, რომელმაც შეიწირა მისი სიცოცხლე.

შუქრი ვეზირის ძე ფუტკარაძე (1948-2017) – იოსების თანამოა-საკეა. იგი უმაღლესგანათლებულთა ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელია სოფელ წელათში. დაამთავრა შუბნის საშუალო სკოლა, შემდეგ კი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი – დაწყებითი განათლების, პედაგოგიკისა და მეთოდიკის სპეციალობით. 1978 წლამდე მუშაობდა წელათისა და დარჩიძეების, 1978 წლიდან – საცხოვრებლად გურიის სოფელ შრომაში გადასვლის შემდეგ კი ურეკის საჯარო სკოლაში. მოგვიანებით სამეურნეო საქმიანობას მიჰყო ხელი

გურამ სადოსძე ფუტკარაძე – ტომაშეთის საჯარო სკოლის დირექტორია. შუბნის საშუალო სკოლის დასრულებისა და

სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან დემობილიზაციის შემდეგ, 1978 წელს, ჩაირიცხა ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე (დაუსწრებელი განყოფილება). სხვადასხვა დროს მუშაობდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მახალაკიძეებისა და ტომაშეთის სკოლებში. 2005 წლიდან სათავეში უდგას ტომაშეთის საჯარო სკოლას.

ლიანა შუქრის ასული ფუტკარაძე (დაბადებული 1974 წ. 27 აპრილს, ნელათში). 1991 წ. ოქროს მედალზე დაამთავრა ურეკის საჯარო სკოლა და ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიოლოგიის სპეციალობაზე. 2008 წლიდან საცხოვრებლად გადავიდა თბილისში, გაიარა კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და უხცო ენის მომზადების კურსები და მასწავლებლისა და მანდატურის მომზადების ერთწლიანი პროგრამა თსუ-ში. ერთხანს მუშაობდა მანდატურის პოზიციაზე თბილისის საჯარო სკოლებში, პარალელურად გაიარა ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მიერ განხორციელებული პროგრამა „ლიდერობის აკადემია“. 2013 წლიდან – სასერტიფიკაციო გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ დაინიშნა სსიპ ქალაქ თბილისის 133 საჯარო სკოლის დირექტორად.

ზია ლევანისძე ფუტკარაძე. დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაწყებითი განათლების, პედაგოგიკისა და მეთოდიკის სპეციალობით. ერთხანს მუშაობდა წელათის, ხოლო შემდეგ ფერიის დაწყებით სკოლაში მასწავლებლად.

გოჩა ნოდარისძე ფუტკარაძე (დაბადებული 1979 წლის 1-დეკემბერი) – შუბნის საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ (1997 წელს) ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტში – გეოგრაფია ეკოლოგია სპეციალობით. სხვადასხვა დროს მუშაობდა სოფ. წელა-

თამაზი ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე

თის გამგებლად (2004-2006 წწ.) და შუბნის საჯარო სკოლის პედაგოგად (2008-2011). ამჟამად საგზაო საამშენებლო კომპანია „ფოლადი იოლი“- ის თანამშრომელია.

როინ შალვაძე ფუტკარაძე – შუბნის საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ (1997 წელს) ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტში – გეოგრაფია ეკოლოგია სპეციალობით. ამჟამად დაკავებულია ბიზნეს საქმიანობით.

მზია იოსების ასული ფუტკარაძე – პირველდაწყებითი განათლება მიიღო მშობლიური სოფლის დაწყებით სკოლაში, შემდეგ კი დაამთავრა შუბნის საშუალო სკოლა და ჩაირიცხა 1996 წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის სპეციალობით. უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა 1996 წელს. 1991-1994 წწ. მუშაობდა ნელათის დაწყებითი სკოლის მასწავლებლად;

მზიური იოსების ასული ფუტკარაძე – ისტორიის მასწავლებელია. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში – ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 2003 წელს.

ვარდენ ვლადიმერისძე ვაშაყმაძე – საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში – დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის სპეციალობაზე. 1993-2007 წლებში მუშაობდა მშობლიური სოფლის დაწყებით სკოლაში – მასწავლებლად. ამჟამად ცხოვრობს ბათუმში, მუშაობს კომპანია „ჯსმ“ – ში სალარო აპარატების მთავარი ტექნიკოსის პოზიციაზე.

ქეთევან თამაზის ასული ფუტკარაძე (დაბადებული 1986 წელს)
– საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მიენიჭა ბაკალავრისა და მაგისტრის აკადე-

მიური ხარისხი. ამჟამად სწავლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტურანტურაში პედაგოგიკის მიმართულებით. გავლილი აქვს სტაუირება ბლაგოევგრადსა (ბულგარეთი) და გრაცში (ავსტრია). ამჟამად მუშაობს ხარიტონ ახველედიანის მუზეუმში განყოფილების უფროსის პოზიციაზე. პარალელურად ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას ბათუმის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში.

ირაკლი ნოდარისძე ფუტკარაძე – დაიბადა სოფელ წელათში, 1987 წ. 11 მარტს. დაამთავრა შუბნის საშუალო სკოლა.

2005-2008 წლებში სწავლობდა ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ კოლეჯში. 2009-2019 წლებში მუშაობდა ურეკის საჯარო სკოლის ინფორმაციულ მენეჯერად და ინფორმატიკის მასწავლებლად. ამჟამად საგზაო საამშენებლო კომპანია „ფოლადი იოლი“-ის თანამშრომელია.

რუსლან დავითისძე ვაშაყმაძე, 2010 წელს დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიორესურსების ეკოლოგიის სპეციალობის სრული კურსი ამჟამად დაკავებულია ბიზნესაქმიანობით.

რუსუდან დავითის ასული ვაშაყმაძე – 2008 წელს დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხო ენების ფაკულტეტი – ინგლისური ენის სპეციალობით. ამჟამად მუშაობს პროფესით, მასწავლებლის პოზიციაზე.

თამუნა თემურის ასული ვაშაყმაძე, 2017 წელს ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტში, მათემატიკის ფაკულტეტზე. ამჟამად იგი არის მეოთხე კურსის სტუდენტი.

სალომე ავთანდილის ასული ფუტკარაძე – 2018 წელს დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფილოსოფიის სპეციალობით. ამჟამად მუშაობს საქართველოს ბანკში.

გედიცინა

შოთა დურსუნისძე ფუტკარაძე იმ თაობის წარმომადგენელია, რომლებმაც პირველებმა შემოიტანეს სამედიცინო ცოდნის ელემენტები სოფელ წელათში. მან პირველმა დაამთავრა ბათუმის სამედიცინო სასწავლებელი სოფელ წელათში (1970 წელს). სხვადასხვა დროს მუშაობდა სამედიცინო დაწესებულებებში, 2019 წლამდე იყო დასასვენებელი სახლი „თოლია“-ს დირექტორი დაბა ურეკში. ამჟამად უდიდესი საგზაო საამშენებლო კომპანია „ფოლადი იოლი“-ს ექიმია.

ომარ იოსების ძე ფუტკარაძე – ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის კურსდამთავრებულია პედიატრის სპეციალობით (2000 წელი). კლინიკური ორდინატურა გაიარა ზაპოროჟიეს სამედიცინო უნივერსიტეტში (უკრაინა) ყელ-ყურ ცხვირის სპეციალობით (2002-2004 წწ.). 2005 წლიდან დღემდე მუშაობს ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს ყელ-ყურ ცხვირის ექიმად. 2014 წლიდან ამ მიმართულების ხელმძღვანელია. სამედიცინო საქმიანობის პარალელურად ეწევა პედაგოგიურ საქმიანობასაც, 2010 წლიდან კითხულობს ლექციებს კითხულობს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელწიფო უნივერსიტეტში.

არჩილ ომარისძე ფუტკარაძე – 2020 წელს დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. ამჟამად მუშაობს რესპუბლიკურ საავადმყოფოში უმცროსი ექიმის პოზიციაზე.

ნარგული ნიაზის ასული ფუტკარაძე – 1988 წელს დაამთავრა ბათუმის სამედიცინო სასწავლებელი, მედდის სპეციალობით. 1988 წლიდან მუშაობს შუბნის საავადმყოფოს მედდად.

ციალა ნოდარის ასული ფუტკარაძე – ნარჩინებით დაათავრა ტომაშეთის რვანლიანი სკოლა და 1979 წელს უგამოც-

დოდ ჩაირიცხა ბათუმის სამედიცინო სასწავლებელში. სხვადასხვა დროს მუშაობდა: ახალსოფლის უბნის ამპულატორიის ექთნად და ბათუმის საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრში გამსვლელი ბრიგადის მორიგე ფერშლად. ამ პოზიციაზე დღემდე აგრძელებს მუშაობას.

მუშაობის პარალელურად რამდენჯერმე აიმაღლა კვალიფიკაცია, გაიარა გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სასწავლო კურსი, არის „Grady“-ის სამედიცინო სისტემის სერტიფიკატის მფლობელი,

გუგული ვალიკოს ასული ვაშაყმაძე – დაამთავრა წელათის დაწყებითი სკოლა, შემდეგ კი სწავლა განაგრძო ტომაშე-თის რვანწლიან სკოლაში და ჩაირიცხა ბათუმის სამედიცინო სასწავლებელში, რომელის დაამთავრა 1981 წელს. მუშაობდა ექთნად სამედიცინო ვენტრ „მედინაში“. ამჟამად ცხოვრობს სოფელ თხილნარის მეურნეობაში.

სასოფლო-სამურნეო მიმართულება

იოსებ ახმედის ძე ფუტკარაძე – (1947-1993) – უმაღლესგანათლებულთა პირველი თაობის წარმომადგენელია. პირველ-დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ დაამთავრა შუბნის საშუალო სკოლა, შემდეგ კი ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური სასწავლებელი. მოგვიანებით საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში (სოხუმში). ვრცლად იოსებ ფუტკარაძის შესახებ წარმოდგენილია პერსონალიერში.

ავთანდილ ისრაფილის ძე ვაშაყმაძე – დაამთავრა სოფლის დაწყებითი, შემდეგ კი შუბნის საშუალო სკოლა. 1990 წელს ჩაირიცხა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში (სოხუმი) – აგრონომის სპეციალობით; ამჟამად მუშაობს აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში.

ზაური ნოდარის ძე ფუტკარაძე – (დაბადებული 1962 წელს) დაამთავრა სოფლის დაწყებითი, შემდეგ კი შუბნის საშუალო სკოლა. მიიღო უმაღლესი განათლება საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში (ვრცლად წარმოდგენილია „მეცნიერებაში“)

იურიდიული განათლება

შალვა ვალიკოსძეს ძე ვაშაყმაძე, სოფლის პირველდაწყენით განათლებისა და საშუალო სკოლის დაამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტში სამართალმცოდნეობის სპეციალობით. სასწავლებელი დაამთავრა 1998 წელს. ამჟამად მუშაობს მუშაობს საამ-შენებლო კომპანია „მართვე-5-ში“.

მურნმან ყაზბეგისძე ვაშაყმაძე – დაამთავრა სოფლის დაწყებითი სკოლა. შემდეგ სწავლა განაგრძო შუბნის საშუალო სკოლაში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ ჩაირიცხა ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტში სამართალმცოდნეობის სპეციალობით, რომელიც დასრულა 1998 წელს. ამჟამად მუშაობს ხელაჩაურის მერიაში-იურისტის პოზიციაზე.

როლანდ იოსებისძე ფუტკარაძე, 2002 წელს დაამთავრა თბილისის პოლიტიკური აკადემიის ბათუმის ფილიალი სამართალმცოდნეობის მიმართულებით. მუშაობს აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში.

ავთანდილ ვაჟას ძე ფუტკარაძე ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის (იმჟამად ტბელ აბუსერისძის სახელობის) სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტის ბაზაზე ჩამოყალიბებული უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულია სამართალმცოდნეობის სპეციალობით. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 2006 წლიდან მუშაობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში.

საერთაშორისო ურთიერთობები

ავთანდილ შოთასძე ფუტკარაძე 2006 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. არის საერთა-შორისო ურთიერთობების მაგისტრი. ამჟამად საქართველოს რეინიგზაში – დაბა ურეკის რეინიგზის ოპერატორის პოზიციაზე.

შოთა გოჩასძე ფუტკარაძე – დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით, მიენიჭა მაგისტრის აკადემიური ხარისხი, ამჟამად მუშაობს შემოსავლების სამსახურში.

ომარ ავთანდილის ძე ფუტკარაძე, დაამთავრა საქართველოს უნივერსიტეტი (თბილისში) (ბაკალავრის აკადემიური ხარისხით), საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა უნივერსიტეტი (GIPA, მაგისტრის აკადემიური ხარისხით) და ვროცლავის უნივერსიტეტი (პოლონეთი) და მიენიჭა პოლიტიკის მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხი. დაკავებულია ბიზნესსაქმიანობით.

სამხედრო საქმე

დავით ვლადიმერის ძე ვაშაყმაძე პირველია სოფელ წელათიდან, რომელმაც მიიღო უმაღლესი სამხედრო განათლება. 2003 წელს მურადმა დაამთავრა თავდაცვის ეროვნული აკადემიის სამხედრო საზღვაო ფაკულტეტი – ინჟინერ მექანიკოსის სპეციალობით. გაიარა ინგლისური ენის ინტენსიური მომზადების და კომპიუტერული პროგრამების მოსამზადებელი კურსები, ასევე შავი ზღვის აუზის ქვეყნების ზღვაზე სამძებრო-სამაშველო და საბრძოლო ოპერაციების სწავლებები (Black sea for trening, თურქეთი, ბულგარეთი, რუმინეთი – 2007-2008 წლები). 2007 წელს

თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე

გაიარა აგრეთვე ავლანეთის სამშვიდობო მისიის სპეციალური კურსი – გერმანიაში; 2009 წელს – დავით აღმაშენებლის სახელობის სამხედრო აკადემიის ოფიცერთა დაზერვის კურსი.

სხვადასხვა დროს მუშაობდა: საქართველოს საზღვაო ძალების მთავარი შტაბის ოპერატორული განყოფილების უფროსის (2003-2005 წლები), საქართველოს საზღვაო ძალების საზღვაო ესკადრის სარაკეტო დივიზიონის ხომალდი „ბორტი 202“-ის შეარაღების უფროსის (2006-2008 წლები), საქართველოს შეარაღებული ძალების მეხუთე ქვეითი მთავრი შტაბის G3 განყოფილების საპარო მხარდაჭერის ოფიცრის (2009-2010 წწ.) თანამდებობებზე. მონაწილეობდა ერაყისა (2006-2007) და ავლანეთის (2010 წელი) სამშვიდობო მისიებში. ამჟამად ცხოვრობს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

გულალტერია, ინჟინერია, საზღვაო საქმე და სხვა ეკონომიკური სფეროები

ნოდარ (ყურბან) ვაშაყმაძე – სოფლის უხუცესი ადამიანია. იგი იყო პირველი ბუღალტრული განათლების მქონე პიროვნება სოფელ წელათში და ათწლეულების განმავლობაში ემსახურებოდა თავის პროფესიას. ამჟამად იგი 90-ზე მეტი წლისაა. ცხოვრობს სოფელ წელათში.

შოთა (მოედინ) სელიმისძე ვაშაყმაძე ტექნიკური განათლების მქონე პირთაგან პირველი იყო სოფელ წელათში. კეთილშობილი და შრომისმოყვარე მოედინი მაღლე იქცა მაღალ-კვალიფიციურ ელექტრომექანიკოსად და სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად ემსახურა ამ საქმეს.

ვლადიმერ ტაშტანისძე ვაშაყმაძე წელათელთაგან პირველმა და ერთადერთმა დაამთავრა რადიო ტექნოლოგიების სასწავლებლი, წლების განმავლობაში, ბათუმში გადმოსახლე-

ბამდე იგი ჩვეული ენერგიითა და საქმის სიყვარულით ემ-სახურებოდა თავის საყვარელ საქმეს შუბნის სასოფლო საბჭოს რადიო-მაუწყებლობაში.

მიხეილ ნოდარისძე ვაშაყმაძე – 1968 წელს დაამთავრა ბათუმის (მწავანე კონცხის) სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმი – ბულალტრის სპეციალობით. 1975 წლიდან მუშაობდა შუბნის სასოფლო საბჭოს თამბაქოს დამამზადებელ სა-ნარმოში თამბაქოს მიმღების თანამდებობაზე.. 1986 წელს საცხოვრებლად გადავიდა დედოფლისწყაროს სოფელ ფი-როსმანში, სადაც მუშაობდა საწყობის გამგედ და მევენა-ხეობის ბრიგადირად. 2014 წლიდან დამსახურებულ პენ-სიაზეა.

რევაზ შუქრისძე ფუტკარაძე – დაამთავრა უკრაინულ-ქართუ-ლი უმაღლესი სასწავლებელი ბიზნესის ადმინისტრირე-ბის სპეციალობით. ერთხანს სოფელ შრომის გამგებლის თანამდებობაზე იმუშავა, ამჟამად დაკავებულია ბიზნეს-საქმიანობით.

რამინ გურამისძე ფუტკარაძე, დაიბადა 1990 წ. 26 ნოემბერს, სოფ. წელათში. 2009 წ. დაამთავრა შუბნის საჯარო სკოლა და ჩაირიცხა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტ-ში – ბიზნეს ადმინისტრირების სპეციალობაზე. სხვადასხვა დროს მუშაობდა: ტომაშეთის საჯარო სკოლაში საქმის მწარმებლად (2009-2010 წწ.), შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის საბიუჯეტო განყოფილების მთავარ სპეციალის-ტად (2014-2015 წწ.), შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროს სპეციალისტად (2015 წლიდან). ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

რატი შალვას ძე ფუტკარაძე – დაიბადა სოფ. წელათში, 1992 წ. 23 აგვისტოს. 2015 წელს დაამთავრა ბათუმის შოთა რუს-თაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მიენიჭა ბიზნე-სის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. 2015-2017 წლებში სწავლობდა ერევანში – ამერიკულ აგ-რობიზნესისა და მარკეტინგის უნივერსიტეტში, სადაც

თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე

მოიპოვა მაგისტრის აკადემიური ხარისხი. მუშაობდა: **კონსულტანტად:** ბათუმში, ბიზნეს-ინკუბატორში (2015); „შპს გრანთ თორნთონში“ (2017-2018 წწ), „შპს გრანთ თორნთონ ქონსალთინგში“ – (2019 წლიდან), – აგრო-სერვისის სოფლის მეურნეობის საკითხებში (ავსტრია, დისტანციურად). მუშაობდა აგრეთვე ერევანში, „შპს ნოი-ამის წვენების“ მარკეტინგის სპეციალისტად (2016 წლი). მიღებული აქვს ორი სასწავლო გრანტი (ბათუმის სახელ-მწიფო უნივერსიტეტი და USDA/FAS 2-წლიანი გრანტი ერევანში სწავლის დასაფინანსებლად).

ავთანდილ როლანდისძე ფუტკარაძე (დაბადებული – 1993 წ. 2 ქუთამბერს) – 2016 დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მიენიჭა ბიზნე-სის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. მიღებული დამატებითი სპეციალობა (მარკეტინგი), გაიარა ბუ-ლალტრული ალრიცხვის კურსი. 2014 – 2015 წლებში იყო აჭარის სავაჭრო- სამრეწველო პალატის სერთიფიცირების განყოფილებისმთავარი სპეციალისტის ასისტენტი, 2015-2018 წლებში კი აჭარის სავაჭრო სამრეწველო პალატასთან არსებული აჭარის მეფუტკერეობის ბიზნეს – ასოციაციის გენერალური მდივნის თანაშემწე. ამჟამად არის YANDEXS SUPER TAX – ის ოფისის მენეჯერი

დარინა ომარის ასული ფუტკარაძე – 2016 წელს დაამთავრა ბა-თუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი (სპე-ციალობა- ფინანსები და კრედიტი), 2018 წელს კი ტეხა-სის უნივერსიტეტის (აშშ) ერევნის ფილიალის მაგისტრა-ტურა ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობით – ინ-გლისურ ენაზე. ამჟამად მუშაობს „ ბაუ“ – სახელით ცნობის სამედიცინო დაწესერბულაბაში.

თამაზ თემურისძე ვაშაყმაძე – 2018 წელს დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი – საბუ-ლალტრო- საგადასახადო საქმიანობის სპეციალობით. ამ-

უამად მუშაობს შპს „ტრანზიტ-მ“- ში ბუღალტრის პოზიციაზე.

გოჩა შოთასძე ფუტკარაძე – 1995 წ. წელს დაამთავრა მანქანათმშენებლობის ინსტიტუტი სამედიცინო აპარატურის ინჟინრის სპეციალობით, ქ. თბილისი, ამჟამად მუშაობს ქ. ბათუმის პირველი პოლიკლინიკის დირექტორის მოადგილედ.

გიორგი გოჩასძე ფუტკარაძე – სწავლობს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე არქიტექტურის სპეციალობით.

გოჩა უორასძე ვაშაყმაძე – 2006 წელს დაამთავრა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია; მუშაობს სპეციალობის მიხედვით.

რომან დავითისძე ვაშაყმაძე, 2008 წელს დაამთავრა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია; კვალიფიციური მეზღვაური მაღლებრივი დანინაურბა და მიიღო გემის კაპიტნის წოდება. მუშაობს სპეციალობით.

ვალერი თენგოსძე დაამთავრა თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტი, ელექტრონიკინირის სპეციალობით. ამჟამად დაკავებულია ბიზნესსაქმიანობით.

ზურიკო თემურისძე ვაშაყმაძე ბათუმის საზოგადოებრივი აკადემიის სტუდენტია საბუღალტრო საგადასხადო საქმის სპეციალობით.

ბექა ავთანდილისძე ფუტკარაძე – დაამთავრა ქობულეთის მრავალპდარგობრივი კოლეჯი „ახალი ტალღა“, მზარეულის სპეციალობით. მისი საქმის კარგი სპეციალისტი. მიწვეული იყო უცხოეთში სამუშაოდ. ამჟამად მუშაობს შევ მზარეულად.

მამუკა უორასძე ვაშაყმაძე, დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი, მუშაობს ოქრომჭედლად-იუველირად.

კულტურა, ხელოვნება

დიდია წელათელთა წვლილი შუბნის თემისა თუ შუა-ხევის მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში. მთე-ლი ცხოვრების განმავლობაში ხელოვნებას ემსახურებო-და ვლადიმერ (ალისულთანი) ვაშაყმაძე. ამ საქმეს დღემ-დე ემსახურებიან ყაზბეგ ვაშაყმაძე და აჭარის ხელოვნე-ბის დამსახურებული მოღვაწე შალვა ფუტკარაძე.

ვლადიმერ მურადისძე ვაშაყმაძე – კულტურის ერთ-ერთი გა-მორჩეული წარმომადგენელი არის პირველი მაღალკვა-ლიფიციური სპეციალისტი წელათიდან, რომელმაც მიი-ღო პროფესიული განათლება კულტურის მიმართულე-ბით. 1954 წელს დაამთავრა ვეტერინალური, მოგვიანებით კი – 1963 წელს ბათუმის კულტურულ-საგანმანათლებ-ლო სასწავლებელი სპეციალობით – საკულტო დირიჟო-რი. აღნიშნული სასწავლებლების დამთავრების შემდეგ დაიწყო პედაგოგიური საქმიანობა. 1966 წლიდან მოყო-ლებული მთელი თითქმის ოთხი ათეული წლის განმავლო-ბაში (2003 წლამდე) იგი ასწავლიდა მუსიკას ტომაშეთის რვა წლიან, დარჩიდებისა და შუბნის საშუალო სკოლებ-ში.

შალვა სადოსძე ფუტკარაძე – კულტურის თვალსაჩინო წარმო-მადგენელია შუახევის მუნიციპალიტეტში. შუბნის საშუა-ლო სკოლის დასრულების შემდეგ, 1981 წელს სწავლა გა-აგრძელა ბათუმის კულტურულ-საგანმანათლებლო სას-წავლებელში საგუნდო-სადირიჟორო სპეციალობით. სხვადასხვა დროს მუშაობდა: დარჩიდების დარჩიდების კლუბის გამგედ (1981-1983 წლები), შუბნის თემის კულ-ტურის სახლის დირექტორად (1983-1988), ტომაშეთის სა-სოფლო კლუბის გამგედ (1988-2015), იყო რაიონის ან-სამლ „მარეთის“ შემსრულებელი. 2017 წლიდან მუშაობს შუბნის სათემო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელად.

ყაზბეგ შერიფისძე ვაშაყმაძე – დაამთავრა სოფლის დაწყებითი და შუბნის საშუალო სკოლები, შემდეგ კი ბათუმის კულტ-საგანმანათლებლო სასწავლებელი, ქორეოგრაფის სპეციალობით; მუშაობს კულტურის სფეროში;

მურად ვლადიმერისძე ვაშაყმაძე – ბათუმის კულტ-საგანმანათლებლო სასწავლებლის კურსდამთავრებულია ქორეოგრაფის სპეციალობით. საქმიანობა გააგრძელა სამხედრო მიმართულებით.

მაგული ნოდარის ასული ფუტკარაძე – სწავლობდა წელათის დაწყებით, ტომაშეთის რვანლიან და შუბნის საშუალო სკოლებში. 1993 დაამთავრა ბათუმის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელი – სადირიჟორო-ბიბლიოთეკარის სპეციალობით; რუსეთის ფედერაციაში, კერძოდ კრასნოდარში ცხოვრების დროს მუშაობდა სამხედრო ბიბლიოთეკაში; ამჟამად ცხოვრობს სოფელ ახალშენში.

მესამე ნაწილი

გვარსახელები ცელათში. გენიალობია და ნათესაური განშტოებები

გვარ-სახელი ადამიანისა და ხალხისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი უნთავრესი ნიშანია. იგი პიროვნების მაიდენტიფიცირებელი საშუალებაა. ადამიანები ერთმანეთს ასხვავებენ ინდივიდუალური სახელების მიხედვით. გვარსახელებს, ზოგადად ანთროპონიმებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნისა თუ რეგიონის ისტორიის შესწავლისათვის. ტოპონიმიკისაგან განსხვავებით ანთროპონიმები ნაკლები მდგრადობით სასიათდებიან. პოლიტიკური პროცესები დიდ გავლენას ახდენს ანთროპონიმიაზე. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ოსმალთა დაპყრობამდე და მის შემდგომ არსებული საკუთარი სახელები. 1566-1574 წლის ოსმალურ დოკუმენტებში შეტნის მცხოვრებთა სახელები ქართული ანთროპონიმებითაა წარმოდგენილი. მაგალითად: „**მახარობელი ძე გაბრიელისა, ანოსიმი ძმა მისი, გოგიჩა ძე აბარნულისა**“ და ა. შ. („აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები“, 2011:54). ეს ის პერიოდია, როცა ოსმალები ახალად იწყებენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაპყრობას და შესაბამისად ჯერ შენარჩუნებულია ქართული მოდელი. მას შემდეგ, რაც ოსმალთა ბატონობა ძალაში შევიდა, ტრანსფორმაცია განიცადა გვარსახელებმაც. 1835 წლის ოსმალური აღწერის მასალებში გვარსახელები უკვე ოსმალიზებულია (სელიმ იბრაჰიმის ძე, შერიფი, ალი და ა. შ.). საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იწყება გვარსახელების ქართულ მოდელზე თანდათანობითი გადასვლა. 1923 წლის საარქივო დოკუმენტებში ჯერ კიდევ მუსლიმანური ქვეყნებისათვის დამახასიათებელი საკუთარი სახელები ჭარბობს, თუმცა გვარები უკვე ქართული ფორმითაა წარმოდგენილი (მაგალითად, აჯი (ხაჯი) ფუტკარაძე). ე.ი. გვარსახელებმა მოგვცა

ოსმალთა ბატონობის დასაწყისის და მათი ბატონობის დასრულების შესახებ უტყუარი ინფორმაცია.

სწორედ ამიტომ ენიჭება გვარსახელების, როგორც უტყუარი ისტორიული წყაროს შესწავლას ესოდენ დიდი ყურადღება. ამ თვალსაზრისით წელათში მცხოვრებთა გენიალოგიები ფასდაუდებელი ინფორმაციის შემცველია. მასში ნათლად ჩანს **ართოპონიმების ტრანსფორმაცია პოლიტიკური სიტუაციების შესაბამისად** (ქართული, შემდეგ თურქული, შემდეგ კი კვლავ ქართული ანთოპონიმია). საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გვარსახელები თანდათანობით გადადის ქართულ მოდელზე, თუმცა ოსმალური გავლენით ერთ სახელს მაინც მუსულმანურს არქმევდნენ. ნინამდებარე სქემები უამრავ ასეთ შემთხვევას აფიქსირებს. მაგალითად: გივი – თორუნი, თამაზი – ისრაფილი, ისო – ნოდარი, ზაური – ხაჯი, ქერქმი – ვაჟა, ვლადიმერი – ბინალი, მერაბი – დურალა, ნათელა – ფადიმე, რევაზი – ადემი და მრავალი სხვა. გამონაკლისის სახით გვხვდება ორივე სახელის ქართული ფორმით დარქმევის შემთხვევები (შოთა-უორა). იშვიათი არაა სახელები არაქართული ლექსიკური ფონდებიდან, თუმცა ის არც ერთ შემთხვევაში არ არის მუსლიმანური ქვეყნებისათვის დამახასიათებელი სახელები. მაგალითად: ვლადიმერი (სლავური), გიორგი (ბერძნული), იოსები (ებრაული) და ა. შ. ბოლო პერიოდში შეინიშნება ე.ნ. მოდური სახელების დარქმევის ტენდენცია (სერიალების გმირების, ცნობილი ადამიანების სახელები და ა. შ. მაგ. კასანდრა, საბა, ანეტა). ფართო ხასიათი მიიღო სახელების ტრადიციული ფორმის დამახილებული, მოფერებითი ფორმით გაფორმებამ. ნაშრომში ნარმოდგენილ სქემებში აღნიშნულის შესახებაც უამრავ ინფორმაციას ნახავს დაინტერესებული მყითხველი (ნაზიკო, მიშიკო, მაიკო, მარიკა, ელიკო და სხვა). პიროვნების თავისებურების, ხასიათის, საქმიანობის შესაბამისად ჩნდება მეტსახელებიც, რომელთა ნაწილი სულაც არაა შეურაცხმყოფელი და შესამაბისად ურთიერთობისას ზოგჯერ მეტსახელთაც მიმართავენ (პელე, კიტე, კაპიტანი, უდიპლომო ინჟინერი, წელათის მიჩურინი და ა. შ.).

თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე

საზოგადოების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მსოფლიოს მრავალ ხალხში არსებული ორი სახელის დარქმევის ტრადიცია. ორსახელიანობა ფართოდაა გავრცელებული ჩვენს სინამდვილეშიც. ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მის შესახებ მოკლე ინფორმაციის მიწოდება მკითხველისათვის. ქართულ ქრისტიანულ რეალობაში ორსახელიანობას არ ჰქონდა კანონიკური სახე, თუმცა არაოფიციალურად ბევრი ატარებდა ორ-ორ სახელს. კანონიკურ ქრისტიანულ სახელებთან ერთად ქრისტიანობამდელ ქართულ სახელებსაც არქმევდნენ და მეტსახელებსაც. მკვლევართა ერთი ნაწილი ორი სახელის დარქმევის ტრადიციას წინაქრისტიანობამდელ ეპოქას უკავშირებს, როცა ფართოდ იყო გავრცელებული რწმენა სულების შესახებ (ანიმიზმი). ადამიანს სწამდა, რომ თითოეული ინდივიდის სხეულში ბუდობს ორი ძალა//სული: ბოროტი და კეთილი. ბოროტისათვის რომ აებიათ გზა-კვალი და ვერ მიეგნო მსხვერპლისათვის, არქმევდნენ ორ სახელს. სხვათა შორის ამასთანაა დაკავშირებული ყოფაში შემორჩენილი არაერთი საინტერესო ელემენტი. მაგალითად, ბავშვების ერთ-ერთ დაავადებას ხველა-ბატონებს უწოდებენ. ბატონს – ამ ბოროტი სულის ლოიალობის გამოსაწვევად ეძახიან, რათა ბავშვს არ მიაყენოს ვნება. წარმოდგენილ გენიალოგიებში უამრავი ორსახელიანი ადამიანი ფიგურირებს.

კიდევ ერთ საინტერესო ინფორმაციას იძლევა წარმოდგენილი გენიალოგიები. არც თუ იშვიათი იყო ნათესავებს შორის ქორწინების შემთხვევები, რაც ასევე ისლამური ოსმალეთის ბატონობით იყო განპირობებული (ნათესავებს შორის ქორწინება არაა იშვიათი კათოლიკებშიც) სქემებიდან ჩანს, რომ თანამედროვე პერიოდში მსგავსი შემთხვევები აღარ დასტურდება.


ვაშაყვაპეთა გენიალოგია და ნათესაური განვითოვებები

იპრაიმი, სელიმი (1800 – ?), მურადი (1830 – ?)

თანამედროვე ვაშაყმაძეების კულტურული მეხსიერება სელიმს იქეთ ვერ წვდებოდა. სტამბოლის არქივში აღმოჩენილი დოკუმენტი ინფორმაციას გვანვდის მისი მამის შესახებაც. კერძოდ, სელიმის მამა ყოფილა იპრაიმი.

დოკუმენტის მიხედვით სელიმს სამი ვაჟი ჰყოლია: **შერიფი** (აღნერის დროისათვის ყოფილა 12 წლის, ე.ი. დაბადებული 1823 წელს), **ალი** (დაბადებული 1827 წელს) და **მურადი** (დაბადებული 1830 წელს).

სელიმის შვილის – **ალის** შესახებ ოსმალურ დოკუმენტში დაფიქსირებული ასაკის გარდა, სხვა რაიმე სახის ინფორმაცია არ მოგვეპოვება. რაც შეეხება, მურად სელიმის ძეს (დაბადებული 1830 წელს), მას ჰყოლია ორი შვილი: **იუსუფი** და **უსეინი**. ისუფის შვილები იყვნენ ასანი და სელიმი, ხოლო ასანის შვილები: **გულაიში**, **ბექირი**, **დემურალი** და **მუხამედი**.



ასანის ქალიშვილი **გულაიში**, გათხოვილი იყო სოფ. დარჩიძეებში თოფო სირძეზე, რომლისგანაც შეეძინათ სამი შვილი: **უორა**, **ნური** და **ფადიმე**.

თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე

რაც შეეხება ასანის ვაჟიშვილებს, ბექირი ორი შვილის ჯელალისა და ფამბულის მამა გახდა. ჯელალს შეეძინა სამი შვილი: ნარგული, თამარი და თამაზი.

ქალიშვილთაგან ნარგულმა თავისი ბედი დაუკავშირა შუბნელ გურამ ჯუმუშაძეს (შვილები: დათო და იაგო), თამარი გათხოვდა ჭვანელ გურამ ტაკიძეზე (შვილი ინგა), ხოლო თამაზს შეეძინა ერთი შვილი – თამუნა.

როგორც ითქვა, ბექირს ჰყავდა ქალიშვილი – ფამბული, რომელმაც შექმნა ოჯახი თანასოფლელ ნოდართან (ყურბანი) ერთად.

ასანის მესამე შვილია დემურალი, ოთხშვილიანი (ნური, რასიმი, ნიაზი, ალთუნი) ოჯახის მამა. დემურალის უფროსი ვაჟი ნური ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბობოყვათში დამკვიდრდა. ნურის შეეძინა ხუთი შვილი: ჯემალი, რაული, ცაგული, მარინა და ნარგული. ნურის ვაჟთაგან რაულის ჰყავს ერთი შვილი (გიორგი), ჯემალს – სამი შვილი (ირაკლი, სოფო და შორენა). ქალიშვილთაგან, ცაგული//მზია გათხოვდა გურიის სოფელ წყალწმინდაში გურამ ჩუბინიძეზე, რომლისგანაც შეეძინა ორი შვილი: ლევანი და ლია. მეორე ქალიშვილი – მარინა//ციიალა ბათუმში ცხოვრობს. მეუღლე მერაბ ესებიძესთან ერთად გაზარდა შვილი – მირზა, ხოლო მესამე ქალიშვილმა ნარგულმა თავისი მომავალი ნოდარ ნიუარაძეს დაუკავშირა (შვილები: კობა და რუსიკო).

რასიმი დემურალის მეორე ვაჟიშვილია. იგი იყო ექვსშვილიანი (ნათელა, ნადია, ნაზიკო, ავთანდილი, რევაზი, მალხაზი) ოჯახის მამა. უფროსი ქალიშვილი ნათელა გათხოვდა ტომაშეთში (მეუღლე რეზო ფუტკარაძე, შვილები: ემზარი, ნუგზარი და ლევანი), ნადია – წელათში (მეუღლე ნარიმან ფუტკარაძე, შვილები: ამირანი, მედიკო, გიული და აბესალომი).

რასიმის ვაჟთაგან ავთანდილს ჰყავს ოთხი შვილი (დალი, გია, მერაბი, თემური), რევაზს სამი (თამაზი, თამრიკო და თინა-თინი), მალხაზს ერთი (ნიკა).

ნიაზი//ვაჟა – დემურალის მესამე ვაჟიშვილია. იგი დაიბა-
და სოფელ წელათში, თუმცა მოგვიანებით დამკვიდრდა ხელვა-
ჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ყოროლისთავში და თავისი
პატიოსნებით, საზრიანობითა და შრომისმოყვარეობით დაიმსა-
ხურა დიდი სიყვარული და პატივისცემა. ნიაზი იყო ყველა გა-
ჭირვებულის თანამგრძნობი და ჭირისუფალი, ნათესავებსა და
მოგობრებზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი. იგი გარდაიცვა-
ლა 2020 წლის ნოემბერში. დასალოავებულია ყოროლისთავში.

ნიაზს შეეძინა ოთხი შვილი: უუჟუნა, ლევანი//რომანი, მედეა//ცაცო, მარინა//მავილე. უფროსი ქალიშვილი უუჟუნა გათხოვდა კარაპეტში (მეუღლე ნოდარ კაკლიძე), შვილები:

ინდირა, მირანდა, ინგა და გიორგი), **მედეა** უჩამბაში (მე-უღლე რამინ ნატარიძე, შვილები: მაგდა და ილია), **მავილე** – ყოროლისთავში (მეუღლე რომან ბრუნჯაძე, შვილები: დიეგო და რიკარდო).

ნიაზის ვაჟს რომანს//ლევანს ჰყავს ორი შვილი (მირზა და მირზა).

დემურალის ქალიშვილთაგან **ალოუნი** (რომელმაც იცოცხლა 104 წელი) გათხოვდა თავისავე სოფელში **ახმედ ფუტკარაძეზე** (შეიძინათ სამი შვილი: **იოსები, შაველნა და მაყვალა**).

მუხამედი ასანის მეოთხე შვილია. მას ჰყავდა ორი შვილი: ვარდო და გულიკო. ვარდომ თავისი ბედი დაუკავშირა დარჩი-ძეებელ დიმიტრი ცეცხლაძეს, რომლისგანაც შეეძინა შვილები: ვალიკო, მარინა (მეუღლე იაკობაურელი ალიოშა ფუტკარაძე, შვილები: რომანი, გოჩა, ლადო, ციური და ცირა) ნათელა, მაგუ-ლი, (გათხოვილია გოგაძებში. შვილები: ირაკლი, კახა და მინ-დია – გახარიას დაკავის თანამშრომელი).

უფროსი შვილის ვალიკოსაგან ვარდოს ჰყავს შვილიშვილები: ჯაბა, ნათია და ქეთინო. ვარდოს ქალიშვილი ნათელა

თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე

გათხოვილია დარჩიძეებში (**მეუღლე ამირან სურმანიძე**). მას ჰყავს ოთხი შვილი: **მალხაზ, მანუჩარ, ლია და მელანო.**

მუხამედის მეორე ქალიშვილი – **გულიკო** გათხოვდა მახალავიძეებში (**მეუღლე ბინალი ცეცხლაძე**). მას ჰყავს სამი შვილი: თინა, ლევანი და ციალა. მახალავიძეებშივე გათხოვდა გულიკოს უფროსი ქალიშვილი თინა (**მეუღლე მიხეილ ბერიძე**, შვილები: **ციური, მზია, დარიკო და იაკობი**). მეორე ქალიშვილი **ციალა** ფოთშია გათხოვილი (შვილები: **გიორგი და ინგა**), ხოლო ვაჟიშვილი **ლევანისაგან** ჰყავს ორი შვილიშვილი: **მათე და თამთა.**

სელიმი ისუფის მეორე შვილია (მურადის შვილიშვილი). მას ჰყავდა ხუთი შვილი: **ბაირამალი, მუედინი/შოთა, სულეიმანი, ფატუუმი და ჰურიე.**

სელიმი				
ბაირამალი	შოთა	სულეიმან	ფატუუმი	ჰურიე

ბაირამალი სელიმის უფროსი ვაჟიშვილია. მას ჰყავდა ხუთი შვილი: **ნაზიკო, ნანული, ნარგული, ლევანი, ჟუჟუნა.** ქალიშვილთაგან **ნაზიკოს** ოჯახი არ შეუქმნის. შესაბამისად არ დარჩენია შთამომავლობა. შვილი არ დარჩენია აგრეთვე ბაირამალის მეორე შვილს – **ნარგულს** (რომელიც შრომაში იყო გათხოვილი). მესამე ქალიშვილი **ნარგული** ოლადაურში გათხოვდა (**მეუთლე ბინალი მაკარაძე, შვილი სოფო**), ხოლო მეოთხე ქალიშვილი **ჟუჟუნა** – მახალავიძეებში (**მეუღლე არჩილ ცეცხლაძე, შვილები – პაატა და კახა**).
გული გათხოვილი იყო სოფელ მახალაკიძეებში მეუღლე მიქაელ მახარაძე). შეეძინა ორი შვილი: **ცაცუნა** (გათხოვილია გოგაძეებში, ბათაძეების ოჯახში. შვილები: ჯემალი და ჯუმბერი) და **უუუნა** (მეუღლე მახალაკიძეებელი არჩილ მახარაძე, შვილები: ლია, მზია, და ია).

ფატუუმი იუსუფის ქალიშვილი გათხოვილი იყო სოფელ შუბანში ებრალიძეების ოჯახში, შეეძინა სამი შვილი: **ნევზეთი, ზილფო და ისმო.**

ნევზეთს ჰყავდა ორი შვილი: **ნოდარი** (შვილები: რამაზი ზურაბი და ლია) და **სიმონი** (შვილები: თემური და მაყვალა); **ზილფოს** (მეუღლე დარჩიძეებელი შევქეთ ფუტკარაძე) სამი: **აკაკი** (შვილები კახა, ნანა), **გულინაზი** (შვილები: ირაკლი ნინო

და როლანდი) და **ბაგრატი** (შვილები: ნათია ნაილე, ქეთევანი, ხვიჩა და გოჩა); ხოლო ისმოს სამი (მეუღლე დარჩიძეებელი შოთა ცეცხაძე, შვილები: **ჯემალი** (ჯემალის შვილები: ირმა ინგა თამაზი და ნესტანი), **ნათელა** (მეუღლე სოფელ წელათელი მერაბ ვაშაყმაძე, შვილები: დათო და ალექსი) და **უჯუნა** (მეუღლე წელათელი ფრიდონ ვაშაყმაძე, შვილები: ეკა და ზეზვა).

შერიფი იუსუფის უფროსი ვაჟია. მან თავისი მომავალი დაუკავშირა კარაპეტელი აპაშიძეების ქალს და შეეძინათ ორი შვილი: **სირმო** და **ვეზირი**.



სირმო ორჯერ იყო ქორწინებაში. პირველი ქორწინებით იგი დარჩიძეებელი ცეცხლაძეების ოჯახს დაუკავშირდა, მაგრამ მეუღლე რომელიღაც საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობდა დალუპულა. მისგან დარჩა ერთი ქალიშვილი – **შექრო**. მეორედ იგი გათხოვდა წელათში (მეუღლე რასიმ ვაშაყმაძე). მისგან შეეძინა ოთხი შვილი: **ავთო ნათელა, ნაზიკო და ნადია.**

თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე

შექრო გათხოვილი იყო დარჩიძეებში (მეუღლე ბინალი ბერიძე, შვილები: ნაზიკა და ზორა); **ნათელა** – ტომაშეთში (მეუღლე რეზო ფუტკარაძე, შვილები: ზაური ემზარი და ლევანი); **ნადია** წელათში – (მეუღლეალიოშა ვაშაყმაძე, შვილები: შვილები: ბადრი და რამინი), **ნაზიკო** – პაპოშვილებში (მეუღლე ნარიმან ფუტკარაძე, შვილები: ამირანი, მედიკო, გიული და აბელი), ხოლო **ავთო ვაშაყმაძეს** ჰყავს ოთხი შვილი (მერაბი, თემური, დალი, გია).


ვეზირ შერიფის ძე – ჰყავდა სამი შვილი: **შუშანა, შუქრი და ალექსანდრე//იაშა.**

შუშანა ვეზირის უფროსი შვილია. მან თავისი ბედი დაუკავშირა თანასოფლელ ალექსანდრე ვაშაყმაძესთან. **შეეძინათ რვა შვილი:** **ნუგზარი** (ნუგზარის შვილები: თეონა თამილა ნათია მურადი), **ომარი** (ომარის მალვინა მაიკო ალეკო), **ზაური** (ზაურის შვილი: გოგიტა), **გოჩა** (შვილი იმედა) **ირაკლი** (ოჯახი ჯერ არ შეუქმნია), **რუსლანი** (რუსლანის შვილი: საბა), **ინგა** (მეუღლე ლაითურში მცხოვრები ემზარ შაინიძე), შვილები: რაინდი ირინა ინდირა) და **დალი** (მეუღლე შრომაში მცხოვრები ზურაბ ფუტკარაძე, შვილები: ცირა და ლუკა)

შუქრი – ვეზირის უფროსი ვაჟი იყო. მას შეეძინა სამი შვილი: **ლიანა, რომანი და რევაზი.** **ლიანა** გათხოვილია ტომა-შეთში (მეუღლე ირაკლი ფუტკარაძე, შვილები: დათო და თორნიკე); **რომანს** ჰყავს სამი შვილი: **მადონა** (მეუღლე თბილისელი ნიკა წიქარაძე, შვილები: ელენე და ანანო), **ეკა** (მეუღლე ბათუმელი ჯამბულ კაკაბაძე, შვილები: სანდრო და ლევანი) და **გიგა** (დასაოჯახებელი). **შუქრის** მესამე შვილს **რევაზს** ჰყავს ორი შვილი: მარიამი და გიორგი.

ვეზირის მესამე შვილი იაშა//ალექსანდრე სამი შვილის (**რამაზი, როინი და რაული**) მამაა. რამაზს ჰყავს ორი შვილი (ნიკა და მინდია), **როინს** – ორი (აჩიკო და აბელი) და **რაულსაც** – ორი (ლუკა და ლინდა).

მუსამედი შერიცვის ვაჟიშვილია. მას ჰყავდა ხუთი შვილი: ზურაბი//ნიაზი, შექრო, ირინა, იოსმი და ნინო.



ზურაბი//ნიაზი – ჰყავს შვიდი შვილი: **ნარგული**, **ნათელა**, **შუშანა**, **მანანა**, **მადონა**, **მაყვალა** და **ტარიელი**.

ნარგული გათხოვილია ტომაშეთში (მეუღლე გურამ ფუტკარაძე, შვილები: თენგიზი ჯაბარ რუსულანი ცირა); **ნათელა** – ქუთაურში (მეუღლე ზაურ ბოლქვაძე, შვილები: გელა და ლია); **შუშანა** – მახალკიძეებში (მეუღლე შოთა ფუტკარაძე, შვილები: ნანა, თებრონე და ანეტა); **მანანა** – დარჩიძეებში (მეუღლე გურამ ხალაძე, შვილები: მამუკა და მარიკა); **მადონა** – მახალკიძეებში (მეუღლე ლევან ფუტკარაძე, შვილები: ცოტნე, თორნიკე და ერეკლე), ხოლო მაყვალა დანდალოში (მეუღლე ირაკლი მუსამედი, შვილები: ელენე, ბარბარე და საბა).

ტარიელი – ზურაბის ერთადერთი ვაჟიშილი ხუთი შვილის (ნესტანი, ირმა, დიანა, ნუგზარი და ლიზი) მამაა. ნესტანი გათხოვილია თბილისში (მეუღლე ვახტანგ ტატუნაშვილი, შვილი სანდრო); **დიანა** – ერგეში (მეუღლე ბეგლარ ფენჩიძე, შვილები: მარიკა და გოგა); **ირმა** – ბორჯომში (მეუღლე გიგა გოგოლაძე), ხოლო ნუგზარსა და ლიზის ოჯახები ჯერ არ შეუქმნიათ.

შექრო (მუხამედის ქალიშვილი) გათხოვილია დარჩიძეებში (მეუღლე ლევან ბერიძე, შვილები: ზაური (ზაურის შვილები: ელიზა და ლენე), ნათელა (მეუღლე კობალთელი არსენ სურმანიძე, შვილები: რამინი და რამაზი) და ციალა მეუღლე ჩაქველი გოჩა მიქელაძე, შვილი ანდრეა).

ორინე – გათხოვილია დარჩიძეებში (მეუღლე გიორგი სურმანიძე). მას ჰყავს ოთხი შვილი: **ჯემალი** (ჯემალის შვილები: გიორგი ლიზა ნიაკო გოგა), **უუჟუნა** (მეუღლე დარჩიძეებელი რაულ ფუტკარაძე), **თამუნა** (მეუღლე ოზურგრთში მცხოვრები გაბრიელ კრძეულიანი, შვილი ლიკა) და **მზევინარი** (მეუღლე ნასაკირალში მცხოვრები გია ფუტკარაძე, შვილი გეგა).


ოოსმი – (მუხამედის ქალიშვილი) – გათხოვილია დარჩიძეებში (მეუღლე შუქრი ცეცხლაძე). ჰყავს ოთხი შვილი: **შუშანა** (გარდაიცვალა. ჯაბნიძეებელი ზაურ ზოსიძისაგან დარჩა სამი შვილი: ნათია, თეონა, ხათუნა); **ნანული** (მეუღლე ნიგაზეუღლელი ავთო სირაძე, შვილები: ხვიჩა, ციური, ნონა); **ჯემალი** (შვილები: ბადრი, ჯაბა, გიული. მზევინარი) და **მზევინარი** (დასაოჯახებელი).

ნინო – მუხამედის უმცროსი ქალიშვილი გათხოვილი იყო მახალაკიძეებში (მეუღლე ზურაბი ბერიძე), შეეძინა სამი შვილი: გელა, კობა, დათო.

სადო – 6 შვილის – **ხასიას, ზიას, იაშა//ისუფ-ს, შალვას, გურამის და შუშანას** მამა იყო. მისი ნამრავლი დღეისათვის შეადგენს 62 სულს.

ხასია – სადოს უფროსი ვაჟია მას ჰყავს ოთხი შვილი: **მერაბი, ნანი, ბიძინა, ნატო**.

მერაბს ჰყავს სამი შვილი: თეონა, შოთიკო, სალომე; **ნანი** გათხოვილია დარჩიძეებში (მეუღლე ანზორ სურმანიძე, შვილები: გოგიტა, გიორგი), ნატო კი – ფიროსმანში (მეუღლე ზურაბ ვაშაყმაძე, შვილები: ნიკა, მარიკა). ხასიას მეოთხე შვილს – ბიძინას შვილი ჯერ არ შეძენია;



ზია//ნიქო – სადოს მეორე ვაჟიშვილია. მას ჰყავს ხუთი შვილი: **გოჩა** (გოჩას შვილები: კახა, საბა), **რამაზი** (შვილი ლუკა), **მზიური** (მეუღლე სამთანყაროში მცხოვრები მურმან მახარაძე, შვილები: თამუნა, ბექა, თეონა, გიორგი, ბესო., ციური, ნათია); **ცოური** (მეუღლე, სამთანყაროში მცხოვრები ნოდარ ფუტკარაძე, შვილები: შორენა, ნათია, ნიკა); **ნათია** (მეუღლე ფოთმი მცხოვრები ტარიელ კილაძე, შვილები: სალომე, ქრისტინა, აჩიკო);

იაშა //ისუფი – ჰყავს სამი შვილი: **მანანა**, **იაგო**, **ნანი. მანანა** გათხოვილია სუფსაში (მეუღლე ვოვა ბერაძე, შვილები: ანა, ნათია, თემური), **იაგოს** ჰყავს სამი შვილი (საბა, ია, ლინდა), ხოლო **ნანის** (მეუღლე მახალაკიძეებული ელდარ ფუტკარაძე) – შვილი ჯერ არ შეძენია.


შალვა – ჰყავს ორი შვილი: **როინი** (როინის შვილები: მარიამი, დაჩი) და **რატი** (ოჯახი ჯერ არ შეუქმნია);

გურამი – ჰყავს 3 შვილი: **ემზარი** (შვილი ლიზი), **ჯუმბერი** (შვილები: თორნიკე, ბაჩუკი), **რამინი** (ანამარია, დემეტრე);

შუშანა სადოს ერთადერთი ქალიშვილია. მან თავისი ბედი დაუკავშირა ყალაბონელ (დარჩიდების უბანი) თამაზ სურმანიძეს. ჰყავთ ორი შვილი: გუგა, გია.

თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე

ფერათი იუსუფის ვაჟიშვილია. მას ჰყავს სამი შვილი: **აბასი**, **ზია**, **ოოსები**. მათი საერთო ნამრავლი დღეისათვის შეადგენს 52 კაცს.



ფერათის პირველი მეუღლე ულფეთა მაწყვალთელი ქალი იყო. მისგან ფერათს შეეძინა ერთი შვილი – **აბასი**, ხოლო მეორე მეუღლისაგან – ერდვათელი გულხანუმისაგან ჰყავდა ორი ვაჟი: **ზია//ზულალი და იოსები//შახესადი.**

აბასი – ფერათის უფროსი ვაჟია. მას ჰყავს ორი შვილი: **ვაჟა, ძეჟანი, ვაჟა** სამი შვილის მამაა: **ბაგრატი** (შვილები: გიორგი, მარიკა), **ფრიდონი** (შვილები: ჭორუი, გიგი, ნინი) და **ავთო** (შვილები: ვაჟა, იაკო).

აბასის მეორე შვილს **ძეჟანს** ჰყავს ორი შვილი (თემური და კახა) და ოთხი შვილიშვილი (ლუკა და ლიკა; ანასტასია და ანდრია).

ზია//ზულალი – ფერათის მეორე ვაჟია. მას ჰყავს ოთხი შვილი: **ჯემალი, ნათელა, გულნაზი, მაყვალა**. მათგან, **ჯემალს** ჰყავს სამი შვილი: **სოფიკო** (მეუღლე განთიადელი ბესო შარა-შიძე, შვილები: ანდრია, ქეთი, რუსიკო, ზურიკო); **რუსიკო** (ჩაქ-


ვში მცხოვრები რამინ ბერიძე (ჰყავს ორი შვილი) და ზურიკო (დასაოჯახებელია).

ზიას ქალიშვილთაგან: **ნათელა** – – გათხოვილია კვაშტაში (მეუღლე ზაურ ჯაყელი, შვილები: ენვერი, გიორგი), **გულნაზი** – ერდვათში (მეუღლე ბადრი ფუტკარაძე, შვილები: მამუკა, მაიკო, მინდია. ამჟამად ცხოვრობენ წალკაში) ხოლო **მაყვალა** – ჩაქვში (მეუღლე ზურაბ საკანდელიძეზე, შვილები: გვანცა, გეგა).


იოსები //შახზადი – ფერათის მესამე ვაჟიშვილია. მას ჰყავს სამი შვილი: **მზია**, ომარი, **მზიური**. იოსების ქალიშვილთაგან: **მზია** – გათხოვილდა გონიოში (მეუღლე ბადრი მახარაძე, შვილები: ქრისტინა, ჯონი), ხოლო **მზიური** – ჩაქვში (მეუღლე როინ მახარაძე, შვილები: ლინდა, თორნიკე). იოსების ვაჟს-ომარს ჰყავს ორი შვილი: დარინა და არჩილი.

ომერი და მისი შთამომავლობა

ომერს ჰყავდა შვილი შვილი – სამი ვაჟი (დურსუნი, ბექი-რი, ისკენდერი) და ოთხი ქალიშვილი (ხატიჯე, ზოპრა, სენემი, ფატანი).



დურსუნი ომერის უფროსი ვაჟი იყო. მას შეეძინა ოთხი შვილი: შოთა, თამარი, ლუბა//მერიკო და შალვა. დურსუნის ნამ-რავლი შეადგენს 45 ადამიანს.



შოთა – დურსუნის უფროსი ვაჟი სამი შვილის – გორგას, ლიანას და აკთანდილის მამაა (დღეისათვის მათი **ნამრავლი 11 სულია**). შოთას ქალიშვილმა **ლიანამ** ორი შვილი აღზარდა (მე-უდღე მევლუდ მაისურაძე, შვილები: რუსულანი (დასაოჯახებელი) და რამაზი (შვილები: ლილია და ელენე); **გორგამ** ორი: შოთა

(შვილი ალექსანდრე) და გიორგი (დასაქორწინებელი); ხოლო ავ-თანდილს ჰყავს სამი შვილი: ომარი (დასაქორწინებელი), სალო-მე (მეუღლე გოგიტა სურმანიძე) და ბექა (დასაქორწინებელი).

შალვა დურსუნის მომცვენო ვაჟი ოთხი შვილის აღ-მზრდელია (**როინი**, მაგული, ნანული, მაიკო). მათი **ნამრავლი 11 სულია**. უფროს ვაჟს **როინს** ჰყავს ორი შვილი (ლანა და კა-სა); **მაიკოს** ორი (მეუღლე ჩაქვში მცხოვრები ირაკლი ბერიძე, შვილები: ილიკო და ალექსო), **მაგულის** ერთი (მეუღლე ნიაზ დი-ასამიძე, შვილი – დიმა, ცხოვრობენ ბათუმში), ხოლო **ნანულის** ორი (მეუღლე ჩაქვში მცხოვრები რომან ჯაიანზე, შვილები: ლუნა და ნატა).

ლუბა//მერიკო – დურსუნის უფროსი ქალიშვილი (ცხოვ-რობს სოფ. შრომიაში, მეუღლე დარჩიძეებელი უორა ბერიძე, ამ-ჟამად გარდაცვლილია) **ექვსი შვილის** (ინგა, ციური, ცისანა, ირაკლი, ციალა და ცირა) დედა და 13 შვილიშვილის ბებია (ნამ-რავლი - 19 სული) ქალიშვილთაგან: **ინგა** გათხოვილია ვანის რაი-ონში მცხოვრებ მერაბ მუკუტაძეზე, ჰყავს ერთი შვილი (იზა);

ციურის – სამი (მეუღლე ხელვაჩაურში მცხოვრები და-ვით ფუტკატაძე, დურმიშხანი, ზებური და სოფო); **ცისანას** ორი (მეუღლე ტომაშეთელი სოსო ფუტკარაძე, შვილები: გიორგი და ლამზირა); **ციალას** სამი (მეუღლე მახალაკიძეებელი მამუკა დარჩიძე, შვილები: ნინო, ნანა და ნუკრი); **ცირას** ორი (მეუღლე ხელვაჩაურში მცხოვრები როინ მახარაძე, შვილები: მათე და თაკო), ხოლო **ირაკლის** – ლუბას ერთადერთ – ვაჟს ორი (სან-დრა და სანდრო).

თამარი//ფატყუმი – დურსუნის ბოლო ქალიშვილია. იგი თამარი გათხოვდა დარჩიძეებში (მეუღლე ნოდარ სურმანიძე). შეეძინათ ორი შვილი: **ედნარი** (ნაადრევად გარდაიცვალა) და **როლანდი**. როლანდის ჰყავს ორი შვილი: **ანრი და ედნარი**. (თა-მარი ამჟამად გურიის სოფელ შრომაში ცხოვრობს).

ბექირი – ომარის მეორე ვაჟი ინვალიდი იყო. მას ოჯახი არ შეუქმნის, შესაბამისად შთამომავლობაც არ დარჩენია.

თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე

ისკენდერი – ომარის მესამე ვაჟიშვილი გაიქცა თურქეთში, შთამომავლობა არ დარჩენია.

ზოჰრა ომერის ასული გათხოვილი იყო წელათში. მისი მეუღლე იყო შერიფ ისმაილის ძე ვაშაყმაძე. მათ შეეძინათ ხუთი შვილი: **ალექსანდრე**, **ვენერა**, **შაქრო**, **მიხეილი**, **ნინო**. მათ შესახებ ინფორმაცია გადმოცემულია შერიფ ვაშაყმაძის ოჯახის განხილვისას, თუმცა მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ნაშრომის ამ ნაწილშიც მათი წარმოდგენა.

ალი//ალექსანდრე – შერიფის უფროსი ვაჟი იყო რვაშვილიანი (ნუგზარი, ზაური, გოჩა, ომარი, ირაკლი, რუსლანი, დალი, ინგა) ოჯახის მამა. ალის ქალიშვილთაგან: **დალი** – ცხოვრობს სოფელ შრომაში (მეუღლე – ზურაბ ფუტკარაძე, ჰყავთ ორი შვილი, ცხოვრობენ შრომაში), ხოლო **ინგა** ზრდის სამ შვილს (მეუღლე ემზარ შაინიძე, შვილები: რაინდი, ინდირა და ირინა).

ალის უფროსი ვაჟი ნუგზარი, რომელიც სრულიად უდროოდ გაეცალა წუთისოფელს, ოთხი შვილის (თეონა, ნათია, თამილა, მურადი) მამა იყო. ქალიშვილთაგან: **თეონა** გათხოვდა მაისურაძეების ოჯახში (შვილები: ანრი და გიგა), **ნათია** – დავით ჩამბაზე (ჰყავთ ორი შვილი, ცხოვრობენ პეტერბურგში), **თამილა** – გელოდი ტაკიძეზე (ჰყავს ორი შვილი), ხოლო მურადს ოჯახი ჯერ არ შეუქმნია.

ზაური – ალის მეორე ვაჟიშვილია. მას ჰყავს ერთი შვილი – (გოგიტა). ერთი შვილი ჰყავს გოგიტასაც (ნატა). ალის მომდევნი ვაჟთაგან **გოჩას** ჰყავს ერთი შვილი (იმედა), **ომარს** – სამი (მალვინა, მაია, ალეკო), **რუსლანს** ერთი (საბა), ხოლო **ირაკლის** ოჯახი ჯერ არ შეუქმნია.

შაქრო – შერიფის მომდევნო ვაჟიშვილია. მას ჰყავს სამი შვილი: თემური, თენგიზი, ბესიკი. სამივემ დროულად შექმნა ოჯახი და ჰყავთ ორ-ორი შვილი: თემურს – **თამუნა და ზურიკო**, თენგიზს – **ვალერი და რუსიკო**, ხოლო ბესიკს: **ბაჩი და ჩინი**.

Թօթեղություն Շերտագույն ծովալու մաս ընդունում է ամսական պահանջման ժամանակաշրջանում: Համար այս պահանջման առաջնային մասը կազմում է ամսական պահանջման առաջնային մասը: Ամսական պահանջման առաջնային մասը կազմում է ամսական պահանջման առաջնային մասը:

ՎԵՆԵՐԱ Շերտագույն սպառական վայրի պահանջման առաջնային մասը (մասնաւոր պահանջման առաջնային մասը): Վեներա պահանջման առաջնային մասը կազմում է ամսական պահանջման առաջնային մասը: Վեներա պահանջման առաջնային մասը կազմում է ամսական պահանջման առաջնային մասը:

ԵՎԱԳՐԻ – առաջնային մասը պահանջման առաջնային մասը: Եվագրի պահանջման առաջնային մասը կազմում է ամսական պահանջման առաջնային մասը:

ԱՄԱՋԱՎԱՐ – առաջնային մասը պահանջման առաջնային մասը: Ամաջավար պահանջման առաջնային մասը կազմում է ամսական պահանջման առաջնային մասը:

ՄԵՄԵԳՈՒ – առաջնային մասը պահանջման առաջնային մասը: Մեմեգու պահանջման առաջնային մասը կազմում է ամսական պահանջման առաջնային մասը:

ԱՄԱՋԱՎԱՐ – առաջնային մասը պահանջման առաջնային մասը: Ամաջավար պահանջման առաջնային մասը կազմում է ամսական պահանջման առաջնային մասը:

ԱՄԱՋԱՎԱՐ – առաջնային մասը պահանջման առաջնային մասը: Ամաջավար պահանջման առաջնային մասը կազմում է ամսական պահանջման առաջնային մասը:



გურამს ჰყავს ორი შვილი: შვილები: **მარიამი** (მეუღლე ახალციხელი აგო მანუკიანი, შვილი ვერიკო) და და მაია (მეუღლე ალექსანდრე შევრუკი, უკრაინანა. შვილი ჯერ არ შეძენიათ).

ორი შვილი ჰყავს **მემედის** მეორე შვილს – **ბადრის:** ირაკლი (ირაკლის შვილი ემილი) და გიორგი (მამა გრიგოლი სასულიერო ცხოვრებას, არის დეკანოზი, გყავს ორი შვილი (მართა და ნინო).

მემედის მესამე ვაჟი **ამირანი** ოთხი შვილის (მზევინარი, სალომე, ფრიდონი და სულხანი) მამაა. მათგან ორი – **სალომე და სულხანი** არიან ერთმანეთის ტყუპისცალები.

სამი ტყუპი ყავს აგრეთვე აკაკისაც – ილია, გაბრიელი და ლილე.

ანა – მემედის ერთადერთი ქალიშვილიც (მეუღლე გენა-დი დევაძე, ცხოვრობენ ბათუმში) ტყუპების დედაა. მას შეეძინა სამი შვილი – ტყუპისცალები: **ლანა და სარა და ზურაბი.**

თამარი ხატიჯეს ქალიშვილი (მეუღლე ალექსანდრე ჯაფარიძე) იყო სამი შვილის: **რევაზის, რამაზის და რუსუდანის** დედა. **რევაზს** ჰყავს ორი შვილი (თორნიკე – სტუდენტი, ეკა – მეუღლე გოგიტა ხაბაძე); ორი შვილის მამაა **რამაზიც** (ნიკა და მარიკა); ორ შვილს ზრდის **რუსუდანიც** (მეუღლე წელათელი მალხაზ ვაშაყმაძე, შვილები: მარიამი და ლაშა).

სენემი – ომერის მომდევნო ქალიშვილია. იგი გათხოვდა აგარაში (ხულოს რაიონი, მეუღლე მევლუდ მარკოძე) და შეეძინა ორი შვილი: **ჯემალი და შუშანა.**

უფროსი შვილი – **ჯემალი**, რომელიც ამჟამად წალკის რაიონის ორი შვილისჯემალი დაბა თრიალეთში ცხოვრობს, ორი შვილის **ომარისა და როზა** მამაა. **ომარი** დასაოჯახებელია, ხოლო **როზას** (მეუღლე წალკასი მცხოვრები ჯემალ გელაძე) ჰყავს ერთი შვილი – გიორგი.

სენემის მეორე შვილი შუშანა ხულოს რ-ნის სოფ. მეკეიძებშია გათხოვილი (მეუღლე ნოდარ მეკეიძე). ჰყავს ორი შვილი: **ზვიადი** (შვილები: თემური და სულხანი) და **რუსუდანი** (

გათხოვილია სოფელ აგარაში, მეუღლე ჯემალ გელაძე. შვილები: გოგიტა და გიორგი)

ფატანი – ომერის მომდევნო ქალიშვილი – ერდვათელი სადო ფუტკარაძის მეუღლე იყო. მას შეეძინა ორი შვილი: **ვალოდია და ზილფო.**

ვალოდია ხუთი შვილის მამაა (ნარგიზი, ჟუჟუნა, ალიკა, ნუგზარი და პაატა)

ნარგიზი გათხოვილია მახალაკიძეებში (მეუღლე ზაურ ბერიძე). შეეძინა ორი შვილი: გოჩა (შვილები: დემეტრე და ლუკა) და ნანა (მეუღლე ერგელი გიო ქოქოლაძე, შვილი: ანიტა); **ჟუჟუნა** შუბანში (მეუღლე რამაზ ებრალიძე, შვილები: დათა (შვილი ალექსანდრე) და ნინო (მეუღლე ვაიოელი ვახტანგ ჩიკვაიძე, შვილი ნიკოლოზი)

ვალოდიას ვაჟთაგან უფროსი ალიკა სამი შვილის – ნიკას, ლუკას და გეგას მამაა, **ნუგზარი – ორის** (კობა და მამუკა), ხოლო **პაატა** – ორის (საბა და სადო).

ფატანის ქალიშვილი ზილფო დარჩიძეებელი ნიაზ ცეცხლაძის მეუღლე იყო. შეეძინათ ხუთი შვილი: **ბაგრატი, ნარგული, ნანული, ემზარი, ნუგზარი.**

მათგან: **ბაგრატის** შეეძინა ოთხი შვილი (კახა, მანუჩარი, ასმათი, ჯიმშერი), **ემზარს** – სამი (ინდირა, ბექა და მათე), **ნუგზარს** – სამი (ანუკა, დიანა და დიმა); **ნარგული** გათხოვილია ქედაში (მეუღლე მეგიბნელი ემზარ დუმბაძე, შვილები: მირონი, ასმათი და რამინი), ხოლო **ნანული** ქედის რაიონის სოფელ ხარულაში (მეუღლე ბადრი ტაკიძე, შვილები: რუსლანი, რაული და დიმა).

ნური და მისი შთამოეავლობა

ნური ფუტკარაძეს ოთხი შვილი ჰყავდა: ერთი ქალიშვილი – გულა და სამი ვაჟი – მემედი, რეჯები და შაჰენდერი. მემედი რეპრესიებს ემსხვერპლა, შაჰენდერი ანგინით გარდაცვლილა, **რეჯებმა** კი XXI საუკუნის დასაწყისამდე იცოცხლა,

თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე

თუმცა შვილი არ შეძენია. ამიტომ იშვილა მეუღლის დის შვილი ლევანი//უსეინი, რომელსაც შეეძინა ოთხი შვილი: **ზია, ოთარი, თამარი და დონარი.**

ზია ორი შვილის – დავითისა და თეონას მამაა. დავითს ჰყავს ერთი შვილი – ნინი, ხოლო თეონას ორი – ლილია და ნიკა; ორი შვილი ჰყავს ოთარსაც (**ზაზა** – (**ზაზას შვილები:** სესილი, ანამარია) და **თამუნა** (შვილი ნოე); უუჟუნას უფროსი ქალიშვილი **თამარი** შუბნელი ბადრი კვირიკიძის მეუღლეა (შეეძინათ ორი შვილი: კობა და ჯემალი), ხოლო მომდევნო ქალიშვილი **დონარი** ორი შვილის დედაა (მეუღლე წელათელი რევაზ ვაშაყმაძე, შვილები: გიორგი და სალომე).

გულა გათხოვდა წელათში (მეუღლე ტაშტან ვაშაყმაძე) შეეძინა ხუთი შვილი: **ზილფო, ნაზიმე, სენემი, ზექი, ვლადიმერი/ბინალი.**

უფროსი ქალიშვილი **ზილფო** გათხოვდა ტომაშეთში (მეუღლე იუსუფ ფუტკარაძე, შვილები: ავთანდილი, ნინო, მაგული, თამარი, ფაცო). ზილფოს შვილთაგან, ავთანდილს შეეძინა სამი (რაული, რომანი, ეკა. მათგან, რაულის ჰყავს სამი (თათია, მარიამი და ლუკა), რომანის სამი (დათო, სალომე და მარიფა), ხოლო ეკას ერთი (მეუღლე გოგი ქამადაძე, შვილი ლილე), ნინოს (მეუღლე ბობოყვათელი თამაზ ბერიძე) ორი (კახა და მაია), მაგულის (გათხოვილია ტომაშეთელ ჯემალ ფუტკარაძეზე) ხუთი (მარინა, ნელი, თეონა, ინგა და ბექა), თამარს (მეუღლე მერაბ ზოსიძე, სოფ. შრომა) ორი (მანუჩარი და შორენა), ხოლო ნათელას//ფაცოს სამი (გოჩა, გიული და გიორგი) შვილი.

ტაშტანის მეორე ქალიშვილი **ნაზიმე** მახალაკიძეებელი ლილმო ბერიძის მეუღლე იყო. მათ შეეძინათ ხუთი შვილი: **ტარიელი, შოთა, აბესალომი, აკაკი, ბაჩუკი.** მახალაკიძეებშივე იყო გათხოვილი (მეუღლე მიხეილ მახარაძე) ტაშტანის მომდევნო ქალიშვილი **სენემი** (შვილები: ნოდარი და ასია). რაც შეეხება **ზექის**, მას ოჯახი არ შეუქმნის და უმემკვიდრეოდ გარდაიცვალა)

ტაშტანს ჰყავდა ერთი ვაჟი ვლადიმერი//ბინალი. თავად ბინალს სამი შვილი შეეძინა: ნანული, ვარდენი და ლიანა. ნანული გათხოვილია მახალაკიძეებში (მეუღლე მიხეილ ბერიძე, შვილები: იაკობი, დარიკო, მზია, ციური), ლიანა თხილვანაში (მეუღლე ნუგზარ ცეცხლაძე, შვილები: მანუჩარი თამუნა და ნინო), ხოლო ერთადერთ ძმას – ვარდენს ჰყავს ერთი შვილი – ზურაბი.

უსეინის ქალიშვილთაგან შუბანში იყვნენ გათხოვილი ფატყუმი (რომელიც ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას, იყო სკპ-ს წევრი 1932 წლიდან, ხშირად უნევდა ბათუმში ჩამოსვლა, რის გამოც ბათუთა თიკუნად ბათუთა შეარქვეს), და მუნთაპა (მეუღლე ასლან ხიმშიაშვილი, შვილები: ნიაზი და ფატყუმი. ნიაზის შვილები: ციური, ამირანი, ავთანდილი//ბიჭიკო, ლენა //ფიქრო, ლიანა, ხოლო ფატყუმს, რომელიც ჯელალ ვაშაყმაძეზე იყო გათხოვილი, შეეძინა ერთი შვილი – თამარი, რომელიც გარდაიცვალა), ხოლო მომდევნო ქალიშვილი დანდო გათხოვდა ჯუმუშაურში (შვილები: ბინალი და ფერიდე)


ზექერია და მისი შთამომავლობა

ზექერია ექვსი შვილის (ორი ქალიშვილის – გულესერის და ზულეიხის და ოთხი ვაჟიშვილის: რიზალის, ახმედის, ალისა და ქაზიმის) მამა იყო.



ზექერიას უფროსი ვაჟი იყო რიზალი. რიზალს ჰყავდა ოთხი შვილი: ნათელა//ფამბული, გულნაზი, ნოდარი//ხალიდი და ასია.

თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე



ნათელა – რიზალის უფროსი ქალიშვილი გათხოვილია შუბანში (მეუღლე მიხეილ ფუტკარაძე). შეეძინა სამი შვილი: **ნარგული, გიორგი და ნუგზარი.**

მათგან **ნარგულს** (გათხოვილია დარჩიძებში, მეუღლე თამაზ (ცეცხლაძე) ჰყავს სამი ვაჟიშვილი: **რომანი, გურამი და რამაზი.** თავად **რომანი** – სამი შვილის (გიორგი, ანდრია და აკაკი) მამაა, **გიორგი** – ერთის (სანდრო), **გურამს** კი შვილი ჯერ არ შეძენია. სამი შვილი აღზარდა **რამაზმა:** მელანო (მეუღლე სლავა ალანია, შვილი ევა) **ნინო და თამაზი.**

გიორგის (ნათელას უფროსი ვაჟიშვილი) ჰყავს სამი შვილი: **ინგა** (მეუღლე ანზორ დუმბაძე, შვილი – ამირანი), **ირმა** (მეუღლე ირაკლი აბაშიძე, შვილი ანა) და **ირაკლი** (შვილები: გიორგი და ელენე)

ნუგზარს, ნათელას მეორე ვაჟს ჰყავს ორი შვილი: **დავითი** (შვილები: სანდრო და გიგა) და **იმედა** (შვილი ნინო).

გულნაზი – რიზალის მეორე ქალიშვილია. იგი გათხოვილი იყო ნელათში (მეუღლე ვლადიმერ ვაშაყმაძე) და შეეძინა ორი შვილი: **იზოლდა და ავთანდილი.**

იზოლდას – გულნაზის უფროს ქალიშვილს (რომელიც ორ შვილთან ერთად ჩაიფერფლა სახლში საეჭვოდ გაჩენილი

ხანძრის) გამო დარჩა ერთი შვილი – **მზევინარი** (მეუღლე გია ბერიძე, შვილები: შვილი: მირზა (შვილი გია) და ცეზარი).

ავთანდილი (გულნაზის ვაჟი) სამი შვილის მამა (მახარე (შვილი ნინო), მამუკა (დასაოჯახებელი) და მარინა (მეუღლე კრასნოდარში მცხოვრები რაულ სურმანიძე, შვილები: სანდრა და ენრიკი.)

ასიკო//თინა – რიზალის მესამე ქალიშვილია. უილბლო გამოდგა მისი პირველი ქორწინება, რომლის შედეგად მას შვილი არ დარჩენია. მეორე ქორწინებით (მეუღლე რეზო სურმანიძე) მას შეეძინა ერთი ქალიშვილი – **იამზე**. იამზე (ნაადრევად გარდაიცვალა) გათხოვილი იყო ახალსოფელში (მეუღლე იმედა სურმანიძე). შეეძინა შვილი – **ამანდა**.

ნოდარი//ხალიდი – რიზალის ვაჟიშვილია. მას ჰყავდა სამი შვილი: **ზაური, ციალა და მაგული**.

უფროსი შვილი **ზაური** ორი შვილის – **ბექასა და ჯაბას** მამა. ჯაბას შეეძინა ოთხი შვილი: ლილიანა, დანიელი, ანისია და რაფიელი, ხოლო ბექა ახლადდაოჯახებულია.

ნოდარის უფროს ქალიშვილს – **ციალას** (მეუღლე ნოშრევან ზოიძე) ჰყავს ოთხი შვილი: **ირინა, ინდირა, ივლიტა და ნიკა**. მათგან ირინას (მეუღლე ბედინაძე) ჰყავს ორი შვილი (სალომე და გიორგი), ინდირას ოთხი ((მეუღლე ახალსოფელში მცხოვრები ლადო ფუტკარაძე, შვილები: ლიზი, ლუკა, თამარი და ლილე), ივლიტას ერთი (მეუღლე ვერნებელი მარადი აბაშიძე, შვილი – ანდრია), ხოლო ნიკა დასაოჯახებელია.

მაგული – ნოდარის ბოლო ქალიშვილია მას შეეძინა ორი შვილი (მეუღლე იაკობაურელი ამირან ფუტკარაძე, შვილები: **მინდია და მირანდა**. მირანდა გათხოვილია ბათუმში (მეუღლე ნიკა კვირიკაძე) და ჰყავს ერთი შვილი – ილია; ხოლო მინდია ორი შვილის (ამირანი და ანზორი) მამაა.



გულესერი ზექერიას უფროსი ქალიშვილია. იგი გათხოვილი იყო მუბანში (მეუღლე შევქეთ ჯუმუშაძე). თავისი ხასიათის თავისებურებებით იგი თავის უფროს ძმას – რიზალს ემსგავსებოდა. მას შეეძინა სამი შვილი: **შახზადი, სენემი და მარიამი.**


შახზადი – გულესერის ერთადერთი ვაჟიშვილია. მას სამი შვილი შეეძინა: **ნუგზარი, მარინა, ემზარი.** მათგან **მარინა** გათხოვილდა დარჩი- დებში (მეუღლე მამუკა შარვაშიძე) და ორი შვილი აღუზარდა სოფელს: გოჩა და ხვიჩა. ორი შვილი და ერთი შვილიშვილი ჰყავს **ემზარსაც** – ქართლოსი (მვილი ელისაბედი) და ელისაბედი (დასაოჯახებელი). ორი შვილის – მარიტასა და ლაშას მამაა ნუგზარი, შახსადის მესამე შვილი.

სენემი – გულესერის უფროსი ქალიშვილი ხუთი შვილის დედა იყო (მეუღლე ლაითურში მცხოვრები ზაქრო ებრალიძე, შვილები: **ფადიმე, მაყვალა, ნუნუ, ლენა და ლევანი).**

სენემის ქალიშვილთაგან **ფადიმეს** ჰყავს ორი შვილი (მეუღლე ისუფ მიქელაძე, შვილები: ზეინაბი და ზურაბი); **მაყვალას** სამი (მეუღლე იაკობაურელი დავით შაინიძე, შვილები: დალი (მეუღლე იაკობაურელი რემზი ებრალიძე, შვილები: ლიანა, ბექა, ზურა და დიმა); ნანი (მეუღლე მახალაკიძეებელი თენგიზ ბერიძე, შვილები: ირაკლი, სანდრო და გაბრიელი) და გოგიტა); **ნუნუს** ორი (მეუღლე გია გოჩიტიძე, შვილები: თემური და გურამი); **ლენას** ორი (მეუღლე ხელვაჩაურში მცხოვრები მერაბ დიასამიძე, შვილები: ელგუჯა და გეგე), ხოლო **ლევანს** – სენემის ერთადერთ ვაჟს – ორი: (თეკლე და ერეკლე)

მარიამი – სენემის ბოლო ქალიშვილია. მან თავისი ბედი დაუკავშირა თხილვანელ (ხულო) ბიჭიკო ქამადაძეს, რომლის-განაც შეეძნა ხუთი შვილი: **მზია, მანანა, ცირა, ასმათი და ზაზა**. მათგან **მზიას** ჰყავს ორი შვილი (მეუღლე მახოელი ჯემალ გოგიტიძე, შვილები: ნესტანი და ანრი); **მანანას** ორი (მეუღლე ბათუმში მცხოვრები მერაბ დიასამიძე, შვილები: გულადი და მარიამი – უკრაინაში მცხოვრებ რუსლან აბაშიძის მეუღლე); **ცირას** ორი (მეუღლე ლაითურში მცხოვრები ზებურ ფუტკარაძე, შვილები: ნიკა და ოთარი); **ასმათს** ორი – (მეუღლე ხელვაჩაურში მცხოვრები რუპენ ბოლქვაძე, შვილები: რუსუდანი და ნინო), ხოლო **ზაზა** დასაქორწინებელია.

ახმედი ზექერიას მეორე ვაჟიშვილია. მას ჰყავდა სამი შვილი: **იოსები, უუჟუნა და მაყვალა**.



იოსები ახმედის უფროსი ვაჟიშვილი – ოთხი შვილის: **როლანდის**, **ციალას**, **ციურის**, **ინგას** მამა იყო. იოსების შვილთაგან: **როლანდს** ჰყავს ორი შვილი (ავთანდილი და მამუკა), **ციალას** სამი (მეუღლე კრწანისში მცხოვრები თემურ ქარცივაძე, შვილები: ინდირა, ირინა და ირაკლი). ციალას შვილთაგან, ინდირა ორი შვილის დედაა მეუღლე (ნარუჯაში მცხოვრები თენგიზ ბერიძე, შვილები: საბა და სალომე); **ციურის** ოთხი (მეუღლე ამირან ბერიძე, შვილები: ნინო, ნანა, თემური და ნონა); ხოლო **ინგას** ორი (მეუღლე კობალთელი მამუკა ქიზინიძე, შვილები: დაჩი, ანიჭა).

თამაზ ფუტკარაძე, ზაურ ფუტკარაძე

ახმედის ქალიშვილთაგან უუჟუნა იყო ყველაზე უფროსი. იგი იყო რეჯებ ფუტკარაძის მიერ შვილად აყვანილი ლევანის მეუღლე. მას შეეძინა ოთხი შვილი: **ზია ოთარი, თამარი და დონარი.**

ზია ორი შვილის – დავითისა და თეონას მამაა. დავითს ჰყავს ერთი შვილი – ნინი, ხოლო თეონას ორი – ნიკა და ლილია; ორი შვილი ჰყავს **ოთარსაც** (**ზაზა** – (შვილები: სესილი, ანამარია) და **თამარი** – შვილი ნოე; უუჟუნას უფროსი ქალიშვილი **თამარი** შუბნელი ბადრი კვირიკიძის მეუღლეა (შეეძინათ ორი შვილი: კობა და ჯემალი), ხოლო მომდევნო ქალიშვილი **დონარი** ორი შვილის დედაა (მეუღლე წელათელი რევაზ ვაშაყმაძე, შვილები: გიორგი და სალომე).

მაყვალა ახმედის უმცროსი ქალიშვილია. მას პირველი ქორწინებიდან შეეძინა ორი ქალიშვილი – **ხათუნა** (შვილები: ედო და მალვინა) და **იამზე** (ჰყავს ორი შვილი).

მეორე ქორწინებიდან მაყვალას შეეძინა ოთხი შვილი (მეუღლე ჯუმბერ ქარცივაძე, შვილები: ფრიდონი, რამინი, სოფიკო და ლევანი). მაყვალას შვილთაგან, ფრიდონს შეეძინა ორი შვილი (ნინი და ნიკა), **რამინს** – ორი (ელენე და გიორგი); **სოფიკოს** ორი (მეუღლე ქობულეთში მცხოვრები გოჩა სოლომონიძე, შვილები: მარი და ბექა), ხოლო **ლევანს** ოჯახი ჯერ არ შეუქმნია.

ზულეიხი ზექერიას ქალიშვილია. იგი გათხოვდა დარჩიდებში (მეუღლე ჯელალ ცეცხლაძე) და შეეძინა სამი შვილი: **ალექსანდრე, ჩიტო, ლიდა/ასიკო.**

ალექსანდრე ოთხი შვილის: **შუშანას, თალიკოს, მადლენას, ნესტორის** მამაა. ოთხივე დაოჯახებულია. **შუშანას** (მეუღლე შრომაში მცხოვრები ჯემალ ნაკაძე) ჰყავს ორი შვილი: დათო და ავთო; **თალიკოს** – ორი (მეუღლე ჩელტელი გელა გუნთაიშვილი, შვილები: ნინიკო და ნინი); **მადლენას** – ორი (მეუღ-


ლე დაითურში მცხოვრები გივი ბაკურიძე, შვილები: რეზიკო და ქრისტინა); **ნესტორსაც ორი** (ანრი და ანუკი).

ჩიტო – ზულეიხის ქალიშვილი ცხოვრობს ნარუჯაში. მისი მეუღლე იყო ალექსანდრე სურმანიძე. შეეძინათ სამი შვილი: **ავთანდილი, ციური და ნუგზარი.**

ავთანდილი – ორი შვილის – ჯაბასა და მანუჩარის მამა. უფროისი ვაჟი ჯაბა დაოჯახებულია და ჰყავს ერთი შვილი – დემეტრე; **ციური** გათხოვილია ნასაკირალში (მეუღლე არჩილ ვაშაყმაძე) და ჰყავს ორი შვილი: ეკა (მეუღლე ნასაკირალელი ზვიად გელაძე), შვილები: დიმა და დარინა) და მაკა (მეუღლე ზოტში მცხოვრები მამუკა ირემაძე, შვილები: მარიკა და პაატა); სამი შვილის – დალის, ალექსანდრეს და ზვიადის მამაა ჩიტოს მესამე შვილი **ნუგზარი.**


ლიდა//ასიკო – ზულეიხის მესამე ქალიშვილია. იგი გათხოვილია დარჩიძეებში (მეუღლე ლევან ჯაფარიძე) და ჰყავს ორი შვილი: **ედნარი** და **ნონა**. მათგან ედნარს სამი შვილი შეეძინა (მარი, ელენე და ნიკოლოზი), ნონას სამი (მეუღლე ხობში მცხოვრები რამაზ ცეცხლაძე, შვილები: მელანო, ნინო და თამაზი), ხოლო მელანოს ერთი (მეუღლე სლავა ალანიაზე, შვილი: ევა).

ალი – ზექერიას ვაჟიშვილი ერთი შვილის **ნოდარის** მამა იყო. **ნოდარს** შეეძინა სამი შვილი: **გოჩა, ლია და ირაკლი.**



გოჩიას ჰყავს სამი შვილი (თამთა, ნინი და დაჩი); ირაკლის ორი (ნიკა და ნატალი), ხოლო **ლიას** – სამი (მეუღლე გაგი კლდი-აშვილი – თერჯოლის რაიონი სოფელი ბარდუბანიდან, შვილები: ამიკო, ლუკა და სოფო)

ქაზიმი ზექერიას უმცროსი შვილი იყო.



ქაზიმს ჰყავდა ხუთი შვილი: **ადემი**, **ნინო**, **თამაზი**, **ლიანა**, **მარინა**. **ადემი** სკოლამდელ ასაკში გარდაიცვალა. უფროს ქალიშვილს **ნინოს** (მეუღლე ახალსოფლელი ისმაილ შამოლი) ხუთი შვილი შეეძინა: ხათუნა, ეთერი, მარინა, ირინა და გელა. მათგან – **ხათუნას** (მეუღლე მალხაზ საკანდელიძე) ჰყავს ორი შვილი (ხატია და ნუცა) და ერთი შვილიშვილი (ეკატერინე); **ეთერს** – ერთი (მეუღლე რამაზ იაკობაძე, შვილი გოჩა); **მარინეს**, რომელიც ადრე გარდაიცვალა, ერთი (ანა); **ირინეს** სამი (მეუღლე რამინ ქიზინიძე, შვილები: მარი, სოფო და მათე), ხოლო **გელას** სამი (დილარი, ნინი და ლანა)

თამაზს ჰყავდა ოთხი შვილი: **დათო**, **ოლეგი**, **ქეთევანი**, **კახა**. მათგან ორი (დათო და ოლეგი) გარდაიცვალნენ. **ქეთევანს** (მეუღლე გიორგი გუჯაბიძე) ჰყავს ერთი შვილი (ანდრია). ერთი შვილი ჰყავს **კახასაც** (გიორგი).



ლიანა (მეუღლე რევაზ ფარტენაძე) ორი შვილის – მამუკასა და მანუჩარის დედაა. **მამუკამ** ტრაგიულად დასრულა სიცოცხლე, ხოლო **მანუჩარს** ჰყავს ერთი ქალიშვილი – ემილია.

მარინა ქაზიმის უმცროსი ქალიშვილია. იგი გათხოვილია ბესელაშვილებში (მეუღლე ჯემალ დიასამიძე). ამჟამად ცხოვრობენ ბათუმში. ჰყავს ორი შვილი (**თეონა და გიორგი**). თეონას (მეუღლე დავით ზოიძე) ჰყავს ორი შვილი (ანა და გიორგი), ხოლო **გიორგი** დასაოჯახებელია.

ფუტკარაძეთა ნათესაური განშტოება მახალაპიძეებში

დღევანდელი ფუტკარაძეების ერთ-ერთი წინაპარი **შერიფი** ოსმალეთის მიერ წარმოებულ ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციის დროს დაიღუპა. დარჩა ერთი ვაჟი – ხაჯი. შერიფის მეუღლე, რომელიც კობალთიდან იყო გამოთხოვილი – დაქვრივდა. იმჟამინდელმა მძიმე მდგომარეობამ განაპირობა მისი მეორედ ქორწინება. იგი გათხოვდა მახალაპიძეებში, სადაც **შეეძინა** ორი შვილი: ხუსეინი და ხასანი. მათმა ერთ-ერთმა შთამომავალმა ალიოშა მახარაძემ წარმოადგინა გენიალოგიოური სქემა, რომელსაც უცვლელად ვთავაზობთ მკითხველს:

თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე



გეოთხევ ნაწილი

ძვირფასო მკითხველო, ამით ვამთავრებთ ნაშრომის პირველ სამ ნაწილს, რომლებშიც მოთხრობილია წელათისა და წელათში მცხოვრები საგვარეულოს ისტორიის ცალკეული საკითხები. წიგნის ამ ნაწილში მოგითხრობთ იმ პირების შესახებ, რომლებიც დღეს ჩვენს გვერდით აღარ არიან (გამონაკლისა ნოდარი//ყურბან ვაშაყმაძე, როგორც ყველაზე უხუცესი ადამიანი წელათში), მაგრამ მათი საქმიანობით გარკვეული წვლილი შეიტანეს სოფლის აღორძინებასა და საკუთარი საგვარეულოების პოპულარიზაციაში. ასეთები საბედნიეროდ ბევრი არიან. შევეცადეთ, ყველა მათგანის შესახებ მოგვეთხრო. არ გამოვრიცხავთ, რომ ვინმე გამოვვრჩა. ჩვენ, წიგნის ავტორ-გამომცემლებს მათი შთამომავლების სულგრძელობის იმედი გვაქვს.

პერსონალიები წარმოდგენილია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

პერსონალიები

სულეიმანი (დაბ. 1770/80 – 1835 ?) (ფუტკარაძეების წინაპარი)

ფუტკარაძეთა საგვარეულოს ერთ-ერთი ყველაზე ძველი წინაპარი, რომლის შესახებაც ცნობა დაცულია 1835 წლის ოსმალურ არქივებში, არის სულეიმანი. დოკუმენტში ვკითხულობთ: „სამუალო სიმაღლის, შავი ულვაშით, ისმაილ სულეიმანის ძე“. (სტამბოლი, მინისტრთა საბჭოს არქივი, შიფრი – NFS.d.02759. გვ.260-264. დოკუმენტები მიოძია და თარგმნა პროფ. ზაზა შაშიკაძემ) ე.ი. სულეიმანი ისმაილის მამაა, რომელიც იმუამად არსებული ოჯახების შემადგენლობაში არაა დასახელებული. ოჯახის უფროსად მისი შვილი ისმაილია დასახელებული. უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი იმ დროისათვის აღარაა ცოცხალი. მისი პიროვნების, საქმიანობის სფეროს, პროფესიის

თამაზ ფუტკარაძე, ზაურ ფუტკარაძე

შესახებ არავითარი ინფორმაცია არ მოგვეპოვება, თუმცა აღნიშნული დოკუმენტი იძლევა დაბადების სავარაუდო თარიღის გამოთვლის შესაძლებლობას. მისი შვილი დოკუმენტის მიხედვით 1835 წლის მდგომარეობით 35 წლისაა. შვილი კი 20 წლის ასაკში მაინც შეეძინებოდა. ამ ვარაუდით იგი დაბადებული უნდა იყოს 1770/80 -იან წლებში.

ისმაილი – 1800 – ? (ფუტკარაძების წინაპარი)

1835 წლისათვის ოსმალურ დოკუმენტში ოჯახის უფროსად მიოხსენიება **ისმაილი**. აღნერის დროისათვის იგი 35 წლისაა. ე.ი იგი დაიბადა 1835 – 35, ე.ი. 1800 წელს. დოკუმენტი გვაწვდის ცნობას მისი ფიზიკური აღნაგობის, ასაკისა და ოჯახის წევრი მამაკაცების შესახებ, რომ იგი ყოფილა „საშუალო სიმაღლის, შავი ულვაშით, 35 წლის“, რომელსაც ჰყოლია ოთხი შვილი: **არიფა** (15 წლის), **შერიფი** (11 წლის), **ნუმანი** (8 წლის) და **ემრულა** (5 წლის), (სტამბოლი, მინისტრთა საბჭოს არქივი, შიფრი – NFS.d.02759. გვ.260-264. დოკუმენტები მიოძია და თარგმნა პროფ. ზაზა შაშიკაძემ). არიფისა და შერიფისა და ნუმანის შესახებ წინაპრების მეხსიერებამ ცნობები შემოგვინახა, მაგრამ არაფერო ვიცით ემრულას შესახებ (შესაძლოა გარდა-იცვალა ან თურქეთში გადავიდა საცხოვრებლად)

იბრაიმი და სელიმი (1800 – ?) (ვაშაყმაძეების წინაპარი)

თანამედროვე ვაშაყმაძეების კულტურული მეხსიერება სელიმს იქეთ ვერ წვდებოდა. სტამბოლის არქივში აღმოჩენილი დოკუმენტი ინფორმაციას გვაწვდის მისი მამის შესახებაც. კერძოდ, **სელიმის მამა ყოფილი იბრაიმი**. აღნერის დროისათვის, როგორც ჩანს იგი ცოცხალი აღარაა. ამიტომაა დოკუმენტში მოხსენიებული სელიმის ოჯახი მისი მამის მითითებით.

ზეპირი ისტორიების მიხედვით სელიმი წელათში ყინჩაურიდან ამოსულა მის ძმასთან ერთად. ძმა (რომლის სახელი ხალხის მექსიერებას არ შემორჩა) ტრაგიკულ შემთხვევას ემსხვერპლა (დათვს მოუკლავს). მას შთამომავლობა არ დარჩენია. სელიმი კი წელათში დამკვიდრებულა. როგორც ჩანს, სელიმი წელათში მამის – იბრაიმის გარდაცვალების შემდეგ ასულა, რადგან ზეპირი ისტორიებით წელათში საცხოვრებლად გადასვლა მის სახელთანაა დაკავშირებული. აღნერის დროისათვის (1835 წელი) სელიმი 35 წლისაა. ე.ი. იგი დაბადებულა 1800 წელს. დოკუმენტის მიხედვით სელიმს სამი ვაჟი ჰყოლია: **შერიფი** (აღნერის დროისათვის ყოფილა 12 წლის, ე.ი. დაბადებულა 1823 წელს), **ალი** (დაბადებული 1827 წელს) და **მურადი** (დაბადებული 1830 წელს).

არიზა 1820-?

(ფუტკარაძეების წინაპარი)

1835 წლის დოკუმენტში დასახელებული ისმაილის შვილის არიფის შესახებ ინფორმაციები დღემდეა შემონახული ჩვენს კულტურულ მექსიერებაში. ეს ინფორმაცია დოკუმენტალურად შეამაგრა ოსმალური აღნერის დავთარმა, რომლის მიხედვით აღნერის დროისათვის იგი 15 წლისაა. ე.ი. დაბადებულია 1820 წელს (სტამბოლი, მინისტრთა საბჭოს არქივი, შიფრი – NFS.d.02759. გვ.260-264. დოკუმენტები მიობია და თარგმნა პროფ. ზაზა შაშიკაძემ). მან დაიმსახურა თავისი ნიჭითა და მიღწეული განათლებით და არიფ აღად იწოდებოდა. გადმოცემით, იგი იყო კეთილშობილი, ოჯახის მოსიყვარულე და მზრუნველი. ადამიანური თვისებების ეს მხარე წარმოჩნდა ობლად დარჩენილი ძმისშვილის ხაჯისადმი დამოკიდებულებაში.

არიფის გარდაცვალების წელი უცნობია, თუმცა 1870-ნი წლების ბოლოსა თუ 1880-იანი წლების დასაწყისისათვის ის ცოცხალი უნდა ყოფილიყო, რადგან სწორედ მაშინ, მისი თა-

თამაზ ფუტკარაძე, ზაურ ფუტკარაძე

ოსნობით მოხდა ომში წასული ძმის შერიფის საწილო მიწების გაცვლა წელათში მცხოვრებ მოლლა ფერეთზე, თავისი ძმის-შვილსთვის ხაჯისთვის.

შერიფი 1824-? (ფუტკარაძეების წინაპარი)

შერიფი არიფის ძმაა. ოსმალური დოკუმენტის მიხედვით იგი 1824 წელსაა დაბადებული, რადგან ოსმალური აღნერის დროისათვის – 1835 წლისათვის იგი 11 წლისაა. საქორწინო ასაკის მიღწევისთანავე დაქორწინებულა. მისი მეულლე კობალთიდან იყო. როგორც ცნობილია, შუბანი-შუახევის დამაკავშირებელი საავტომობილო გზა საბჭოთა პერიოდში გაიყვანეს. მანამდე ხულოს რაიონულ ცენტრსა და ბათუმთან დამაკავშირებელი გზა გადიოდა სოფელ კობალთაში. იქედან ჩადიოდნენ ყინჩაურში, სადაც იყო ბეგების რეზიდენცია. შემდეგ კი ხულოში ან ბათუმში. გრძელი გზის გავლა მოკლე დროში შეუძლებელი იყო. ამიტომ უხდებოდათ მგზავრებს ღამისთვევა სხვადასხვა სოფელში, მათ შორის კობალთაშიც. სწორედ ამ ურთიერთობების შედეგი უნდა იყოს ფუტკარაძეების დამოყვრება კობალთელებთან. შერიფმა ცოლად შეირთო კობალთელი თავ-დგირიძის ქალი, რომლის დედა კობალთაში ვერნებიდან იყო გამოთხოვილი. წინაპრების გადმოცემით ამასთანაა დაკავშირებული ნათესაური ურთიერთობები ქულოშვილებთან – დღევანდელ აბაშიძეებთან, დარიოლლებთან და ბიზოლლებთან (დღევანდელ სურმანიძეებთან).

ქორწინებიდან არც თუ ისე დიდი ხნის შემდეგ შერიფი გაიწვიეს ოსმალეთის ჯარში, სადაც იგი ამალებულა პოლკოვნიკის ჩინამდე. ოსმალურ არმიაში გაწვეულს შვილის დაბადება წერილით შეუტყვია. წერილითვე უთხოვია, რომ ახალდაბადებულისათვის სახელად ხაჯი დაერქმიათ.

შერიფი დალუბულა ოსმალეთის მიერ წარმოებულ ერთერთ ომში. სავარაუდოდ ეს უნდა ყოფილიყო რუსეთ-თურქეთის 1853-1856 წლების ომი. სხვა ინფორმაცია მის შესახებ არ მოგ-

ვეპოვება. ცნობილია მხოლოდ ის, რომ მისმა შვილმა ხაჯიმ სა-ვარაუდოდ 1890-იან წლებში (რადგან გამგზავრების დროისათვის იგი 50 წლის ყოფილა) მოინახულა მამის საფლავი, რომელზეც ამოტვიფრული ყოფილა შესაბამისი წარწერა-ეპითაპია. წარწერის შინაარსი ჩვენთვის უცნობია.

ალი და მურადი (ვაშაყმაძეების წინაპრები)

სელიმის შვილის – **ალის** შესახებ ოსმალურ დოკუმენტში დაფიქსირებული ასაკის გარდა, სხვა რამე სახის ინფორმაცია არ მოგვეპოვება. ვიცით მხოლოდ, რომ ოსმალური აღწერის დროისათვის (1835 წელი) იგი იყო რვა წლის. ე. ი იგი დაბადებულა 1827 წელს. რაც შეეხება **მურად** სელიმის ძეს, იგი აღწერის დროისათვის ყოფილა 5 წლის, ე.ი. დაბადებული 1830 წელს. სხვა ინფორმაციები მათ შესახებ ცნობილი არაა.

ხაჯი ფუტკარაძე (1837/45-1944)

შუბნის მკვიდრთ გაუგონიათ და დღემდე ახსოვთ კაცურ-კაცობით, დამსახურებით, თავმდაბლობით, სიდინჯითა და წინ-დახედულობით გამორჩეული პიროვნება. ეს ხაჯი ფუტკარაძეა. იგი დაიბადა დარჩიძეებში, სავარაუდოდ 1837 წელს, რადგან მისი შვილიშვილის რიზალის ინფორმაციით იგი გარდაიცვალა 1944 წელს, 107 წლის ასაკში. სხვა ვერსიით მას 99 წელი უცოცხლია. ასეთ შემთხვევაში იგი დაბადებული იქნებოდა 1845 წელს. ხაჯის დაბადების თარიღის დაზუსტებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს 1835 წლის ოსმალურ დოკუმენტს, რომლითაც დგინდება მისი მამის – შერიფის დაბადების თარიღი – 1824 წელი. ნაკლებ სავარაუდოა, რომ 13 წლის შერიფს შეძენოდა შვილი, მით უმტეს, რომ ჯარში განცეულმა შერიფმა წერილით გაიგო შვილის დაბადება. 13 წლისას კი ჯარში არ გაიწვევდნენ. ალბათ სწორი უნდა იყოს დაბადების თარიღის მეორე ვა-

თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე

რიანტი – 1845 წელი. ასეთ შემთხვევაში წინააღმდეგობაში მოვდივართ მისი სიცოცხლის ხანგრძლივობის შესახებ ზეპირ ისტორიებში ცნობილ ასაკთან (107 წელი), თუმცა ამასაც მოეპოვება ახსნა. იმ დროისათვის აღრიცხვის სისტემა არ არსებობდა ანდა სრულიად მოუწესრიგებელი იყო. ეს კი იწვევდა ცდომილებებს როგორც დაბადების თარიღის, ასევე ასაკის განსაზღვრის შემთხვევაშიც.

ხაჯის მამა შერიფი ომში დაღუპულა. სახელი ხაჯიც მამის შერჩეული ყოფილა. **დაქვრივებული დედა გათხოვდა მახალაკიძეებში, სადაც შეეძინა ორი ვაჟი – ხუსეინი და ხასანი – ხაჯის ნახევარძები.** მათი შთამომავლები დღემდე აგრძელებენ წელათელ ფუტკარაძეებთან ნათესაობას.

ობლად დარჩენილ ხაჯის მამობრივი მზრუნველობა გაუწია მისმა ბიძამ – არითმა, რომელმაც უმამოდ დარჩენილი ძმისშვილი დააქორწინა და შემდეგ თავისი ძმის შერიფის სანილო სახნავ-სათესი მინა ხაჯისთვის გაუცვალა იმ დროს წელათში მცხოვრებ მოლლა ფერათს, დღევანდელი ცეცხლაძეები).

ზრდასრული ხაჯი წელათში გადმოსულა საცხოვრებლად მაშინ, როცა მისი შვილი ზექერია რვა წლის იყო. მეორე ვერსიით – გადმოსახლებისას მისი შვილის – იუსუფის მეუღლე შერიფზე იყო ორსულად. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით დარჩიძეებიდან წელათში ხაჯის გადმოსახლება შეიძლება დათარიღდეს 1880-1881 ან 1887 წლით (როგორც ითქვა, დათარიღების საფუძველია შერიფის და ზექერიას სიცოცხლის ხანგრძლივობა და გარდაცვალების ზუსტი თარიღის ცოდნა).

ხაჯის მეუღლე – **ბესელაშვილებიდან კვიახიძეებში გადასულ მუხამედ დიასამინის** (თათაროლლის-თათარიკიანის, მოწესრიგებულობის აღმნიშვნელი) **შვილიშვილია.** მუხამედის ქალიშვილი გათხოვილი იყო შუბანში (ებრალიძეებში), შვილიშვილი კი ფუტკარაძეების რძალი გახდა.

ქორწინება იღბლიანი გამოდგა. ხაჯის შეეძინა **5 შვილი:** ფადო, იუსუფი, ნური, ომერი და ზექერია. ფადო გათხოვდა დარჩიძებში.

ხაჯი მეტისმეტად შრომისმოყვარე და გამრჯე ადამიანი ყოფილა. იგი გამორჩეული იყო სამართლიანობით და პატიოს-ნებით. ამიტომაც დაუმსახურებია საყვარული და პატივისცემა. ხუთი შვილის მამის სარგებლობაში არსებული მიწის ფართობი დარჩიძებიდან წელათში გადმოსვლის შემდეგ გასამაგდა. წელათში დარჩიძებთან შედარებით უკეთესი საცხოვრებელი პირობების პერსპექტივა ჩანდა, რადგან ბევრი იყო აუთვისებელი სახნავ-სათესი ფართობები და სათიბები. ხაჯის გამჭრიახმა გონებამ, შრომისმოყვარეობამ, საქმის სიყვარულმა და შვილების თანადგომამ მრავალსულიანი ოჯახი ეკონომიურად შეძლებულ ოჯახად აქცია.

სამეურნეო საქმიანობას ხაჯი ეფექტურად უთავსებდა ვაჭრობას. იმ დროს თურქეთში, განსაკუთრებით ძველი საქართველოს ნოყიერი საძოვრებით გამორჩეულ ტერიტორიებზე (არტაანი, ჩილდირი, შავშეთი) კარგად იყო განვითარებული მეცხოველეობა, მაგრამ ჭირდა ქსოვილები, სამეურნეო საქონელი, საოჯახო ნივთები.

ხაჯიმ შვილებთან ერთად ალლო აუღო ამ მდგომარეობას და წამოიწყო ერთგვარი ბიზნესი. იგი შავშეთში ყიდულობდა საქონელს (ერთი სავაჭრო ოპერაციის ფარგლებში სამასამდე სული პირუტყვი), წელათის საბაჟოს გავლით ბათუმში სომეხი აკოფას სახმარებითა და ხელშეწყობით ახდენდა მის რეალიზაციას (გაყიდვა ან გადაცვლა), ხოლო შავშეთ-არტაანში ჩაპერინდა მათთვის საჭირო საყოფაცხოვრებო ნივთები და სხვადასხვა სახის ქსოვილები. ამ საქმიანობით ხაჯიმ თავი მოუყარა დიდ სიმდიდრეს (ოქროს, ფული), რამაც შესაძლებლობა მისცა აესრულებინა დიდი ხნის ნატვრა – მოენახულება მამის საფლავი და წასულიყო პილიგრიმად მექაში – წმინდა ადგილების მოსანახულებლად. მას უნახავს კიდეც მამის საფლავი წარწერით, თუმცა ეპითაპიის შინაარსი ჩვენთვის უცნობი დარჩა.

თამაზ ფუტკარაძე, ზაურ ფუტკარაძე

ხაჯიმ ამ მოგზაურობას შვიდი თვე მოანდომა. არაბეთში მოგზაურობის დროისათვის ხაჯი 50 წლის ყოფილა.

ხაჯი ფუტკარაძე ყოფილა კარგი მეოჯახე, მზრუნველი ქმარი, მამა, შეძლებული ოჯახის თავკაცი, თუმცა არასდროს უთაკილია სხვადასხვა სახის სამუშაოს შესრულება. 1923 წლის საარქივო დოკუმენტიდან ჩანს, რომ ხაჯი ერთ-ერთი ყველაზე შეძლებული ოჯახის პატრონია. შუბნის თემში მაცხოვრებლებს შორის მას ყავდა ყველაზე მრავალრიცხოვანი – 19 სულისაგან შემდგარი ოჯახი. 1922 წლიდან დაწესებული აუტანელი გადასახადების მიუხედავად მის ოჯახში აღრიცხული იყო ყველაზე ბევრი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (20 სული), ერთი ცხენი და 7 ცხვარი (ასა ცასა, ფ. რ-178, ან. 1, ს. 29, ფურც. 238-240).

ხაჯი ფუტკარაძე ყოფილა ამტანი და გამტანი, გაჭირვებულთა ქომაგი და ხელშემწყბი. მისმა პიროვნულმა თვისებებმა განსაზღვრა ის ავტორიტეტი და სიყვარული, რითაც სარგებლობდა არა მარტო წელათში, არამედ შუბნის თემის ყველა სოფელში. სწორედ მისი დამსახურების მიხედვით მოიხსენიებენ წელათელ ფუტკარაძეთა საგვარეულოს ხაჯიშვილების სახელით.


ხაჯი ფუტკარაძე გარდაიცვალა 1944 წელს, შუბანში, ნევზეთ ებრალიძის ოჯახში. დასაფლავებულია წელათში, ფუტკარაძეების საგვარეულო სასაფლაოზე.

ფადო ხაჯის ასული ფუტკარაძე (1875 – 1952)

წელათის გამორჩეულ ქალთა გალერეაში ყველაზე საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ხაჯი ფუტკარაძის ოჯახში დაბადებულმა და აღზრდილმა ქალიშვილმა, ხალხი რომ სიყვარულით ეფერებოდა და ელოლიავებოდა. სამწუხაროდ მისი შემართება, გმირობის ტოლფასი გამბედაობა ნაკლებად იყო ცნობილი.

ეს ქალბატონი ფადო ფუტკარაძეა – აღნაგობით მაღალი, სახით შავგრემანი, თვალ-ტანადობით ლამაზი და პირმშვენიე-

რი. სავარაუდოდ იგი **1875 წელს** უნდა იყოს დაბადებული. მშობლიურ ოჯახში შეისისხლხორცა მშრომისმოყვარეობა, სამართლიანობა და ობიექტური განსჯის უნარი. მალე ფადო ფუტკარაძე დარჩიძეებლების რძალი, ხუსეინ ბერიძის მეუღლე გახდა. მთელმა სოფელმა შეიყვარა იგი. მას თავს დასტრიალებდა ოჯახის ყველა წევრი – ქმარი თუ მაზლი, შილი თუ მული, მამამთილი თუ დედამთილი.



ყველაფერი ეხერხებოდა ფადოს: რთვა, ქსოვა, აღზრდა, კულინარია, სამეურნეო საქმიანობა, მშენებლობა, მაგრამ თავისივე საქმის შესახებ არასდროს საუბრობდა – რცხვენოდა, ერიდებოდა. ხუსეინ ბერიძე – სახლების მშენებლობის დიდოსტატი – ხშირად იყო განებივრებული მეუღლის მოხერხებულობით, სამშენებლო ხელოვნების ცოდნით და სამშენებლო სამუშაოების შესრულებაში აქტიური მონაწილეობით.

ფიზიკურადაც ძლიერი პიროვნება იყო ფადო. შვილიშვილის – ზურაბ ბერიძის ინფორმაციით ფადო ასრულებდა ყველა სახის სამეურნეო სამუშაოს. მამაკაცებს ტოლს არ უდებდა არც ერთი სახის სამუშაოს შესრულებაში. ორმხრივად ასაწევი მძიმე ტვირთის ერთ მხარეს ორი-სამი მამაკაცი, მეორე მხარეს კი მხოლოდ ფადო ფუტკარაძე ყოფილა ხშირად.

თამაზ ფუტკარაძე, ზაურ ფუტკარაძე

პირველი რაინდული ნათლობა ფადომ მემთეურობის პე-რიოდში მიიღო. იზეთ ბერიძის ინფორმაციით (რომელიც ზური ფუტკარაძეს მიაწოდა იზეთის შვილმა – ზურაბმა), ფადოს ყმანვილქალობისას მოდური გამხდარა ლამაზ და მოხდენილ ქალებზე თავდასხმა. შესაფერის დროსაც არჩევდნენ. ყველაზე მოსახერხებელი მთობის ის პერიოდი იყო, როცა მამაკაცები სოფლებში თოხნითი და თიბვითი სამუშაოებით იყვნენ დაკავე-ბულნი. ამ დროს მთაში ქალები მარტონი რჩებოდნენ. მათ კი-სერზე იყო საქონლის საბალახოდ გარეკვა, საღამოთი მორეკვა თუ დაკარგული საქონლის მოძებნა.

ზაფხულის ერთ დღეს, მემთეური ფადო ფუტკარაძე ად-რე დილით წასულა პანტებში (საძოვარი ადგილი მთა ჩირუქში) კამეჩების მოსაყვანად. სწორედ იმ დროს, დამშრალი ტბის ბო-ლოს, ტყის მარჯვენა მხრიდან ფადოს თავს დასხმია ორი ყაჩა-ლი. მარტოდ მყოფ ქალს ნამუსის შელახვა დაუპირეს. ფადომ მიიღო გამოწვევა. მას ახლოს მიუხმია ყაჩალები, მიუტყუებია და ისე მაგრად მიუტყებია ისინი, ცხვირ-პირ დასისხლიანებუ-ლებს ფეხზე წამოდგომაც კი ვერ მოუხერხებიათ. ერთი კი უთ-ხოვიათ: „ქმარ-შვილებთან არ გაგვამხილო, ჩვენ ისედაც მალე დაგვაკავებენო“. ორი დღის ნაშიმშილევი ყოფილან ყაჩალები. ფადოს შეცოდებია ისინი, ასულა სახლში, მჭადი და ყველი ჩიუ-ტანია ყაჩალებისთვის და წინასწარ დათქმულ ადგილას დაუტო-ვებია. რაინდული პუნქტის ქალპატრონი დამარცხებულთა ლირ-სების დამცველი და ქომაგი აღმოჩნდა. ეს ამბავი მან დიდი ხნის შემდეგ გაახმოვანა საკუთარ შვილიშვილებთან.

ფადო ფუტკარაძის რაინდონა, ვაჟაცური შემართება გვაგონებს სახალხოდ აღიარებული მოჭიდავე ქალის მუხათ-გვერდელი ანა ბაჯის გმირობას, რომელსაც ხალხმა შესანიშნა-ვი სტრიქონები უძღვნა:

„წელზე ხანჯალი არტყია, დააქროლებს ლურჯა ცხენსა, გმირი ქალი ანა ბაჯი, შიშის ზარს სცემს ხალხის მტრებსა“

ფადო ფუტკარაძე ღრმად მოხუცებულობის ასაკშიც ინარჩუნებდა სიმხნევეს და შრომისმოყვარეობას, საოჯახო საქ-

მეების შესრულებაში ტოლს არ უდებდა ოჯახის არც ერთ ახალგაზრდა ქალს.

განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონია შვილიშვილებთან. თავად სამართლიანი მათგანაც სამართლიანობას ითხოვდა. ერთმანეთში მოჩეუბარ შვილშვილთაგან ორს ერთდროულად ზურგზე შეისვამდა, ორსაც ხელში დაიჭრდა და ასე ეფერებოდა მათ. განსაკუთრებით ახარებდა მამულეთში – წელათში გამგზავრება. წინდაწინ დაიწყებდა სამზადისა, ჩაალაგებდა სამგზავრო ჩანთაში მის მიერ გამოცხობილ გევრეგსა და ტკბილეულებს და ისე გაემგზავრებოდა. დარჩიძეები და წელათი მდ. ჩირუხისწყლის გაღმა-გამოღმა მხარესაა. სოფლის ახალგაზრდები შორიდან შეამჩნევდნენ წელათისაკენ მომავალ რაინდ ქალბატონს, ნაკაფში ამოუსწრებდნენ და ასე ამოაციობდნენ სოფელში.

77 წელი იცოცხლა სახელოვანმა ქალბატონმა. მხოლოდ ათი დღე იავადმყოფეს ცოლმა და ქმარმა. თითქმის ერთდროულადაც გამოემშვიდობნენ წუთისოფელს. 1952 წლის იანვრის შუა რიცხვებში გარდაიცვალა ქმარი – ხუსეინ ბერიძე, ათი დღის შემდეგ კი ფადო. დასაფლავებულნი არიან დარჩიძეებში (სერზე), ბერიძეების საგვარეულო სასაფლაოზე.

სამწუხაროდ, ამ დიდპუნოვანი ქალის შესახებ აქამდე ბევრი არაფერი ვიცოდით. არაფერი გაგვიკეთებია მისი სახელის უკვდავსაყოფად. საამაყო და სასახელო ქალის დავიწყება არ გვეპატიება. ჩვენს მიერ შექმნილი პატარა ჩანახატი პირველი ნაბიჯია ფადო ფუტკარაძის სახელის უკვდავსაყოფად.

ზეპერია ფუტკარაძე (1879-1969)

საუკეთესო ადამიანური თვისებებით იყო შემკული ხაჯი ფუტკარაძის შვილი – ზექერია. იგი გამოიირჩეოდა ნებისყოფის სიმტკიცით, მოთმინებით, შრომისმოყვარეობით და ოჯახისადმი განსაკუთრებული პასუხისმგებლობითა და სხვა ადამიანური თვისებებით. ასე ახასიათებდნენ მას მისი თანამედროვენი. ასეთი გვახსოვს ჩვენ, ჩვენი და ჩვენზე უფროსი თაობის ადამია-

თამაზ ფუტკარაძე, ზაურ ფუტკარაძე

ნებს. ცხოვრების სირთულეების მიუხედავად ზექერია ფუტკარაძეს არ გადაუხვევია პატიოსნების გზიდან და შეინარჩუნა ჭკვიანი, ალალმართალი და გონიერი კაცის რეპუტაცია.

ზ. ფუტკარაძე დაიბადა სოფელ დარჩიძეებში 1879 წელს. საქართველოს შსს საარქივო ცნობის (ფ-1328) მიხედვით, რომელიც გაიცა 1998 წ. 18 სექტემბერს, ზექერია 1901 წელსაა დაბადებული. ეს თარიღი არ უნდა იყოს რეალობის ამსახველი. მან 90 წელი იცოცხლა, გარდაიცვალა 1969 წელს. შესაბამისად იგი 1879 წელს უნდა იყოს დაბადებული. ამასთან ცნობილია, რომ წელათში გადმოსახლების დროისათვის იგი რვა წლის იყო.

საქორწინო ასაკს მიღწეული ზექერია ქორწინდება დარჩიძეებული ბერიძის ქალზე – მუნთაჟაზე (რასიყ ბერიძის და). ქორწინება ბერიძის მომტანი აღმოჩნდა. ადრე ბავშვები ეღუპებოდნენ, მაგრამ შემდგომისათვის ოჯახში ექვსი შვილი გაჩნდა: რიზალი, გულესერი, ახმედი, ზულეიხი, ალი და ქაზიმი.

ზექერია უაღრესად შრომისმოყვარე პიროვნება იყო. სოფელში იგი ტაშტან ვაშაყმაძესთან ერთად მიჩნეული იყო ყავრის ხდის საუკეთესო ოსტატად. ბოლო დრომდე იყო შემორჩენილი სახლები მთა ჩირუხსა თუ ბარის სოფლებში, რომლებიც ზექერიას გამოხდილი ყავრით იყო დახურული.

სირთულეების მიუხედავად, ზექერია ახერხებდა ოჯახის წარმატებით გაძლოლას, შრომობდა, სავაჭროდ მიმოდიოდა ბათუმისა თუ იმერხევის (შავშეთი) სოფლებში. სწორედ ეს წაუყენეს ბრალდებად სოფელში მარხილის კეთების პროცესში მოულოდნელად თავსდამდგარმა უცნობმა პირებმა (უშიშროების სამსახურის წარმომადგენლებმა), თუმცა ზექერიამ აუხსნა, რომ თურქეთში დადიოდა ადრე, მხოლოდ სავაჭროდ და სხვა მიზანი მას არ ამოძრავებდა. იმხანად გადარჩა, თუმცა რამდენიმე ხნის შემდეგ დამით კვლავ მიაკითხა სამმა უცნობმა პირმა. მათ ზექერია სასაფლაოებთან ჩაიყვანეს და მდინარე ჩირუხის-წყლის ციცაბო ნაპირზე დგომა აიძულეს. უცნებებმა კატეგორიულად მოითხოვეს მათთან თანამშრომლობა. მკითხველი-სათვის ადვილად გამოსაცნობია, თუ რას გულისხმობდა „თანამშრომლობა“, მაგრამ ზექერია ამ შემთხვევაშიც ღირსებისა

და მოწოდების სიმაღლეზე დადგა. შეთავაზებულ მატერიალურ კეთილდღეობაზე მან მტკიცე უარი განაცხადა. თანამოძმების ღალატი, იმ დროისათვის მოდად ქცეული ცილისწამება და „ჩაშვება“ შეუთავსებელი აღმოჩნდა ლირსეული კაცის მორალურ პრინციპებთან. რამდენიმე საათს აწამებდნენ, მაგრამ ზექერია მტკიცედ იდგა თავის პოზიციაზე. ამჯერადაც გადარჩა, თუმცა მკაცრად გააფრთხილეს, მომხდარის შესახებ არავის-თვის ეთვეა.

ომის შემდეგ ზექერია ფუტკარაძე საცხოვრებლად ქობულეთის რაიონის სოფ. ბობოყვათის კოლმეურნეობაში გადავიდა. ახალ საცხოვრისში გაუხსენეს ზექერიას დაუმორჩილებლობა. იგი ოჯახთან ერთად 1951 წელს შუა აზიაში გადასახლეს. გადასახლებაში მან გაატარა წელიწადი და ოთხი თვე. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემულ საარქივო ცნობაში ვკითხულობთ: „ზექერია ხაჯის ძე ფუტკარაძე, იყო გადასახლებული საქართველოდან ყაზახეთში 1951 წლის 29 ნოემბრის N 4893-2113 დადგენილების საფუძველზე, სადაც იმყოფებოდა აღრიცხვაზე სპეცკომენდატურაში 1953 წლამდე. მოხსნილია სპეცკომენდატურის აღრიცხვიდან სსრკ მინისტრთა საბჭოს 1953 წ. 11 აპრილის N 1007-430 დადგენილების საფუძველზე“. დოკუმენტს ხელს აწერს შსს საანთორმაციო ცენტრის ქვეგანყოფილების უფროსი ო. კაპანაძე (საქართველოს შსს საარქივო ცნობა ფ-1328. 18.09. 1998 წელი). როგორც დოკუმენტიდან ჩანს, ზექერია გადასახლებიდან 1953 წლის აპრილში დაბრუნდა. ბობოყვათის კოლმეურნეობის იმუამინდელმა თავმჯდომარე ცივაძემ (სამწუხაროდ არ ვიცით მისი სახელი) ზექერიას გადასცა რეპრესირების დროს დარჩენილი ძროხის თანხა, რომელიც საგანგებოდ ჰქონდა შენახული და შესთავაზა მიწები მის-თვის და მისი შვილებისათვის. ცივაძე ზექერიას ჰპირდებოდა ყოველგვარ ხელშეწყობასა და დახმარებას, ოღონდ დარჩენილივნენ ბობოყვათში საცხოვრებლად, მაგრამ მან შვილებთან ერთად წელათში დაბრუნება არჩია. ამ ფაქტს ცივაძეებისადმი

თამაზ ფუტკარაძე, ზაურ ფუტკარაძე

განსაკუთრებული მადლიერებით იხსენებდნენ ზექერიას შვილები.

ზექერია გამორჩეული იყო ბავშვების სიყვარულის განსაკუთრებული უნარით. შალვა ფუტკარაძის გადმოცემით ბავშვებით გარშემორტყმული მოხუცი არავითარ შემთხვევაში არ აიღებდა ხელში ცულს შეშის დასაჩეხად. იგი ელოდებოდა იმ დროს, როცა ბავშვები თავისით გაეცლებოდნენ „სარისკო“ ადგილს, რომ გაეგრძელებინა დაწყებული სამუშაო. ზექერია ფუტკარაძემ 90 წელი იცოცხლა. იცოცხლა სიყვარულითა და ერთგულებით. 1969 წლის ზაფხულში ჩირუხეში მყოფი ზექერია ავად შეიქმნა. მარხილით ჩამოიყვანეს იგი სოფელ წელათში, სადაც გარდაიცვალა. დასაფლავებულია წელათის საგვარეულო სასაფლაოზე.

ისუფ ხაჯის ძე ფუტკარაძე

ისუფი პირდაპირობითა და უკომპრომისობით გამორჩეული პიროვნება ყოფილა. იგი დარჩიდებში უნდა იყოს დაბადებული, რადგან წელათში გადმოსახლების დროისათვის მისი მეუღლე შერიფზე ყოფილა ორსულად. შერიფი კი 1880-ნი წლების დასაწყისში დაიბადა (წელათში გადმოსახლების თარიღის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი და იგი 1881 ან 1887 წლით დავათარილეთ). შერიფის დაბადების წლად 1884 წლის მიიჩნევა რამდენადმე განსხვავებული დათარილების საფუძველს იძლევა, თუმცა აქაც მხედველობაშია მისაღები იმ დროისათვის სტატისტიკური სამსახურების არარსებობა, რასაც ახლავს გარკვეული ცდომილებები). შერიფი ისუფის უფროსი ვაჟიშვილია, რომლის დაბადების დროისათვის მისი მამა 20 წლის მაინც იქნებოდა. შესაბამისად, იუსუფი დაბადებული უნდა იყოს 1864 წლის ახლო ხანებში.


იუსუფი საკმაოდ მკაცრი და ფიცხი ხასიათის კაცი ყოფილა. ასეთივე ყოფილა ოჯახშიც, მაგრამ არასდროს ღალატობდა სამართლიანობას. მას ცოლად ჰყავდა დარჩიდებელი

მექოროლლების (ეხლანდელი მიქელაძეები) ქალიშვილი გულსო. მისი მამა დარჩიძეებში ფურტიოდან თუ ბუთურაულიდან ამოსულა და სამეურნეო საქმიანობაში აქტიურ დახმარებას უწევდა იეთიმალოლლებს (ბერიძეებს). მალე იგი ბერიძეების ქალიშვილზე დაქორწინებულა. ბერიძეებისავე დახმარებით შეუსყიდია მიწის ნაკვეთი და დაუწყია ახალი ცხოვრება. მას შეეძინა ორი ქალიშვილი: გულსო და თუთია.

სწორედ ეს გულსო გახდა იუსუფის მეუღლე, რომლისგანაც შეეძინა ოთხი ვაჟი (შერიფი, მუხამედი, სადო, ფერათი) და ორი ქალიშვილი (ფატუუმი, სულთანი). მეორე ქალიშვილი თუთია კი გათხოვილა დარჩიძეებში (მეუღლე ხუსეინი) და შეძენია შვილები: მუსტაფი, მევლუდი, ჰესრეთი, ყუდუსი და ჰავა.

შერიფი იუსუფის ძე ფუჭურაძე (1884/85/86/88 – 1974)

დღევანდელ ყოფიერებაში არა ვართ განებივრებულნი



ისეთი ადამიანების სიუხვით, რომლებიც „კაცის“ (ტრადიციული ქართული შინაარსი) სახელით ცხოვრობენ. „კაცები“ შაგრენის ტყავივით თანდათან ილევიან, თუმცა „კაცის“ სახელს ტოვებენ წუთისოფელში. სწორედ ასეთ კაცად გვახსოვს შერიფი, ასეთად მოიხსენიებენ მას თანამედროვენი.

შერიფი სოფელ წელათში უნდა იყოს დაბადებული (1880-იან წლებში რამდენიმე თარიღი მოიაზრება შერიფის დაბადების წლად), რადგან წინაპართა გადმოცემით, სწორედ მისი დაბადებით განსაზღვრავენ დარჩიძეებიდან წელათში გადმოსვლის თარიღს. ამის

ნიმე თარიღი მოიაზრება შერიფის დაბადების წლად), რადგან წინაპართა გადმოცემით, სწორედ მისი დაბადებით განსაზღვრავენ დარჩიძეებიდან წელათში გადმოსვლის თარიღს. ამის

თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე

შესახებ უკვე გვქონდა საუბარი. სახელი შერიფი მისი დიდი ბაბუის – ხაჯის მამის უკვდავყოფისათვის შეარქვეს.

ბავშვობიდანვე შრომით საქმიანობაში ჩართული შერიფი სოფლის მეურნეობის შესანიშნავ მცდნედ ჩამოყალიბდა. მან წარმატებით აითვისა წინაპრების მიერ დაგროვილი ემპირიული გამოცდილება და საკუთარი დაკვირვებების შედეგად შემუშავებული ცოდნითაც გაამდიდრა. პირველი ქორნინება უიღბლო გამოდგა. მეუღლე (კობალთელი ქალი) აღრე გარდაიცვალა. მეორე ქორნინებიდან კი (მეუღლე კარაპეტიდან იყო) ორი შვილი შეეძინა (ვეზირი და სირმო).

წათესავ-ახლობლების მოყვარული ადამიანი შელოცვების კარგი მცოდნეც ყოფილა. მასთან დადიოდნენ შაკიკით, წელის ტკივილით დაავადებული ადამიანები, შეულოცავდა აგრეთვე სირსვილით და იმუამად მუნით სახელით ცნობილ კანით დაავადებულებს. უყვარდა წამლერებაც, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქონელს წაიყვანდა საბალახოდ. შთამომავლობამ შემოინახა თურქული ლექსიკით შეზავებული შერიფის ერთი სიმღერა, რომელსაც ხმირად მღეროდა:

„ბაღჩა, ლარდა ბახილი, მეივალარდა ნარიდი,
ოი, იხილადი ჩერმუქდა, ანავ, მაჰმუდ ფარიდი“

შერიფი კიდევ ერთი სპეციფიკური თავისებურებით გამოიჩეოდა. მან კარგად იცოდა აჭარული სამზარეულო, შესანიშნავად ართმევდა თავს იმ საქმეებს, რომელიც იმდროინდელი გაგებით ქალის საქმედ მიიჩნეოდა. ამიტომაც დადიდა იგი მემთეურად ჩირუხში, ამზადებდა რძის პროდუქტებს: ყველს (ჩლერილი, მოშუშული), კარაქს, ნადულს, აცხობდა გევრეგს და ა. შ.

ჰუმანისტი იყო შერიფ ფუტკარაძე, მას უყვარდა ადამიანები, სწამდა მათი, ამიტომაც ენდობოდა ნაცნობსა თუ უცნობს და ერთმანეთის სიყვარულს ქადაგებდა.

შერიფი გარდაიცვალა 1974 წელს. დასაფლავებულია წელათში, საგვარეულო სასაფლაოზე.

ომერ ხაჯის ძე ფუტკარაძე (1885-1937)

ომერ ფუტკარაძე სავარაუდოდ დაიბადა დარჩიძეებში 1885 წელს. მას დაბადებიდანვე თან დაყვა სამართლიანობის დაცვის უნარი, პირდაპირობა და გონიერება. თანამედროვეთა გადმოცემით იგი ყოფილა უშმიარი პიროვნება, ვერ იტანდა თვალთმაქცობას, პირფერობას. მისიანს არასდროს დაელაპარაკებოდა დიპლომატიის ენით. მის სიტყვას ბეჭედი არ სჭირდებოდა. თავისი ცხოვრების მანძილზე არ უკადრია ტყუილი და ორპირობა. საკუთარი სამართლიანობის წყალობით მას **მართალი კაცის** სახელი დაუმკვდრება.

ომერი განსაკუთრებული ფიზიკური ძალის პატრონი ყოფილა, თუმცა ბოროტად არასდროს გამოუყენებია ბუნებისაგან მომადლებული ეს ჯილდო. მაგრამ არც არავის შეარჩენდა ბოროტებას, თუ კი ვინმე ამას გაუბედავდა.

ფიზიკურ ძალასთან ერთად ომერს ჰქონდა გამჭრიახი გონება. ხაჯის დიდ ოჯახში ის ასრულებდა ოჯახის საგარეო და სამართლებრივ საკითხებს აწესრიგებდა. ყველა სადაო, მოსაგვარებელ თუ სამეურნეო საკითხების დაგეგმვას და ორგანიზებას სწორედ ის აწესრიგებდა.

ომერს სხვადასხვა დროს ჰყავდა ოთხი ცოლი. პირველად იგი ზედსიძედ მისულა დარჩიძეებში. მისგან შეეძინა ერთი ქალიშვილი, **ხატიჯე**. მეორე ცოლი იყო მერიემი, ტომაშეთიდან – ბაირო ფუტკარაძის მამიდა. მისგან შეეძინა ორი შვილი: **დურსუნი** და **ბექირი**. შემდეგ დაქორწინდა შავშეთელ ქალზე-ემინეზე, რომლისგანაც შეეძინა ორი ქალიშვილი: **ზოჰრა** (გათხოვდა შერიფ ვაშაყმაძეზე ნელათში) და **სენემი** (გათხოვდა ხულოს სოფელ აგარაში). შემდეგ კვლავ დაქორწინდა ტომაშეთელ ესმაზე და შეეძინა ვაჟი – **ისკენდერი** და **ქალიშვილი ფატანი**.

მართალ კაცს ყოველთვის ჰყავდა მტერი. გამონაკლისი არც ომერი ყოფილა. 1930-ნი წლების მასობრივი რეპრესიების დროს თანამემამულეთა ინტრიგისა თუ ღვარძლის საფუძველ-

თამაზ ფუტკარაძე, ზაურ ფუტკარაძე

ზე იგი დააპატიმრეს. ახლახან გამოიცა ცნობილი ისტორიკოსის ოთარ თურმანიძის ვრცელი მონოგრაფია „საბჭოთა რეჟიმი და მასობრივი რეპრესიები აჭარაში 1921-1952 წლები“, რომელშიც ვკითხულობთ: „ომერ ხაჯის ძე ფუტკარაძე „რელიგიური აღმსარებლობის გამო შინსახკომმა 1937 წ. ოქტომბერში დააპატიმრა. იგი მაშინ 82 წლის იყო (დაიბადა 1855 წელს). საქართველოს უზენაესი სასამართლოს სპეციალური კოლეგიის 1937 წლის 3 ნოემბრის დადგენილებით 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსავეს. ბრალად წაუყენეს აგიტაცია-პროპაგანდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მიზნით. ომერ ფუტკარაძე გადაასახლეს რუსეთის ფედერაციის უკაცრიელ ადგილას, სადაც ტანჯვა-წამებით დაასრულა სიცოცხლე“ ო. თურმანიძე, საბჭოთა რეჟიმი და მასობრივი რეპრესიები აჭარაში 1921-1952 წლები, ბათ. 2019, გვ. 412. ასევე, სისხლიანი გრიგალის ექო, აჭარა. თბ. 2001. გვ. 34). ამ ცნობაში ო. ფუტკარაძის დაბადების თარიღი არ უნდა იყოს სწორი. სიმართლეს უნდა შეესაბამებოდეს ინფორმაცია, რომლის მიხედვით ომერ ფუტკარაძე დაბადებულია 1885 წელს (შუახევი, ბათ. 2008, გვ. 226).

სამწუხაროდ არ ვიცით მისი გადასახლებისა და დასაფლავების ადგილი. საქართველოს არქივებში „ო. ფუტკარაძის გარდაცვალებაზე ინფორმაცია არ გააჩნიათ“ (გაზ. „სრულიად საიდუმლოდ“, 1999. N 12)

ნური ხაჯის ძე ფუტკარაძე 1880-იანი წე. – ?

ნური ფუტკარაძის შესახებ ზეპირ მეხსიერებაში მწირი ინფორმაცია შემონახული. ცნობილია, რომ იგი იყო მათემატიკური ნიჭითა და ფინანსური აზროვნების უნარით დაჯილდოებული პიროვნება. ზეპირად შეეძლო სხვადასხვა მათემატიკური თუ საინჟინრო გაანგარიშება. ხაჯის ოჯახში საფინანსო საქმეებს ნური განაგებდა.

დაქორწინებული იყო ტომაშეთელი ფუტკარაძის ქალზე, რომლისგანაც შეეძინა ოთხი შვილი: გულა, მემედი, რეჯები და შაჰბენდერი. მემედი რეპრესიებს ემსხვერპლა, შაჰბენდერი ანგინით გარდაცვლილა, რეჯებმა კი 21-ე ს. დასაწყისამდე იცოცხლა.

ჩვენთვის უცნობია ნურის დაბადების თარიღი. თუმცა მისი შვილის – რეჯების დაბადების თარიღის ცოდნა რამდენადმე დაგვეხმარება ამ თარიღის მიახლოებით გამოსათვლელად.

რეჯები დაიბადა 1908 წელს. მისი მამა ამ დროს მინიმუმ 20 წლის მაინც იქნებოდა. შესაბამისად, ნური დაბადებული უნდა იყოს 1880-იან წლებში.

ახმედ ფუტკარაძე (1886-1955)

ახმედ მუხამედის ძე ფუტკარაძე – წელათელი ხაჯის ბიძის, ნურანის შთამომავალია. იგი დაიბადა სოფელ დარჩიძეებში 1886 წელს. განათლება ახმედს არ მიუღია, მაგრამ თავისი ნიჭის წყალობით იგი ახალგაზრდობიდანვე იქცა ხალხური სიმღერების შესანიშნავ შემსრულებლად. ხელოვნება ღარიბი ახმედისათვის შემოსავლის ძირითადი წყარო გამხდარა. იგი ჯერ ხალხური საკრავების გარეშე მღეროდა, შემდეგ კი ჩონგურზე დაკვრა ისწავლა და მთიან აჭარაში ცნობილ მომღერლად იქცა.



ახმედს წერა-კითხვა არ სცოდნია, მაგრამ უნიკალური მეხსიერების წყალობით შეეძლო დაემახსოვრებინა როგორც საკუთარი ლექსები, ისე სხვისგან მოსმენილი პოემებიც კი. მისი შვილის ბინალის წყალობით შემორჩა ახმედის სამი სატრაფიალო ლექსი. მამის კვალს სამი შვილიდან მხოლოდ ბინალი გაყვა.

ახმედი გარდაიცვალა 1955 წელს. დაკრძალულია სოფელ დარჩიძეებში.

დურსუნ ფუტკარაძე (1900-1995)



დურსუნი დაიბადა 1901 წელს, სოფ. წელათში, ომერ ფუტკარაძის ოჯახში, სწორედ იმ სახლში, წელათელ ფუტკარაძეთა სამოსახლოს N1 საცხოვრებელში, რომელსაც თავად დურსუნ ფუტკარაძემ შეუნარჩუნა სიცოცხლე 1980-იან წლებამდე. ის იყო ფუტკარაძეთა ერთიანობის სახლი, რომელიც მიწნეულ იქნა ყველაზე უფრო ტიპიურ საცხოვრებლად. სამეცნიერო ლიტერატურაში შემოგვინახა ამ საცხოვრებლის მეცნიერული აღწერა, რომლის შესახებაც უკვე გვქონდა საუბარი.

დურსუნი უალრესად მოსიყვარულე ადამიანი იყო. ბავშვობიდანვე თან დაყვა კეთილშობილება და პატიოსნება. სიცოცხლის ბოლომდე იგი შესაშურ ადამიანურ სითბოს გასცემდა დიდსა თუ პატარას. ერთნაირად უყვარდა ყველა. ბოროტება, შური, ანგარიშის გასწორება, შურისძიება უცხო იყო დურ-

სუნის ხასიათისათვის.

დურსუნის ადამიანურ ღირსებაზე მიუთითებს მისი და-
მოკიდებულება ძმის ბექირისადმი. მარტოდ არ მიუტოვებია ინ-
ვალიდი ძმა, სითბო და სიყვარული არ დაუკლია მისთვის. ნი-
შანდობლივია ერთი ფაქტი: 1980-1990-იანი წლების მიჯნაზე
მთიანი აჭარიდან საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გადა-
სახლდა ასეულობით ოჯახი. მათ შორის იყო დურსუნის ოჯა-
ხიც. ისინი ჩასახლდნენ გურიის სოფელ შრომაში. აჭარელი ყო-
ველთვის განიცდიდა მიწის შიმშილს, შესაბამისად ჩასახლების
ადგილებში ფართო გასაქანი მიეცა მიწების მითვისებას სა-
კოლმეურნეო ფართობების ხარჯზე. მიწა მიითვისა დურსუნის
ოჯახმაც. მიწების მისაკუთრებამ ფართო მასშტაბებში შეიძინა,
ამიტომ გადაწყდა კომისიის შექმნა, რომელიც შეისწავლიდა ამ
პრობლემას. კომისიის ხელმძღვანელად დაინიშნა შრომის კოლ-
მეურნეობის იმუამინდელი თავმჯდომარე მიხაკო ორაგველიძე. კომისიამ დაინწყო მიტაცებული ფართობების დათვალიერება-
აღრიცხვა. დაათვალიერეს დურსუნ ფუტკარაძის მიერ მიტაცე-
ბული მიწებიც. დურსუნი იმ დროს უკვე საკმაოდ ასაკოვანი
იყო და სამეურნეო საკითხები მისი შვილის – შოთას კომპეტენ-
ციაში შედიოდა. ფართობის დათვალიერებისას კომისიამ ყუ-
რადლება მიაქცია ერთ მოხუცს, რომელსაც აშკარად ეტყობო-
და, რომ ის ხეიბარი იყო. მ. ორაგველიძემ იკითხა მისი ვინაობა:
„ამ მიწის მიმთვისებლის ძმაა“, უპასუხეს ხელმძღვანელს. მე-
რედა ვისთან ცხოვრობსო, ხელახლა იკითხა მ. ორაგველიძემ. აუხსნეს, რომ ეს კაცი იყო ინვალიდი, რომელიც თავის ძმასთან
ცხოვრობდა. ორივენი იყვნენ ღრმად მოხუცებულნი და ისინი
მათი შვილის-შოთას კმაყოფაზე იმყოფებოდნენ. მ. ორაგველი-
ძემ, რომელსაც უდიდესი ამაგი მიუძღვის მთიანი აჭარის მო-
სახლეობის მიმართ, მაშინვე გაანალიზა ეს ყველაფერი და გა-
ნაცხადა: „ხედავ, კაცო! ჩვენთან შვილი საკუთარ მამას არ უვ-
ლის, აქ კი ძმა ძმას პატრონობს, ხოლო შვილი უვლის მამასაც
და პიძასაც. მიუზომეთ ეს ადგილებით“ – უბრძანებია კოლმე-
ურნეობის თავმჯდომარეს და მიღებულ გადაწყვეტილბაზე პა-

თამაზ ფუტკარაძე, ზურ ფუტკარაძე

სუხისმგებლობა თავად აუღია. ეს მაგალითი მოვიყვანეთ დურსუნის კეთილშობილების დასადასტურებლად.

დურსუნ ფუტკარაძის შთამომავლები შოთა, ლუბა (მერიკო), თამარი და შალვა ფუტკარაძეები ამჟამად ცხოვრობენ სოფელ შრომაში და მამისეული პატიოსნების გზიდან არ გადაუხვევიათ.

დურსუნ ფუტკარაძე გარდაიცვალა 1995 წელს, სოფელ შრომაში. დაკრძალულია სოფლის სასაფლაოზე.

დემურალ (1900-1990), ნური (1929-1991) და ვაჟა//ნიაზ (1937 – 2020) ვაჭახემაძეები

ზოგადად, ძალზე ძნელია გარდაცვლილ ადამიანებზე მოგონების დაწერა. აზრები იყარება სენტიმენტალური მოგონებების მორევში. ვერაფერს დაწერ გრძნობების გარეშე, გრძნობები კი ცრემლს გვრის მოგონებების ავტორს. თუმცა მაინც ვძლიერ ემოციებს და შეძლებისდაგვარად ფურცელზე გადავიტანე დემურალ, ნური და ვაჟა ვაშაყმაძეებისადმი ჩემი დამოკიდებულება.



დემურალ, ნური და ნიაზ ვაშაყმაძეები

ჩვენს ბავშვობაში ქობულეთში მცხოვრები დემურალი წელათელთაგან ერთ-ერთი უხუცესი ადამიანი იყო. ჭკვიან და კეთილ კაცად მიიჩნევდნენ სოფელში. წელათში დაბადებულმა კაცმა ბავშვობიდანვე შეითვისა მოყვასისადმი სიყვარული და პატიოსანი შრომის ფასი.

դեմուրալս մძիմյ եցեցրո արցոնա ծեզմա. Երտ-Երտ პորով-նեծաս (զոնառնա պահանձա) – մուսո տեղանունու Շեսաձամուսագ մազմշե-տուսակը մոմազալո ցիս արցենա, րուս ցամու մաս դաշտեցնեն սամ-եցրուեծո, մեսարժու ճափրյու ճա դաշտագումրյու. 18 նելու ոչածա ցո-սեմու դեմուրալս. Շրոմուսմոպարյունամ ցուեմու ց ցայնու ճաթմա-րուեծա. ման առաջուսա քանապամլս լեցուս բայենոլուցու, րոմելու ց Շեմդցոմ ցանացրու տացուս սամեթոնօլումո. ցուեուան ճաթրյունե-ծուս Շեմդցա մաս ար մուսցուս սաթլցարտան աելուս մազեարյ մշոն-լույր սոցյելու ցեղուրյունու պայլուեծա. սենորյ ամութոմ ճամ-կազուարդա ոցու յունալուցուս րասոնուս սոցյել ծոծոպատմո, տպա-ցա նելատան կազմուրո արասուցու ցայնուցուելուա.

մամուսուլու սույետու ճա պատուսնեծա ցապա մուս պայունու զա-շումզուլս – նյուրուս, րոմելու ց Շեմդցա յունալուցումո, սոցյել ծո-ծոպատմու ցաճացուդա սապեցրյ ծուլա ճա ոյէպ Շրոմուսմոպարյ ճա կուտուլու ճա սամարտլուսան կացուս սաելու ճամկազուարդա. ասե-տուցու ոպու դեմուրալուս մեռու Շեմուլու – ցայսա/նուան – ჩիզենո սա-ուպրագ սապարյ լու ծուլուս ցամորհիւլու մին. Շեսաձլու ամո-տացա ցանքուրուեծուլու ჩիմու ցանսակուտրյ ծուլու ճամուկուցուլու-լուեծա, տպմու մտացարու մանցու մուսու աճամուանուրու տցուսեցեծուա. ցա-շա ցուլուսան կացու ոպու. նատեսացեծու ցամորհիւլա պայունարդա, պո-ցուլուցուս ոպու մթագ մտացուս ճաթմարյ կալու ցայնուցունու. Երտեղաւ պատրյումրյու պորոլուստացմու, Երտ-Երտ աելույնու-նու ճա ճաթմարյ ցատեցյու. ցայսա նարծու ար Շեյխրու, „ածա ցուստան շնուրա մուքուցուետ տեղանու, տպա արա ჩիմտանու“ – մրացալմնում-շ-նուրունագ ույունուսան. ույունուսան ցայսա մուստուս հիզեւլու ցուլուտագունու սույուրա ցամուլուցուն. ույունուսան ցայսա մուստուս հիմտան Երտագ տանմելուեծու աճամուանունու, րոմ ճալումդու սասուամունու մոցոնյ-ծագ ճացուրիա տուտույնու հիզենտացանս.

ցայսա ծուցյա կաթուցուուլու ճա մյացրու ոպու, տպմու արասֆուս լալագունու ճա սամարտլուսանուս. Շենուսան ցարդա սեցասաւ պայունա պայունարդու, ույունուսան ցայսա. պայունարդատ կուցու. ագասայեծնուն ճա ցամապացունու մաստան պատու Երտույրունու. աճամուանուս ճանումնուլուեծու ամսաեցու պուրու սպուտու ծուստագ ցամա-ցեծա ցայսա ցեղուրյ կանունու:

თამაზ ფუტკარაძე, ზაურ ფუტკარაძე

რა ღირს ჩვენი სიცოცხლე, ჰქუხდე ციდან ზღვამდე,
კაცი უნდა გიყვარდეს, კაცს არ უნდა ჭამდე;
მოვა ჩვენი სიკვდილიც, დაეშვება ფარდა,
სხვამაც უნდა გიტიროს, შენიანის გარდა.

დემურალი გარდაიცვალა 1990 წელს (დასაფლევებულია ბობოყვათში), ნური – 1991 წელს (დასაფლავებულია ბობოყვათში), ხოლო ვაჟა 2020 წლის ნოემბერში. დაკრძალულია სალიბა-ურში.

პეტირი (1905-1988)



ბექირ ომერის ძე ფუტკარაძე დაიბადა 1905 წელს, სოფელ წელათში. ბედმა არ გაულიმა კეთილი ბუნების ადამიანს. იგი ბავშვობიდანვე ხეიბარი იყო. მიუხედავად ამისა, მთელი ცხოვრება შრომობდა და ასრულებდა ყველა სახის სამუშაოს, რომლის გაკეთება მსგავსი ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანისათვის შეუძლებელი ჩანდა. იგი ცალი ხელით ხერხავდა საშეშე მორს, ცალი ხელით ჩეხავდა შეშას. ბექირი იყო საუცხოო მწყემსი. მრავალრიცხოვან ცხვრის ფარას პროფესიონალი მწყემსის დარად მწყემსავდა.

ასაკით უფროსი ბექირი ბავშვების მეგობარი იყო. მკაცრი მამის ხელში გაზრდილს საოცრად უყვარდა პატარები. იგი არ თაკილობდა მათთან თამაშს, თავის გაყადრებას, არასოდეს ტუქსავდა, პირიქით ეფერებოდა მათ. მისი გარდაცვალებაც ყველაზე მეტად ბავშვებმა განიცადეს.

სამწუხაროდ, უმემკვიდრეოდ წავიდა ბექირი ამ ქვეყნიდან. იგი არასდროს არ ყოფილა ქორწინებაში. გარდაიცვალა 1988 წელს – 83 წლის ასაკში, სოფელ შრომაში. დაკრძალულია სოფლის სასაფლაოზე.

შერიფი ვაჟაყმაძე (1905-1977)

ბავშვობიდანვე იწყება ძველი წელათის ნაცნობ-მეგობრობა. ფუტ-კარაძების დასახლებიდან ორასიოდე მეტრში, სოფლის ცენტრში, ლამაზ, ვაკე ადგილას მდებარეობდა ტრადიციული აჭარული ორსართულიანი სახლი, რომლის პირველი სართული ცხოველთა სადგომი იყო, მეორე სართული კი ადამიანთა საცხოვრისი. ამ სახლის ყველაზე დიდ ბუხრიან ოთახში იკრიბებოდნენ ოჯახის წევრები. აქვე „კერასთან“ წყვეტდა საოჯახო საკითხებს ოჯახის უფროსი შერიფ ხამიას ძე ვაჟაყმაძე, ნიჭიერი კაცი, თავისებურად განათლებული, მოხერხებული, თავისი დროისათვის საკმაოდ შეძლებული ოჯახის თავკაცი.



ბევრი წელათელისთვის საამაყო იყო შერიფთან ურთიერთობა, რადგან მასში ხედავდნენ მაღალ კულტურას, სითბოს, შრომისმოყვარეობას, გონიერებას, ბუნებრივ ნიჭისა და ემპირიულ ცოდნა-გამოცდილებას. გარკვეული თვალსაზრისით იგი სოფლის სულიერი მოძღვარიც იყო. კულტურა ხომ სულიერების გამოხატულებაა. შერიფი ხელოვნების მოყვარული იყო და თავადაც შესანიშნავად უკრავდა ჩინგურზე. ეხერხებოდა სიმღერაც.

ერთი საინტერესო თვისება ჰქონდა შერიფს. საძოვარზე გარეკილ საქონელს მალევე მოაბრუნებდა – „მე ერთ საათში ვძლები, ამათ კი მთელი დღე არ ჰყოფნითო“.

შერიფი გადასახლდა მიწისქვესა საქართველოში და ერთი დიდი საასპარეზზ წელათში კარგა ხნით დაცარიელდა. იგი გარდაიცვალა 1977 წელს, დასაფლავებულია სოფლის საგვარეულო სასაფლაოზე.

რევენტ ფუტკარაძე (1908-2004)



რევენტი დაიბადა სოფელ წელათში 1908 წელს – ნური ფუტკარაძის ოჯახში. მისი დედა ჰუნქერი ტომაშეთელი ფუტკარაძების ქალი იყო. ერთობ თბილ და სასიამოვნო ოჯახურ გარემოში უწევდა ცხოვრება, მაგრამ ბედის ირონით მათ ოჯახსაც არაერთხელ დაატყდა უბედურება. მისი ერთი ძმა მემედი მასობრივ რეპრესიებს ემსხვერპლა, მეორე ძმა შაჰპენდერი ანგინით

გარდაიცვალა, გულა კი გათხოვდა სოფელ წელათში (მეუღლე ტაშტან ვაშაემაძე).

რევენტი უპრეტენზიო, გულკეთილი და თბილი პიროვნება იყო. არავინ ჰყავდა ნაწყენ-უკმაყოფილო. ყველას ხელს გაუმართავდა, საქმეს გაუკეთებდა. ნათესავ-ახლობლების მოყვარულს აჭარის არაერთ სოფელში ჰყავდა ნაცნობ-მეგობარი, რომლებსაც წელიწადში ერთხელ აუცილებლად მოინახულებდა. რევენტი საოცარი სტუმართმოყვარეობით გამოირჩოდა. ყოფილა შემთხვევა, როცა მისი ერთ-ერთი ნათესავი სახლში მიიპატიუა. მან სხვაგან გადაეწყვიტა ლამის გათევა, რის გამოც რევენტს თვალებიდან ცრემლები წამოუვიდა.

რევენტ ფუტკარაძემ თავისი მომავალი ცხოვრება ერდვა-თელ სინარს დაუკავშირა, თუმცა მისგან შვილი არ შეეძინა. უმეტესი დარწევის პიძის – ზექერიას შვილის ქაზიმის შვილად აყვანა გადაუწყვეტია, მაგრამ ქაზიმი არ დათანხმებულა. ამის შემდეგ შვილად აიყვანა მისი ცოლის დის შვილი –

ტყუბისცალი ლევანი, რომელიც სულ ახლახან, 2020 წლის ოქტომბერში გარდაიცვალა.

1990-იან წლებში რეჯებ ფუტკარაძის ოჯახიც გადასახლდა ხელვაჩაურში, სოფელ ფერიაში, საიდანაც განსახლდნენ ბათუმში (გოროდოკის უბანში).

რეჯებ ფუტკარაძე გარდაიცვალა 2004 წელს, სოფელ წელათში. დაკრძალულია სოფლის საგვარეულო სასაფლაოზე.

ფერათ ფუტკარაძე (1910-1993)



სარ მაქ, დუბეგში სარ გაზრდილიო“ ამ ფაქტს იუმორით დღესაც იხსენები თანასოფლები.

დაიბადა სოფ. წელათში, 1910 წელს, იუსუფ ფუტკარაძის ოჯახში. იგი ადრიდანვე გამოირჩეოდა გონიერებით და პირდაპირობით. დიპლომატიური ნიჭით დაჯილდოებული არასდროს ერიდებოდა სათქმელის პირდაპირ, შეულამაზებლად გამოხატვას. ხასიათის ამ თვისების დასადასტურებლად თანამედროვენი იხსენებენ ერთ ფაქტს, როცა წელათის სათიბ ჭალებს ესტუმრენ რაიონის ხელმძღვანელი პირველი პირები. ფერათი მივიდა მათთან, ყველანი ფეხზე წამოდგნენ და გამოხატეს პატივისცემა ასაკოვანი ადამიანის მიმართ, მხოლოდ ერთი კაცი (რაიონის მეორე პირი) არ წამომდგარა. ფერათს მოურიდებლად მიუხლია მისთვის: „რას ჩახლარცულ-

თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე

საქორნინო ასაკს მიღწეული ფერათი ქორნინდება მან-ყვათელ ქალზე, რომლისგანაც შეეძინა ვაჟი – აბასი, მაგრამ მალე მეუღლე გარდაეცვალა. მეორე ქორნინებით ცხოვრება დაუკავშირა ერდვათელ ქალს-გულხანუმს, რომლისგანაც შეე-ძინა ორი ვაჟი, ზულალი და ოსები (შახზადი)

მძიმე დღეები გადაიტანა ახალშენში ახლადჩამოსახლე-ბულმა ფერათმა შვილის-იოსების ტრაგიკული გარდაცვალების გამო. ამ განსაცდელსაც გაუძლო. ახალშენში გაატარა სიცოც-ხლის ბოლო პერიოდი. სიკვდილის სარეცელზე მიჯაჭვულს წე-ლათი ახსენდებოდა და იქაური სახნავ-სათესი მიწების თაობა-ზე საარქივო მასალის მოძიებას ითხოვდა.

ფერათი გარდაცვალა 1993 წელს. დასაფლავებულია სოფელ ახალშენში.

პოსო ვაშაყაძე (1911-1977)

თითოეული ადამიანის გარ-დაცვალება იმ სფეროს აობლებს, რომელსაც იგი ემსახურებოდა. მასწავლებლის სიკვდილით – სკო-ლა ობლდება, მსახიობის სიკვდი-ლით – თეატრი. გამორჩეული ადამიანის გარდაცვალება ამოუვ-სებ სიცარიელეს ტოვებს.

იქნებ სულ მთლად ასე არ არის, მაგრამ პოსო ვაშაყაძის მო-ულოდნელი და ტრაგიკული გარ-დაცვალებით გაწყდა ის გზასავა-ლი, რომელიც ასე ხილული და ყველასათვის მისაბაძი იყო.

არიან ადამიანები, რომელთა ნაშრომ-ნაკეთები ერთნაირად სა-ინტერესოა მოსაგონებლად და გა-



აზრებისათვის. პოსო ვაშაყმაძე სწორედ ასეთი პიროვნება იყო – რაინდული სულის მარტელი, სიყვარულისა და მოფერებისათვის ამ ქვეყნად მოვლენილი.

ჩვენთან მისი ურთიერთობა რა მოსატანია, მაშინ ხომ სკოლის მოსწავლეები ვიყავით. იგი ათობით და ასობით ადამიანს უშურველად უზიარებდა გულის სითბოს, სამეურნეო გამოცდილობას და ნადირობის საიდუმლოებებს. გაბრაზება არ იცოდა და თუ გაბრაზდებოდა, სხვებისთვის ეს შეუმჩნეველი იყო. ბრაზს ხშირად სიცილის დროს გამოხატავდა. მაშინ კი მორიდება იყო საჭირო.

შრომისმოყვარე პოსო ყველა სახის სამეურნეო სამუშაოს ასრულებდა. განაფული იყო ოსტატ-ხელოსნობაში, მაგრამ მისი პობი მაინც ნადირობა იყო. ფიზიკურადაც ძლიერი და ამტანი კაცი იყო. დათვთან ჭიდილში დამარცხდა მხოლოდ. ნადირობის პირველ ღეს დათვი დაჭრა, თუმცა ეს ჭრილობა სასიკვდილო არ აღმოჩნდა. როგორც ჩანს, დათვმა კვალი დაუცო და მეორე დღეს სანადიროდ ვაჟასთან//ქერქმთან ერთად წასულები პირდაპირ შეეფეხონენ გაავაბულ ნადირს. პოსო ხელდახელ შეება დათვს, ქერქმა კი თოფი ჰაერში ისროლა, რადგან ორთაბრძოლაში ჩაძმული მინაზე კოტრიალებდნენ და ტყვია შემთვევით არ მოხვედროდა გამოცდილ მონადირეს. პოსო დაიღუპა. მაშინ იგი 66 წლისა იყო. ეს ამბავი 1977 წელს მოხდა.

წელათში, წელათიდან სხვაგან განსახლებულთა ოჯახებში გაჩინდება ახალი სიცოცხლეები, მოვლენ ახლები, ალბათ უფრო დალაგებულ ქვეყანაში მოუწევთ ცხოვრება, მაგრამ თუ არ ეცოდინებათ პოსო ვაშაყმაძისთანა ადამიანები, არც ხიბლი და ფასი ექნება მათ ცხოვრებას.

ამიტომ გვახსოვს პოსო ვაშაყმაძე, მისი ცხოვრების წესი და კაცობა.

ტაშტან ვაშაყმაპი (1914-1994)

მაღალმთიანი აჭარის ლამაზი სოფელში მცხოვრები უსეინის ოჯახში ექვსჯერ დაირნა აკვანი – მადლიანი, ნამდვილი ქართული, ტრადიციული აკვანი. ორი ვაჟი და ოთხი ქალი ახარებდათ უმძიმეს შრომასა და გარჯაში ხელებდაკოშრილ და თმაშევარცხნილ მშობლებს. მათგან ტაშტანი გამორჩეული იყო თავისი გარეგნობით, ხასიათით, იუმორის გრძნობით, იმპროვიზაციის უნარით, თავისი ულვაშებითაც კი.

ბუნებით კეთილშობილი კაცი დაჯილდოებული იყო დამაჯერებელი მეტყველების უნარით. ტაშტანის სახლი იყო სოფლელი ბავშვების თავშეყრის ადგილი. საოცარი საუბარი იცოდა. საინტერესო ამბებს განსაცვიფრებელ იუმორს მოაყოლებდა. უამრავი ზღაპარი იცოდა. შეეძლო დღე-ლამის განმავლობაში შეუწყვეტლივ მოყოლა. თვითონაც თხზავდა. შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება იყო.

გარკვეული თვალსაზრისით იგი სულხან-საბას სკოლის წარმომადგენელი იყო. სიცრუეში სიბრძნის გადმოცემა იცოდა. დაუჯერებელ ამბავს ისეთი დამაჯერებლობით ყვებოდა, ურწმუნო ადამიანსაც კი დააეჭვებდა. დღესაც სიცილით იგონებენ მის ზღაპრულ მონათხრობს – „ქურთი ისე გავლახე, ცულის ყუას ვურტყამდი თავში, ბაბომ რომ შემომისნო და მითხრა – არ შემოგაკვედესო“. ისეთი პათოსით ყვებოდა, ზოგიერთ სერიოზულ თანასოფლელსაც კი დაუჯერებია.

ტაშტანი იყო კარგი მეურნე, შესანიშნავი ხელოსანი, ოსტატი. ჰქონდა საკუთარი სამჭედლო. ამზადებდა დანებს, სამეურნეო იარაღებს, სხვადასხვა სახის რკინის ნაკეთობებს.

ტაშტანი – ზექერია ფუტკარაძესთან ერთად იყო ყავრის საუცხოო ხდის ოსტატი. დღესაცაა შემორჩენილი სოფლის ალპურ საძოვრებზე- მთა ჩირუბში მის მიერ გამოხდილი ყავრით დახურული ველი სახლები.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარი – საოცარი სირთულეებით დატვირთული ეპოქა იყო. 60-ი წლების შიმშილობის დროს

იშვიათი იყო საბაბი სიცილისა და მხიარულებისათვის, ტაშტანი კი მუდამ ღიმილიანი, გულიანი და ხუმრობის განწყობის მატა-რებელი იყო – რიხიანად შემოუძახებდა საკუთარ თავსაც და სხვებსაც ამხნევებდა.

ტაშტან ვაშაყმაძე გარდაიცვალა 1994 წელს. დასაფლავე-ბულია სოფლის საგვარეულო სასაფლაოზე.

რიზალი ფუტკარაძე (1914-1990)

ჩვენს თანამედროვეებს კარგად ახსოვთ პუნქტუალობით, შინაგანი წესრიგით, ბუნებრივი ნიჭით და გონიერებით, ინტე-ლექტითა (მიუხედავად იმისა, რომ არ ჰქონია აკადემიური გა-ნათლება) და ინტელიგენტურობით გამორჩეული კაცი, ერთი შეხედვით ფიცხი, „ფხუკიანი“, უკარება, სინამდვილეში კი საკ-მაოდ მოსიყვარულე პიროვნება რიზალი ფუტკარაძე.

რიზალი ფუტკარაძე **დაიბადა 1914 წელს, სოფელ წელათ-ში.** იგი ზექერიას უფროსი შვილი იყო. ბავშვობიდანვე ალლოია-ნი კაცი მალე იქცა „ჭკუის საკითხავ“ პიროვნებად არა მარტო მშობლიურ სოფელში.

1930-იან წლებში (ზუსტი თარიღი არ ვიცი) რიზალი და-ქორწინდა ხამია ვაშაყმაძის ქალიშვილ მედინეზე, რომლის დე-და საჩლო იყო სკვანელი გაბაიძის ქალი. ამ ქორწინებიდან რი-ზალს შეეძინა ოთხი შვილი: ფამბულა (ნათელა), გულიკო, ნო-დარი (ხალიდი) და ასია.

1968 წელს რიზალს ცოლი გარდაეცვალა. ოჯახურმა ტრაგედიამ ვერ გატეხა რიზალი ფუტკარაძის მტკიცე ნებისყო-ფა და ცხოვრების წყურვილი. რამდენიმე წლის შემდეგ იგი მეო-რედ დაქორწინდა გორელ ქალზე – თინა ბერძენიშვილზე, რო-მელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ნოდარის შვილების: ზაურის, ციალასა და მაგულის, შემდეგში კი ზაურის შვილების ჯაბასა და ბექას აღზრდაში.

თამაზ ფუტკარაძე, ზაურ ფუტკარაძე



რიზალი და მისი მეულლე თინა

წელათში გამოთხოვების პირველსავე წელს, თინა ბებოს ქალები და ბავშვები წაუყვანია სოფლის თავში ბუნებრივად გა-შენებული მოცვის მოსაკრეფად და დაუწურავს საუკეთესო ღვინო, გაუკეთებია ჯემები და მურაბები. ეამაყებოდა კიდეც თავისი ნახელავი და გულით, უანგაროდ უმასპინძლდებოდა შინაურს თუ მოსულ სტუმრებს. სწორედ მან, 1970 წლიდან სა-ფუძველი მოცვის ღვინის დამზადებას შუბნის თემში.

რიზალი ფუტკარაძე იყო კარგი მოსაუბრე, სხვადასხვა განშტოების ახლო თუ შორეული ნათესავა-ახლობლების შესა-ნიშნავი მცოდნე, ძველი და ახალი ამბების საინტერესოდ გად-მოცემის უნარით დაჯილდოებული პიროვნება. იგი ხშირად იყო წარსულითა და თანამედროვეობით დაინტერესებული უამრავი ადამიანის მასპინძელი. მასთან სპეციალურად მოდიოდნენ სა-საუბროდ ადამიანები შუბნიდან, დარჩიძეებიდან, ტომაშეთიდან და თემის სხვა სოფლებიდან.

განსაკუთრებული სტუმრიანობით გამოირჩეოდა ის წლე-ბი, როცა წელათის მიმდებარედ მუშაობდა ხე-ტყის დამამუშა-ვებელი ქარხანა, რომელიც ცნობილი იყო მთელს აჭარაში. მათ

ოჯახში მისულ უცნობ სტუმრებს ქედის, შუახევის და ხულოს რაიონის სოფლებიდან, მისალმებისა და თუთუნის შეთავაზების შემდეგ გამოკითხავდა თუ სტუმარი რომელი რაიონიდან და რომელი სოფლიდან იყო. ამის შემდეგ თვითონ ჩაერთვებოდა და იწყებდა სტუმრის სოფელში გვარებისა და პიროვნებების მოკითხვას. სტუმრის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მასპინძელი არათუ სოფელში მცხოვრებლების გვარებს, არა-მედ მათ შორის ნათესავურ კავშირებსაც დაუსახელოებდა.

ნიჭიერმა კაცმა დამოუკიდებლად შეისწავლა და ბრნჷინ-ვალედ ფლობდა არაბულ, თურქულ და რუსულ ენებს. იგი აღი-არებილი იქნა, როგორც „ყურანის“ უბადლო მცოდნე, შესანიშ-ნავი სწავლული.

რიზალი ფუტკარაძე სხვა მხრივაც გამორჩეული პიროვნება იყო. შესანიშნავი მიწათმოქმედი კარგად ფლობდა „მიწის ენას“. სამუშაოებს ასრულებდა დიდი პასუხისმგებლობით, სიყვარულით, ხარისხის გამორჩეული სტანდარტებით. დაუმუშავებელს არ ტოვებდა არც ერთ გოჯს სახნავ-სათესი მიწისა, ახლად ამოწვერილ სიმინდის ფოთლებს კი ბავშვური სიხარულით ეფერებოდა. რ. ფუტკარაძე დაოსტატებული იყო ხეხილის მყნობაშიც. თანამედროვენი მას „ნელათის მიჩურინის“ სახელით მოიხსენიებდნენ.

ნათესავ-ახლობელ-ნაცნობების მოყვარული რიზალი ძმა ახმედთან და ბიძაშვილ რეჯებთან ერთად წელიწადში ერთხელ შემოივლიდნენ მთიანეთსა თუ ზღვისპირა რეგიონების სოფ-ლებს „მათიანების“ მოსანახულებლად, უკან დაბრუნებული კი შემოივლიდა სკოლაში (ლამეც კი გაითია ჩვენთან ინტერნატში) მოსწავლი შეინიშვილის მოსაკითხად.

1987 წელს რიზალი ფუტკარაძის ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალშენში. გარდაიცვალა 1990 წელს, 76 წლის ასაკში. დასაფლავებულია სოფ. ახალშენში.

მუხამედ ფუტკარაძე (1915-1984)

ყველა დროსა და ეპოქას თავისი მოთხოვნები აქვს. ხშირია შემთხვევები, როცა ამა თუ იმ ეპოქის „ფავორიტებს“ ძველი, ხელოვნურად შექმნილი დიდებისაგან აღარაფერი რჩებათ. სიცოცხლეში მათ შესახებ ხელოვნურად შექმნილი „ავტორიტეტი“ თუ მითი საპნის ბუშტივით სკდება და მათი სახელიც დავიწყებას ეძლევა.

მუხამედ ფუტკარაძე ერთი იმათგანია, რომელმაც თანასოფლელებს თავისი შრომისმოყვარეობით, ხელოვნების სიყვარულით, ხუმრობით დაამახსოვრა თავი.

მუხამედ ფუტკარაძე დაიბადა წელით 1915 წელს, მრავალშვილიან ოჯახში. ბავშვობიდანვე შეისისხლხორცა შრომის სიყვარული. მუხამედი ორჯერ იყო ქორწინებაში. პირველი ქორწინება წარუმატებელი აღმოჩნდა. მეუღლეს – ყინჩაურიდან გამოთხოვილ ქალბატონს იგი მალე გაშორდა და თავისი ბედი ამჯერად ჯუმუშაურელ ქალს-ფადოს დაუკავშირა. სოფელში მას ჯუმუშაურულა ბიცოლას სახელით მიმართავდნენ.

მუხამედი მხიარული კაცი იყო. მან იცოდა ხელოვნების ფასი. უყვარდა მუსიკა, თავადაც უკრავდა გარმონზე. ხშირად იყო მთობის შუა პერიოდის დღესასწაულზე – შუამთობაზე, სადაც „სეირის“ მოყვარულებს თავისი ხელოვნებით ართობდა, უკრავდა გარმონს და ზოგჯერ ქალებსაც ეარშიყებოდა.

წერა-კითხვა არ ვიციო – იტყოდა ხშირად. იუმორით იხსენებენ ერთ შემთხვევას, როცა სოფელში სასოფლო საბჭოდან ამოტანილი წერილის წაკითხვა თხოვეს. მუხამედს გაუხსნია წერილი, რომლის წაკითხვა არ შეეძლო, მაგრამ დაბეჯითებით, მტკიცების ფორმით უთქვამს წერილის შინაარსი: „ხვალე არისო, მალე არისო, შუბნის საბჭოში კრება არისო“. წერილში მართლაც კრების მოწვევის შესახებ ყოფილა საუბარი.

მუხამედი კიდევ ერთი თვისებით იყო გამორჩეული. ტყუილს სიმართლედ წარმოსახავდა ისე, რომ დაეჭვების საფუძ-

ველს არ იძლეოდა. ამ თვალსაზრისით იგი ტაშტან ვაშაყმაძის სულიერი მეგობარი იყო.

მუხამედი გარდაიცვალა 1985 წელს, 69 წლის ასაკში. დაკრძალულია წელათში, საგვარეულო სასაფლაოზე.

მეჯიდ, მოხერემ და მემედ ვაშაყმაძეები

წელათის მკვიდრებმა მონაწილეობა მიიღეს **მეორე მსოფლიო ომსა და ავღანეთში მომდინარე ოპერაციებში**. მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობდა სოფლის სამი მკვიდრი: **მეჯიდ** (1918-1942), **მოხერემ** (1917 – 2004) და **მემედ//მიხეილ** (1918-2005) ვაშაყმაძეები. მათგან მეჯიდი სამშობლოში ველარ დაბრუნდა. მათ ქართველი ხალხის საამაყო შვილებთან ერთად სახელოვანი ფურცლები ჩაწერეს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიაში (ავღანეთში გაიარა სამხედრო სამსახური ნუგზარ ვაჟასძე ვაშაყმაძემ (დაბ 1963).

მეჯიდ ვაშაყმაძე დაიბადა 1918 წელს, სოფელ წელათში. საბჭოთა-კავშირ-გერმანიის ომის დაწყებისთანავე იგი ფრონტზე გაიწვიეს. ომის პირველი პერიოდი მეტად მძიმე აღმოჩნდა საბჭოთა ქვეყნისათვის. მტერი მოსკოვს მოადგა კარს, ლენინგრადი კი ალყაში მოაქცია. პირველი წარუმატებელი ოპერაციების მთელი სისასტიკე თავისთავზე იწვნია წელათელმა ჭაბუკმა. 1942 წელს იგი გმირულად დაიღუპა ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლ სხვა ჯარისკაცებთან ერთად.

ჩვენი თაობის ადამიანებს კარგად გვახსოვს მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები: **მოხერემ და მიხეილ// მემედ ვაშაყმაძეები**. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეებს გვახარებდა ფაშიზმზე გამარჯვების დღესასწაულის მოახლოება – 9 მაისი, რადვან საზეიმო შეხვედრაზე გველოდა ომის ვეტერანებთან შეხვედრა, მათი საომარი მამაცობისა და გმირობის ამსახველი გამოსვლების მოსმენა.

თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე

მოხერემ ვაშაყმაძე დაიბადა 1917 წელს, წელათში, ლარი-



ბი გლეხის ოჯახში. უჭირდა მაშინ გლეხის ოჯახს ცხოვრება. პატარა მოხერემი მშობლებს ეხმარებოდა სამეურნეო საქმიანობაში. 18 წელს მიღწეული მოხერემი გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. მალე ომიც დაიწყო და მოხერემი ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში ჩადგა. ქერჩის მისადგომებთან მოუწია ბრძოლა. გააფრთხებული ბრძოლების დროს იგი არაერთხელ მოექცა შეუნელებელი ცეცხლის ქვეშ.

მთლიანობაში მისი საბრძოლო გამოცდა თვალსაჩინო გამარჯვებებით დაგვირგვინდა.

ასეთივე საბრძოლო გზა გაიარა **მიხეილ// მემედ ვაშაყმაძემაც**. იგი დაიბადა 1918 წელს, სოფელ წელათში. სამხედრო შენაერთმა, რომლის შემადგენლობაშიც იბრძოდა მიხეილი, არაერთი სასახელო ფურცელი ჩაწერა მეორე მსოფლიო ომის ისტორიაში. მებრძოლთა შემართებამ, რკინისებურმა ნებისყოფამ და სამშობლოს სიყვარულმა გაუძლო ყველა განსაკლებელს. მტერი დამარცხდა. მიხეილ ვაშაყმაძე გამარჯვებული დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს.

მემედის შთამომავლობამ შემოინახა მათი ღირსეული წინაპროს საბრძოლო ბიოგრაფია. მემედის მონათხრო-



ბის მიხედვით იგი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს 1938 წელს. დემობილიზაციამდე ცოტა ხნით ადრე ომი დაიწყო (მაშინ არმიაში სამსახური სამწლიანი იყო). პრაქტიკულად რვა წელი გაატარა სამხედრო სამსახურში, მათგან ხუთი წელი ბრძოლის წინა ხაზზე იყო. იგი მონაწილეობდა ყველა მთავარი ქალაქის დასაცავად მიმდინერე ბრძოლებში, არაერთხელ დაიჭრა, მაგრამ გამოჯამრთელების მერე კვლავ ფრონტს უბრუნდებოდა. ერთ-ერთი ბრძოლოსას მემედი მძიმედ დაიჭრა და ტყვედ ჩავარდა. დაჭრილები ჰოსპიტალში გადაიყვანეს. ფეხები დასიებოდა, ამიტომ ფეხსაცმელები და ტანსაცმელი დაჭრეს და ისე გახადეს. დაგუბებული სისხლი შედედებულიყო. გამოჯამრთელების შემდეგ გადაიყვანეს ტყვეთა ბანაკში. ტყვეობა უმძიმესი განსაცდელი აღმოჩნდა. ავტომატებით შეიარაღებული გერმანელი ჯარისკაცები იძულებით ამუშავებდნენ უმძიმეს და აუტანელ სამუშაოზე. შიმშილით რომ არ დახოცილიყვნენ, ტყვეები ბალახითა და მცენარის ფოთლებით იკვებებოდნენ. თავად მემედი შესწრებია იმ მომენტს, როცა დამშეული ტყვეები გარდაცვილ ადამიანს რბილ ნაწილებს აჭრიდნენ და ღამეში ჩუმად ჭამდნენ. ასე გაგრძელდა ბერლინში საბჭოთა ჯარის შესვლამდე, რის გამოც გერმანელებმა ტყვეები ჩაკეტილ სივრცეში მიატოვეს. ტყვეებმა შეძლეს იქედან თავის დაღწევა და შეუერთდნენ საბჭოთა არმიის ნაწილებს.

ომის დასრულების შემდეგ მათვის მიუციათ არჩევანის საშუალება: გინდათ აქ დარჩით საცხოვრებლად, გინდათ წადით თქვენს სამშობლოშიო. მემედს მშობლიურ წელათში დაბრუნება გადაუწყვეტია.

სამშობლოში დაბრუნებული მოხერემ და მიხეილ ვაშაყმაძეები ჩაებნენ საკოლმეურნეო შრომის ფერხულში. მეორე მსოფლიო ომის ისტორიით დაინტერესებული

თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე

ახალგაზრდები ხშიორად ვსტუმრობდით სახელოვან ადამიანებს, ომის ვეტერანებს, რათა უშეუალოდ მათგან მოგვესმინა უსასტიკესი ომისა და ამ ომში ჩვენი თანასოფლელების მიერ განვლილი საბრძოლო გზის ამბები. სახელოვანი ვეტერანები დაუზარებლად გვიყვებოდნენ ომის ისტორიას, მათ საბრძოლო ბიოგრაფიას. არასდროს დაგვაკინწყდება მათი ნათელი და მომღიმარი სახეები, რომლებიც ასაკთან შედარებით გაცილებით მხნედ გამოიყურებოდნენ და ტოლს არ უდებდნენ ახალგაზრდებს. ისინი დიდხანს ამაყად დააბიჯებდნენ სოფელში და ბავშვური სიხარულით ეგებობოდნენ თანასოფლელების, განსაკუთრებით ახალგაზრდების წარმატებებს.

ზეციერსა და მიწიერს, ყველა ადამიანს ჰყავს მეხოტბეც და მაგინებელიც. მოხერემ და მიხეილ ვაშაყმაძეები კი ყველა ღირსეულს უყვარდა და მრავლადაც ჰყავდა დამფასებლები.

მოხერემ ვაშაყმაძე გარდაიცვალა 2004, ხოლო მიხეილ ვაშაყმაძე – 2005 წელს.

დაკრძალული არიან წელათში, საგვარეულო სასაფლაოზე.

30%ირ ვაშაყმაძე (1918-2005)

საუკეთესო ადამიანური თვისებებით იყო შემკული ვეზირ ვაშაყმაძე, შესანიშნავი მეოჯახე, მეურნე, ხელოსან-მშენებელი მთელი თავისი ცხოვრება ემსახურებოდა სიკეთესა და საზოგადო-სასოფლო საქმეების კეთებას. იგი წელათში დაიბადა. იმ დროს არსებული სიტუაციის გამო ვერ შეძლო აკადემიური განათლების მიღება, თუმცა თავისი აზროვნებით, ლოგიკური მსჯელობით, დამაჯერებლობითა და ანალიზის უნარით იგი



გაკვირვებას იწვევდა ინტელექტუალურ ადამიანებში. ვეზირი საბჭოთა წყობილების პირობებში კოლექტიური მეურნეობის სამეურნეო ცხოვრების აქტიური მონაწილე იყო.

ვეზირი შუბნის თემში ერთ-ერთ საუკეთესო ხელოსნად და მშენებლობის სპეციალისტად ჩამოყალიბდა. თავისი საქმის ერთგულმა და მოსიყვარულემ იგივე პროფესიისადმი სიყვარული ჩაუნერგა მის შვილებს: ვაჟა, თორუნ და ალიოშა ვაშაყმაძეებს. მას სწამდა, რომ ეს ხელობა არ იყო კერძო საქმე. იგი

საზოგადო საქმე იყო. ამ ხელობით შესაძლებელი იყო უფრო მეტი სიკეთის მოტანა ადამიანებისათვის, რადგან მას საშვილიშვილო დატვირთვა ჰქონდა. აშენებული სახლი მოემსახურებოდა არა მარტო ერთ კონკრეტულ ოჯახს, არამედ შთამომავლობასაც.

ვეზირს თავის შვილებთან ერთად არაერთი სახლი აქვს აშენებული არა მარტო წელათსა და შუბნის თემის, არამედ მეზობელი საკრებულოებისა და ხეობის სოფლებში.

კიდევ ერთ თვისებას უნდა გაესვას ხაზი ვეზირ ვაშაყმაძის პიროვნებაში. იგი საოცრად კარგი მამა და აღმზრდელი იყო. მან შვილებს ჩაუნერგა ერთმანეთისადმი და თანასოფლებებისადმი სიყვარულის გრძნობა. ამ თვისებით ვეზირის შვილები დღესაც გამორჩეულნი არიან შუბნის თემში. მათი ძმობა, დედმამიშვილების ერთმანეთისადმი დამოკიდებულება სამაგალითო თითოეული ჩვენთაგანისათვის.

შრომისმოყვარეობამ, საქმის სიყვარულმა ვეზირს მისცა შესაძლებლობა შეექმნა ეკონომიკურად ძლიერი ოჯახი. წელათში პირველი ავტომანქანა ჟიგული სწორედ ვეზირის ოჯახ-მა შეისყიდა.

ვეზირ ვაშაყმაძე გარდაიცვალა 2005 წელს. დასაფლავებულია წელათში, საგვარეულო სასაფლაოზე.

სადო ფუტკარაძე (1920-1985)

წელათელ ფუტკარაძეთა საგვარეულოს შთამომავალი, ზექერია და ნური ფუტკარაძების უმცროსი თანამედროვე, მოაზროვნე, ენერგიული სადო ფუტკარაძე ოქროს ასოებით ჩაეწერა სოფლის ისტორიაში. ბუნებით ჰუმანური ადამიანი ღვთისაგან უხვად იყო დაჯილდობული კეთილი გულით, შენდობისა და პატივების უნარით, საქმის სიყვარულითა და პასუხისმგებლობის გრძნობით.

სადო ფუტკარაძე დაიბადა 1920 წელს, სოფელ წელათში. მამა ადრე გარდაეცვალა. ობლად დარჩენილი წაბუკის აღზრდა დედამ-გულსომ ითავა მაზლის -ფერათის მზრუნველობითა და თანადგომით. ბუნებამ სადო კეთილშობილებასთან ერთად ნიჭიერებითაც დააჯილდოვა. ოთხვლასიანი განათლება მიიღო და იმ დროს სოფელში ერთ-ერთ წიგნიერ კაცად ჩამოყალიბდა.

სრულიად ახალგაზრდა სადო ჩაეპა საკოლმეურნეო შრომის ფერხულში. შრომისმოყვარებამ შედეგი გამოიღო. იგი მიიღეს კომუნისტური პარტიის რიგებში და სოფლის ბრიგადირადაც დააწინაურეს. სხვადასხვა დროს მუშაობდა ტყის მცველად და მიწათმომწყობად. პარალელურად, იგი იყო კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე. იმ დროისათვის ეს დიდი აღიარება იყო.

სადო ფუტკარაძე მოქეიფე კაცი იყო, ბახუსის მოყვარული. თვადაც ხდიდა არაყს კოლმეურნეობის მარანში და თანასოფლელებსაც უხვად უმასპინძლდებოდა. გვახსოვს 1976 წლის ივნისის მშვენიერი დღე, როცა ტომაშეთის რვა წლიანი სკოლის მოსწავლეებმა გადავწყვიტეთ სასწავლო კურსის დასრულების აღნიშვნა და გადასავალს (წელათიდან ტომაშეთში გადასასვლელი) მოვიყარეთ თავი. სკოლის დირექტორი კუკური ფუტ-

კარაძე დაგვეღევნა – მაშინ ხომ მოსწავლეებისათვის ალ-კოპოლური დასალევის მიღება აკრძალული იყო. მაინც მოვახერხეთ რამდენიმე ბოთლი ღვინის გადამალვა. სადო ფუტკარაძემ ჩვენთან ერთად თავადაც მოილხინა და ჩვენც მოგვალხინა.

სადო ფუტკარაძე ტრაგიკულად დაიღუპა 1985 წელს – 65 წლის ასაკში. დაკრზალულია წელათის საგვარეულო სასაფლაოზე.

ახელ ფუტკარაძე (1924-1996)

ჰუმანისტი და კაც-თმოყვარე, სოფლისა და თანასოფლელების კეთილდღეობის მოსურნე, ალალ-მართალი და უდალატო პიროვნება, ახლობელ-ნათესავთა სიხარული, სევდისა და ჭირვარამის გამზიარებელი მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული მშრომელი კაცი – ასე იცნობდნენ ზექერია ფუტკარაძის ოჯახში 1924 წელს დაბადებულ ვაჟიშვილს – ახმედს, რომელსაც ბუნებამ უხვად დააბერტყა სიყვარულის განუმეორებელი ნიჭი.

ჩვენი თაობის ადამიანებს კარგად გვახსოვს ახმედ ფუტკარაძე, მისი საუკეთესო ადამიანური თვისებები, მეოჯეხეობა, ბუნებით მომადლებული ძველქართული კეთილშობილება, მიწის სიყვარული, თავდადებული გარჯა. ყველა ეს თვისება სამაგალითო იყო გარშემომყოფთათვის. ამიტომაც უყვარდათ იგი, მაგრამ უყვარდათ კიდევ იმიტომ, რომ თავადაც ასეთივე სიყვა-



თამაზ ფუტკარაძე, ზაურ ფუტკარაძე

რულის უნარით იყო დაჯილდოებული. იგი არასდროს არ ითხოვდა პატივისცემას. თავად მისი პიროვნება იწვევდა მისდამი უდიდესი პატივისცემის განწყობის დამკვიდრებას.

დახვეწილი იუმორის პატრონი არტისტული ნიჭითაც იყო დაჯილდოებული. შეიძლება ითქვას, რომ იგი იყო პირველი **პაროლისტი** სოფელ წელათში. მას მაღალი პროფესიონალების დარად შეეძლო მიებაძა ნებისმიერი ადამიანისათვის, მაგრამ არასდროს იყო მისი პაროდია დამცინავი და შეურაცხმყოფელი.

სოფლური იუმორის ერთ-ერთმა ზეპირშემოქმედმა თავისი ცხოვრება ვაშაყმაძეების ქალს – **ალთუნს** დაუკავშირა. მათ შეეძინათ სამი შვილი: **იოსები, უუშუნა და მაყვალა**.

მუშაობდა კოლმეურნეობაში – რიგით კოლმეურნედ, ფერმის გამგედ, მაღაზიის გამგე-გამყიდველად ტომაშეთსა და წელათში.

1980-იანი წლების ბოლოს ახმედის ოჯახი ჯერ ფერიაში, შემდეგ კი ახალშენში გადავიდა საცხოვრებლად, მაგრამ დიდხანს არც მათ დასცალდათ ბედნიერი ცხოვრება. სიკვდილმა 1993 წელს ხელიდან გამოსტაცა ერთადერთი ვაჟკაცი, მისი იმედი და მთავარი დასაყრდენი. ვერ გადაიტანა მისმა გულმაეს ტრაგედია. ახმედი დაავადდა და 1996 წელს გარდაიცვალა 72 წლის ასაკში. მისმა მეუღლემ ქმრის გარდაცვალებიდან 20 წელზე მეტ ხანს იცოცხლა და გარდაიცვალა 104 წლის ასაკში. ახმედი მეუღლესთან ერთად დასაფლევებულია ახალშენის საგვარეულო სასაფლაოზე.

შერივ ვაშაყმაძე (1925-1981)

არიან ადამიანები, რომლებიც სიკვდილის შემდეგაც ცოცხლობენ, რადგან მათ მიერ გაკეთებული საქმე, დათე-სილი სიკეთე ადამიანებს არ ავინწყდებათ. ასეთი იყო შე-

რიც ვაშაყმაძე, გულის-ხმიერი, ცნობისმოყვარე და ცოდნისმოყვარე კაცი, სოფელსა და ახლობლებზე უზომოდ შეყვარებული პიროვნება. ჩვენს მეხსიერებასაც ასეთ კაცად შემორჩა. მისი გულიანობა, ბუნება, ხასიათი, სხვა ადამიანური თვისებები წელათში, ამ პატარა სოფლის მიკროგარემოში ჩამოყალიბდა.

მძიმე იყო შერიფის ბავშვობა. რთული იყო ახალგაზრდობის პერიოდიც. ბავშვობიდანვე იყო მაძიებელი, რაციონალიზატორული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი. უყვარდა ჩაკირკიტება ყველლა საქმეში, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა იგი ტექნიკას ეხებოდა. ამა თუ იმ ხელსაწყოს ყველა დეტალს ზედმინევნით სწავლობდა. სწორედ „ჩაკირკიტების“ ჩვევამ განსაზთვრა მისი მეტსახელი – კიტე (კიტინი, კირკიტი). სიახლეების სიყვარულმა და მისი ტექნიკის შესწავლის დაუკეტებელმა სურვილმა იგი მაღალკალიფიციურ სპეციალისტად აქცია. ამიტომაც დაიმკვიდრა შუბნის თემში „უდიპლომი ინჟინერის“ სახელი. სამსახურიც შესაფერისი ჰქონდა. წლების განმავლობაში წელათის ხის დამაზადებელი ქარხნის მექანიკოსი იყო.

შერიფმა თავის სახელოსნოში თავი მოუყარა იმ დროისათვის არსებულ თითქმის ყველა ხელსაწყოს, სამეურნეო და სამშენებლო იარაღებს, ყოველდღიურად იმაღ-



ლებდა ცოდნას, ეუფლებოდა ახალ ტექნიკურ მიღწევებს და თავის ცოდნას, გამოცდილებას ენერგიას უშურველად უნაწილებდა თანასოფლელებს. ერთ-ერთი ასეთი ახალი ტექნიკური სიახლე 1970-იან წლებში იყო ხის სახერხი „დრუჟბა“, რომელიც შუბნის თემში პირველად შერიფ ვა-შაყმაძემ შეიძინა. ამ სიახლის სანახავად მაშინ სხვა სოფ-ლებიდანაც კი გამოდიოდნენ წელათში შერიფთან. ხასია-თით უაღრესად კეთილი და მიმნდობი შერიფი ყველას უმართავდა ხელს, ყველას ეხმარებოდა. ერთხანს ხელვა-ჩაურის რაიონის თხილნარის მეურნეობაში გადავიდა საც-ხოვრებლად, თუმცა დიდხანს ვერ გაძლო და ისევ მშობ-ლიურ სოფელს დაუბრუნდა.

შერიფი გარდაიცვალა 1981 წელს, დაკრძალულია წელათში, სოფლის საგვარეულო სასაფლაოზე.

ბინალი ფუტკარაძე (1926-1979)



აჭარის მთიანეთი მდიდარია ხალხური მო-ლექსეებით. მათ დიდ ნა-ნილს სათანადო განათ-ლება არ მიუღიათ, მაგ-რამ ბუნებრივი ნიჭის წყალობით ხელიხელსა-გოგმანებელი ლექს-სიმ-ლერები შეუქმნიათ და შთამომავლობისათვის დაუტოვებიათ.

ბინალი ფუტკარა-ძე ერთი იმათგანია, ვინც სული და გული ჩააქსოვა ხალხურ პოეზიას. ჩვენს კუთხეში ძნე-

լոյա մոռօքենոս աֆամունո, զուսաց ար մոյեսմինոս ցլեթորո ցեռով-րունու եալուսուտա դա პոյենուս սոյզարունու շեշաթմուն-շենազե-ծունո, դարհունու մագլուտ ցամոյզենունո եալուսո լոյես-սոմ-լուրունո. դրոմ, յամտա-սվլամ, ամ մոյուսպուգալումա մսայունումա ահ-ցենա մուսո սաելուս մգցրագոնա. ուժորուամ տալսահինո ցախագա սաեալեա մցունուս շեմոյմեցենուս մնունցելոնա յարտունո եալ-եուրո սութպույրունուս ուժորուուսատցուս.

ծինալու ցութպարասց դակագա 1926 թ. 26 ապրուս, ցլենուս – աեմեցուս ոչաենո. սակուտար սոյզելունո մունու շվունցնունո ցա-նատլունա դա հասրուցեա ծատումուս սամեցուցունո լույնուցունո, մաց-րամ ազագմոյոցունուս ցամու սասնացլեցելու ցեր դաասրունա. մալու ծինալու դաուսթագիւ լոյեսենուս ցամուցմասա դա սոմլերունո. յորնունունո, սաեալեա ցլեսասնայունունուս ու սեցա լոնուսեց-ենունո ցցո յանցարուգ դա սոյզարունու մլերուգ. եալենուս ցցո շեյուցարա, մուս սոմլերունուս սուտօն շեացենա, եոլուն „սաեալեա մտյմելումա „ափարուս մնե, մցըլու-ծարայունո“ մուսո ծլցուսպուրետո „ցութրուս-պացունունո“ պոյեթուրո շեմոյմեցենուս լոյութմուգու-ցագ այցուա“ (թ. ցութպարասց, նոնասութպուաոնա). ծինալու ցութպա-րասց, „դյ շմլերու մամունուս հիմու հանցու“, ծատ. 1996, ց. 6)

ծունցնուտ տապմճածալու մցուսանո տոպուա յատամասց տպլու-դա տացուս մասնացլեցլուգ, 1961 նյուս շեշեցուրուան կուգեց եր-տմանցուտ, եոլուն տոպուա րոմ ցարդացպալա, ծինալու ցենուտ ասլուա մցուսանուս սագլացիւ դա յէսպրոմթագ ցամոյսաթաց տա-ցուսո սամճումարու:

„մասրուն ցուն ցայունունու, լոյեսուս յուցետ մտյմելոնունո, ծունցնուս մոնցունո ծունցնունո, ჭանուս լուման եցունունո“

տացուս մերուց, ծինալուս նոյն ագասեցդա տոպուաց դա տացուս միուտ օմնցուցեցդա, րոմ մուսո սուկուգունուս շեմուց ցութպարասց դաամլերունո, եալենուրո մտյմելունո ծինալունո“ (թ. ցութպարասց, նո-նասութպուաոնա). ծինալու ցութպարասց, „դյ շմլերու մամունուս հիմու հանցու“, ծատ. 1996, ց. 7)

ծինալու եալենուրո սագուրուս կարցու ուժութուց ույո. ցցո ույո ասեց օնցուուցունուր շեմուրունունունուս դա մեագրունունու տպուտշեմոյմեցենուս կոլոյէթուցենուս արայրուտու դա-

თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე

ვალიერების მონაწილე. დაჯილდობული იყო მედლებით, დიპ-ლომებით სიგელებით.

ბინალი ფუტკარაძე გარდაიცვალა 1979 წელს. დაკრძალულია სოფელ დარჩიძეებში.

30%ირ ფუტკარაძე (1927-2002)

წელათში დაფასებულ პიროვნებებს შორის გამორჩეულია ვეზირ შერიფის ძე ფუტკარაძის სახელი. იგი დაიბადა 1927 წელს, სოფელ წელათში. საკოლმეურნეო შრომაში გაატარა მისი სიცოცხლე. მას არ მიუღია უმაღლესი განათლება, მაგრამ ისტორიის საკითხების საქმაოდ კარგი მცოდნე იყო. მას გააჩნდა აგრეთვე პოლიტიკური პროცესების ანალიზის და ლოგიკური დასკვნების გამოტანის უნარი.



ლამაზი, იუმორით შეზავებული საუბარი იცოდა. ამიტომაც არ დაკლებია მსმენელი. მის ირგვლივ მუდმივად იკრიბებოდნენ წარსულის საკითხებით დაინტერესებული ადამიანები, რომლებიც ისეთი კმაყოფილებით ბრუნდებოდნენ სახლებში, რომ ვეზირის ამომწურავი, საფუძვლიანი ანალიზისა და ლოგიკური მსჯელობის გამო დამატებითი კითხვები არ უჩნდებოდათ. წლების განმავლობაში მუშაობდნენ და მათ შემთხვევაში მართვის მიზანის გამოყენების გამოტანის უნარი.

ობდა კოლმეურნეობაში კოლმეურნედ, ფერმის გამგედ, მაღაზიის გამყიდველად.


ვეზირმა საკუთარი შრომის ფასად შექმნა ოჯახი. მეუღლე კეთილგონიერებით გამორჩეული ქალბატონი ოლადაურელი ქარცივაძეების ცნობილუ საგვარეულოდან იყო. მათ შეეძი-

ნათ სამი შვილი: შუშანა (რომელიც გათხოვდა წელათში, შერიფ ვაშაყმაძის ოჯახში), შუქრი და იაშა. წელათიდან გადასახლების შემდეგ იაშა დამკვიდრდა ნატანებში (თუმცა ბოლო წლებში მეუღლესთან ერთად კვლავ წელათს დაუბრუნდა), შუქრი კი შრომაში.

ვეზირ ფუტკარაძე გარდაიცვალა 2002 წელს. დასაფლავებულია სოფელ შრომაში.

შემსო ვაშაყმაძე (1927-1989)

„ხე რომ კვდება, ფესვი რჩება, კაცი კვდება, შვილი და საქმე რჩებაო“ – ამ შესანიშნავი შეგონებით უნდა გავიხსენოთ წელათის კოლორიტი, ენამოსწრებულობით, მახვილსიტყვაობით გამორჩეული წყნარი და ხალისიანი, ბუნებრივი და მომღიმარე შემსო ვაშაყმაძე, კაცი, რომელიც თავისი ყოველდღიურობით ნათელ კვალს ტოვებდა თანასოფლელთა მეხსიერებაში.



სოფლის კოლორიტი იყო შემსო ვაშაყმაძე, ტრადიციული წესებით ცხოვრება უყვარდა. ჩვენს ბავშვობაში სოფელში ერთადერთ კაცს ჰყავდა ცხენი. ცხენით შემოივლიდა ყანებსა და ჭალებს, სოფლის ყოველ კუთხე კუნჭულს, მთასა და ბარს და ნაამაგარ ცხოველს ბავშვივით ეფერებოდა.

შემსო იყო ძალზე შრომისმოყვარე, თავმდაბალი და უწყინარი ადამიანი. ერთხელ, მის ქალიშვილს – ფიქროს – ერთ-ერთმა თანასოფლელმა ბიჭმა თამაშის დროს ქვა მოარ-


თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე

ტყა თავში. ამის შემდეგ იგი ერიდებოდა შემსოსთან შეხვედრას, თუმცა დაზარალებულის მამას აუგი არ დასცდენია, „ქვასროლია“ ბიჭისათვის არაფერი უგრძნებინებია. მხოლოდ ქალიშვილის გამოჯამრთელების შემდეგ დაარიგა მეზობელი ასეთი ქმედების უსაქციელობაში.

შემსო ტაშტან ვაშაყმაძის მსგავსად საოცარი მეზღაპრე იყო. მასაც შეეძლო დიდხანს ცნობილი ზრაპრებისა თუ მის მიერ შეთხზული „ჰექიების“ მოყოლა. ამიტომაც ხშირად იყრიდნენ თავს სოფლის ბავშვები შემსო ვაშაყმაძის ოჯახში. ენაწყლიან მეზღაპრეს ზოგჯერ შემოათენდებოდა კიდეც, თუმცა მსმენელებს სახლებში წასვლა არ ეჩქარებოდათ.

შემსო ვაშაყმაძე გარდაიცვალა 1989 წელს. დასაფლავებულია წელათში, საგვარეულო სასაფლაოზე.

ალიოსმან ვაშაყმაძე (1928 – 1998)



სოფელ წელათის მცხოვრებთ გაუგონიათ და დღემდე ახსოვთ კაცურ-კაცობით, დამსახურებით, გულისხმიერებით, მოყვასისადმი სიყვარულით, გონიერებით, სიდინჯითა და წინდახედულობით გამორჩეული პიროვნება. ეს პიროვნება ალიოსმან ვაშაყმაძე. იგი დაიბადა სოფელ წელათში 1928 წ. 28 აპრილს.

ცხოვრების ბედუკულმართობაშ ა. ვაშაყმაძე აიძულა მიეტოვებინა მამისეული კერა. იგი ხელვაჩაურის რაიონის სოფელ

ֆարնալմի ցագացուցա սաբեռազրեթլաց. Կողադ Ռեյրտո դարհիօ-
ժեպելո րասու ծերունու յալովալու նուշրա, րոմելմաց սամո
մակարու ահնյա: Ցագոմեց, մերածու դա րութունու.

Տ. ծերունու ոյս սաբեռադ ցոնուրու աճամունու. Այս ցագացու ցա-
նատլեցա մաս ար մուլուա, մացրամ ծյունեքամ ոց դաշուլութու թյ-
նեթրու նույնու, րամաց ոց արահիզելութրու մուսայնու այլուա.
ման ժալուն կարգաց ուշուա տացուս սուցունուս դա ցարուս ուժուրուա.
Սենուրու ամութուն ոյս ոց հիւենու ընտանունունու. Ամ նամերունու ծերու
ուայթուլուցուրու մասաւա Տ. զամապմանու մոնաթուրուն ցույնեցա.


Ոչաեմու Տ. զամապմանու սումյացրու ոյս ցնունունու. Արց յեթո-
նա պուցուն մուստուս յութեա, ույմու ոց ոյս արահիզելութրու մը-
րոյաւա, մեյրուն, մթրունու մամա դա ծանչա. Ենդատունու հա-
սաելությունու մալու այլու ալուն ցեռազրեցա. յուրտուլուս პորո-
ծեմու ման մեծուն այցու ցեռազրեցա. մուս մոնդունունունու դա մրո-
մուսմուպարունունու որու սաբեռազրելու սաելու ամենա դա մուն-
ցու, որուու մակարու դա ցարա դա այլութուն սամեյրունու ցեռազրենուս
մունուց սաուժութունու.

Տ. զամապմանու սումյացրուստուս ցամորիյունու մասունցունու ոյս.
կապութեալուրու սաելուս ամենեքամու ոց პագարա ցացեամու ցեռա-
րունուն. յս პագարա ցացեա 1970-ուն Ենդեմու յույնունուս
մմունունուր կըրաց ցագացուցա. տացաց ցունանսյուրաց արց ույ ուս-
սաեարունուն մուցունունունու մուցուս սեցենուստուս դա մամարուն
ցեռազրենուս Ենսաց Ֆյունդա յեցուլու. գլումու Ենցրուստուս արաա
ցնունունու ալուսման զամապմանունուր սուլցրելունուս դա ցու-
լուսմուրունու յրու նատելու մացալունու, րուցա ցայցեթրունունու
հացարդունու յրու-յրու մունցունու սումյացրունու ուսենու ատասու մանց-
տուս սանացուլուն ուսենա ենցատուսացան.

Տ. զամապմանու սեցուս ֆիրուսա դա լունուս յունուրալուս ցամինար-
ծելու ոյս. ար յուցունու մեմտեցուցա, մաս զոնմյուստան սամեմիարին մու-
լու դա ծարեցունու, ֆիրուս յուցու ար յեցույթենուն. յացումուց-
րունու, կումանունու, աճամունյուրուն ցանապուրունուն ոմ դուն սուցու-
րունու, րոմելու մուունու սամեթունունուս դա սանատեսաունու.

Տ. զամապմանու ցարդաւուցուալա 1998 թ. 25 ացուստու. դա զրմա-
լունու սուցու ֆարնալմի.

ისრაფილ ვაჟაყმარე
(1931-2014)



ჭკვიან კაცს უთქვამს: „გიყვარს ის, რაც იციო“. მართლაც, როცა ჩვენს ბავშვობისდროინდელ წელათზე ვფიქრობთ, მარტი იმდროინდელი სოფელი კი არ გვენატრება, არამედ ყველა თაობის ადამიანი და ეს იმიტომ რომ „ეს ჩვენ ვიცით ისინი“. და როცა მთის უბეში შეყუული წელათის შესახებ ვფიქრობთ, როცა კეცებში გამომცხვარი გევრეგის და მჭადჩაუულნებული მაწონით სავსე მრგვალ სუფრასთან ჩვენი თანასოფლელი ჯიშიანი და ეშიანი გოგო-ბიჭების, ჩვენი დებისა და ძმების ლამაზი თვალების გადმოციცინათელებას ვიხსენებთ, უნებლიერ გვახსენდება ერთი პოეტის (ტიციანი) ლამაზი სიტყვები ჩვენეული პერიფრაზით: „ზაფხული მაინც ზაფხული არის, მაგრამ წელათში მაინც სხვა არის“.


გვახსოვს, შემოდგომის ერთ ლამაზ დღეს, მოცვის კრეფი-დან დაბრუნებულ რამდენიმე თანატოლთან ერთად სტუმართმოყვარე ისრაფილის ჭიშკარს რომ მივადექით და ისრაფილ ბიძიას და მისი ოჯახის წევრების პატივისცემისა და ყურადღების ქვეშ მოვექეცით. მისი საუბარი სასიამოვნო მოგონებად დაილექა ჩვენს მეხსიერებაში. სიცოცხლის ბოლო წლებში ხშირად ჩამოდიოდა ბათუმში – თხილნარის მეურნეობაში ჩამოსახლებულ შვილთან სტუმრად. არასდროს ივინყებდა იქ მცხოვრებ წელათლებს, ყველას მოინახულებდა, მოეფერებდა, გულს გაუთბობდა.

უაღრესად მეგობრული, ალალი და პატიოსანი კაცი იყო ისრაფილი. განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა. ფეხი სტკიოდა, თუმცა ვერასოდეს შეამჩნევდით სიზარმაცეს, ფეხის ტკივილით მომიზეზებას. თავის საკეთებელს ისრაფილი დაუზარებლად აკეთებდა.

წავიდა ისრაფილი ამქვეყნიდან. გარდაიცვალა 2014 წელს, თუმცა სანამ კაცს მომგონებელ-მომხსენიებელი ეყოლება, იგი არსადაც არ გადადის. იგი წელათში რჩება, ჩვენს გვერდით. ვერ ვხედავთ ფიზიკურად, თუმცა გონებით მუდამ აღვიქვამთ მის სიახლოვეს. არაერთი თაობის გონების თვალი მუდამ ასე ახლობლად აღიქვამს ნამუსიან და კეთილშობილ წელათელს – ისრაფილ ვაშაყმაძეს.

მეიდან (1931-1995), ნევზეთ (1937- 2004) და ცუგზარ (1961-1988) ვაშაყმაძეები

მათმა გარდაცვალებამ წარსულში გადაგვიყვანა – იმ წარსულში, რომელსაც ბავშვობის ლამაზი წლები ჰქვია. მაშინ თქვენ, საერთო- სახალხო შრომის ფერხულში იყავით ჩაბმული – მეიდანი – შუბნის კოლმეურნეობის აქტიური წევრი – წლების მანძილზე ბრიგადირის თანამდებობაზე, ნევზეთი კი თხილნარის მეურნეობაში ტრაქტორისტ-მექანიზატორის სპეციალობით მუშაობდა. გვახსოვს თქვენთან შეხვედრები. მაშინ სრულიად ახალგაზრდები იყავით და პატარებს აჯადოებდით მათდამი თქვენი დამოკიდებულებით. სწორედ მაშინ გაიდო ის პირველი ხიდი, მამებისა და შვილების თაობებს რომ აკავშირებდა. ეს იყო ლამაზი, ამაღლებული ურთიერთობა, რომელიც ბოლომდე გაგყვათ. მძიმე ოჯახურმა ტრაგედიამ – ნუგზარის ტრაგიკულმა დასასრულმაც ვერ ჩაკლა თქვენში ეს სილამაზე. ნუგზარი ჩვენი თაობის ახალგაზრდა იყო – მუდამ აქტიური, სანდომიანი, ხალისიანი. მახინჯაურში მოუნია მას სიცოცხლის ბოლო წლების გატარება. ახალდანორნინებული იყო. ერთი შვილი – მამის გარეშე გაზრდილი შვილი დაუტოვა შთამომავლობას. დღეს იგი სრულწლოვანია, გაზრდილი, დავაუკაცებული!



მეიდან, ნევზეთ და ნუგზარ ვაშაყმაძეები

ნევზეთსა და მეიდანს რაღაც სხვანაირი, გამორჩეული ურთიერთობა ჰქონდათ ნათესავ-ახლობლებთან. მახსოვს, ერთხელ როცა მოსკოვში მომინია წასვლა, ნევზეთს საგანგებო საჩუქრები მოემზადებინა მისი დისტვილისათვის, რომელიც მოსკოვში იხდიდა სავალდებულო სამხედრო სამსახურს. გვახსოვს აგრეთვე მათი გაბრნებინებული თვალები, ნათესავების სტუმრობით რომ იყო გამოწვეული. მეიდანს სახლი წელათის ცენტრში, გზის გასწვრივ ჰქონდა – სოფელში ყველაზე ფართე ღია აივნით. აივანზე მუდმივად იყო მაგიდა – ხილითა თუ სხვა პროდუქტებით დახუნძული. აივანი მუდამ სავსე იყო მეზობელ-მოკეთებით.

კაცურად იცხოვრეს და ნაადრევი სიკვდილის მიუხედავად ვალმოხდილები წავიდნენ წუთისოფლიდან. ნუგზარი დაიღუპა 1988 წელს (დაკრძალულია თხილნარის მეურნეობაში), მეიდანი გარდაიცვალა 1995 წელს (დასაფლავებულია წელათში, საგვარეულო სასაფლაოზე), ხოლო ნევზეთი – 2004 წელს (დასაფლავებულია თხილნარის მეურნეობაში).

ალი ფუტკარაძე (1933-2004)

ზექერია ფუტკარაძის შვილებს შორის ალი გამორჩეული იყო თავისი ზნეკეთილობით, ერთგულებითა და უპრეტეზიონ ბუნებით. ღვთით მომადლებული კეთილშობილება და შრომის-მოყვარეობა სიცოცხლის ბოლომდე იყო მისი გამორჩეული თავისებურება.

ალი დაიბადა წელათში, ზექერია ფუტკარაძის ოჯახში 1933 წელს. ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა დამყოლი ხასიათითა და სხვათა აზრის უკრიტიკოდ გაზიარების უნარით. ბუნებით გულწრფელს სხვებიც გულწრფელი წარმოედგინა. ერთი შვილით დაასაჩუქრა ბუნებამ ალი. მეორედ მოუხდა დაქორნინება დარჩიძეებელ სურმანიძის ქალზე. მისგან შვილი არ შეძენია. მუხთალია წუთისოფელი. ხშირად უფრო ფასდება ის, ვინც არაა დაფასების ღირსი. ალისთანა ადამიანები შეუმჩნეველნი რჩებიან სიცოცხლეში, მათი უანგარობა, გულწრფელობა და სიკეთე კი აუხსნელი, მაგრამ როცა სიცოცხლეს ტოვებენ, მაშინ ჩნდება სიცარიელე, რომლის ამოვსება ვეღარასოდეს ხერხდება. ასე იყო ალის შემთხვევაშიც. ყველაზე უფრო დასაფასებელი თავისი გულწრფელობით, გულლიაობით, ნაღდი და არა მოჩვენებითი ერთგულებითა და საყვარულის უნარით დაჯილდოებული ალი მეტ სიყვარულს იმსახურებდა თანამოძმებისგან.

ყველა დროს და ეპოქას თავისი მოთხოვნები აქვს. სწორედ ამითაა განპირობებული, რომ „დროის შვილების“ დიდ ნა-



თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე

წილს ძველი დიდებისაგან არაფერი რჩებათ. მათ შესახებ შეთხმული მითები საპნის ბუშტივით სკდება და მათი სახელებიც დავიწყებას ეძლევა. აღი ფუტკარაძე თავისი გულწრფელობით, მიამიტობით, ერთგულებით, კაცობრივობით ყველა ლირსეულ ადამიანს ემახსოვრება.

აღი გარდაიცვალა 2004 წელს, 71 წლის ასაკში. გარდაიცვალა მისი ბიძაშვილის – რეჯების დაკრძალვის დღეს.

დასაფლავებულია წელათში, მამისა და ბაბუის გვერდით, საგვარეულო სასაფლაოზე.

პას ფუტკარაძე (1933-1986)

სიცოცხლე მარადიული არაა, თუმცა ლირსეული ადამიანის სახელი და გაკეთებული საქმე დიდხანს რჩება და საზოგადოების კუთვნილება ხდება. აბას ფუტკარაძემ სიცოცხლეშივე დაიმკვიდრა ხალისიანი და კარგი კაცის სახელი. მისი პიროვნების ჩამოყალიბებაზე გავლენა მოახდინა მშობლიურმა გარემომ.



იზრდებოდა საბიძაშვილოში – ერთმანეთისათვის მზრუნველ გარემოში, თუმცა განსაკუთრებული იყო მამის – ფერათის დამსახურება, რომელიც შვილებს მუდმივი კონტროლის და ზედამხედველობის ქვეშ ამყოფებდა, ადამიანურობას ასწავლიდა, განათლების მიღებას აიძულებდა.

ყოველივე ამან აბასის პიროვნების ფორმირებაზე მოახდინა უდიდესი გავლენა.

ბუნებით კეთილი კაცი სითბოსა და სიყვარულს თანაბრად უნანილებდა ყველას – ნაცნობსა თუ უცნობს, მეგობარსა თუ მეზობელს, ნათესავსა თუ ახლობელს.

რა დაგვავიწყებს აბასის მიერ წინაპართა შეგონებების სარწმუნო არგუმენტების მოშეველიებას კეთილშობილებასა და სიყვარულზე, განსაკუთრებით ბავშვებისადმი დამოკიდებულებაზე. განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა მოზარდებთან. ამიტომაც იყო მისი სახლი პატარა ბავშვების თავშეყრისათვის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ადგილი. არავის შეეძლო გაეთავისებინა ბავშვების სულიერი სამყარო, აზრები, მისწრაფებები ისე, როგორც ეს აბას ფუტკარაძეს შეეძლო. გვახსოვს, ერთხელ, ზამთრის ერთ სუსხიან დღეს, ერთ-ერთი თანასოფლელის ქორწილის შემდეგ რამდენიმე ბოთლი „ჰერეთი“ (ლვინო) ბავშვებმა თოვლში გადავმალეთ, შემდეგ კი აბას ბიძიას ოჯახს მივადექით ლვინის ბოთლებით „ხელდამშვენებულებმა“. სხვასთან მისვლას ვერც გავბედავდით. მეხუთე-მეექვსე კლასის მოსწავლეებს ამის უფლებას არავინ მოგვცემდა, შეიძლება დავესაჯეთ კიდეც. აბას ბიძიამ კი მოგვიწონა სითამამე და არაჩვეულებრივი სუფრა გაგვიშალა. რამოდენიმე ბავშვმა სწორედ მაშინ მივიღეთ „ბახუსის“ პირველი ნათლობა, პირველად გავუსინჯეთ ლვინოს გემო და კარგადაც „შევუშუნდით“. ეს დღე არასდროს წაიშლება ჩვენს მეხსიერებაში.

ნაადრევად წავიდა აბას ფუტკარაძე წუთისოფლიდან. იგი გარდაიცვალა 53 წლის ასაკში, 1986 წელს. განისვენებს წელათში, საგვარეულო სასაფლაოზე, თავისი ახლობლებისა და ნათესავების გვერდით.

ქაზიმ ფუტკარაძე (1935-2020)

სიმართლით, პრინციპულობითა და პატიოსნებით გამორჩეული პიროვნება – ასე ახსოვთ ქაზიმ ფუტკარაძე წელათში. ასე დაამახსოვრა მან თავი სოფელ თხილნარის მეურნეობაშიც,



სადაც ცხოვრობდა იგი 1968 წლიდან.

ქაზიმ ფუტკარაძე ზექერიას ნაბოლარა შვილია. იგი დაიბადა 1935 წელს, სოფელ წელათში. დარჩიძეებელ რებილე სურმანიძესთან ერთად რამოდენიმეჯერ შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი. ცხოვრობდა წელათში, სალიბაურში, ისევ წელათში, კახაბერში, ბოლოს კი დამკვიდრდა თხილნარის მეურნეობაში, სადაც მისი ოროთახიანი ბინა ყველა ახლობელ-ნათესავ-ნაცნობის მასპინძელი იყო.

სანდომიანი კაცი იყო ქაზიმი. არ არსებობდა სოფელში პიროვნება, რომელიც მას არ ენდობოდა. ხელის გამართვა უყვარდა. არასდროს ეძებდა მიზეზს, ხელი რომ არ შეეწყო. პირიქით, ეძებდა მიზეზებს, ადამიანისათვის ხელი რომ გაემართა. ზოგჯერ სხვისთვის ხელგასამართავად სხვას მიადგებოდა კარს, ისე რომ მასთან დახმარებისათვის მისულს არაფერს აგრძნობინებდა.

და მაინც, ქაზიმ ფუტკარაძის მთავარი თავისებურება პრინციპულობა იყო. ხასიათით, „ფხუკიანობით“ იგი მის უფროს ძმას რიზალს მოგაგონებდათ, პრინციპულობაში კი მას ბადალი არ მოეპოვებოდა. ქაზიმი არავის პატიობდა მისი ნათესა-

ვების აუგად ხსენებას და მთელი ცხოვრების განმავლობაში ასეთ ადამიანს მისთან მიახლოების საშუალებასაც კი არ აძლევდა. ნათესავებისადმი მისი დამოკიდებულების ნათელი მაგალითია ძმიშვილის ოჯახისადმი გამოჩენილი ყურადღება, როცა საკუთარი ხელით დაუმუშავა და დაუტერასა ფერიდან ახლადგადმოსახლებულ ოჯახს საკარმიდამო მიწის ნაკვეთი და ერთი წლის ციტრუსის მოსავალი დაუნანებლად აჩუქა. ზურაბ და რეზო ბერიძეებს კარგად ახსოვთ მათ საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე მომუშავე ქაზიმი, რომელიც არ ელოდებოდა, თუ როდის გავიდოდნენ მათსავე მიწაზე სამუშაოდ ამ ფართობის მესაკუთრეები. როცა ზ. ბერიძე გადიოდა პლანტაციაში სამუშაოდ, ქაზიმს უკვე შესრულებული ჰქონდა სამუშაოების დიდი ნაწილი. ყველაფერ ამას ქაზიმი აკეთებდა გულის კარნახით, დიპლომატიური ზიგზაგების გარეშე. მას სწამდა (ზოგჯერ შეცდომითაც) რასაც აკეთებდა და აკეთებდა იმას, რაც სწამდა. ეს იყო მისი გამორჩეული თავისებურება.


ქაზიმი გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობის და სამუშაოს ხარისხიანად შესრულების მაღალი სტანდარტით. არ ჰქონდა მნიშვნელობა სახელმწიფო მიწაზე მუშაობდა თუ საკარმიდამოში. ყველგან ერთნაირი გულმოდგინებით შრომობდა და ხშირად შვილების მიერ უხარისხოდ დაბარული თუ გათოხნილი მიწის ნაკვეთის ხელახლა დაბარვა-გათოხნა უნდევდა.

ქაზიმის ხასიათის ერთ-ერთი თვისება ზღვარგადასული პატიოსნება იყო. არასდროს მიუცია საკუთარი თავისთვის უფლება თუნდაც ერთი ცალი მანდარინი მიეტანის სახლში მეურნეობის ციტრუსების პლანტაციებიდან. ამიტომაც ენდობოდნენ და პატივს სცემდნენ მას როგორც რიგითი მშრომელები, ისე სოფლის ადმინისტრაცია.

ქაზიმ ფუტკარაძე გარდაიცვალა 2020 წლის იანვარში (84 წლის ასაკში), მისი დის ზუღების გარდაცვალების დღეს. ანდერძის შესაბამისად, დაკრძალულია თხილნარის მეურნეობაში მისი შვილიშვილების გვერდით.

ვალერიან (სერდალ) ვაშაყმაძე
(1938-1989)

ვალერიან (სერდალ) ვაშაყმაძემ საპატიო ადგილი სოფელში ბავშვობიდანვე დაიმკვიდრა. სერდალი იყო ადამიანი, რომელმაც წარმატებით შეძლო ახლობლის, მეგობრის, მოხუცის, ახალგაზრდის და მშობლიური სოფლის სიყვარულის ერთმანეთთან შეხამება. მას ადამიანებთან ურთიერთობის საოცარი უნარი ჰქონდა, თუმცა თავისი გადაწყვეტილებისა და აზრის სხვებისთვის თავსმოხვევას არავის აკადრებდა.



ობლობაში გაატარა ვალერიანმა თავისი ყმაწვილ-

კაცობა. 1930-ნი წლების რეპრესიებს ემსხვერპლა მისი მამა. ბედის უჯუღმართოს არ შეუშლია ხელი სერდალი დარჩენილიყო საუკეთესო ადამიანური თვისებების მქონე ადამიანად. ცხოვრების მნიშვნელოვანი პერიოდი საკოლმეურნეო შრომაში გაატარა. ერთხანს საკოლმეურნეო ფერმაში იმუშავა, შემდეგ კი კოლმეურნეობაში სხვა სამეურნეო სამუშაოებს ასრულებდა.

განსაკუთრებულ სიხარულს ანიჭებდა სხვებისათვის დახმარების გაწევა. ყველას ეხმარებოდა გაჭირვების დროს, წაქეზების შემთხვევაში კი „მთასაც გადააბრუნებდაო“ – იგონებენ მისი თანამედროვენი. ერთხელ თურმე

თანასოფლელებისაგან წაქეზებული დათვის ბუნაგშიც კი შევიდაო – ხუმრობით ყვებიან წელათში.

მოუსვენარი კაცი იყო ვალერიანი. უშრომლად ვერც ერთ წუთს ვერ ძლებდა. ზამთრის სუსხიან დღეებში, დიდ-თოვლობის დროსაც ვერ ჩერდებოდა სახლში და თავის სოფელს, ეზო-კარმოდამოს აუცილებლად ირგვლივ შემოუვლიდა.

ულმობლად გაირბინა ცხოვრების წლებმა, ყველაფერი გაცხრილა დრომ, ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა. სერდალმა კი თავისი კეთილშობილებითა და შრომისმოყვარეობით სამუდამო ადგილი დაიმკვიდრა მშობლიურ სოფელში.

ვალერიანი (სერდალი) გარდაიცვალა 1989 წელს. დასაფლავებულია წელათში, საგვარეულო სასაფლაოზე.

ცოდარი (ხალიდი) ფუტკარაძე (1940-2003)

ახალშენელებს დღემდე ახსოვთ აზრიანი, მრავლისმეტყველი გამომოტყველებითა და მომლიმარი სახით მიქელაძეების



უბნისაკენ მიმავალი შუახნის კაცი, რომლის სიკეთისათვის მოწოდებული გული ნაცნობსა თუ უცნობს სითბოსა და სიყვარულს ერთნაირად უნაწილებდა. ეს პიროვნება იყო ნოდარი (ხალიდი), რიზალი ფუტკარაძის ერთადერთი ვაჟიშვილი.

ადამიანის პორტრეტს ქმნის დრო. იგი თავისი მახასიათებლებით გამოკვეთს სა-

თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე

ხეს, რომელიც ცნობადი ხდება საზოგადოებისათვის. თავად იგი-ვე დრო – უმკაცრესი შემფასებელი – ზოგჯერ ვერ ახერხებს მათი სახელის დავიწყებას, რადგან ასეთი ადამიანები სიცოც-ხლეშივე ექცევან გარშემოყოფთა ყურადღების ცენტრში. სწორედ ასეთ ადამიანთა რიგს განეკუთვნებოდა ნოდარი ფუტ-კარაძე.

ნოდარი დაიბადა 1940 წელს, შუახევის რაიონის სოფელ წელათში. უმკაცრეს ოჯახში გაზრდილი ნოდარი ხასიათით მა-მის ანტიპოდი იყო. რამდენადაც მკაცრი იყო მისი მამა, იმდე-ნად ჰუმანური, ლოიალური და ლმობიერი იყო იგი. ნოდარი გა-ნეკუთვნებოდა „რთული ცხოვრების უარმყოფელთა“ და „მცი-რედითაც კმაყოფილი“ ადამიანების კატეგორიას. იგი იყო თა-ვისებური „ბოჭემა“ – მომლხენი, მოსიყვარულე, ტკბილად მო-უბარი. საოცარი ხმა ჰქონდა, საოცრად კარგადაც მღეროდა. ქორწილებსა თუ სხვა ღონისძიებებზე ყველა მასთან დაჯდომას ცდილობდა, რადგან მასთან არავინ მოიწყენდა.

კიდევ ერთი კარგი თვისება ჰქონდა ნოდარს – მისთვის უცხო იყო აუგის თქმა, განსაკუთრებით ნათესავ-ახლობლების შესახებ და არც არავის აძლევდა ამის უფლებას. ამ თვალსაზ-რისითაც იგი დარჩა ამაღლებული და საკუთარი მაგალითით სხვებსაც წარმოაჩნდა პირადი ღირსების დონეზე.

1980-ნი წლების ბოლოს მისი ოჯახიც გადმოსახლდა მთი-ანი აჭარიდან. დამკვიდრდა ახალშენში და იქაც ყველას შეაყვა-რა თავი. მამისაგან ისწავლა არაბული. იყო „ყურანის“ საუც-ხოო მცოდნე, აკადემიურ კომენტარებსაც აკეთებდა და ისლა-მის მთავარი დოგმების თანამედროვეობისათვის მისადაგება-საც ახერხებდა. არასოდეს დაუთმია ადგილი რელიგიური კონი-უქტურისათვის. თავის ქადაგებებში ვერ მოისმენდით კუთხური კარჩაეტილობის შესახებ ვერც ერთ სიტყვას. ისლამური ალ-მსარებლობის მიუხედავად იგი ზოგადქართულად მოაზროვნე პიროვნება იყო. ამ თვალსაზრისით იგი რელიგიური კულტის პროგრესულად მოაზროვნე მსახურების მცირერიცხოვან ადა-მიანებს განეკუთვნებოდა.

ნოდარი საკუთარი გვარისა და ჯიშ-ჯილაგის დიდი დამ-ფასებელი იყო. გვახსოვს, როცა ახალშენში სტუმრად ასული ერთ-ერთი ნათესავი სხვასთან შემორჩა და ნოდარის (ხალიდის) ოჯახში მისვლა შეაგვიანდა. რამოდენიმე გამჭოლი და პირდა-პირი სიტყვა ისროლა მხოლოდ: „ძირი უნდა იცოდეთო“. თავა-დაც ამ პრინციპის ერთგული დამცველი იყო.

2003 წელს დადუმდა საკუთარ სოფელზე, მხარეზე, ქვე-ყანასა და ხალხზე შეყვარებული კიდევ ერთი მოჭირნახულე ადამიანის სიცოცხლე. მისი სახით ფუტკარაძებმა დაკარგეს მორალური სიწმინდით, შინაგანი წესრიგით გამორჩეული გუ-ლისხმიერი ადამიანი. იგი გარდაიცვალა 64 წლის ასაკში. დარჩა სამი შვილი: ზაური, ციალა, მაგული.

დასაფლავებულია ახალშენში, საგვარეულო სასაფლაოზე.

შოთა (გოგონ) ვაჟაყაძე (1942 – 1997)

არიან ადამიანები, რომელთა ხსოვნა არ იშლება მეხ-სიერებიდან. პირიქით, დრო მეტ ფასეულობას მატებს მის დანა-ტოვარ სიკეთეს და კეთილშობი-ლებას. სწორედ ასეთი დარჩა ჩვენს მეხსიერებაში ზნეკეთილი კაცი, სიკეთითა და ერთგულებით გამორჩეული პიროვნება -**შოთა ვაჟაყაძე**.

იგი წელათში დაიბადა 1942 წელს. ტექნიკური განათლების მქონე პირთაგან პირველი იყო მშობლიურ სოფელში. გამრჯე და შრომისმოყვარე მოედინი მაღლე იქცა მაღალკუვალიფიციურ ელექ-



თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე

ტრომექანიკოსად და სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად ემსახურა ამ საქმეს.

ვინც ერთხელ მაინც შეხვედრია მოედინ ვაშაყმაძეს, არასოდეს დაავინწყდება მისი გულთბილი დამოკიდებულება ადამიანებისადმი, სუკეთისა და სამართლიანობის მისეული განცდა. სწორედ ამიტომ მოიპოვა სიცოცხლეშივე-თანასოფლელთა სიყვარული და აღიარება.

მძიმე ბავშვობა ჰქონდა მოედინს. არც ახალგაზრდობის წლები იყო დალხენილი. 1960-იან წლებში უეცრად მოვარდნილმა მეწყერმა მიწაში დამარხა მისი სახლი. ხელახლა ააწყო ცხოვრება, ხელახლა ამოვიდა მისი ბუხრიდან მაცოცხლებელი კვამლი – სიმბოლო სიცოცხლისა.

შოთას დედა იმერხევიდან ჰყავდა. მასთან ერთად იყო მისი დაცუ, რომელიც თითქმის სოცოცხლის ბოლომდე მოედინის ოჯახში ცხოვრობდა. მოედინმა მას ბოლომდე უპატრონა და არ მოაკლო მზრუნველობა.

შოთა (მოედინი) გარდაიცვალა 1997 წელს, დასაფლავებულია წელათში, საგვარეულო სასაფლაოზე.

ვლადიმერ (პირალ) ვაშაყმაძე (1943-2016)

ადამიანის ცხოვრება მაშინაა ფასეული, თუ მისი სიცოცხლე საკუთარი ქვეყნის, სოფლის, სამსახურში გაილია. **ვლადიმერ ტაშტანისძე ვაშაყმაძე** ერთ-ერთია მათ შორის, ვინც პირნათლად შეასრულა თავისი ვალი მშობლიური სოფლის წინაშე. იგი დაიბადა სოფელ წელათში, 1943 წელს. სოფლის სკოლაში მიიღო პირველდაწყებითი განათლება.

წელათელთაგან ვლადიმერი პირველი და ერთადერთი იყო, ვინც დაამთავრა რადიო ტექნოლოგიების სასწავ-

ლებელი. სამი ათეული წლის განმავლობაში – ბათუმში გადმოსახლებამდე ვლადიმერი ჩვეული ენერგიითა და საქმის სიყვარულით ემსახურებოდა თავის საყვარელ საქ- მეს არა მარტო წელათში, არამედ შუბნის სასოფლო საბ-

ჭოს მასშტაბით. საყვა- რელ საქმესთან ერთად ვლადიმერს გარმონზე დაკვრაც ეხერხებოდა. ამიტომაც არ იყო იშვია- თი გართობა-მოლხენა მისი აქტიური მონაწილე- ობით.

ურთულესი ცხოვ- რებისეული გზა გაიარა ვლადიმერმა. ცხოვრების პირობების გაუმჯობესე- ბის სურვილმა იგი ზუგდი- დის რაიონის ერთ-ერთ სოფელში გადაიყვანა საც-

ხოვრებლად, თუმცა ვერ გაძლო. მოენატრა მშობლიური სოფელი და კვლავ წელათს დაუბრუნდა. ზუგდიდში მისი ხელით შექმნილი ახალი ცხოვრება სიძეს უსახსოვრა.

ვლადიმერი იყო ერთგული, მორიდებული, უპრეტენ- ზიო და კარგი მეგობარი, შესანიშნავი ალმზრდელი და მე- ოჯახე. ყოველთვის ცდილობდა დახმარების ხელი გაეწო- დებინა ახლობლებისათვის და არა მარტო ახლობლები- სათვის.

სიცოცხლის ბოლო წლებში ვლადიმერი ბათუმში გადმოვიდა საცხოვრებლად. გარდაიცვალა 2016 წელს, დასაფლავებულია წელათში, ვაშაყმაძეთა საგვარეულო სასაფლაოზე.



**ალი (1943-2017, მარ (1973-2019) და
ნუზარ (1966-2020) ვაშაყმაპევები**

2017 წელს, 74 წლის ასაკში გარდაიცვალა ზნეობითა და სულით ამაღლებული ცნობილი წელათელი, სტუმართმოყვარე-ობით, ჰუმანურობით, მოჭარბებული სიკეთითა და სხვა ადამია-ნური თვისებებით გამორჩეული პიროვნება, ოჯახისათვის თავ-დადებული ადამიანი, მამა და მეუღლე – **ალი//ალექსანდრე ვა-შაყმაძე**. ორიოდე წლის შემდეგ (2019 წელს) მისი შვილი – **ომა-რი** – ახაგაზრდა ასაში გამოემშვიდობა წუთისოფელს, ხოლო 2020 წელს ალის მეორე შვილი – **ნუზარიც შეუერთდა** ზეცი-ურ საქართველოს. სამი წლის განმავლობაში სამი საუკეთესო ადამიანი წავიდა ამ ქვეყნიდან და დატოვეს სიცარიელე ახლობ-ლების გულებში. წავიდნენ, მაგრამ ადამიანის სიცოცხლეში მა-ინც სხვაა მნიშვნელოვანი:



მთავარია, თუ როგორ გაატარე შენი წილი წუთისოფელი. დაბეჭითებით შეიძლება ითქვას, რომ მათ იცხოვრეს და იშრო-მეს ისე, როგორც შეეფერებოდა საკუთრივ მათი და მათი შესა-ნიშნავი წინაპრის – შერიფის – ზნემაღალი და კეთილშობილი ადამიანის ღირსებას. ასეთი ადამიანები მარტო თავიანთ ოჯახს არ უკვდებიან. მათი სიკვდილი მთელი სოფლის, თემისა და ხე-ობის დანაკლისია. მათი სიკვდილით დაგვიტოვეს დიდი ტკივი-ლი, რომელსაც ზოგადად ქართულ ტკივილს ეძახიან.

ნავიდნენი ისინი წუთისოფლიდან, ნავიდნენი იმ ასაკში, როცა კვლავაც შეეძლოთ სასიკეთო საქმეების კეთება; ნავიდნენ და თან წაიყოლეს დარდი თავიანთი შვილებისა და შვილიშვილებისა, წაიყოლის მათი ოჯახის შემდგომი გაძლიერების, ნათესავების ურთიერთსიყვარულის განმტკიცების, ერთობის შედუღაბების მათეული გეგმები.

პრინციპულობა და ობიექტურობა, პატიოსნება და გულისხმიერება, კეთილშობილება და კაცთმოყვარეობა, მოზომილი ტაქტი და ჰუმანურობა, პუნქტუალობა და უბრალოება, მაღალი შეგნება და ახალგაზრდული შემართება, სტუმარომოყვარეობა და შინაგანი კულტურა – აი ის თვისებები, რითაც იყვნენ გამორჩეული ალი და მისი განსვენებული შვილები.

ყველას უნახავს შრომაში, შალვა ფუტკარაძოს ჩასავალზე მდგარი ორსართულიანი სახლის პირველი სართულის აივანზე მჯდარი ალი, გამვლელსა და გამომვლელს ოჯახში რომ ეპატიუებოდა და უპატივცემულოდ არავის უმვებდა. ყველას უხაროდა მასთან საუბარი, მასთან ურთიერთობა, რადგან საყოველთაოდ იყო ცნობილი მისი სიტყვის კაცობა, უხინჯობა და უღალატობა. ზუსტად ასეთები იყვნენ მისი შვილებიც – ომარი და ნუგზარი.

ალის, ნუგზარისა და ომარის სახით ჩვენ დავკარგეთ გამორჩეული თანასოფლელები, რომელთა ცხოვრება სოფლისა და ხალხის უანგარო სამსახურში გაილია. მათ სახელებს დავიწყება არ უწერია.

იოსებ ფარათისძე ფუტკარაძე
(1946-1991)

იოსებ ფერათისძე ფუტკარაძე უმაღლესგანათლებულთა პირველი თაობის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენელია. იგი დაიბადა სოფელ წელათში, 1946 წელს. საშუალო სკოლის დამთავრებისა და სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან დე-



მობილიზაციის შემდეგ ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში – დაწყებითი განათლების, პედაგოგიკისა და მეთოდიკის სპეციალობაზე. ინსტუტუტის სრული კურსის დასრულების შემდეგ დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს და სოფლის დაწყებით სკოლაში გამგე-მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. იგი იყო პირველი უმაღლესი გა-

ნათლების მქონე პიროვნება სოფელ წელათში, რაშიც დიდია მისი მამის – ფერათის დამსახურება. იგი ხშირად ამონმებდა შვილის აკადემიურ მოსწრებას. და მუდმივ კონტროლს უწესებდა იოსების სწავლა-განათლებას. რწმენა, პრინციპულობა, პროფესიისადმი ერთგულება და საქმის სიყვარული – ასე დაამახსოვრა თავი იოსებმა თანასოფლელებს, ნათესავ – მოყვარებს და რაც მთავარია, მის მოსწავლებს, რომელთაგან ბევრმა სწორედ მისი ხელდასმით გაიკვალა გზა. პედაგოგიური საქმიანობის პარალელურად იგი ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციასაც ხელმძღვანელობდა.

იოსებ ფუტკარაძე იყო უაღრესად წესრიგიანი, პუნქტუალური და პასუხისმგებლობის გრძნობით დაჯილდოებული პედაგოგი, მაღალი ზნეობით, ერუდიციით, პედაგოგიური ტაქტითა და პროფესიონალიზმით გამორჩეული პიროვნება.

ისოები იყო ტაქტიანობის, უფროს-უმცროსობია ტრადიციის ერთგული. იგი ვერ ეგუებოდა მასწავლებლის დაუფასებლიობას, მნიშვნელობა არ ჰქონდა ვინ იყო ის, ნათესავი, თანასოფლელი თუ ნებისმიერი სხვა ადამიანი. სუხომლინსკისა და მაკარენკოს იდეებზე აღზრდილი იოსები პედაგოგიური კულტურის, ტაქტის, აღზრდის უნივერსალური – კლასიკური მე-თოდების თვალსაჩინო მაგალითი იყო. **დამსახურებული პედაგოგის** გაკვეთილები გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზ-მითა და დახვენილი პედაგოგიური კულტურით. იოსებს შესა-ნიშნავად ესმოდა შრომითი აღზრდის მნიშვნელობა, ამიტომაც მისი გაკვეთილები აკადემიური განათლების მიცემასთან ერ-თად შრომითი ჩვევების აღზრდასაც ემსახურებოდა. თავადაც ხომ შრომისმოყვარეობის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენდა.

იოსებ ფუტკარაძე თანასოფლელთა ჭირ-ვარამის უპირ-ველესი გამზიარებელი, ჭირსა თუ ლხინთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზატორი იყო. იგი მკაცრი იყო მათ მი-მართ, ვინც თანამოძმის სიხარულსა თუ ტკივილს არ გაიზია-რებდა.

ტრაგუკულად დასრულდა მისი სიცოცხლე. ახალშენში ახლად ჩამოსახლებული -ტრაგიკული შემთხვევის მსხვერპლი შეიქმნა. სიცოცხლის ბოლო დღეებში მისი თვალები სევდას მოეცვა. აკი იწინასწარმეტყველა კიდეც: „წელათის სკოლას უმასწავლებლო არ დავტოვებ, თუ ამ დაჭრილმა გულმა ცოტა ხანს მაცალაო“. აღარ დასცალდა იოსებს პირობის შესრულება. ტრაგიკულმა სიკვდილმა მისი ჩანაფიქრი სამარეში ჩაიტანა.

იოსები გარდაიცვალა 1991 წელს. დასაფლავებულია ახალშენის საგვარეულო სასაფლაოზე.

იოსებ ახმედის ძე ფუტკარაძე
(1947-1993)

ჩვენს წარმოდგენაში მთიელი კაცი სიდინჯესა და დარბა-ისლობასთან, გულწრფელობასა და ზოგჯერ მიამიტობასთან, გულისხმიერებასა და სიტყვის კაცობასთან ასოცირდება. ყვე-ლა ეს თვისება მოჭარბებულად ჰქონდა მომადლებული შუახე-ვის რაიონში, წელათში, ზექერია ფუტკარაძის შვილის ახმედის ოჯახში დაბადებულსა და აღზრდილ იოსებ ფუტკარაძის პი-როვნებას.



ახოვანი, ვაჟკაცური შე-სახედაობის პიროვნება... სა-უბარშივე იგრძნობა. რომ საქ-მე გაქვს მაღალმთიანი აჭარის ლალი ბუნებით გამოკვებილ თამამ, პრინციპულ, შეუდრე-კელ, ინიციატივიან, ზოგჯერ პოლიტიკური კონიუქტური-საგან თავისუფალ ადამიან-თან, კაცთან, რომელსაც მო-ნინების გრძნობით შესციცი-ნებდა ყველა – უფროსიცა და უმცროსიც, მოხუციცა და ახალგაზრდაც. გამოჩნდებო-და თუ არა სოფლის შესასვლელ გზაჯვარედინზე, ყველას სიხა-რული გადაეფინებოდა სახეზე, შეეგებობედნენ, მოიკითხავ-დნენ, გულს გაუთბობდნენ, სუფრას გაუშლიდნენ.

ასეთი გვახსოვს ჩვენ – იოსები, ფუტკარაძეების საგვა-რეულოს ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი, კაცი – მარ-თალი და უღალატო, უხინვა და პატიოსანი, პრინციპული და კაცთმოყვარე, ჯიშისა და ჯილაგის ინტერესების დამცველი, სახელიანი და სახელოვანი წინაპრის – ხაჯის საქმის უშუალო გამგრძელებელი. ეს განსაკუთრებული მისია არავის უტარებია

ուսե յաբշորագ, միջուկաց դա սամարտլուանագ, ռողորու Շեքլոն օռսեծ ոչությարացեմ.

օռսեծ ոչությարաց դաօինագ 1947 նյուն, սովոր. նյուլատժո. ցյուն ոչությացնոյրո ալմոհնճա արա մարգո աեմեցու ոչաճի, արամեց մույլ սացարեցլոմի, րագցան դաօինագ պայլածի դուզ ցուլմեմաթյուարո, թյուուլումոնիարյ, პրոնցությունո դա սայու- տարո չում-չուլացու ոնթյերյեսեծու սաօմեցու դամւուլո.

նարմացեծու դաասրուլա սամյալոն սկոլու սրուլո յուրսո. նարհոնեցու գուլումու դաասրուլա ծատոյմու սասոյլո-սամյուր- նյո քյյենոյումո, Շեմցեց կո սոենյմու սասոյլո-սամյուրնյո օն- սգությունո դա նյուլատյուտացան, օռսեծ դա Շյյյրո ոչությարացեց- տան յրտագ ჩայենյրա սոյլու յմացլուսցանատլությունո პորու- լո տառնու րոցցեծո. ցարմու ցամորհյուլո პորունյուն սամացա- լուտո ոյու տյեմուսա դա բաօնոնու մասմիցածու. ոյց ոյու ցամորհյու- լո յուլմեյուրնյունու տացմյուգումարյ Շյյնու յուլմեյուրնյունու տացմյուգումարյուտ Շորու, Շյյամյուրո որցանոնիացորյուլո նոյնու, պրոնցությունուտա դա մարտու եցլունյունու. մամոնցելո յուլմե- յուրնյունու տացմյուգումարյուն ամյամոնցելո րյըսպյունույուրո ոյու րաօնույլո տանամցեծուցու գուլուցան ոյու, մացրամ տանցայու- լունու տցուսեցեծու ցամու արացու ֆրուց տցալու, ար პոնուորուն- դա, նոնա պլանի ար նյուաց սայուտար პորունյուն օռսեծու արաս- դրու դայույնուցու տանամցեծուն պորունյուլ լուրսեցեծու դա- րագ դա բույս դացցա յոնցրությունո սակուտո, յաբունա դա լուր- սեծու դաայունա տանամցեծուցածի յուգուրո մալլա.

օռսեծու ոյու პորուգապորո - յուրտույրտունյունո, ցուլուտագո - մեցոնքրոնյունո, ցայյացու սայմենո, բոմանքույրուգ ամացլությունու սյույրաստան. մուսու սայմենու մանյրա, սգունու, բյանուսեցյուրո լու- ցուա, արահյույլուցու ցոնույրուն եցցրո մնչացու პրոնցելու մությունու նոնապորուն ոյու.

1980-1990-օանո նլունու մոյշնածի օռսեծու ոյերուանո ցամո- սաելլա. ման ար մուացրու տացուսու դուս - յույյունաս ոչաճու դա մատտան յրտագ սացեացրութլա ցամուցու ոյերուանո, սանուարո սաելմո, մուսու ցամուցալուցու Շեմցեց կո ախալմենմո.

თამაზ ფუტკარაძე, ზაურ ფუტკარაძე

მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე იოსები ცდილობდა ბარათაშვილის მერანივით გაეთელა უვალი გზა, რათა მის მოძმეს ადვილად შეძლებოდა ამ გზაზე სიარული. ერთად ყოფნის აუცილებლობას, სიტყვისა და საქმის ერთიანობას, ფუჭი იმედის მიცემის მიუღებლობას, ნამუსისა და კაცობის გზით სიარულის საჭიროებას გვიქადაგებდა, მოგვიწოდებდა – არ დაგვეხურდავებინა კაპიკებზე ღირსება და კაცობა. ცუდად არ ჩაუვლია ამ „თავგანწირულ სულისკვეთებას“, უკვალოდ არ წასულა იგი ამ ქვეყნიდან, თუმცა ნაადრევი სიკვდილის გამო ყველაფრის მოსწრება შეუძლებელი შეიქმნა.

იოსებ ფუტკარაძე გარდაიცვალა 1996 წ. ივლისში. დაასაფლავეს ფერიაში, შემდეგ კი გადმოასვენეს ახალშენში, ფუტკარაძების საგვარეულო სასაფლაოზე.

შუქრი ფუტკარაძე (1948-2017)



ადამიანი, მით უმეტეს დაფასებული პიროვნება მის მიერ ხანგრძლივი შრომით განვლილ გზას რომ გადახედავს, ახარებს ის ფაქტი, რომ ერთი დღეც არ უცხოვრია მოვალეობისა და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობის გარეშე, როცა აცნობიერებს, რომ მასაც აქვს შეტანილი წვლილი სოფლისა და ახლობლების ცხოვრებაში, მასაც მოუტანია სარგებელი თანასოფლელებისათვის, გაუთბია ადამიანთა გულები. სწორედ ასეთი იყო შუქრი ფუტკარაძე, უმაღლესგანათლებულთა პირველი თაობის წარმომადგენელი წელათში. საგვარეულოს წიაღში არსებული გენეტიკური კოდის წყალობით იგი სოფელს მოევლინა როგორც სულიერად და ფი-

ზიკურად ამაღლებული პიროვნება, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება სწავლასა და შრომაში გაატარა. მისნაირებზე იტყვიან სწორედ: ასეთი ადამიანები ბედნიერ ვარსკვლავზე იბადებიანო“.

ორი ასაკისაგან შედგება ჩვენი სიცოცხლეო, იტყოდა შუქრი – პირველ ასაკს იგი ახალგაზრდობის წლებს უკავშირებდა, როცა ადამიანი ყველაფერს ვარდისფერი სათვალეებით უყურებს. მეორე ასაკი კი უფრო მკაცრი, დაუნდობელიაო, რადგან ახალგაზრდობის წლები ილევა, ჭკნება და ცხოვრებაც თანდათანობით კარგავს რომანტიკულ ელფერს და მომხიბლველობას. სწორედ ეს გვაცნობიერებინებს მეორე ასაკის სიმძიმესო – იტყოდა იგი. ეს განცდა ანუხებდა შუქრის მის მეორე ასაკში და ამიტომ გვმოძლვრავდა – სიცოცხლეში გვიყვარდესო ერთმანეთი.

სწავლისა და თავაუღებელი შრომის წლები განვლო შუქრი ფუტკარაძემ ჯერ წელათში, შემდეგ კი გურიის სოფელ შრომაში. ბავშვობიდანვე შრომის ფერხულში ჩაება. უმაღლესი სასწავლებლის დასრულების შემდეგ კი ბავშვების აღზრდას მიუძღვნა ახალგაზრდული წლების ერთი ნაწილი. მოგვიანებით გურიის სოფელ შრომაში გადავიდა საცხოვრებლად – თავისი ბიძაშვილების გვერდით და ხელახლა ააწყო ახალი ცხოვრება. მან არ იცოდა, რა იყო დაღლა. მთელი თავისი ფიზიკური თუ გონიერივი ენერგია ოჯახს, შვილებსა და მათ მომავალს მიუძღვნა.

უმაღლესგანათლებულთა პირველი თაობის წარმომადგენლი წელათში და შეიძლება ითქვას კუთხის გარეთ გასული პირველი მასწავლებელიც იყო შუქრი მასწავლებელთა შორის გურიაში -ურეკის საჯარო სკოლაში.პროფესიონალიზმი და კეთილგანწყობილი ურთიერთობა იყო მთის სუფთა ბუნების შვილისათვის მთავარი იარაღი აღსაზრდელებთან,კოლეგებთან ,მეგობრებთან ურთიერთობისთვის. გურული კოლეგებისთვის აჭარელი კაცი იყო საუკეთესო მეგობარი,მრჩეველი,სანდო და დასაყრდენი პიროვნება, ამიტომაც მის მიმართ ყველა პატი-

თამაზ ფუტკარაძე, ზაურ ფუტკარაძე

ვისცემით იყო განმსჭვალული და კაცური კაცის სახელით მოიხსენიებდა.

თავისებური ჰქონდა გარეგნობა შუქრის. თავისებური იყო მისი შინაგანი სამყარო. პოლიტიკურადაც აუიტირებული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ელეგანტურობა, დახვეწილი მანერა, ლამაზი და მადლიანი გამოხედვა იცოდა. ხშირად ემოციები იპყრობდა მის გონებას, მაგრამ ვერსად ნახავდით ხელოვნურობის კვალს. სამი სიცოცხლე მოუვლინა ქვეყანას, სამი წარმატებული და სახელიანი შვილი. მათგან ერთი ბიზნესმენია, მეორე კი დედაქალაქში დამკვიდრდა. თბილისის საჯარო სკოლის დირექტორებს შორის ლიანა ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ხელმძღვანელი და კოლეგებისა და ბავშვების საყვარელი მასწავლებელია.

მოულოდნელად წავიდა შუქრი წუთისოფლიდან. 2017 წელს გარდაიცვალა იგი 69 წლის ასაკში. დაკრძალულია სოფელ შრომაში.

ლევან ფუტკარაძე (1949-2020)



ყოველ ადამიანს საკუთარი ბიოგრაფია, შრომითი და მოქალაქეობრივი სულისკვეთებით განვლილი გზა ამშვენებს. მათგან გამორჩეულია ლევან ფუტკარაძის სახელი.

ლევანი სოფელ ლაზოლებში დაიბადა 1949 წელს. ჩვენი თაობის ადამიანებმა დიდხანს არ ვიცოდით – ლევანი რეჯებ ფუტკარაძემ შვილად რომ აიყვანა. იგი გაიზარდა და წელათში, იქაურთა

წრეში და იღებდა და თავადაც გასცემდა იმ სითბოს, რითაც სუნთქვადა იმჟამად წელათში მცხოვრები საბიძაშვილო.

რა იყო ლევანის ხასიათის მთავარი მასაზრდოებელი? – ის სოფელი, სადაც გაატარა თავისი ბავშვობა, ის ხალხი, სადაც გაიზარდა, დავაჟყაცდა და დაფრთიანდა.

ეს სოფელი წელათი იყო. ხშირად წაიღიღინებდა კიდეც:

„თუ გინდა რომ გახდე კაცი

უნდა ახვიდე წელათშიო“

ამ სოფლის სიყვარულით იყო განპირობებული მისი და-მოკიდებულებას სოფლისა და ხალხისადმი. მამისეულ სოფელ-ში მას ტყუპისცალი ჰყავდა. ქორნილის თუ სხვა სადღესასწაულო ღონისძიებების დროს იგი მოკითხავდა მის ძმას, ახლობლებს, მაგრამ შემდეგ აუცილებლად წელათლებს მიუჯდებოდა გვერდით.

ლევანი იყო ერთ-ერთი ნოვატორი 1960-1970-იანი წლების წელათში. იგი იყო პირველი ფოტოგრაფი. გადაღებულ სურათებსაც თვითონ ამჟღავნებდა. დაუზარებლად ემსახურებოდა ყველას, ვისაც მისი მხარდაჭერა ესაჭიროებოდა.

2019-2020 წლებში ლევანს ჯამრთელობამ უმტყუნა. განუკურნებელი სენი შეეყარა წელათზე შეყვარებულ ადამიანს. გარდაიცვალა 2020 წელს. დაკრძალულია ახალშენში

იოსებ//მაჯიდ// ვაშაყმაძე (1950-2019)

1975 წლის ზაფხულში, ტომაშეთის რგანლიანი სკოლის მოსწავლე ჩირუხისაკენ მიმავალი სატვირთო ავტომანქანის ძარაზე ავედი და რატომდაც გულდამძიმებულმა მძღოლს მოკრძალებით დამგზავრების ნება ვთხოვე. მძღოლმა ალერსიანად გამიღმამა, მომეფერა და „კითხვა რად უნდა, წამოდიო“ – მითხრა. ეს კაცი შუბნის კოლმეურნეობის სატვირთო მანქანის მძღოლი მეჯიდ ვაშაყმაძე იყო. მისი ლიმილი ჩირუხამდე ამყვა, ხოლო მზრუნველი გამოხედვა დღემდე თან მომყვება. ამის შემდეგ კიდე არაერთხელ მომიხდა მისი მანქანით მგზავრობა სოფ-

თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე

ლიდან ჩირუხისაკენ და ჩირუხიდან უკან – სოფლისაკენ. ხალხის სამსახური, მადლის ქმნა კეთილი ადამიანის თვისებაა, მისი დავიწყება ყოველივე ამქვეყნიურს აზრს აკარგვინებს. სიკეთის



მქნელი იყო მეჯიდი. ხალხის სამსახური იყო მისი ცხოვრების წესი. ვინც მეჯიდს იცნობდა, დამეთანხმებიან, რომ იგი იყო იშვიათი, სიცოცხლით საკმიანო, რომელიც თავისი საქმიანობით სხვასაც აყვარებდა სიცოცხლეს.

არავინ იცის, როდის განყდება სიცოცხლის ძაფი. წუთისოფლის განვლილ წლებს მაშინ აქვს აზრი, როცა შენი გაკეთებული საქმე დროს უძლებს, როცა ახსოვეხარ. მეჯიდი გვახსოვს,

რადგან იგი ნალდი კაცი იყო, ბუნებრივი. არაფერი იყო მასში ხელოვნური – არც სიტყვა, არც საქმე, არც ღიმილი. მეჯიდი საქმის კაცი იყო. გვიან გაზაფხულზე – მთაში გადაპარგვისას, შუამთობის დროს თუ ადრე შემოდგომაზე – მთა ჩირუხიდან ჩამობარგვისას ხალხს სირთულები აღარ აშინებდათ, რადგან ეიმედებოდათ, სწამდათ მეჯიდის, იცოდნენ, რომ იგი არავის მიატოვებდა, ყველას გაუწვდიდა დახმარების ხელს.

გურიაში გადავიდა საცხოვრებლად, თავისი შრომითა და გარჯით გაიჩინა ახალი საცხოვრისი. იქაც ყველას შეაყვარა თავი. ამიტომაცაა ძვირფასი ყველა წელათელისათვის მეჯიდის პორტრეტი, რომელიც მისი ახლობლების, მეგობრების, ნათესავების მიერ იძერნება. მეჯიდი ფაქტიურად ხალხის სამსახურში დაიწვა. ბოლოს გულმა ვეღარ გაუძლო ამოდენა ტვირთის ტარებას. მეჯიდი გარდაიცვალა 2019 წელს, 69 წლის ასაკში. დასაფლავებულია შრომაში.

მერაპ ვაშავეაძე (1959-2016)



საკუთარი წარმომავლობა ბავშვობაშივე გააცნობიერა, როცა მოისმინა მშობლების მონათხრობი მისი გენეტიკური ფესვების შესახებ. მან გაითავისა, რომ წინაპრები იმერეთიდან ყინჩაურში, იქიდან კი წელათში გადმოსახლებულან. ამიტომაც იყო მუდმივი წვასა და ძიებაში, მუდმივად ეძიებდა ახლობლებსა და შორეულ ნათესავებს აჭარასა თუ იმერეთში, რაჭასა თუ ლეჩებულში.

ეს პიროვნება ჩვენგან ნაადრევად წასული მერაბ ვაშავმაძეა, კაცი, რომელმაც

გვასწავლა სიყვარული, სულგრძელობა, დიდსულოვნება და პატივების უნარი. ჩვენს მეხსიერებაში შემორჩენილ თუ ჩვენი თაობის ადამიანთა შორის ვერავინ შეძლო მერაბის სიმაღლეზე ასვლა, მისი ადამიანურობის საიდუმლოს ამოხსნა, რადგან იგი სხვანაირი იყო, ყველასგან გამორჩეული, – გამორჩეული ადამიანის სიყვარულის, ერთგულების, ნათესავ-ახლობელ-მეგობრების დაფასებისა და პატივისცემის ჩვენთვის მიუწვდომელი ნიჭითა და უნარით. მისთვის უცხო იყო ანგარება, შურიანობა, ეგოცენტრიზმი. მას საოცრად ღლიდა „უერთმანეთობა“, გამორჩეულად უყვარდა ადამიანები.

მ. ვაშავმაძე დაიბადა წელათში 1959 წ. 12 აგვისტოს. იქვე დაამთავრა დაწყებითი სკოლა და სწავლა განაგრძო შუბნის საშუალო სკოლაში. 1960-იან წლებში მისი ოჯახი საცხოვრებლად გაგავიდა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჭარნალში. მერაბი მა-

თამაზ ფუტკარაძე, ზაურ ფუტკარაძე

ლე ყველასათვის საყვარელ პიროვნებად და სასიამოვნო სტუმ-რად იქცა. თავისი ცხოვრება მერაბმა დარჩიძეებელ ნათელა ცეცხლაძეს დაუკავშირა, რომელმაც ორი შვილი აჩუქა ვაშაყ-მაძეებს: ალექსი და დათო.

1980-იან წლებში მერაბმა ღვინის ქარხანაში დაიწყო მუ-შაობა. ბუნებით კეთილშობილი ყველას, ნაცნობსა თუ უცნობს უშურველად ემსახურებოდა, მასპინძლობდა, ამარაგებდა დვი-ნითა თუ კონიაკით. „მეღვინე მერაბი“ – ასე იხსენიებდნენ მას მისი თანამედროვენი.

ბუნებით ნიჭიერს უმაღლესი განათლება არ მიუღია, თუმცა თანაბრად შეეძლო მსჯელობა საბუნებისმეტყველო, ზუსტი თუ ჰუმანიტარული მეცნიერების, ასევე საზოგადოებ-რივ-პოლიტიკური ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე. გარ-კვეული თვალსაზრისით იგი საზოგადო მოღვაწეც იყო. მერაბს არ დაუტოვებია შუბნისა თუ ჭარნალის საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი საკითხი, არც ერთი ღონისძიება, მონა-ნილება რომ არ ჰქონოდა მიღებული. 1996 წელს, როცა გა-დაწყდა სახალხო მთქმელის ბინალი ფუტკარაძის წიგნის გამო-ცემა, იგი დაუზარებლად გაემგზავრა დედოფლისწყაროს რაი-ონის სოფელ სამთაწყაროში – ხალხური მთქმელის – ბინალის შვილთან – ოთართან, მის შესახებ მასალების მოსაძიებლად.

მერაბი მორწმუნე ადამიანი იყო. იგი ფიქრობდა სამყარო-ზე, როგორც ღვთის საჩუქარზე და მოუწოდებდა ყველას მის-დამი მოფრთხილებისაკენ. ერთხანს იგი ჭარნალის მეჩეთში და-დიოდა სალოცავად, მაგრამ მალე ქრისტიანულად მოინათლა და ბათუმის მართლმადიდებლური ეკლესიის ხშირი სტუმარი გახდა. რელიგია ბევრისგან განსხვავებით მერაბისთვის არ ყო-ფილა თავშესაფარი. იგი მართლმორწმუნე მართლმადიდებელი გახდა უბირველესად თავისი ცხოვრების წესით. მერაბი ყოველ-დღიურად მაღლიერებას გამოხატავდა ღვთისადმი, ამავე დროს არც განსაცდელს გამორიცხავდა, რომელიც შეიძლება მოევ-ლინოს კაცობრობას და საქმე მივიდეს თვითგადარჩენის ინ-სტიქამდეო. მაშინ გამოჩნდება – ვინ ვართ ჩვენ, შევძლებთ თუ არა რისკზე ნასვლას სხვათა დასახმარებლად, თუ საკუთა-

რი კეთილდღეობისათვის დავჭამი ერთმანეთსო – სვამდა რი-ტორიკულ კითხვას მერაბი და თავადვე პასუხობდა: სიკვდილი ადრე თუ გვიან ყველასთან მივა, მთავარია გულის რა მდგომა-რეობით შევხვდებით ამ დღესო. წინასწარმეტყველურად ჩანს მერაბის ეს სიტყვები. 21-ე საუკუნის შავმა ჭირმა – კოვიდ-19-მა კიდევ ერთხელ გააშიშვლა გადაბერებული კაცობრიობა.

ნაადრევად ჩაიფერფლა მერაბის სიცოცხლე (24.09. 2016 წელი). უკურნებელმა სენმა უდროოდ გამოგვაცალა ხელიდან ახლობელ-ნათესავებისა თუ მეზობლებისათვის საიმედო და მოსიყვარულე ადამიანი. მისი სიკვდილით კიდევ ერთხელ გაცხადდა ყველასათვის ცნობილი, თუმცა ცხოვრებაში ნაკლებად რეალიზებული ჭეშმარიტება: „ბოროტებას და ლიქნობას, სიყვარული სჯობს ძამა“. მერაბმა იცოდა სიყვარულის ფასი, მაგრამ თავისი სიკვდილით შეეცადა დაემტკიცებინა, რომ სიყვარული არაა ვინმეს კერძო საკუთრება. იგი მაშინაა ძლიერი, როცა ყველასია, შენია, ჩემია, სხვისია. ამ ჭეშმარიტების ცხოვრებაში გატარება მერაბის ახლობლაბს ყოველთვის ვერ გვიხერხდება.

დაკრძალულია ჭარნალში.

აპთანდილ ვაჟაყეაცემა (1961 - 2017)

მრავალმხრივი ბუნების ადამიანი, 1970-იანი წლების ნებათის მახვილისიტყვაობის შემოქმედი, დახვენილი იუმორის პატრონი – ასე იცნობდნენ კულტურის ერთ-ერთი გამორჩეული მოღვაწის – ვლადიმერ ალისულთანი ვაშაყაძის უფროს ვაჟიშვილს, შუახევურ-წელათური ხუმრობების ზეპირშემოქმედს, ბოჭემური ცხოვრების მოტრფიალეს (ბავშვობიდანვე მასთან შეზრდილ როსტომთან ერთად) ავთანდილ ვაშაყაძეს.

ავთანდილი დაიბადა 1961 წელს, სოფელ წელათში. ახლობლებს კარგად ახსოვთ მისი ამ ქვეყნად მოვლინება. ახალ-ბედა ვაჟის დაბადებით გამოწვეული სიხარული ახლობლების ყიფინითა და მოლხენით აღინიშნა.

თამაზ ფუტკარაძე, ზაურ ფუტკარაძე



ავთანდილი ლამაზი, მოხდენილი და ცელქი ბავშვი იყო. პირველდაწყებით განათლება სოფლის დაწყებით სკოლაში მიიღო. სხვადასხვა დროს სწავლობდა ტომაშეთის რვაწლიან, მახინჯაურისა და შუბნის საშუალო სკოლებში. სკოლის დასრულების შემდეგ თავისი ბედი დაუკავშირა კვიახიძეებელ დიასამიძის ქალიშვილს. შეეძინათ სამი შვილი: მახარე, მამუკა და მარინა.

ავთანდილ ვაშაყმაძის პიროვნება ყველა თაობის ადამიანში აღძრავს ცნობისმოყვარეობას.

მისი პიროვნული თვისებები, ცხოვრების წესი არ იძლევა მის შესახებ ყველაფრის ცოდნის საშუალებას. ავთანდილი ხალას იუმორთან ერთად სამხედრო საქმიანობასაც წარმატებით ართმევდა თავს.

ბედის უკუღმართობამ იგი უცხოეთში გადაისროლა. კრასნოდარში გაატარა თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი. იქვე მსახურობდა შეიარაღებულ არმიაში. მეგობრებისათვის დროს ყოველთვის ნახულობდა. მისი მეგობრის როსტომ ვაშაყმაძის მონათხოვით (რომელიც მასთან ერთად ცხოვრობდა და მსახურობდა კრასნოდარში) ავთანდილი კრასნოდარში ძალზე პოპულარული კაცი ყოფილა. ის არც პოეტი იყო, არც მწერალი ან მეცნიერი. იგი ერთი ჩვეულებრივი ადამიანი იყო, მაგრამ განუმეორებელი ხიბლის მფლობელი. ჰყავდა ბევრი მეგობარი და თაყვანისმცემელი, რომელთა შორის მას ყოველთვის ეკავა ღირსეული ადგილი.

სიცოცხლის ბოლო წლებში რაღაც დაუკმაყოფილებლობის გრძნობა სტანჯავდა. მეგობრები არ აკლდა და მაინც მარტოსულად გრძნობდა თავს. ამ თვალსაზრისით მისი ცხოვრება ტრაგიკულიც იყო. ტრაგიკულადაც დასრულდა მისი სიცოც-

ხლე. უკურნებელმა სენმა სრულიად ახალგაზრდა გამოაცალა წუთისოფელს. უცხოობაში დალია სული ამ დიდბუნოვანმა კაცმა. სიცოცხლეში სამშობლო, წელათი ენატრებოდა. სამწუხაროდ, მხოლოდ სიკვდილის შემდეგ ეღირსა მშობლიური მინა.

56 წლის ასაკში გარდაიცვალა ავთანდილ ვაშაყმაძე. თითქოსდა გრძნობდა კიდევ სიკვდილის მოახლოებას. ბათუმში დაკრძალეს წელათის ერთ-ერთი გამორჩეული გულშემატკივარი.

ქორა ვაშაყმაძე (1962-2018)

უორა ვაშაყმაძე წელათელთა იმ თაობის თანამოასაკე იყო, რომლებიც ეხლა შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში არიან.



ამ თაობის სასკოლო ასაკში უორა ერთ-ერთი პერსპექტიული მოზარდი იყო. ეს ჩანდა ტომაშეთის რვაწლიან, შემდეგ კი შუბნის საშუალო სკოლაში სწავლის პერიოდში. მაგრამ მან სამხედრო სამსახურის გზა აირჩია და ჯერ კიდევ ახალგაზრდა, სიცოცხლეს მოწყურებული ადრე გაეცალა წუთისოფელს. მიუხედავად ამისა მან შეძლო თა-

ვისი კვალის დატოვება, დაიმკვიდრა პოპულარული მეგობრის სახელი და დიდი როლი შეასრულა მეგობრობისა და თანასოფლელების ერთიანობის განცდის განმტკიცება-გაძლიერებაში. ამიტომაა, რომ დღესაც, მისი უდროო გარდაცვალებით გამოწვეული სინანული და ტკიცილი არ განელებიათ მის მეგობრებს, ახლობლებს, თანამოასაკეებს.

უორა ვაშაყმაძე დაიბადა 1962 წელს, წელათში, მოხერემ

თამაზ ფუტკარაძე, ზაურ ფუტკარაძე

ვაშაყმაძის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო მშობლიური სოფლის დაწყებით სკოლაში. 1979 წელს წარმატებით დაამთავრა შუბნის საშუალო სკოლა, თუმცა ნიჭიერ ახალგაზრდას უმაღლესი განათლების მიღებისათვის ბევრი არაფერი გაუკეთებია. მისი ნიჭი, ენერგია, ცოდნა და გამოცდილება სამხედრო საქმეს შეალია.

უორა ვაშაყმაძე თავის ირგვლივ მუდამ ამაღლებულ, სათნო, სასიამოვნო განწყობას ქმნიდა. მასში ჰარმონიულად იყო შეხამებული შინაგანი სილალე, სისუფთავე, გარეგნული სიმშვიდე. ლამაზი საუბარი იცოდა, გულისტკივილით საუბრობდა საქართველოს ტრაგიკულ ბედზე. დახვენილი ქართულით მეტყველებდა, იყო სამართლიანი და ობიექტური, ზოგჯერ გამოთქვამდა კრიტიკულ შეხედულებებს იმდროინდელი პოლიტიკური სისტემის მიმართ, რის თქმასაც მაშინ ბევრი ვერ ახერხებდა. ამ თვისებების გამო უყვარდათ იგი. თავადაც თავგანწირული მეგობრობა იცოდა. დღემდე ლეგენდად შემორჩა უორას მეგობრობა ოთარ და მამული მახარაძებთან. უორა ძნელად თუ ვინმეს დაიახლოვებდა, მაგრამ თუ დაიახლოვებდა გვერდიდან არ მოშორდებოდა.

საქმეში მუდამ სერიოზული, თავ ის ფიქრებში ჩაღემავებული ყოველდღიურ ცხოვრებაში მხიარული და ხალისიანი იყო. ნარდის თამაში უყვარდა, დათქმულ პირობას კი წაგების შემთხვევაში არასდროს ღალატობდა. დღესაც ხუმრობით მოიხსენიებუნ მისი მეგობრები ნარდის თამაშის დროს წაგებული თხის ამბავს, როცა უორამ ხუმრობით დათქმული პირობა გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, მაგრამ შეხსენების გარეში უპირობოდ შეასრულა.

სიცოცხლის ბოლო წლებში ყოველდღიური საზრუნვით დატვირთული უორა ოდნავადაც არ შეცვლილა. იგი კვლავინდებურად ხალისიანი და ყურადღებიანი იყო.

უორა ვაშაყმაძემ თავისი ცხოვრების ყველა ეტაპზე გვიჩვენა ჭეშმარიტი კაცობის, მოქალაქეობის, ადამიანურობის მაგალითი. გარდიცვალა შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში 2018 წელს. მას დარჩა ორი შვილი: გოჩა და მამუკა. დაკრძალულია ბათუმში.

ნოდარ (ყურპან) ვაშაყმაძე

ბევრმა სცადა გაეთავისებინა წელათი, მაგრამ ვერ შეძლო, რადგან წელათლობა არ იყო ადვილი. მას თავისი შეუვალი კანონები ჰქონდა – ადგილის დედის სიყვარული, მაღალზებობრიობის და სიკეთის კანონები, რომლებიც იქმნებოდა ფუტკარაძეთა და ვაშაყმაძეთა „ცხოვრებისეულ სკოლებში“.

წელათელობა შეძლო ნოდარი (ყურპან) ვაშაყმაძემ, რადგან მას წელათი ანუხებდა და ახარებდა, ატირებდა და აცინებდა. სწორედ ამ გრძნობამ არ დაატოვებინა მშობლიური კერა და ბოლომდე ერთგულად ემსახურა მამაპაპისეულ სამკვიდროს. **ნოდარი დღეს სოფლის ყველაზე უხუცესი ადამიანია.**

ნოდარი ვაშაყმაძე დაიბადა 1927 წელს, წელათში. სოფელში გაატარა ყმაწვილკაცობის, მოწიფულობის თუ სიბერის ხანა. საყოველთაო წერა-კითხვის უცოდინარობის ფონზე იგი სოფლის ერთერთ განათლებულ ადამიანად ითვლებოდა.

ყურპან ვაშაყმაძე იყო პირველი ბუხალტერი სოფლიდან. თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი ამ პროფესიისადმი სამსახურს შეალია. ინტელიგენტური აღნაგობით გამორჩეული ყ. ვაშაყმაძე ყველასათვის მისაბად პი-

როვნებად ჩამოყალიბდა. ყურპანი მთელ სოფელს უყვარდა. მძაფრი კამათის, აზრთა სხვადასხვაობის დროს ინარჩუნებდა წონასწორობას, ბუნებით ინტელიგენტს შეეძლო გრძნობების შეკავებაც და საკუთარო მოსაზრებების თავაზიან ფორმებში გადმოცემაც.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის იშვიათი თვისება, რასაც ყურპან ვაშაყმაძე პატიოსნებისა და ნიჭიერების აღიარებით გა-



თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე

მოხატავდა. იგი პატივს სცემდა წარმატებულ ადამიანებს, ცდი-ლობდა დახმარების ხელი გაენოდებინა ახალგაზრდებისათვის, აძლევდა მათ კვალიფიციურ რჩევებსა და დარიგებებს, გულის-ხმიერებით ხვდებოდა ყველას – მტერსაც და მოყვარესაც.

ორი შვილი აჩუქა ქვეყანას: მიხეილი და თამაზი. მიხეილ-მა დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროში დაიდო ბინა, თამაზი კი აგრძელებს მამის გზას და კვლავაც მშობლიური წელათის სამსახურშია.

ფოტოგამატიკა



მევლუდ ვაშაყმაძე
1882-1967



რეჯებ და სინარა
ფულკარაძეები



მოხერემ ვაშაყმაძე



ბინალი ვაშაყმაძე

თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე



დურსუნ და ბექირ ფუტკარაძეები



აპას ფუტკარაძე



მარცხნილან მარჯვნივ: იოსებ ფუტკარაძე, ნოდარი ცეცხლაძე,
შოთა ხასანისძე ბერიძე, ზია ბერიძე და რეზო სურმანიძე



ნელათლები ექსკურსიაზე. თბილისი, 1968



იოსებ ფუტკარაძე
მეუღლესთან ერთად



მერაბ ვაშაყმაძე რძალთან
და შვილიშვილთან ერთად

თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე



ჩვენი მერაბი



ქაზიმ ფუტკარაძე მეულლესთან და შვილებთან ერთად (1969 წელი)



ქაზიმ ფუტკარაძე მეულესთან შვილთან და სიძესთან ერთად
(2018 წელი)



ზაური ფუტკარაძის დიდი ოჯახი

თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე



შუამთობის დღესასწაულზე 1977 წელი



შუქრი ფუტკარაძე



ავთანდილ ვაშაყმაძე
მეუღლესთან



ვლადიმერ (ბინალი) ვაშაყმაძე
მეუღლესთან ერთად

მოედინ ვაშაყმაძე



ლიანა ფუტკარაძე

ალი ფუტკარაძე

თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე



იუსუფ ვაშაყმაძე
1921-1985



ოთარ ვაშაყმაძე
1950-1998



ნუგზარ ვაშაყმაძე



ვლადიმერ (ალისულთან) ვაშაყმაძე



ზია (ნიქო) ფუტკარაძე



შალვა ფუტკარაძე



ნოდარი, ზაური, ბეჟან და თამაზ ფუტკარაძები

წელათის ხედები



თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე





ვლადიმერ (ალისულთან)
ვაშაყმაძის საცხოვრებელი სახლი



მიხეილ ვაშაყმაძის
საცხოვრებელი სახლი



ქორა ვაშაყმაძის
საცხოვრებელი სახლი



ნოდარ (ყურპან) ვაშაყმაძის
საცხოვრებელი სახლი

თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე



დაწყებითი სკოლა



წისქვილი

გამოყვებული ლიტერატურა და ცენტრები

I. ლიტერატურა:

1. აჭარის, 2011 – „აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავ-თრები“ (თარგმნეს და გამოსცეს ზაზა შაშიკაძემ და მირი-ან მახარაძემ), თბილისი;
2. ბერძენიშვილი, 1964 – ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ის-ტორიის საკითხები, ტ. 1, თბილისი;
3. გოგიტიძე, 1996 – გოგიტიძე ზ. სოფელი გოგინაური. კულ-ტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძებანი საქართველოში, 1., ბათუმი;
4. ებრალიძე, 1996 – ებრალიძე ტ., სოფელი შუბანი XII-XIX საუკუნეებში, პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მესამე სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა გეგმა და თეზისები, ბათუმი;
5. თოფჩიშვილი, 1997 – თოფჩიშვილი რ., როდის წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები, თბილისი;
6. თურმანიძე, 2019 – თურმანიძე ოთარ, საბჭოთა რეჟიმი და მასობრივი რერესიები აჭარაში (1921-1952 წლები) ბათუმი;
7. კვაჭანტირაძე, 2017 – კვაჭანტირაძე კახაბერ, ქართული და ქართულ-ებრაული გვარ-სახელები, თბილისი ;
8. მიქელაძე, 1982 – მიქელაძე ჯემალ, საცხოვრებელი და სა-მეურნეო ნაგებობანი აჭარაში ბათუმი;
9. მარეთის 2011. მარეთის ხეობა, ბათუმი;
10. მაისურაძე, 1990 – მაისურაძე ი., ქართულლი გვარსახელე-ბი, თბილისი;
11. მაკარაძე, 2006 – მაკარაძე ვ., გამონათლევის გამონათე-ბა, ბათუმი;

თამაზ ფუტკარაძე, ზაურ ფუტკარაძე

12. მაკარაძე, 2011 – განათლება. „მარეთის ხეობა“, ბათუმი;
13. (იხ. ჯემალ მიქელაძე, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი აჭარაში, პათ. 1982, გვ. 31-32)
14. მოსახლეობის – 2002. მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები, თბილისი;
15. მგელაძე, 1962 – მგელაძე ვლ., სოფელ დარჩიძეების დასახლების სტრუქტურისათვის, ბსკი შრომები, ტ. 2, ბათუმი;
16. მგელაძე, 1973 – მგელაძე ვლ., ზემოაჭარული სოფელი ძველად, ბათუმი;
17. რუსიძე, 1957 – რუსიძე შ., დარჩიძეებისა და შუახევის ციხესიმაგრეები, აჭარის ასსარ სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტ. 2, ბათუმი;
18. რობაქიძე, 1960 – რობაქიძე ა., დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აჭარაში, ბსკი შრომები, ტ. 1, ბათუმი;
19. სილაგაძე, თოთაძე, 1997 – სილაგაძე ა., თოთაძე ა., ქართული გვარ-სახელები. თბილისი;
20. სიხარულიძე, 1958 – სიხარულიძე იური, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, ტ. 1, ბათუმი;
- 21. ტბეთის – 1977 – ტბეთის სულთა მატიანე, თბილისი;**
22. ფუტკარაძე, ვარშანიძე, 2001 – ფუტკარაძე თ. ვარშანიძე 6., „შუბანი“, ბათუმი;
23. ფუტკარაძე, 1995 – ფუტკარაძე თ., მიგრაციული პროცესები აჭარის მთიანეთში, ბათუმი;
- 24. ფუტკარაძე, 1996 – ფუტკარაძე თ., წინასიტყვაობა“. ბინალი ფუტკარაძე, „დე უმლერე მამულს ჩემო ჩანგო“, ბათუმი;**
- 25. ფუტკარაძე, 2020 – ფუტკარაძე ტ., აჭარის შუბანი, ხელნაბეჭდი. თბილისი;**

26. ფუტკარაძე, 2008 – ფუტკარაძე მ., მოსახლეობა, შუახევი. ბათუმი;
27. ქამადაძე, 2011 – ქამადაძე მიხ., გვარსახელები მარეთის ხეობაში, მარეთის ხეობა, ბათუმი;
28. ქართული... 1984 – ქართლი ისტორიული საბუთების კორპუსი, თბილისი;
29. ქართული, ქართული სამართლის ძეგლები“, ტომი III; თბილისი;
30. შამილაძე, 1969- შამილაძე ვ., ალპური მესაქონლეობა სა-ქართველოში, თბილისი;
31. შუახევი, 2008 – შუახევი, ბათუმი;
32. ცეცხლაძე, 2007 – ცეცხლაძე შოთა, „შუბანი და შუბნელები“, ბათუმი;
33. ჯავახიშვილი, 1923 – ჯავახიშვილის ივანე, (რედაქტორი), საქართველოს რუკა, თბილისი;
34. ჭიჭინაძე, 1913 – ჭიჭინაძე ზ., მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფილისი.

II. პრესა:

1. ფრ. სიხარულიძე, რას მოგვითხრობს დაწერილი, გაზ. „აჭა-რა“, 1992 წ. 3 ოქტომბერი;
2. გაზეთი „აჭარა“, 1995 წ. 15 თებერვალი;
3. გაზეთი „სრულიად საიდუმლო“, 1999 წ. N 12

III. საარქივო დოკუმენტური წყაროები:

1. ასაცსა, ფ. პ-1, ანაწ. 1, საქ. 142, ფ. 7;
2. ასაცსა, ფ. რ-2. ანაწ. I, საქმე 209. ფ. 110;

თამაზ ფუტკარაძე, ზეურ ფუტკარაძე

3. ასაცავა, ფ. რ-4. ანაწ. I, საქმე 285. ფ. 79(აჭარის ასარ დარაიონება 1931 წლისათვის);
4. ასა ცავა, ფ. 130, ანაწ. 1, საქ. 288. ფ. 1;
5. ასა ცავა, ფ. P-178, ან.1, ს. 883, ფურც. 295, 343;
6. ასა ცავა, ფ. 178, ან 1, ს. 29, ფურც. 230-240;
7. ასა ცავა, ფ. -178, ან.1, ს. 283, ფურც. 23;
8. ასა ცავა, ფ. 1077, ან. 1, ს. 24, ფურც. 12;
9. ასა ცავა, ფ. რ 1079, ან.1, ს.2, ფურც. 5;
10. ასა ცავა, ფ. რ-1079, ან.1, ს. 5, ფურც. 1, 2;
11. საქართველოს შესსა არქივი, საარქივო ცნობა ფ-1328.
18.09. 1998 წელი;
12. სცავა, 1448, 5037;
13. სტამბოლი, მინისტრთა საბჭოს არქივი, NFS.d.02759,
გვ.260-264 (დოკუმენტები ჩამოიტანა და თარგმნა ზაზა შა-
შიკაძემ).

IV. რესპონდენტები (ზეპირი ისტორიები):

1. რიზალი ფუტკარაძე
2. ახმედ ფუტკარაძე
3. ფერათ ფუტკარაძე
4. შიოთა ცეცხლაძე
5. ალიოშა მახარაძე
6. თამაზ დიასამიძე
7. ემზარ ჯუმუშაძე
8. ოთარ ბინალისძე ფუტკარაძე
9. ჯონდო ცეცხლაძე
10. სიმონ ბოლქვაძე

11. შაქრო ვაშაყმაძე
12. ნოდარი (ყურბან) ვაშაყმაძე
13. თამაზ ნოდარისძე ვაშაყმაძე
14. ქერემ (ვაჟა) ვაშაყმაძე
15. დავით ვაშაყმაძე
16. მიხეილ ვაშაყმაძე
17. ბეინაზ სურმანიძე
18. იოსებ ფუტკარაძე
19. თამაზ დიასამიძე
20. ბესარიონ გოგიტიძე
21. მერაბ თავდგირიძე
22. ზურაბ ბერიძე



გამომცემლობა „უნივერსალი”

თბილისი, 0186, ა. ჭოტიაძეს ქადაგზე №4. ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com